



გაგუკა, ირინა და ორი „აღივლა“

N51(80) 20/XII.-26/XII.2001.
ფასი 60 ლ.

ვინ ავსებს გაგუკა ონაშვილს

1168
2001



თავურ ფეხრიშვილს განძანა უეჭვარებულმა ანუშა!



სინჯარის ბიჭებს ერთი თვე შეუსრულდათ



უბნში, სახალსო აჯანყება, სახალღეო
გადატრიალება, დიქტატორის დაშლვა,
სამოქალაქო ომი, თბილისის ომი...

გვ.4

10 წლის წინ გაპარდნილი პირველი
ტყვიით დაიწყო ომი, რომლისთვისაც
მართველებს ზუსტი სახელი დღემდე
ვერ დაგვირქვამია...



მინიატურები

„შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“ ანუ „გმარო, კმითა ხარ კლიერი!“ 3

ჭრილობა

ომი, რომელსაც გაპარჯვებული არ ჰყოლია... 4

მოდელი

წლის ყველაზე ელიტარული კატარგალი 9

ანტიდარკანანი

ინფორმაციულ-შეგნებებითი კოლაჟი ბორა ღვალის უბის წიგნაკიდან 10

ავალა

მამუკა ონაშვილს კომენდანტის საათმა ცოლი მოაყვანინა 12

კრიმინალი

„არ მახსოვს, რამდენჯერ ვესროლე... მივხვდი, რომ ცოლი მოვკალი“ 15

ტარორიზმი

ღამნაშავე თუ მსხვერვალი? ცნობილი მიკრობიოლოგის გაუწინარება 17

სინჯარი

სინჯარის ბიჭებს ერთი თვე შეუსრულდათ! 18

შაჰმონეთი თქვენი ცონდა

ტესტი ერუდისიანზე 19

დეკლარაცია

რომელი ბანკის წიგნაკს ინახავს სეიფში თემურ მღებრიშვილი 20

კედი კამისა

ზგა რეპრესიებიდან რეპრესიებაამდე 23

სასარგებლო აზრები

აზორიგებების ენციკლოპედია 25

მომუხები

„რესტორანში გაგართულ წვეულებაზე არასოდეს ღაუჭებვა ქართულ სუფრას!“ 26

ომი, რომელსაც გაპარჯვებული არ ჰყოლია



ახლა, შედარებით ადვილი უნდა იყოს მომხდარის გახსენება, გაანალიზებაც და ერთმანეთისკენ ნაბიჯის გადადგმაც. მაგრამ ჩემი ღღევანდელი რესპონდენტების, ამჟამინდელი განწყობილება ამის საფუძველს, მე პირადად ნაკლებად მაძლევს...

4


მამუკა ონაშვილს კომენდანტის საათმა ცოლი მოაყვანინა

სწავლით გადაღლილი ირინა ბაბაღეთზე ისვენებდა. ერთ დღეს დემა მიაკითხეს და უთხრეს: სასწრაფოდ უნდა წამოხვიდე, გამოცდა გაქვს დანიშნულით. დემა გააცნეს მამუკა უთხრეს: გაქის მძლოლიათ...



12

„არ მახსოვს, რამდენჯერ ვესროლე... მივხვდი, რომ ცოლი მოვკალი“




რა მოხდა თბილისში, გამსახურდიას ქუჩაზე მცხოვრებ ყარა-ნაშვილების ოჯახში იმ ავბედით დღეს, - მუსტად არავინ იცოდა.

საქმე სასამართლომ დახურულ კარს მიღმა განიხილა. გამთიების მასალებზე მხოლოდ ახლა - განაჩენის გამოგანის შემდეგ მიგვიწვდა ხელი...

15

სინჯარის ბიჭებს ერთი თვე შეუსრულდათ!

ჩემთვის სქეს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი იყო, ბავშვები ჯანმრთელები დაბადებულყვნენ. ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ სამივე ბიჭი იქნებოდა, მაგრამ მაშინვე გამიხნდა მეოთხე შვილის გაჩენის სურვილი. სამწუხაროდ, ეს უკვე შეუძლებელია...



18

სამართლებელთა
მინისტროს
ბიბლიოთეკა

ტრანსკლანტაშია

„ვისაც თირკმელი მისცა,
ის კანცო მოკვდა და ფული
ალარ გადაუსხადეს“...

29

საყვარელი

დაშაქრული სიამოვნება

32

ტრადიციები

ქორწილი ფშავეში ანუ ერთ
„სასთაულზე“ დაბაბერნეს...

34

საბავშვო

ფართალში ბაცვლილი
საირსის ბანძი...

35

ფაქტობრივი

რკინის - მაიკი

36

ტანდენია

სუპერმოდელები პროცინიებს
თმოგვენ

40

რომანი

ნუგო ბაშელი.
დახული რვეული (დასაწყისი)

43

პარსკვლავი

პიტერ ბრემი
ფსიქონალიტიკოსებს
ალარ ენდობა

47

აქტუარი-ჩიტიური

50,51

ავტო

52

ჯანმრთელობა

- რჩევები ქალებს 54
- კოსმეტიკა 56
- კითხვა-პასუხი 56

ადამიანი-ლავანდა

ეშმაკის აღვოკატი

58

საანტიკვი

61

პორტოლი

კვირის (24-30 დეკემბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი

62

ტესტი

როგორ ექნებოდათ ახლოვალ
ალამიანებს?

63

კალენდრული

ჩრდილ-ჩრდილი ამბები

64

გარეკანაზი: გიორგი შოროშიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამომცემის კვირაში ერთხელ. სუბსაბათობით
გაზეთი „კვირის კალიტრის“ ღამათება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორში“

„ვისაც თირკმელი მისცა, ის კანცო მოკვდა და ფული ალარ გადაუსხადეს“ ...




ვოგონა მეკითხებოდა: რომ ვინაგრო, ახალ წელს თოვლის პაპა კარაქიან პურს სომ მომიტანსო?... მზად ვიყავი, თირკმელი კი არა, სულიც გამეყიდაო, - ასე დაიწყო ჩემთან საუბარი ქალმა, რომელიც ორჯერ ჩავიდა მოსკოვში თირკმლის გასაყიდად...

29

რკინის მაიკი

დღემდე მუსტად ვერავინ გეჩყვით, ამ სკანდალებში რომელი იყო მაიკის მხრიდან გაუკუგვირების განზრახ მცდელობა და რომელი შემთხვევის დროს „შემთხვევითურა“ ავხორც მოკრივეს „მსხვერპლი“. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში მას ამტყუნებდნენ...



36

პიტერ ბრემი ფსიქონალიტიკოსებს ალარ ენდობა



იგი პოლიველის ვარსკვლავია. ხშირად ჩნდება ჟურნალების გარეკანზე და ჟურნალისტებს გულახდილ ინტერვიუებს არ ეუბნება უარს. ოცდაათი წლის ასაკში მან იმდენი საყვარელი გამოიცვალა, რომ ანგარიში თვითონაც აებნა.

47


რახიყლოი რეყლოი

ააა... ან, იქნებ, თვითონ მოეწონდი რუსოს და სწორედ იმიტომ მთხოვა? დაახლოება სურდა... კი, კი... ნამდვილად ასე იქნებოდა: თორემ ის რომ სცოდნოდა, მისი შვილი გულში რომ მყავდა ჩავარდნილი, სათოფეზე არ გამიკარებდა, ალბათ...



43

„მინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“ ანუ „ძმამ, ძმიოს ხარ ძლიერი!“



ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ უამრავ კარგ თვისებასთან ერთად, ჩვენ – ქართველებს, ბევრი არცთუ ისე შესაშური შტრიხი გვაქვს ხასიათში. ამის შესახებ ქართველ თუ არაქართველ მწერლებსა და ისტორიკოსებს უსაუბრიათ საკმაოდ არგუმენტირებულად და თვით ჩვენი ერის ცხოვრების გზაც ამის დასტურია. დიდი ილიაც ამას ამბობდა და „მოყვარესაც პირში ზრახავდა“ და არა პირს უკან, – იქნებ ჭკუაზე მოვიდეთო. ილიამდე დიდი ხნით ადრე, ქართველი ჟამთააღმწერელი, ჩვენი კაცებისა და ქალების სამართლიანი ხოტბა-დიდების გვერდით, დანანებით აღნიშნავდა, რომ „ნათესავი ქართველთ ბუნება“ ორგულობა და შური არისო.

ალბათ არ გახლავთ ამაზე საუბარი მთლად სასიამოვნო მოსასმენი, მაგრამ რას იზამ, როდესაც ფაქტებს ყოველ ნაბიჯზე აწყდები დღესაც – მესამე ათასწლეულში და ეს ხდება ერის ელიტაში, იმ გარემოში და ხალხში, რომელიც მაგალითი უნდა იყოს მათი „სამწესოსათვის“.

გასული კვირა ასეთი შურისა და ბოღმის გადმონთხევის მორიგი კლასიკური შემთხვევის წყალობით დარჩება ქართული პოლიტიკის ისტორიაში: როგორ გაბედა და, თვითონაც რომ არ „ჩაეწყო“ ეს საქმე და მართლა იმსახურებდეს, უარი როგორ არ ათქმევინა პარლამენტის თავმჯდომარემ თავის მეუღლეს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეობაზე! რატომ, ძმაო, რატომ?! – არ ეკუთვნის?! ცენზი არ ჰყოფნის?! რა დაშავა, იმის გარდა, რომ ცოლი პარლამენტის სპიკერი ჰყავს?! არაფერი! მაგრამ შური და ბოღმა კვლავ მძლავრობს ქართველებში!

ეგო (ქალბატონ სპიკერზე ამბობენ), თვითონაც დარწმუნებულია, რომ მის ქმარს არ ეკუთვნის ისოდენ დიდი თანამდებობაო! სასაცილო თუ გინდა, ეს არის – ამით რომ ჰკითხო და ბოლომდე გააყვანინო თავისი, შეიძლება ოჯახის დანგრევაც მოსთხოვონ.

საერთოდ, დიდი პრობლემა ჩვენში ეს ე.წ. „ნათესაურ-კლანური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლა“ – ჩვენ ხომ ყველაფრის ერთუზიანებით ატაცება გეჩვენება, თავად განსაჯეთ – რას მიქვია „ნათესაურ-კლანური“?! როგორ, მე თუ მინისტრობას ვიმსახურებ და ვარ კიდევ მინისტრი, ჩემი „გუნდი“ ხომ მჭირდება?! მერედა, ამ გუნდში, რომლის მთავარი პრინციპი ურთიერთნდობა უნდა იყოს, ვიღაც ოხერი „ვათამაშო“, როდესაც აგერ ჩემს ღვიძლ ძმას დიპლომების კოლექციაც აქვს, კორუფციის მდიდარი გამოცდილებაც და უმწიკვლო კომკავშირული წარსულიც?! რატომ, რა ლოგიკით?! პირდაპირ საკვირველია ზოგიერთი საპარლამენტო ფრაქციის ლიდერის ლოგიკა – თვითონ საარჩევნო სიებს სწორედ ამ პრინციპით ადგენენ და ამით ამყობენ კიდევ: ხალხო, აბა თქვენ იცით, ხმა მოგვეცით, სულ ერთი „სასტავის“ ხალხი ვართ, ერთმანეთთან „შეთამაშებული“ და საქმის კეთებასაც სხვაზე უკეთესად მოვანერხებთო. განიადლებენ თავისას და მერე ბოლქრობენ – თუ ერთი ძმა მინისტრია, მეორე მის მძლიოლბას არ უნდა გასცდეს, თუ ცოლი პარლამენტის თავმჯდომარეა, ქმარი უზნის ინსპექტორად უნდა დაბურდესო...

ამ დროს კი თვით მათგან, მათი ოპონენტებისგან და თვით პრეზიდენტისგან კვლავ ყბადაღებულ „გუნდურ პრინციპზე“ იმის საუბარი. პრეზიდენტზე გამახსენდა, მასაც დაუწყეს კბენა –




ჯანდაცვის მინისტრმა რით დაიმსახურა, რომ სახელმწიფო მინისტრად აწინაურებოსო. დაიწყეს ნათესაური კავშირების კვლევა-ძიება და რომ ვერაფერი გამოქექეს, ახალი ტერმინი შეთხზეს – „გურული მათა“! მაგარია, არა?! – რაღაც სიცილიური, კალაბრიული თუ კორსიკული მათის მსგავსი! ასეა, ევროპელები ვხვდებით ყველა ასპექტში! არადა, ეკუთვნის იმ კაცს სახელმწიფო მინისტრის პორტუგელი, ალაღად ეკუთვნის – თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც თვით მისი ოპონენტები ხითხითებდნენ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, ეს ისეთი უფუნქციო პოსტია, რომ ყველაზე უვარგისი მოღვაწეც კი ბევრს ვერაფერს ავებს ქვეყანას! ჰო, „გურულ მათას“ რაც შეეხება, მასზე კიდევ ერთი კაცი ალაპარაკდა გასულ კვირაში ძალზე აქტიურად – ეკონომიკის ყოფილ მინისტრს უწოდა მისი წვერი და სასამართლოში მოუხდა პასუხის გაცემა. მართალია, შუალედური პროცესი მოიგო და არც ბოდიშის მოხდა დაევა და არც მილიონი ლარის გადახდა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თვითონაც ძირიძირობამდე, ათადან და ბაბადან „გაგანია გურული“ გახლავთ!

ერთი სიტყვით, როგორც ყოველთვის, თქვენი მონა-მორჩილი მარტივ და უეჭველ გამოსავალს სთავაზობს ხელისუფლებას, არსებულ ურთიერთობათა კრიზისიდან გამოსასვლელად და მომავალში მისგან თავის ასარიდებლად, თანაც ორ – ალტერნატიულ ვარიანტს: I – მინისტრად, პროკურორად ან საჯარო თანამდებობის სხვა ჩინოვნიკად დაინიშნონ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არა ჰყავთ დედა, მამა, და-ძმა, ბიძაშვილ-მამიდაშვილები, არ არიან ცოლიანები (ან გათხოვილები – თუ ქალი იქნება) და არც აბიურბენ დაოჯახებას, არ ჰყავთ საბავშვო ბაღის, სკოლის, უნივერსიტეტის მეგობრები (ამისგან თავის დასაზღვევად უმჯობესია, თუ საერთოდ არსად უსწავლიათ), ან კიდევ, ყველა ეს ნათესავ-მეგობარი უხვად ჰყავთ, მაგრამ ვერ იტანენ მათ (ეს ვარიანტი, ხასიათის განსაკუთრებულ სიმტკიცეს მოითხოვს და უმჯობესი იქნება, პროკურორის ან შინაგან საქმეთა თუ უშიშროების მინისტრობის კანდიდატებისთვის); ან II – თანამდებობაზე დანიშვნისას, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს თავისი „გუნდის შემადგენლობა“, ხოლო კანონში პირდაპირ ჩაიწეროს, რომ მისი მძლიოლ უნდა იყოს კარის მეზობელი (ბენზინის ეკონომიაც მოხდება), მდივანი – ცოლისდა, უფროსი მრჩეველი – სიდედრი, მოადგილე – სტუდენტობისას მისი კომკავშირის მდივანი, მთავარი ბუღალტერი – მისი ყველაზე მსხვილი მევალე და ა.შ.

დაწვარდება ყველა – მტერიც და მოყვარეც, საქმეც გაკეთდება, ფულიც გაიჭრება და სოფელიც აშენდება!

P.S. გადავიკითხე თანამდებობებზე დანიშნვის ჩემულები, ვითომ „ალტერნატიული“ ვარიანტები და გულიანად გამეცინა: არაფერი ნოვატორული მასში არ არის – ჩვენი „ბრძენი ხელისუფლება“, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონში პირდაპირ არ წერია, უკვე ათწლეულზე მეტია ამ პრინციპით მუშაობს.

პროვოკატორი



ოჰი, რომელსაც გამარჯვებული არ ჰყოლია...

10 წლის წინ, 1991 წლის 22 დეკემბრის სუსხიან დილას, თბილისში, მთავრობის სახლის წინ გავარდნილი პირველი ტყვიით დაიწყო ომი, რომლისთვისაც ქართველებს ზუსტი სახელი დღემდე ვერ დაგვირქმევია. პუტჩი, სახალხო აჯანყება, სახელმწიფო გადატრიალება, დიქტატურის დამსობა, სამოქალაქო ომი, თბილისის ომი... და ვინ მოთვლის, კიდევ რა ეპითეტით არ მოვიხსენიებთ იმას, რასაც ყველაზე უფრო გასაგებად, ქართველის მიერ ქართველის უსასიკვდილოდ გამეტება ჰქვია და რომლის სავალალო შედეგი, ათეულობით შუბლ და გულგახვრეტილი ქართველი, დანგრეულ-გაპარტახებული დედაქალაქი და ქვეყნიდან განდევნილი თუ გაქცეული კანონიერი ხელისუფლება იყო...

ასლა, 10 წლის გადასახედიდან, — ერთ დროს ლამის სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულმა ქართველებმა ერთმანეთის სიძულელით დაკოდილი გულებიც კი, თითქოს, ასე თუ ისე რომ გავიმრთელეთ, — შედარებით ადვილი უნდა იყოს მომხდარის გახსენებაც, გაანალიზებაც, ჭკუის სასწავლებელი დასკვნების გამოტანაც და ერთმანეთისკენ ნაბიჯის გადადგმაც. მაგრამ ჩემი დღევანდელი რეპონდენტების, ათი წლის წინათ კი, ორი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკის წარმომადგენლების — ნემო ბურჭულაძისა და თენგიზ სიგუას ამჟამინდელი განწყობილება ამის საფუძველს, მე პირადად ნაკლებად მაძლევს. თუმცა, სჯობს, თავად მათ მოვუსმინოთ.

რუსულან ლებანიძე

ნემო ბურჭულაძე:

— იმ ტრაგიკული მოვლენების გახსენება ერთი „საზეიმო“ თარიღით უნდა დავიწყო: 10 წლის წინათ, 1991 წლის 21 დეკემბერს შეიქმნა „ეს-ენ-გე“ — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. ამას იმიტომ ვისსენებ, რომ მათ, ვინც მაშინ საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებდა და ჩვენ გვიპირისპირდებოდა, საბჭოთა კავშირის საბოლოო დაშლით მიღწეულ თავისუფლებას ერთი დამეკი ვერ გაუძღეს და მეორე დილას ქვეყნის დამოუკიდებლობას ზარბაზნები ესროლეს... დღეს სწორად გაიგონებთ, რუსეთი შევარდნაძეს საბჭოთა კავშირის დანგრევას ვერ აპატიებსო. მაგრამ სინამდვილეში შევარდნაძემ კი არ დაანგრია, მას თავზე დაანგრის მისი საყვარელი საბჭოთა კავშირი... — პარალელისთვის ნუ მიწყენთ, მაგრამ, ბატონო ნემო, სამწუხაროდ, თქვენც ხომ თავზე დაგანგრის თუ თავად დაინერეთ ქვეყანა,

რომელიც ქართველებმა ასე ერთსულოვნად ჩაეპარეთ? — ჩვენ ანუ „მრგვალ მაგიდას“, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, ჩვენი მთავარი მიზანი არასოდეს დავვიძალავს: ეს იყო საქართველოს თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. სხვათა შორის, „მრგვალი მაგიდა“ იყო ის ერთადერთი ბლოკი, რომელმაც არჩევნების წინ საკმაოდ ვრცელი პროგრამა გამოაქვეყნა. და თუ ამ პროგრამას გადახედავთ, დანახავთ — მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში ხუთის ნაცვლად, ერთი წელი ვიყავით, ჩვენ მაინც ყველა პირობა შევასრულეთ. — ოპონენტები რომ დღემდე სრულიად საპირისპიროს გიკეთებენ? — მაპატიეთ, მაგრამ ვინ არიან ჩვენი ოპონენტები? ჩვენი ოპონენტები იყვნენ: ჯერ საბჭოთა კავშირი, შემდეგ მისი მემკვიდრე რუსეთი და მათი მხარდამჭერები საქართველოში. სხვა ოპონენტი ჩვენ არ ვგყოლია. მე უკვე ვითხარით, ჩვენი მთავარი მიზანი იყო

თავისუფლება! მაგრამ ჩვენი თავისუფლება არ ნებად იმას, ვისგანაც უნდა გავთავისუფლებულიყავით — ეს იყო და ეს! სხვა პრობლემა არ ყოფილა. — მესმის თქვენი გაღიზიანება და თუნდაც შემართება, მაგრამ, განა ჩვენნაირ პატარა ქვეყანას რუსეთთან ცოტა უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარება არ მართებდა და მართებს? — რა არის, იცით? ამაზე ძალიან მარტივად ვიპასუხებთ: რაც უფრო ღირსეულად მოიქცევი — კაცი იქნება თუ ქვეყანა, მით უფრო ღირსეულად მოექცევა მტერიც და მოკეთეც... მე მინახავს, როგორ კოცნიდა მხარზე შევარდნაძე ელცინს და ასევე მინახავს, როგორ კოცნიდა მხარზე ელცინი ზვიად გამსახურდიას... ღირსეული უნდა იყო! ესაა მთავარი! — ვეთანხმებით. ზვიად გამსახურდიას ღირსება ნამდვილად არ აკლდა. მაგრამ იქნებ, ქართველებმა მას, როგორც უპირველეს ერისკაცს, მაინც ზომამე მეტი ტვირთი ავკიდეთ?

იქნებ, პოლიტიკოსობა და ქვეყნის მართვა მისი საქმე არ იყო?

– ზვიად გამსახურდია იყო უდიდესი პოლიტიკოსი, რასაც დღეს დასავლეთშიც ბევრი აღიარებს, იმდენად დიდი, რომ ოპონენტებმა იცოდნენ, პოლიტიკურად რომ ვერ მოეროვნენ და ამიტომ გახდა საჭირო იარაღით მისი ჩამოგდება. სხვათა შორის, ამერიკაში გამოვიდა წიგნი „XX საუკუნის გმირები“, სადაც სულ 20 კაცია შეყვანილი და მათ შორისაა ზვიად გამსახურდია! ახლა რაც შეეხება ქვეყნის გაძლიერებას და მშენებლობას... პირდაპირ კონკრეტულ მშენებლობაზე ვეტყვი... 1991 წლის გაზაფხულზე, გახსნოთ ალბათ, საქართველოში ძალიან დიდი მიწისძვრა მოხდა... იმ პერიოდში დაზარალებული რეგიონის მოსახლეობისათვის 8000 ორსართულიანი სახლი აშენდა. მიჩვენოს დღევანდელმა ხელისუფლებამ მის მიერ თუნდაც ერთი ადამიანისთვის, ერთი რიგითი ქართველისთვის აშენებული ერთი სახლი. ვერ მიჩვენებს! ისევე, როგორც ვერ მიჩვენებს ვერაფერს, ერთ ქოსსაც კი, სასახლეებზე აღარ მაქვს ლაპარაკი – პირადად ჩვენთვის რომ აგვეშენებინა ან მიგვეთვისებინა...

– ხომ შეიძლება, შემოგვდარი – ვერ მოასწარი და იმიტომ?..

– აშენება თუ მოვასწარი, მითვისებას რაღა უნდოდა? მაგრამ არ მივითვისეთ! იმიტომ, რომ ჩვენი მიზანი სხვა იყო – ქვეყნის წინსვლა და თავისუფლება!

– მაგრამ, ბატონო ნემო, განა თავისუფლებისთვის აგრერივად გულანთებულმა ხელისუფლებამ სხვისი თავისუფლება უნდა შეზღუდოს? თქვენ კი, ხან გვარდია გააუქმეთ, ხან გაზეთები დახურეთ, ხანაც ოპოზიციის მიტინგები დაარბიეთ...

– ჯერ ერთი, გვარდია არ გაგვიოქმედა – მას მხოლოდ სტატუსი შეეუცვალეთ – და არც გაზეთები დაგვიხურავს – უბრალოდ, ოთხი გაზეთის ერთ დიდ გაზეთად გადაკეთება გადაწყვიტეთ. თანაც, ოთხივე ჩვენი, სახელმწიფოსი იყო...

– მაშინ ხომ ლამის ყველა გაზეთი სახელმწიფოს ეკუთვნოდა. დამოუკიდებელ გაზეთებს თითოეც ვერ ჩამოთვლიდით...

– დიას, მაგრამ საბოლოოდ ხომ არც ის ოთხი გაზეთი გაგვიერთიანებია. და ეს იმ

გაზეთების კოლექტივების ინტერესებიდან გამომდინარე გავაკეთეთ და არა რაიმე იდეოლოგიური მოსაზრებით. ოპოზიციის მიტინგების დაბრუნებას რაც შეეხება: თუ კონკრეტულად 2 სექტემბრის მიტინგზე საუბარი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ის არ იყო ოპოზიციის მიტინგი! ის მოსკოვში დაიგეგმა და კონკრეტული შემკვეთი და შემსრულებელი ჰყავდა. მისი დარბევა კი აბსოლუტურად პროვოცირებული იყო. მე ზუსტად მაშინ ვიყავი მთავრობის სახლში და კარგად მახსოვს, რამდენ ხანს ეძებდა ბატონი ზვიადი მას, ვინც გაბედა ამის გაკეთება.

– დღეს თუ მაინც იცით, ვინ გაბედა?

– ვერ ვეტყვი... მე ხომ მაშინ სულ სხვა სფერო მებარა... თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ეს იყო დიდი პროვოკაცია...

– მაგრამ დარბევები რომ არც ამის შემდეგ შეწყდარა? ოპოზიციური პარტიებისგან „გაწმენდილ“ რუსთაველის პროსპექტს რაღა მოეუხერხეთ?

– მაშინაც ვთვლიდი და დღესაც იმავეს ვავიმეორებ, რომ რუსთაველის პროსპექტი უთუოდ უნდა გაწმენდილიყო იმ სამშენებლო ნაგვისგან, რომელიც იქ ოპოზიციურმა პარტიებმა, ვითომდა, ბარიკადების სახით დაყარეს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის ნაგავი იქ კრემლმა დაყარა... ეს კრემლის გაკეთებული იყო... ჩვენ იმ დღეს რუსთაველზე მტერი ამ გზით შემოგვივიდა... და მეორეც: რომელ ნორმალურ ქვეყანაში ევტავენ ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალს სამშენებლო ნაგვით?

– მართალი ბრძანდებით – არც ერთში! მაგრამ, ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, რომ ნორმალურ ქვეყნებში არც კარგებს დგამენ მთავრობის სახლის წინ, თქვენი მომხრეები კი სწორედ ასე მოიქცნენ...

– სხვათა შორის, შეიძლება, მე მაშინ ცოტა უფრო სხვა დამოკიდებულება მქონდა იმ ეწ. „კარვის ქალებთან“, როგორც ისინი ოპოზიციამ მონათლა, მაგრამ დღეს მათ საქციელს მთლიანად ვამართლებ. დიას, კარგი იყო, რომ მაშინ მთავრობის სახლის წინ ქალები იდგნენ და არა შეიარაღებული ხალხი. თანაც, ისიც მინდა შეგინშნო, რომ კარავი ნამდვილად არ არის ნაგავი... მაგრამ, იცით, რა?.. ჩვენს მოწინააღმდეგეს მაშინ მხოლოდ

ერთი რამ აინტერესებდა და სურდა: ხელისუფლების ხელში ჩაგდება! ამიტომაც დაგვამხო, მაგრამ დამხოხაცა და დამხოხაცა... წარმოიდგინეთ, რამხელა სამხინელბაა, როცა, ვთქვათ, მამა უზენაესი საბჭოს შენობიდან ისროდა, შვილი კი ამ შენობას გარედან უშენდა ტყვეებს...

– სამწუხაროდ, ასეთი დაპირისპირება მაშინ მართლაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო...

– თუმცა, უფრო სამწუხარო მაინც ის არის, რაც მას შემდეგ მოხდა და დღემდე ხდება ქვეყანაში. რომელი ერთი ვთქვა... თუნდაც არმინაბა როგორ გაბედავდა ჩვენს დროს იმის გაკეთებას, რაც მეზე გაბედა და ახლაც ბედავს... მას შემდეგ ხშირად მიკითხავს ჩვენი ოპონენტისთვის: კი, მაგრამ, ჩვენ ხომ ხალხმა აგვიჩრია, ჩვენი გადარჩევა რატომ აღარ ჰკითხეთ იმავე ხალხს-მეთქი?... ახლაც ხშირად გაიძინან: გამსახურდიამ არ დააკმაყოფილა ოპოზიციის მოთხოვნა და რიგგარეშე არჩევნები არ დანიშნა... მინდა, პირდაპირ განვაცხადო, რომ ეს წმინდა წყლის სიცრუეა. ჩვენ არაერთხელ დავსვით საკითხი პრეზიდენტზე, თუ როდის დავგეგმიან არჩევნები – გაზაფხულზე თუ შემოდგომაზე... იცით, როგორ იხსენებდა ახლანა ჩვენი მაშინდელი ოპონენტი მამუკა გიორგაძე იმ ავადსახსენებელ 2 სექტემბერს? ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ ვიცოდით, რომ გამსახურდია გაზაფხულზე რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავდა, მაგრამ ეს – ანუ 2 სექტემბერი – მაინც მოგაწყვეოთ. ეი, ოპოზიციამ ყველაფერი იცოდა. მამ, გაზაფხულამდე მოვლაც აღარ შეეძლო? თუმცა, ოპოზიციამ-მეთქი, ვამბობ, თორემ სინამდვილეში, რუსეთის შეიარაღებული მეზუთე კოლონა იყო, რომელსაც ჰქონდა ოფიციალური დავალება – ჩვენი ხელისუფლების ძალით დამხოხა. ამას ჩვენ მაშინაც ცხადად ვვრძინობდით და ვხედავდით...

– და სიტუაციას მაინც კიდევ უფრო ამწვავებდით?

– სიტუაციას კი არ ვამწვავებდით, არ ვთმობდით სამშობლოს! რომელიც დღეს, მართალია, ძალიან ცუდ დღეშია, მაგრამ მაინც გვაქვს! საერთოდ კი, იცით, ყველაზე მთავარი რა იყო? ჩვენ იმ მოკლე პერიოდში მაინც მოვახერხეთ, მაინც გადავანხით რაღაც უფსკრულს და დავხტით მეორე ნაპირზე.

– მაგრამ ბევრი ვინმე და რამე რომ იმ უფსკრულშიც ჩაიჩენა?

– დიას, სამწუხაროდ, აღარ გვყავს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, ბევრი ჩვენი მომხრეც დახოცილია...

– დაჭრილ-დახოცილები არც ოპოზიციას დაჰკლებია. იმ ომს ხომ არაერთი სრულიად უდანაშაულო ადამიანიც, უბრალოდ, ქუჩაში გამვლელი, შეეწირა...

– ის ომი ჩვენ არ დაგვიწვია...

– იმავეს ამბობს ოპოზიციაც: პირველი ტყვეა ჩვენ არ გვისვრიათ, მაგრამ განა ამას



ზვიად გამსახურდია, თენგიზ სიგუა და ნემო ბურჭულაძე. 1991 წ.



სახელმწიფო საბჭო – თენგიზ კიგოვანი, ჯაბა იოსელიანი, ელუარდ შევარდნაძე და თენგიზ სიგუა

არსებითი მნიშვნელობა აქვს? როცა დაპირ-
ისპირება იქმნე მდის, რომ ადამიანები იარ-
აღს ჰკიდებენ ხელს, ის იარაღი ხომ, აქეთ
თუ იქით, აღრე თუ გვიან, მაინც გაგვარდება?

– გეთანხმებით. იმას, თუ პირველმა ვინ
ისროლა, ნამდვილად არა აქვს პრინციპული
მნიშვნელობა. თუმცა, მაინც კატეგორიულად
ვაცხადებ: პირველი ტყვია ესროლეს მთავრო-
ბის სახლს და ამის უამრავი მოწმე არსე-
ბობს! თორემ, ისე, მთავრობის სახლიდან რომ
გვესროლა პირველად, მართლმსაჯულება არ ვიქნე-
ბოდით? როდესაც ჩემს სახლიდან ზარბაზანს
დგამ, უნდა გესროლო, აბა, რა უნდა ვქნა?!
მერე კი... სროლას, ცხადია, მსხვერპლიც
მოსდევს... ომს თავისი კანონები აქვს...

– მაგრამ განა ომის რომელიმე კანონში
თავსდება ის, რაც მაშინ მთავრობის სახლის
ე.წ. „ბუნკერში“ ხდებოდა?

– ბუნკერი იმ შენობას არა აქვს! ამას
კატეგორიულად გეუბნებით! ეს სიტყვაც იმ
დამკვეთმა მოიგონა, საქართველოს ფარგლებს
გარეთ. მან ხომ ჯერ დიქტატურასა და
ფაშიზმში დავგდო ბრალი, შემდეგ – აქოლა,
ფაშიზმი და ჰიტლერი ხშირად ბუნკერ-
თანაც იგივედებო, სიტყვა „ბუნკერიც“ შემო-
აგლო... ჩვენ ვიყავით პირველ სართულზე,
მთავრობის სახლის ჩვეულებრივ სასაიდლო-
ში...

– ბატონო ნემო, მაინც რატომ იღებდით
იმ სასაიდლოში ფირზე ყველაფერს, რაც
შემდეგ ოპოზიციამ ტელევიზიით სულ წაღ-
მა-უკუღმა ატრიალა?

– რა ვითხრათ, აბა? იქ ხომ ტელევიზი-
ის ხალხიც იყო. თანაც, ეს ხომ არ იყო
ბრძოლა უცხო ქვეყანასთან: ვინ რატომ იყო
იქ შემოსული და რა მიზნით, ძნელი გასარკვევი
იყო... ვიცა, რისი კითხვაც გინდათ... შემდეგ
ხომ მართლაც წაღმა-უკუღმა ატრიალებდ-
ნენ ტელევიზიით იმ ეპიზოდებსაც, სადაც მე,
ვითომ, ომისკენ მოვუწოდებ, ვიგინებ და თქვენ
წარმოიდგინეთ, მუხლებზე ქალიც კი მიზის.
არც ერთია მართალი, არც მეორე და არც
მესამე. თუმცა, დღეს – როცა ვისაც არ
ეზარება, ამ ქვეყანაში ყველა ომს იწყებს,
გინება პარლამენტის ტრიბუნლიდანაც კი ხმამა-
ღლა გაისმის და ბევრის ზნეობა ისე გადა-
გვარდა, რომ ქალს და კაცს ერთმანეთისგან
აღარ არჩევს – იმის დეტალურად გარჩევა,

თუ რა იყო იმ ფირზე სინამდვილეში ასახ-
ული, ახლა ნამდვილად აღარ მსურს...

– ისე, არც მე მინდოდა ამის კითხვა. მე
„ბუნკერში“ ტყვეების წამებისა და იმ ვიდეო
გოლდერძის ამავე უფრო მინტერესებს, რომელ-
იც, თურმე, ისეთი სისასტიკით გამოირჩეოდა,
რომ „გოლდერძი“ ერთხანს მწვალებლის ზოგად
სახელდაც კი იქცა...

– იცით რა?... იცით, ეს რისი ბრალია?...
იმის, რომ საქართველო მთელი ათი წელია,
მხოლოდ ერთ მხარეს უსმენს და ისიც
ყველაფერს ურცხვად ვაბრალებს...

– გინდათ თქვით, რომ საერთოდ არავინ
უწამებიათ? ნაცემ-ნაგვემი დეპუტატი თამაზ
დიასამიძე მაინც არ ვახსოვთ?

– მომიყვანეთ თამაზ დიასამიძე და ის
დაგიდასტურებთ, რომ მაგდასთან დავსვი და
ჩაიც მივართვი...

– მაგრამ აქ ხომ თქვენზე არ არის
ლაპარაკი, ბატონო ნემო?

– რატომ? მეც ხომ დამაბრალა მაშინ-
დელმა თავდაცვის მინისტრის პირველმა
მოადგილემ ნოდარ გიორგაძემ, რომ ტყვეებს
პირადად ვაწამებდი. იცით, ეს რომელი ნო-
დარ გიორგაძეა? იმ გაგანია ომში მთავრო-
ბის სახლიდან მის ავადმყოფ შვილს ექიმი
ორჯერ რომ გაუფუზაწე, თანაც იმ დროს,
ჩემი საკუთარი ცოლ-შვილი, ცოცხალი იყო
თუ არა, ისიც რომ არ ვიცოდი... ყველაფერი
შეიძლება, ადამიანს დაბრალა, მაგრამ... იცით,
დღესაც, აძღვნი ტკივილისა და სიკვდილის
ნახვის შემდეგ, ბავშვს რომ უბრალოდ ნემსს
უკეთებენ, მაშინაც კი ოთახიდან გავდივარ...

– მესმის, ბატონო ნემო, თქვენი გულიწ-
კივილი, იმასაც ვხედავ, რომ მაშინ თქვენი
მორიგება ადვილად არ მოხდებოდა... მაგრამ,
იქნებ, მაინც იყო გამოსავალი?..

– ჩვენი მორიგება არ მოხდებოდა, იმიტ-
ომ, რომ ეს მოსკოვიდან იყო აკრძალული;
იმიტომ, რომ იმ გადატრიალებას საქართვე-
ლოს საზღვრებს გარეთ ჰყავდა დამკვეთიც,
დამფინანსებელიც, იდეოლოგიც და, თქვენ
წარმოიდგინეთ, შემსრულებელთა ნაწილიც
იქიდან იყო შემოყვანილი. მარტო ოპოზიცია
ტყვილად ნუ დაიბრალებს – ჩვენს ჩამოგდ-
ებაში რუსის „საკენაზიც“ მონაწილეობდა...
ასე რომ, ამ საქმის ღირიფორს არაფერი
დავიწყებია და შეშლია...

– ბატონო ნემო, თავად თქვენ კი, არაფერი
შეგეშალათ?

– შეცდომები რომ არ ყოფილიყო, საქმე
ბევრად უკეთესად იქნებოდა. მაგრამ მე რომ
მცოდნეოდა, შეცდომა იყო და ის გამკეთებინა,
მოსაკლავი ვიქნებოდი. მე ნამდვილად მჯეროდა,
რასაც ვაკეთებდი... ერთ-ერთ სესიაზე ჩემი
გამოსვლა ასე დავიწყე: „ადამიანისთვის მთა-
ვარია, იცოდეს, რა არის მთავარი!“ მთავარი
არ უნდა შეგეშალოს, თორემ პატარ-პატარა
შეცდომები ყველა მოკვდავს აქვს.

– დაბოლოს, ბატონო ნემო, ერთი წამით
წარმოვიდგინოთ, რომ გარეთ ისევ 1991 წლის
22 დეკემბრის დღეა და ის პირველი ტყვია
ჯერ არ გავარდნილა, რას გააკეთებდა საქართვე-
ლოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგ-
ილე ნემო ბურჭულაძე?

– იგივეს, რასაც ამ წუთშიც ვაკეთებ –
საშობლოს დავიცავდი! იმ დღეებში ჩვენ,
საქართველოს კანონიერი ხელისუფლება,
დამპყრობლებისგან ვიცავდით საშობლოს.
ამაში დღესაც აბსოლუტურად დარწმუნებუ-
ლი ვარ!..

თენგიზ სიგუა:

– ბატონო თენგიზ, იქნებ, კიდევ ერთხელ
გაეხსენოთ, ზვიად გამსახურდიას გუნდში
როგორ მოხდით?

– მოდიოთ რა, გამსახურდიას გუნდს ნუ
დავარქმევთ... არ იყო მაშინ ის ზვიად გამ-
სახურდიას გუნდი... არ დავამალავთ და
გეტყვით, „მრგვალი მაგიდას“ მთელი პრო-
გრამა – „პოლიტიკურიც და ეკონომიკუ-
რიც“ – ჩემი დაწერილია. ტრაპაზში ნუ
ჩამომართმევთ და ისე, მართლაც ძალიან დიდი
და კარგი პროგრამა იყო. ღამეებს ვათენებდი
მის წერაში...

– იმ პროგრამას მაშინდელი ხელისუ-
ფლების წარმომადგენლებიც ძალიან აქებენ...

– რომ აქებენ, ერთი ისიც თქვან, რა
შეასრულეს იმ პროგრამიდან? რა? სოფლად
მიწები დაურიგეს უფასოდ, ქალაქად – ბინე-
ბი? პროგრამის პოლიტიკური ნაწილის მიხედ-
ვით, თუ არჩევნებში „მრგვალი მაგიდა“ გაიმ-
არჯვებდა, საგარეო პოლიტიკურ ბარომეტრზე
ისარი ჩრდილოეთიდან დასავლეთისკენ უნდა
გადაზრილიყო. მაგრამ ვინ მივიღებს და
გადიარებს დასავლეთში, თუ შენი პრეზიდენ-

ტი მათი ლიდერების გაუთავებელ ლანძვას მოჰყვება?! ცხადია, ეს სრულიად გაუგებარი იყო დასავლეთისთვის და სწორედ ამას მოჰყვა ბუმის ცნობილი ფრაზა: საქართველოს პრეზიდენტი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო.

– ისე, ხანდახან, ამის გაკეთებაც საინტერესოა...

– ვიცი, ვიცი... მაშინდელ ხელისუფალთა ამაზე თავიანთი აზრი ჰქონდათ: დინებას მხოლოდ მკვლარი თევზები მოჰყვებანო... და ეს იყო ყველაზე დიდი პოლიტიკური სისულელე... სწორედ ამას მოჰყვა ბეიკურის გამოსვლა, სადაც პირდაპირ ითქვა, რომ: ჩვენ უკვე დიდი პროგრამა გვაქვს დასასული პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების დასახმარებლად; თანხაც დაასახელა – 4,6 მილიარდი დოლარი, მაგრამ საქართველო ამ რესპუბლიკების სიაში ვერ მოხვდება. ე.ი. დასავლეთს ჩვენ უკვე გარიყული ვყავით... იცით, რომ 1991 წლის სექტემბრისათვის თურქენეთიც კი უკვე ოცდაათმა სახელმწიფომ აღიარა, ჩვენ კი – სულ რაღაც სამმა თუ ოთხმა... აი, ამ დონეზე დაიბა დასავლეთთან ურთიერთობა...

– მაინც რას ფიქრობთ, რატომ ძაბავდა პრეზიდენტი ამ ურთიერთობას?

– იცით, დღემდე მიჭირს ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა. პირად საუბრებში ზვიადი ყოველთვის დასავლეთის მხარეზე იყო, მიუღო თავისი დასიდეინტური მოღვაწეობითაც დასავლეთთან იყო დაკავშირებული... მაგრამ იცით, რა არის? თავისუფლება ბევრს სწორად არ ესმის. რომელი ქვეყანა დღეს აბსოლუტურად თავისუფალი? სხვას რომ თავი დავანებოთ, თუნდაც იგივე გერმანია აბსოლუტურად თავისუფალი თუ დიდი ბრიტანეთი? ცხადია, მისასაღებელი არ არის, მაგრამ გვინდა ეს ჩვენ თუ არა, მაინც უნდა ვაღიაროთ: დღეს მსოფლიოს, ერთი ქალაქი – ვაშინგტონი მარიავს. და ამ დროს შენ, პატარა საქართველოს პრეზიდენტი, უპარისპარდები ამხელა ძალას? ნებისმიერი უცხოელი ჟურნალისტი, რომელსაც იმ პერიოდში ვხვდებოდი, გაოცებული მეკითხებოდა: მაინც რა ხდება? მსოფლიოს რუკა მაინც ანახვეთ თქვენს პრეზიდენტს – რამხელაა საქართველო და რამხელა – შეერთებული შტატები... მაგრამ ვინ გიჯერებდა...

– პრემიერ-მინისტრობიდან რატომ გადაგაყენათ?

– ჯერ ერთი, არ გადაუყენებდნენ, თავად გადავდექი. ბოლო წვეთი, რამაც ჩემი მოთმინების ფიალა აავსო, იყო 10 აგვისტოს ის სავალალოდ ცნობილი მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი, სადაც შავით თეთრზე ეწერა: თქვენ დემოკრატები ხართ, მაგრამ ცუდი პრეზიდენტი გყავთ და გადაირჩიეთ... თანაც, ეს მიმართვა, ისე, რომ მთავრობის წევრებმა არაფერი ვიცოდით, პრესაში მთავრობის სახელით გამოქვეყნდა. მე მაშინვე დავურეკე

პრეზიდენტს და ჩემი გადადგომის თაობაზე ვაუწყე...

– ცხადია, ოპოზიციამ ყოფნა ბევრად უფრო ადვილია. იქიდან ხელისუფლების შეცდომებიც უკეთ ჩანს და არც კრიტიკა ჭირს...

– შეცდომებიცაა და შეცდომებიც... განა შეიძლება ოპოზიციის მიტინგის დარბევა, როცა თავს დემოკრატობაზე ღებ და თან თბილისში 26 ამერიკელი კონგრესმენი და სენატორი გყავს მოწვეული, რომლებმაც საკუთარი თვლით ნახეს ყველაფერი?! კი, შემდეგ ბევრი იფიცა ზვიადმა, ეს პროვოკაციაა, მე არაფერი ვიცოდით... არ დაიჯეროთ! ასეთი აქტი ქვეყნის პირველ პირთან შეუთანხმებლად არ ხდება. ეს იგივეა, გორბაჩოვი და შევარდნაძე რომ გაიძახოდნენ – 9 აპრილის დარბევასთან ჩვენ არავითარი კავშირი არ გვაქვსო...

– და მაინც, განა არ შეიძლება, რომ მართლაც დიდი პროვოკაცია ყოფილიყო? ზვიადის მომხრეები ხომ იმასაც ამბობენ, ვაჭანტურიამაც შეგნებულად, მართლაც პროვოკაციულად მოუწყო ის მიტინგი გამსახურდას, რადგან იცოდა, რომ ამერიკელი კონგრესმენები იყვნენ ჩამოსული...

– რას ნიშნავს, შეგნებულად ან თუნდაც პროვოკაციულად? ოპოზიციის ყოველთვის ებრძვის ხელისუფლებას და ამისთვის ყველა ხელსაყრელ მომენტს საგანგებოდ იყენებს. შენ – ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინო დემოკრატობა თუ არა, მეტი წინდახედულება მაინც, და არ დაარბიო... და თუ, მაინცდამაინც, ვიდაც დიდი პროვოკატორი გყავს, გამოაშკარავე და უმცარესად დასაჯე... გამსახურდიამ კი ამისთვის მგონი, მხოლოდ „ომონის“ უფროსი გადააყენა...

– თავად რას აკეთებდით გადადგომის შემდეგ, გვარდიამ როგორ აღმოჩნდით?

– გადადგომის შემდეგ გაზეთ „დრონიში“ გამოვაქვეყნე ინტერვიუ, სადაც ჩემი გადადგომის ყველა მიზეზი ავსახე. ისე, ამის გაკეთება ჯერ კიდევ პრეზიდენტის სხლამაზე მინდოდა, მაგრამ გამსახურდიამ საშუალება არ მომცა. ინტერვიუს გამოქვეყნებიდან მეორე თუ მესამე დღეს პროკურატურაში დამიბარეს. იქ მისულს, ვანტანგ რაზმამ უხერხულობისგან დამემალა. მისმა მოადგილემ, დღეს ოუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიაშვილმა მიძილო. ისიც ძალიან უხერხულ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. ბოლოს, როგორც იქნა, მიხსრა: ბატონო თენგიზ, ასეთ ინტერვიუებს ნულარ მისცემთო... ჩემი პასუხი ასეთი იყო: შეგიძლიათ ახლავე გასცეთ სანქცია და დამაპატიმროთ, თუ არა და, ინტერვიუებს როგორც ვაძლევდი, ისევე მივცემ-მეთქი... ცხადია, ბატონმა როლანდმა გამომიშვა. თუმცა, მოგვიანებით მაინც მივხვდი იმ 10 თუ 12 კაცის სიაში, ვისი დაპატიმრებაც გამსახურდიამ რაზმამ დაავალა.

– მაშ, რატომ არ დაგაპატიმრეს?

– ერთ საღამოს შინ გვარდიელმა მომაკითხეს: ბატონო თენგიზ, ზუსტი ინფორმაცია გვაქვს, დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ დაგვიჭერენო და ტანსაცმლის გამოცვლაც არ მაცალეს, ისე გამაქანეს თბილისის ზღვაზე, სადაც თენგიზ კიტოვანი იყო დაბანაკებული. ასე გადავურჩი დაჭერას. თუმცა, ჩემი დაპატიმრება მერეც არ იყო პრობლემა. იმ პერიოდში ოცჯერ მანც ჩამოვედი თბილისში და თან სულ რამდენიმე კაცი თუ მახლდა.

– როგორც ჩანს, გამსახურდიამ ბოლომდე მანც ვერ გაემთავრა...

– არა, მაშინ, უბრალოდ, არც პოლიცია და არც უშიშროება მის ბრძანებებს აღარ ასრულებდა. ერთხელ, მაგალითად, თბილისში მორიგი ჩამოსვლისას, პოლიციის საკმაოდ მობრძიდ ვჯვუვს გადავყვართ. ის იყო, წინააღმდეგობის გასაწევად მოვეშხადეთ, რომ ხელი აგვიწიეს: მიდით, ბიჭებო, თქვენთანა ვართო. მივხვდი, რომ უკვე ყველას გაყიდული ჰყავდა... მართალი ვითხრათ, გული მეტკინა... დღესაც ხშირად ვფიქრობ, ზვიადს რომ თუნდაც სომხეთში გაქცევის შემდეგ, ჩვენი წინააღმდეგ მიეღო და უკან დაბრუნებულიყო, იქნებ საქმე სულ სხვანაირად წასულიყო. ჩვენ ხომ ისიც კი მოფიქრებული გვექონდა, თუ მისთვის, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტისთვის, რა პირობები უნდა შეგვექმნა – პირადი დაცვით, ტრანსპორტითა თუ სამედიცინო მომსახურებით...

– მაგრამ ეს ხომ ის „ოქროს ვალია“ იქნებოდა, რომელზეც ზვიად გამსახურდიამ არასოდეს დათანხმდებოდა?

– იცით, თავიდან დათანხმდა, მაგრამ მერე მისმა უახლოესმა გარემოცვამ ისევ თავისი გაიტანა და... კიდევ ერთ ფაქტს გეტყვით: ზვიადის დამხობიდან ორი თვე იყო გასული, როცა გროზნიდან ერთი ახალგაზრდა კაცი მისი უშუალო დავლებით მეწვია – რომელიმე დასავლეთის ქვეყანაში დგინილი პრეზიდენტის სტატუსით მინდა წასვლა და დამეხმარეო. მე დახმარება აღვუთქვი. მაგრამ როგორც მოგვიანებით შევიტყვე, გროზნოში ჩასული ის ახალგაზრდა, ზვიადთან ჩემი პასუხის სათქმელადაც კი აღარ შეუშვეს...

– ვინ არ შეუშვა?

– ისევ იმ უახლოესმა გარემოცვამ, რომელიც ჯერ კიდევ „ბუნკერში“ არსებებდა, ჩვენ იმხელა ძალა გვაქვს, რომ სახალალოდ კიტოვანის გვარდიისგან აღარაფერს დავტოვებთო. ისე, „ბუნკერს“ რაც შეეხება, იქ არავითარი ბუნკერი არ იყო... ეს არის მთავრობის სახლის დიდი სასაბლილო. „ბუნკერი“, მერე ხალხმა შეარქვა... ამიტომ ჩემი თხოვნაა, ეს სიტყვა ბრჭყალებში მოიხსენიოთ... ისეთი შთაბეჭდილება არ დარჩეს ვინმეს, რომ გამსახურდიამ რაღაც ციტადელში იყო გამოკეტული... ისევ გარემოცვას მივუბრუნდეთ... როცა კიტოვანმა მათი მუქარა მო-

ისმინა, ზვიადს შეუთვალა: გამოყავი შენი სამხედრო ექსპერტები, შეამოწმონ, მე რა ძალა მაქვს და შენ – რა, და თუ იტყვიან, რომ შენ მეტი ძალა გაქვს, იარაღს დავყვით...

– საერთოდ, ამდენი იარაღი საიდან გქონდა?

– ნუ, ახლა... შევიცარიდიან ან ისრაელიდან, რომ იმ დროს იარაღი არ შემოვიღოდა, ცხადია. ის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის იარაღი იყო. ორივე მხარეს რუსული კლამნიკოვები და ტყვია-წამალი ჰქონდა...

– ოღონდ, ორივე მხოლოდ ქართულ სისხლს ღვრიდა...

– დიახ, სამწუხაროდ...

– ისე, თქვენი მონინალდებულებები იმსაც ამტკიცებენ, რომ თქვენს მხარეს მართო რუსული იარაღი კი არ ჰქონდა – რუსული „საენჯინიც“ იბრძოდა...

– იცით რა? იმ ომზე სამასი ფირია გადაღებული და დაცული. ყველა მამინდელი ბრძოლაა აღბეჭდილი. თქვენ თუ იქ ერთ რუსს მაინც მოძებნით, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ისე, მაგათაც ბევრი ეძებეს და ბოლოს, განარებულებმა, ერთს დაადეს ხელი – აი, ეს ნამდვილად რუსიაო. იცით, ვინ აღმოჩნდა? თბილისის კომენდანტი ზაზა ჩაჩუა... ისე, ზაზა ქერა ბიჭია და ერთი შეხედვით, რუსსაც ჩამოჰგავს... საერთოდაც... დღემდე რომ გაიძახან, რუსები ეხმარებოდნენო... კარგი, ვთქვათ, სიგუასა და კიტოვანის სახით მართლა რუსულმა ძალამ გაიმარჯვა. რა უნდა გავეკითხოთ პირველ რიგში? საქართველო „ეს-ენ-გე“-ში უნდა შეგვეყვანა და რუსეთის სამხედრო ბაზების აქ ყოფნა დავეკანონებინა. – აი, ეს ორი მიზანი ჰქონდა რუსეთს საქართველოში, სხვა არაფერი ანტერესებდა. რა, შენი ჩაი უნდა იყო „ბორჯომი“? რას ვაკეთებთ ჩვენ? კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ „ეს-ენ-გე“-ში შესვლისა და პირველი დღეებიდანვე ვიწყებთ რუსული ბაზების საქართველოდან გაყვანას. და გავიყვანდით კიდევ, ვითომდა ქვეყნის საშველად ჩამოსულ შევარდნაძეს ყველაფერი უკუღმა

რომ არ დაეტრიალებინა...

– ბატონო თენგიზ, დღემდე იმ ომის დაწყებას ერთმანეთს ასე ვჯიუტად რატომ აბრალებთ?

– კი არ ვაბრალებთ, ზუსტად, დოკუმენტურადაა დამტკიცებული, რომ სროლა პირველად მაგათ დაიწყო. ჩვენ რად გვინდოდა ომი და სროლა?! ჩვენ ხომ ისედაც ვიცოდით, რომ თებერვალ-მარტში ზვიადი პოზიციებს დათმობდა და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავდა: ყველა ჩვენი პოლიტიკური ანალიზი სწორედ ამას გვიჩვენებდა...

– უკვე ზღვაზე დაბანაკებულთაც არ დავიშვიათ, რომ შეიძლება, იარაღის გამოყენება დაგჭირვებოდა?

– არა და არა! პირიქით! მე განვიხილეთ კიტოვანის განცხადებებს, სადაც ის ამბობს: რომელი მხარეც პირველი გამოიყენებს იარაღს, გვარდაც მამინვე მის წინააღმდეგ გამოვა. კიდევ ერთხელ გეუბნებით, თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში გამსახურდა ისედაც იძულებული გახდებოდა, რომ ვადაძღელი არჩევნები დაენიშნა.

– იძულებული გახდებოდა თუ საკუთარი სურვილით დანიშნავდა?

– გადახედეთ მთელ მამინდელ პრესას, გადაფურცლეთ მაგათი მამინდელი გაზეთი – „საქართველოს რესპუბლიკა“, მინიშნებით მაინც თუ სადმე ამოიკითხავთ, რომ ზვიადი ამის გაკეთებას საკუთარი ნებით აპირებდა... მოდით, რა, ისტორიას ნუ დავამახინჯებთ, თორემ, ეს იმას ჰგავს, შევარდნაძე დღემდე ვჯიუტად რომ იბრალებს – ბერლინის კედელი მე დავანგრეო. ვინ ჰკითხავდა შევარდნაძეს, ბერლინის კედლის დანგრევას?! მაგისთვის რომ ეკითხათ, მერწმუნეთ, ის კედელი დღესაც იქ იქნებოდა, ისე ვჯიუტად ეწინააღმდეგებოდა მის დანგრევას... ისე, მაგ კოსმოპოლიტთან გამსახურდას შედარება მაინც არაფრით არ შეიძლება! ზვიადი იყო მკვიდრ ეროვნულ ნიადაგზე მღვარი კაცი. უბრალოდ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა იყო სახელმწიფო და მისი მართვა...

– ისე, ერთში მაინც მართალი არიან გამსახურდაის მომხრეები: კიდევ კარგი, ქართველებმა საკუთარი თვალთი ნახეს შევარდნაძის მოტანილი „სიკეთე“, თორემ ზვიადს რომ დასცლოდა და საქართველო ბალნარადაც ექცია, ბევრს მაინც იმის სევდა მოკლავდა, შევარდნაძე უფრო მეტს გავვიკეთებოდაო...

– მერწმუნეთ, ზვიადი საქართველოს აყვავებას ვერ შეძლებდა... მას რომ დასცლოდა, სრულ იზოლაციაში მოგვაქცევდა... მართალია, დღეს ქუდი ხელისუფლება გვყავს, მაგრამ ქვეყანაში ინვესტიციები მაინც შემოდის და თუნდაც მათი 30% ხმარდება საქმეს. მაშინ კი ერთ ცენტსაც არავინ მოგვცემდა. თანაც, ურთიერთობებსაც ხომ გააჩნია... ახლა, ასეა თუ ისე, ევროკავშირთან გვაქვს ურთიერთობა, ევროპარლამენტთან, გაეროსთან... მაშინ კი, უბრალოდ, ყველასგან იზოლირებული, ჩაკეტილი სახელმწიფო, მეორე ალბანეთი ვიქნებოდით... თუმცა, ერთი კია: ზვიადის დროს ასეთი მასშტაბის ქურდობა არაფრით იქნებოდა...

– საერთოდ კი იქნებოდა?

– კი... უკვე მაშინ დაიწყო... მაგრამ მე რომ ფეხებითაც დაქვიდნო, მაინც ვიტყვი, რომ ეს ზვიადის ზურგს უკან კეთდებოდა, მან ამის შესახებ არაფერი იცოდა... მე ეს ზუსტად ვიცი... ის კი არა და, მე და კაკო ასათიანმა, წინ რომ ფაქტები დავულაგეთ, მისი შემრწმუნებული სახე დღემდე მასხოვს...

– ბატონო თენგიზ, ისე, დროის ასეთ მცირე მონაკვეთში, ორი ამდენად განსხვავებული პრეზიდენტის სამსახური ადვილი არ უნდა ყოფილიყო. მთ წინააღმდეგ ამხედრება კი – დიდად სარიკსოც. გამსახურდაის ერთი ფეხით გასწართ, მაგრამ საინტერესოა, შევარდნაძემ მაინც რატომ არ დავიჭირათ?

– ნუ, ახლა... დაპატიმრებასაც ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც საფუძველი?

– გინდათ, დამარწმუნოთ, რომ შევარდნაძე ასეთ „საფუძველს“ ვერ მოძებნიდა?

– მაშინ პირდაპირ გეტყვით: შევარდნაძემ, გამსახურდაისგან განსხვავებით, ჩემი დაჭერა კი არა, ყოფნა მონიშნავდა. გადადგომის შემდეგ „პირადი უსაფრთხოებით, სათანადო საყოფაცხოვრებო პირობებით და ტრანსპორტით უზრუნველყოფა“ შემომთავაზა, მაგრამ ცივი უარი მიიღო...

– ამჟამად სად მუშაობთ?

– მეცნიერებათა აკადემიის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ვარ. და იმის დიდი იმედით და რწმენითაც ვცხოვრობ, რომ საქართველოში დღეს გამეფებულ ბოროტებას ბოლო ძალიან ძალე მოეღება...



შესაძლოა, სულ მალე სააგენტო „ნატალი“ მოდელუების გარეშე დარჩეს. მას შემდეგ, რაც გოგონებმა პოდიუმზე მოძრაობის ხელოვნება აითვისეს, ერთმანეთის მიყოლებით გათხოვდნენ. „ნატალის“ მოდელი ნინო ბაჩიაშვილიც მათ შორის არის, ვინც პოდიუმს, ოჯახის შექმნა ამჯობინა. წესით, მოდელობა და მეუღლეობა ერთმანეთს ხელს არ უნდა უშლიდეს, მაგრამ საქართველოში, ქართველი ქაცის მენტალიტეტში მაინც ვერ ჩაჯდა ცოლის გაშვება იქ, სადაც ბევრი მამაკაცი „თვალისთვის წყლის დასალევინებლად“ მიდის. საოჯახო ინტერიერში ჩაფლული მოდელები ამოცდ ამტკიცებენ, რომ პოდიუმში ლამაზმანების გამოფენა ყი არა, დიზაინერთა შემოქმედების ჩვენებაა. გააგრძელებს თუ არა ნინო ბაჩიაშვილი მოდელის კარიერას – ამას მომავალი გვიჩვენებს.

ჯერჯერობით ყი, სხვა საზრუნავით არის დაკავებული. იანვრის პირველი რიცხვებისთვის ის და მისი მეუღლე, დავით ინგოროყვა, პირველი შვილის დაბადებას ელოდებიან.



ნინო ბაჩიაშვილი წლის ყველაზე ელიტარული კაბარკალი

ნანა ქიბიშაური

— ნინო, როგორც ვიცი, დიდი ხანი არ არის, რაც მოსკოვიდან თბილისში გადმოსვებით საცხოვრებლად?

— დედა და მამა ექიმები არიან. ისინი მოსკოვში მუშაობდნენ. მე და ჩემი ძმაც იქ დავიბადეთ და ჩვენთვის პირველი ენაც რუსული იყო. თბილისში რომ ჩამოვედით, ერთადერთი, რაც ძალიან გამიჭირდა, აქაურ კლიმატთან და სკოლასთან შეგუება იყო. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ 6 სკოლა გამოვიცვალე.

— სწავლის პარალელურად პოდიუმზეც მუშაობდი, არა?

— თერთმეტი წლის ვიყავი, როდესაც მამამ გადაწყვიტა, ბაზელის სამოდელო სკოლაში შევეყვანე. ერთი წელი ვისწავლე იქ და დავიწყე ჩვენებებზე გამოსვლა. 14 წლიდან კი, სააგენტო „ნატალიში“ გადავედი. პოდიუმზე გამოსვლის პროცესი ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. თვალბში გაშუქებს რამდენიმე პროექტორი, ხედავ მხოლოდ გზას, რომელიც უნდა გაიარო, მერე შემოტრიალდე და უკან დაბრუნდე.

მაყურებელთა კონკრეტულ სახეებს ვერ აფიქსირებ. ისინი პოდიუმიდან თეთრი ჩრდილებივით მოჩანან. მთლიანად დარბაზი კი, მღელვარე ზღვას ჰგავს, მღელვარე მასას მთლიანობაში. ეს ჩემში ძალიან სასიამოვნო შეგრძნებებს იწვევს. გათხოვების შემდეგაც გამოვდიოდი პოდიუმზე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს საქმე თანდათან მბეზრდებოდა. დათოსაც ვატყობდი, რომ მაინცდამაინც არ სიამოვნებდა ჩემი მოდელობა, თუმცა ამას არ ამჟღავნებდა. ამ ყველაფერს ორსულობაც დაერთო და პოდიუმი მივატოვე.

— ვის მიერ შექმნილ მოდელებს აჩვენებდი განსაკუთრებული სიამოვნებით?

— საერთოდ, ძალიან მომწონს ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი მოდელები. უცხოელი მოდელიერები რატომღაც საქმიანი ქალის სტილის სტანდარტების ერთგულები რჩებიან. მათი შემოქმედება სწორი მონახაზებით გამოირჩევა — პიჯაკი, ქვედაბოლო და ერთი-ორი დეტალი. ქართველი დიზაინერების სტილი, მათგან დეტალების სიმრავლით განსხვავდება. შეიძლება, ჩვეულებრივ შავ კა-

ბას იმდენი დეტალი დაუმატონ, თმის სამაგრის, ყელსაბამის, ჩანთისა და სხვა ატრიბუტების სახით, რომ ფანტასტიკური დიზაინი გამოვიდეს. ამ მხრივ გამოირჩევა მაკა ასათიანის მოდელები. მიმაჩნია, რომ ჩვენს დიზაინერებს კარგი გემოვნება აქვთ. ქართულ სტილთან კი, უფრო ახლოს იტალიელი დიზაინერები დგანან.

— მაგრამ ქორწილში მაინც ფრანგი დიზაინერების მიერ შექმნილი კაბა გეცვა, ამბობენ — საკმაოდ ძვირად ღირებულად, თავზე კი ძვირფასი თვლებით მოჭედული დიადემა გაკეთა თურმე...

— ნიშნობის შემდეგ მე და დათომ თაფლობის თვე ევროპაში გავატარეთ, ქორწილი კი თბილისში დაბრუნების შემდეგ გადავიხადეთ. საქორწინო კაბა სწორედ ევროპაში მოგზაურობის დროს, პარიზში შევიძინეთ. მის ფასზე არ ვილაპარაკებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს კაბა დათოს დაჟინებული თხოვნით ვიყიდე. მას უნდოდა, რომ ქორწილში სწორედ მის მიერ არჩეული და მოწონებული კაბა ჩამეცვა. რაც შეეხება დიადემას, ის ჩემი

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეორი დვალის უბის წიგნაკრები:

1. დიეგო მარადონას მამა ღურვალს იყო.
2. ნატო ვაჩნაძე ვარშავაშია დაბადებული.
3. პირველი ობსერვატორია სამხრეთ კორეაში შეიქმნა.
4. მსახიობმა ოლეგ ტაბაკოვმა პირველი ინფარქტი 29 წლის ასაკში გადაიტანა.
5. ადამიანს საკუთარი მარცხენა მუშტის ხელა გული აქვს.
6. ტარიელი ნესტან-დარეჯანზე შვიდი წლით უფროსი იყო.

7. რაგბიში აუტსის გუნდი აწვდის, რომელმაც ბურთი აუტში გაგზავნა.

8. ამ ორი ათეული წლის წინ, არგენტინის კინოფესტივალზე გიორგი დანელიას „არ



იდარლომ“ „ოქროს კინდორი“ აიღო, მაგრამ მოუხედავად ამისა, ქართველი რეჟისორი მაინც უკმაყოფილო ჩანდა: მას მოეზრდა, რომ ფესტივალზე რუსად ნათლავდნენ. რეჟისორი შეეცადა, არგენტინელებისთვის აეხსნა, რომ იგი ქართველია და არა რუსი და რომ არგენტინის მხრიდან დედაშიწა რომ გახვრიტო, მოხვდები ქვეყანაში, რომლის ხალხი ძალიან ჰგავს მათ იერსახით, კულტურით და ტემპერამენტით. P.S. არგენტინელებმა თანხმობის ნიშნად თავები უქჩიეს და მორე დღეს თავიანთ ვახუთებში დაბეჭდეს, რომ რუსი რეჟისორის გიორგი დანელიას მტკიცებით, რუსები ძალიან ჰგვანან არგენტინელებს იერსახით, ტემპერამენტით, კულტურით და მათი ქვეყანაც ისე ჰგავს არგენტინას, რომ რუსეთში ჩასულ ყველა არგენტინელს სახლში ეგონება თავი.

9. ბასა ლოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი – ჩამოთვლილი სამივე პიროვნება თბილისის „დინამოში“ ათნომრიანი მათსურით თამაშობდა და სამივე ტრავიკული სიკვდილით დაიღუპა – ავტოკატასტროფაში.

10. გონერილა, რეგანა და კორდელია – ასე ერქვათ მეფე ლირის ქალიშვილებს.

11. 1898 წლის 26 ივნისს ღამით უგზო-უკვლოდ დაიკარგა ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, უილიამ შექსპირის ტრაგედიების მთარგმნელი, ქართული გაზეთის, „დროების“, ყოფილი რედაქტორი, სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი დირექტორი ივანე მაჩაბელი. წინა საღამოს კარგ გუნებაზე იყო. ხუმრობდა, იცინოდა. დიდხანს ეთამაშებოდა ნარდს ქუთაისიდან სტუმრად ჩამოსულ მეგობარს. მერე ერთბაშად დაღლა იგრძნო, სტუმართან ბოდიში მოიხადა



დედამთილის ღიზიანით არის შერჩეული და გაკეთებული.

— შეიძლება, სწორედ ამან და სხვა გემოვნებით შერჩეულმა სამკაულებმა განაპირობა ის, რომ ბევრი ადამიანი თბილისში, ყველაზე ელიტარულ პატარძლად გასახელებს?

— არ ვიცი, ვინ და როდის დააწესა ასეთი „ტიტული“. მე, პირადად, არც გამიგია. სამკაულები კი, მართლაც ძალიან მიყვარს. თანაც, დიდი რაოდენობით. როგორც ამბობენ, მე წინა ცხოვრებაში „ციფანკა“ ვიყავი. ალბათ მათი სიყვარულიც, წინა ცხოვრებიდან მომყვება. ბიჟუტერიას საერთოდ არ ვატარებ – არანაირ სიამოვნებას არ მანიჭებს. პირიქით, დისკომფორტს მიქმნის. ჩემი გატაცება, კეთილშობილი ლითონები და ასევე კეთილშობილი ქვებია.

— დათო სად მუშაობს?

— გაზის საერთაშორისო კორპორაციაში.

— საინტერესოა, როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— ჩვენი მშობლები ექიმები არიან და ერთ კლინიკაში მუშაობენ. ჯერ მშობლები დაახლოვდნენ, მერე კი შვილებს გაგვაცნეს ერთმანეთი. ეს მოხდა რესტორანში, ერთ-ერთი წვეულების დროს. მეორედ დათო ბზობის დღესასწაულზე ვნახე. მესამედ კი, თვითონ დამირეკა და შეხვედრაზე შევეთანხმდით. როდესაც ვიგრძენი, რომ დათოს მოვწონდი, რატომღაც პროტესტის გრძნობა

ბა გამიჩნდა. თუმცა, ჩვენი შეხვედრები მაინც ინტენსიურად გრძელდებოდა. ბოლოს კი, როცა შემეკითხა – ჩემნაირ ბიჭს ცოლად გაჰყვები თუ არაო, – მეც არ ვიცი, როგორ დავეთანხმე. ჩემი პასუხი ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. დათომ მითხრა: აბა, თუ ასეა საქმე, რაღასღა დაველოდო? – ერთ თვეში ჩემი ცოლი გახდებოდა. ეს სიტყვები ისე მითხრა, რომ მივხვდი, ნამდვილად ისე იქნებოდა, როგორც თქვა და... ტირილი დავიწყე. ჩვენი პაემნები ხუთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. დათო მეუბნებოდა: თუ მამაშენი შენს თავს ნებით არ გამატანს, მოგიტაცებო. თუმცა, მოტაცება საჭირო აღარ გახდა.

— ნინო, შენ 16 წლის გათხოვდი, მაინც რა თვისებებს მიაქციე ყურადღება, რით მოგნიბლა დათომ?

— მესამე თუ მეოთხე შეხვედრის დროს დავაფიქსირე, რომ ის იყო ადამიანი, რომელსაც ყველაფერი უხდებოდა და ყველაფერი ეხერხებოდა. ძალიან კარგად უკრავდა, მღეროდა, ჰქონდა შესანიშნავი იუმორის გრძობა, იცოდა, რა ეთქვა, როგორ ეთქვა. ძალიან კარგად მართავდა მანქანას... ბოლოს კი, აღმოვჩნდი საბილიარდოში და როდესაც დათომ იქაც პროფესიონალის დონეზე ითამაშა, გავიფიქრე: ნუთუ არის რაიმე, რაც დათუნამ არ იცის-მეთქი? აი, ამ ყველაფერმა ერთობლიობაში მომხიბლა.

— დათოს თუ უთქვამს, რა მოსწონს შენში ყველაზე მეტად?

— კონკრეტულად რა მოსწონს, ვერ გეტყვით. ზოგადად კი მეუბნება: შემიპირდი, რომ არასოდეს შეიცვლები, მითხარი,



რომ სულ ასეთი იქნებიო.

— **პარიზელი ქალბატონების შარშზე ბევრი რამ თქმულა და დანერვილა. დათოსაც ხომ არ გაექცა მათკენ თვალი?**

— შეიძლება, არ ღამიჯეროთ, მაგრამ პარიზში ლამაზი ქალი ვერ ვნახეთ. ქუჩაში ძირითადად არაბები დადიან. ახალგაზრდობას უგემოვნოდ აცვია — დახეული ჯინსი და ჭუჭყიანი მაისურები. შემიძლია ვთქვა, რომ თანამედროვე პარიზის გემოვნება, ჩვენს სტანდარტებში ვერ ჯდება.

— **შენ როგორი სტილის ტანსაცმელში გრძნობ თავს კარგად?**

— გააჩნია განწყობას. შემიძლია ჩავიცვა ფანტასტიკური ფენსაცმელი, უპირფასეო კაბა, გავიკეთო ვარცხნილობა და თავი ძალიან კარგად ვიგრძნო. ისიც შემიძლია, ჩავიცვა ძველი ბოტასები, ისეთი სპორტული შარვალი, ძალიან რომ არ მიხდება, უაზროდ შევიკრა თმა, გავიდე ქუჩაში და მაშინაც თავი შესანიშნავად ვიგრძნო. ჩემი სტილი ცვალებადია. ერთფეროვნება, ოთახის ინტერიერიდან დაწყებული, ყველაფერში მალე მბეზრდება. ერთფეროვნება არის ის, რამაც შეიძლება ჭკუიდან გადამიყვანოს. ალბათ, ამიტომ ვცდილობ, ყოველ დღით შევცვალო ჩემი ცხოვრების წესი. თუმცა, ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, მკვეთრ ცვლილებებს ვერ ვახორციელებ და მცირედით ვკმაყოფილდები. მაგალითად, ერთ დღეს ჯერ ვსაუზნობ, მერე კბილებს ვიხეზავ, მერე შხაპს ვიღებ. მორე დღეს კი, ჯერ შხაპს ვიღებ, მერე კბილებს ვიხეზავ და მერე ვსაუზნობ...

— **როგორი დიასახლისი ხარ?**

— ამ ნიჭით დიდად არ გამოვიჩინე. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მსიამოვნებს სადილის მომზადება და როგორც ამბობენ, ეს საქმე კარგადაც გამოძის. ყოველთვის ვცდილობ, რაღაც განსხვავებული გავაკეთო — მაგალითად, ორიგინალური რეცეპტით მოვამზადო ღვინოში ჩაღებულ ქათმის კერძი.

— **მე მგონი, შენ პოპულარობა „მის საქართველოს“ კონკურსს უფრო უკავშირდება, რომელიც სკანდალით დამთავრდა. მახსოვს, ნატაშა ჩხიკვაძემ, მრავალ მხარდამჭერთან ერთად, ბევრი იბრძოლა იმისათვის, რომ ეს ტიტული შენ მიგედო, მაგრამ ფიურში მაინც არ შეცვალა თავისი გადამწყვეტილება.**

— არ მინდა ამ ამბის გახსენება,



თუნდაც იმიტომ, რომ ის, ვინც მაშინ „მის საქართველოს“ ტიტული მიიღო, მოგვიანებით ჩემი მეჯვარე გახდა. ეს არის ჯგუფ „სეთის“ მომღერალი ნათია ნებიერიძე. მე ძალიან კარგად ვიხსენებ კონკურსისთვის მზადების დღეებს. მაშინ ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე. ასე რომ, ყოურის მაშინდელი გადაწყვეტილების გამო, დღეს გულისტკივილს ნამდვილად არ ვგრძნობ.

— **ალბათ უკვე იცი, ბიჭი გეყოლება თუ გოგო?**

— ვიცი, რომ გოგონა მეყოლება. თავიდან ძალიან მინდოდა ბიჭი, მაგრამ მერე, კარგად რომ დავფიქრდი, მივხვდი, რამდენად სჯობს ბიჭს გოგო. რატომღაც ჩემს სანათესავოშიც და დათოს სანათესავოშიც სულ ბიჭები იბადებიან: დათოს ორი ძმა ჰყავს, მე — ერთი. ჩემი ბიძამ-ვიდეებიც სულ ბიჭები არიან. შვილის სახელი ჯერჯერობით ვერ შევარჩიეთ. ეს საკითხი დათოსთვის მაქვს მინდობილი, მან კი შესაფერისი ვერაფერი მოიფიქრა. ამიტომ ვეუბნები: 30 შვილი რომ გინდა, ხომ ხედავ, ერთისთვისაც ვერ მოგიფიქრებია სახელი-მეთქი.

— **მართლა 30 შვილის ცოლას ხომ არ აპირებთ?**

— არა. მე სამი შვილი მინდა და მგონი, დათოსაც ამ რიცხვზე დავიყოლიებ.

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკოდან:

და თავის ოთახში შევიდა დასაძინებლად. P.S. ამის შემდეგ იგი აღარავის უნახავს.

12. ციურიზელი ვნობები — ასე ეძახიან დაცინვით ბანკირებს მთელ მსოფლიოში.

13. სიმღერა „ორი ჯუჯას“ მელოდია ვახტანგ ტატიშვილს მობილურ ტელეფონზე ზარის ხმად აქვს დაყენებული.

14. ავადმყოფების მკურნალობისთვის დიეტა და მასაჟი პირველად ასკლეპიადე სამოსელმა ჩვენს წელთ აღრიცხვამდე I საუკუნეში გამოიყენა.

15. პირველ ბეჭდურ წიგნად კონფუციუსის თხზულებები ითვლება. იგი ჩინეთში 175 წელს ქვის ფირფიტების საშუალებით დაბეჭდეს.

16. ტერმინი „აღლორითი“ არაბი მათემატიკოსის აბუ-აბდულ მუჰამედ ბენ მუსა ალ-მაჯუს ალ ხვარაზმის სახელისგან წარმოდგება.

17. ინდური მედიცინის ფუძემდებელს სუშრუტა ერქვა. იგი ჩვენს წელთ აღრიცხვამდე IV საუკუნეში მოღვაწეობდა.

18. მანქანის შუშის პირველი ელექტროსაწმენდი 1925 წელს შეიქმნა.

19. ურქო ძროხას, ცხვარსა და თხას დოლას ეძახიან, რქებდაგრეხილ მსხვილფეხა საქონელს — ლაბას.

20. დოლმატინური ჯიშის ძაღლებმა იმით გაითქვეს სახელი, რომ დამაშვილებელ ეფექტს ახდენდნენ ცხენებზე. ამის გამო ვეროპელ მონარქებს ყველგან თან დაჰყავდათ ისინი.

21. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის არჩევნებზე, კენჭის ყრის დროს, 100 მოჭიდავიდან 63-მა ლეგან თედიამშვილის კანდიდატურა „ჩააგლო“.

22. კომუნისტების მიერ მწერალთა კავშირის შექმნის მიზანი ოტია იოსელიანმა ერთ-ერთ ინტერვიუში ძალზე მოკლედ და ნათლად ჩამოაყალიბა: „დაყავი და იბატონე“ — რომაელთა ამ ღვივს კომუნისტები ყველა სფეროში დიდი წარმატებით იყენებდნენ, მაგრამ რაც შეეხება მწერლობას და მწერალთა კავშირს, ასეთი პოლიტიკა მათ აქ არ გამოადგებოდათ: მწერალი ცალკე სამყაროა. მწერლები რომ დაყო და დაფანტო, არ გინდა მერე მათი მწყემსვა?! სწორედ ამისთვის შეიქმნა მწერალთა კავშირი. მწერლები ერთ ორგანიზაციაში გაერთიანეს, ერთი თავმჯდომარე დაუნიშნეს და მათზე კონტროლიც გაადვილდა“.

ლელა ჭანკოტაძე

გაზუბა ონაზვილსა და მის მშვენიერ ირინას სწორედ იმ დროს ვესტუმრეთ, როცა შუქი არ იყო... ამიტომ ჩვენი საუბარი საოცრად რომანტიკულ გარემოში შედგა. ირინამ თავისი სიმღერებითა და სტუმართმოყვარეობით მოგვხიბლა, მამუკამ – თუმორით. ირა კარგად მღერის. მომღერალი რომ იყოს, ფონოგრამების აკრძალვა ნამდვილად არ შეაშინებდა. ის საკუთარი სტუდიის გახსნაზე ოცნებობს. წელს ვერ მოვახერხებ, მომავალი წლისთვის კი აუცილებლად ავისრულებ წადიღსო, – გამომხილა და დასძინა: ბავშვებს სიმღერაში უკვე ვამტყვადინებო...

ირინა მამუკას მარჯვენა ხელია. მართლა კარგი ცოლი ჰყავსო, – ამბობენ მამუკაზე. ირინა საგულდაგულად აგროვებს ყველაფერს, რასაც მამუკა დიდი სიყვარულის ნიშნად უძღვნი. ერთხელ მამუკას მეგობარს ახალმოცვანილი ცოლისთვის უამრავი ოქროს სამკაული უყიდა... სამკაულების არჩევაში ირინაც მონაწილეობდა. მამუკას მისთვის ძალიან პატარა ოქროს სამაჯური უჩუქება – აქოდა, გული არ დაგწვდესო. ოქროს სამაჯური იძენდა წვრილი ყოფილა, გაწვევტილა და ირას ვერც უგრძნია, სად დავარდნია. დღემდე განიცდის მის დაკარგვას, რადგან ის ყველაზე საყვარელი ნივთი აღმოჩნდა იმ საჩუქრებს შორის, რომელიც ირას მეუღლისგან მიუღია.

მამუკა ონაზვილი მსმენელთა წინაშე ორი ახალი კლიპით წარდგა. ძნელი სათქმელია, იქცევა თუ არა ეს სიმღერები ჰიტებად, მთავარია, რომ მამუკა გულით მღერის.

მამუკა, რით არის გამოწვეული შენი აქტიურობა და ამოძრავება?

– მე ყოველთვის მოძრავი ვიყავი. ერთ ადგილას ვერ მაჩერებდნენ. რაც შეეხება კლიპებს, ჩაფიქრებული მქონდა, რომ ახალ წლამდე მომესწრო მათი გადაღება. როგორც ყოველთვის, ჯერ იბადება ლექსი, შემდეგ სიმღერა, ბოლოს კი, კეთდება კლიპი. ასე შეიქმნა ჩემი ორი ახალი კლიპი: „გელოდეები“ და „გოგოვ, მე შენ მენატრები“. პირველის ტექსტის ავტორისაა ნინო მიქაძე, მეორის – გაა დილეგაშვილი და რევაზ ჩირიკაშვილი. სიმღერები ეკუთვნის გონა ლომთაძეს. ჩაწერა მოხდა სტუდია „ორფეიში“, კლიპები კი სტუდია „მესტროს“ რეჟისორებმა გადაიღეს. გადაღებულია მესამე კლიპიც, რომელიც ახალ წელს გავა ეთერში. თქვენ მას ნახათ „საუკუნის ნოსტალგია 2“-ში. ეს არის უცხოური სიმღერა, რომელსაც ქართული ენაზე ვიმღერებ.



გაზუბა ონაზვილს კოვანდაბის სათმა

ცოდი მოაყვანილა

– მიუხედავად იმისა, რომ აქამდეც მღეროდით, ასეთი ენერგიულობითა და აქტიურობით ადრე ვერ დაიკვევნიდით...

– ძალიან კარგი. სხვათა შორის, საიდუმლოდ გეტყვით, „ეპალომანიაში“ წარმადგინა ნომინაციაზე „ყველაზე ენერგიული მომღერალი“. ჩემთვის ეს ძალიან სასიხარულოა. თუ მუშაობ, რაღაც აუცილებლად გამოივია. მე პირადად ყოველთვის ვცდილობ, რაღაც სიახლე შევთავაზო მსმენელს. მივედი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ აუცილებელია, სიმღერასთან ერთად კლიპიც გაკეთდეს. აქამდე ვფიქრობდი, რომ ჩამეწერა სიმღერები და ალბომი გამოემშვა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თვალი მაინც თავისას იქმს, და ხალხს მოსწონს სიმღერა, რომელიც კლიპთან ერთად არის.

ფონოგრამების აკრძალვა ალბათ, არ გაშინებთ?

– არ მაშინებს, ნამდვილად არ მაშინებს. დარჩება ის, ვისაც შეუძლია სიმღერა. ვისაც არ შეუძლია, მსმენელი ამას მიხვდება. მე არ მინახავს უნიჭო ქართველი, ყველა ქართველი მღერის.

– მაგრამ არის კატეგორია, რომელმაც სცენაზე უნდა იმღეროს და არის მეორე კატეგორია ადამიანებისა, რომელიც სუფრასთან სიმღერით უნდა შემოიფარგლოს.

– ამაში გეთანხმებით. ჩემი ბრალი არ არის, რომ ბევრს მოვწონვარ, ბევრს კი არ მოვწონვარ. ზოგი შეიძლება, იმასაც ფიქრობს – ამას სცენაზე რა უნდაო?! მაგრამ მთავარია, რომ მე ვგრძნობ ხალხის სიყვარულს და პატივისცემას. დღემდე მოვედი ჩემი მსმენელის წყალობით. ძალით არაფერი გამოიკეთება. ყველაზე დიდი შემფასებელი და გზის გამკვალავი ხალხია, ამიტომაც ვამბობ: იქნება ფონოგრამა? – იყოს. არ იქნება ფონოგრამა? – ნუ იქნება. მაგრამ სჯობს, ორივე იყოს... ფონოგრამის აკრძალვა მე მგონი, არ არის სწორი, თუმცა, ცოცხლად სიმღერის არ მქონია. ხშირად მიწევს „ბლუსზე“ მუშაობა: ზოგჯერ გაცივებული ვარ, ზოგჯერ ვიდეოჩაწერა ტელევიზიისთვის... ისე, ფონოგრამების აკრძალვაზე ამდენ მსჯელობას სჯობს იმაზე იფიქრონ, როგორ მოვეცენ ღენი, გაზი და წყალი.


– მამუკა, შეგცვალოთ საუბრის თემა. დაფიფინჯოთ ფონოგრამა და გაფისხნოთ... დიეტა. როგორ მოახერხებ ამხელა წონის დაკლებას?

– ძალიან ბევრი ჩიჩინის მერე გადავწყვიტე, ღამეკლო. ეს ჩემთვისაც კარგი იქნებოდა და ჩემი ჯანმრთელობისთვისაც. თანაც, ყოველთვის მსუქანი კი არ ვიყავი. უბრალოდ, ყოველდღიური ბანკეტებისა და ქეიფების გამო, მოხდა ისე, რომ კატასტროფულად მოვიმატე წონაში, ახლა კი, როგორც ხედავთ, კატასტროფულადვე დავიკელი. ეს არის ძალიან დიდი დამსახურება ქალბატონ ელენე გიორგაძის – ის ენდოკრინოლოგი გახლავთ, მან დამინიშნა ისეთი დიეტა, რომელმაც ფორმაში ჩამაყენა.

ცნობილი ფაქტია, რომ თხუთმეტ ლიტრ ლვინოს სვამდით. როგორ შევლით ქეიფს, თამადაობას?

– მართლა ძალიან ბევრს ვსვამდი. ყოფილა შემთხვევა, რომ მე და ჩემს მეგობრებს – სამი კაცს, 13-14 ბოთლი არაყი დაგვიღვია და მაინც კარგად ვყოფილვართ. ამას ვუძახდი ჩვენ ქეიფს... არასოდეს მიფარდა სასმელის არევა, რადგან მერე ცუდი „პანძელია“ ვიცავდი. ყველანაირი დასაღვევი ამოვაგდე ჩემი რაციონიდან. ცხრა თვეა, რაც წვეთი არ დამიღვია, იშვიათად ვსინჯავ ხოლმე წითელ ღვინოს, რომელიც ძალიან მიყვარს. მირეკავენ ჩემი მეგობრები, ახლობლები: მოდი, გელოდებითო, მაგრამ ყველას ვუხედი დიდ ბოდიშს.

– ახალ წელსაც არ დაარღვევთ



დიეტას?

— მე მგონი, ქალბატონი ელენე დამრთავს ნებას, ოდნავ დავარღვიო დიეტა, მაგრამ დასა-
ლევს არ გავეკარები, რადგან არ მინდა. გადა-
ვწყვიტე, ფორმაში ჩავლევ.

— **ზედმეტი წონა შემანუხებელი აღმოჩნდა თუ უბრალოდ, იმიტომ გადნევიტეთ დაკლება, რომ სტილი შეიცვალოთ?**

— ბოლოს წონამ შემაწუსა. წარმოიდგინეთ, უცხად რომ აიტაცო ოცდათრამეტი კგ სორ-
ცი და ხელში დაიჭირო. ვერ შეძლებ. მერე ისიც წარმოიდგინეთ, ეს მასა რომ მოიშორო და გადავადლო. უცხად ვიგრძენი, რომ დაფ-
ფრინავ. მეგობრები მეხუმრებიან: მამუკა „სკვანზონიში“ არ დადევ — ქარმა არ წაგი-
ლოსო. ჩაფიქრებული მაქვს რომ 90 კგ-მდე უნდა ჩამოვიდე.

— **რა ბედი ეწევა მამუკა ონაშ-
ვილს, როგორც კოლორიტს?**

— რა ვქნა, ყველა ჩემი თავყანისმცემელი, ძალიან მიყვარს, მაგრამ ზედმეტი წონა უნდა მოვიცილო. ჩათვალონ, რომ მამუკა ხელახ-
ლა დაიბადა. მე ნამდვილად ახალი იმიჯით წარვვლები მათ წინაშე.

— **ე.ი. თავყანისმცემლებს სიურპრი-
ზებს უმზადებთ?**

— მთელი ჩემი ცხოვრება სიურპრიზებითაა
სავსე. ქუჩაში მეგობარს რომ ვხვდები, ესეც ჩემთვის უკვე სიურპრიზია. რაც შეეხება
ჩემს შემოქმედებას — ანჯერის ბოლოს ან
თებერვლის დასაწყისში გამოვა ჩემი ახალი
ალბომი, რომელშიც შევა თერთმეტი ან
თორმეტი სიმღერა. შემდეგ კიდევ ორ კლიპს
გადავიღებ.

— **გამოდის, რომ ტემპის დაგდებას
არ აპირებთ?**

— არა. ტემპს დავადგებ თუ არა, ჩათვლი,
რომ აღარც ვარსებობ.

— **მამუკა, ვინ გაფინანსებთ? ამ-
დენი კლიპის გადაღებას ხომ ფული
სჭირდება?**

— პირველი კლიპი — „გელოდები“ მე
თვითონ დავაფინანსე, ხოლო მეორე — „გოგოვ,
მე შენ მენატრები“ ალკოპოლური სასმელების
კომპანიამ დააფინანსა.

— **თქვენ საოცარი
რეკლამა გაუკეთეთ
არაყს. ფაქტობრივად,
დაუფინყარი აღმოჩნდა...**

— ძალიან კარგი იყო გა-
დაღების პერიოდი. მოგეხ-
სენებათ ზორო — იგივე
ზაურა, როგორი პატარა
ჩემთან შედარებით. იყო ასე-
თი სცენა: ვიდექი დახლოთან,
ზაურა ჩამომვდარია გვერ-
დით, პატარა ბოთლი
უჭირავს ხელში, სუგზარას
(კვაშალი) თავი კი ჩვენ
შორის ჩანს. უნდა მომეკი-
და ზაურასთვის ხელი, ამქნა,
დამესვა ბარის „სტოიკა-
ზე“ და მთქვა: „ტროუმფი
— ტროუმფის გარეშე წარ-
მოუდგენელია!“. ავწვევდი

ზაურას, მეტყოდნენ — გაიმორიო... დავითვალე
და გამოვიდა თორმეტი ღუბლი! მართალია,
ზაურა პატარაა, მაგრამ თორმეტჯერ რომ
აწვიე, თანდათან დამძიმდა. ისეთი კუნთები
ცხოვრებაში არა მქონია. პარადოქსი ის იყო,
რეკლამა ტელევიზიით რომ გავიდა, ეს კადრი
ამოჭრილი იყო...

— **მამუკა, როგორ ფიქრობთ, რა-
ტომ შეგექმნათ მხიარული, ხალისიანი
და კუროზებით აღსავსე ადამიანის
იმიჯი?**

— მე არასოდეს მიზრუნია ასეთ იმიჯზე.
უბრალოდ, ბავშვობიდან მომდევს იუმორი.
ყოველთვის ვცდილობ სადაც ვარ, იქ ყველა
კარგ გუნებაზე იყოს. არ შემიძლია, თუ ვინმე
დაბღვერილი ზის, კარგ ხასიათზე რომ არ
დავაყენო. მე და იუმორი განუყრელები ვართ.

— **მომღერლებიდან ვინ იღებს თქვენს
იუმორს ყველაზე უკეთ? ვის აქვს
კარგი იუმორი?**

— ალბათ, ყველას თავისებური იუმორი
აქვს.

— **მაგრამ ალბათ, ყველას არ
შეუძლია ზურა დონჯაშვილივით თქვენ-
თან ერთად გასაშლელ ტასტზე წოლა
და მერე უნებურად ტასტის იმ ნან-
ილის ჩამტვრევა, სა-
დაც თვითონ წევს?**

— მე და ზურა საოცრად
შენმატკბილებული ღუე-
ტი ვართ იუმორში.

— **ძალიან გულწრ-
ფელად რომ მითხრათ,
სტრიპტიზბარში თუ
დადინართ? მოცეკვავე
გოგონებმა თქვენს —
ზოგიერთმა მომღერალ-
მა სულ ხელში გვ
ამზრიალათ. შემთხვევით
თქვენზე და ზურაზე
ხომ არ ამზობენ ამას?**

— არ ვინდათ, რა, სტრიპ-

ტიზი როგორ იცეკვა ზურამ, არ მომყო-
ლოთ. სტრიპტიზბარში ერთად არ ვყო-
ფილვართ, მაგრამ შეიძლება, მთვრალეები, ვყო-
ფილვართ კიდევ. გულწრფელად რომ
გითხრათ, ზუსტად ვერ ვიხსენებ, ვყოფილვა-
რთ თუ არა. რომ მასსოვდეს გეტყვოდით,
რადგან ზურასთვის შეპირებული ვარ —
მაგარი „მტუკა“ უნდა გაგიკეთო-მეთქი...

— **მითხარით, სად იცეკვა სტრიპ-
ტიზი და „მტუკაც“ გაკეთებული იქნება...**

— სხვა რამეს გეტყვით. მე და ზურა
ვიყავით ანტალაში ჩვენს მეგობრებთან ერ-
თად. წაგიყვანა მამუკა ჩაველიშვილმა. მოხდა
ასეთი რამ: მე და ზურა შევედით საუნაში,
გავიხადეთ, გავმომვლით. უცხად გაიღო კარი
და შემოვიდა ორი გერმანელი ქალბატონი.
შიშვლები იყვნენ. შემოგხედეს და გვითხრეს
— „ჰელოუ“ აბა, ზურა, ჩქარა-მეთქი, —
დავიყვირე და ორივენი გადავხტით წყალში.
ორი საათი აღარ ამოვსულვართ წყლიდან...

— **დავიჯერო, ქართველმა კაცებმა
ასეთი ცუდი შთაბეჭდილება დატოვეთ
გერმანელ ქალებზე?**

— არა. როგორ გეკადრებათ! თავი ნამდ-
ვილად არ შეგვირცხვენია: ორი საათის შემ-
დეგ ამოვიდით წყლიდან და გავვრილდით...

— **„აკულას“ ამბავი იქნებ ღირდეს,
რომ გაიხსენოთ?**

— ვიყავით ზღვის ყურეში, სადაც შედიან
ნაგები. სადაც შორს გაბშული იყო უზარმაზ-
არი ბაღე და იმის იქით გასვლა არ შეიძლე-
ბოდა. ზურას მაინცდამაინც ის ადგილი
მოეწონა. მდილიდა და იქ ბანაობდა. გავაჩერე
ვიღაც თურქი და ვკითხე, თუ რატომ იყო
ბაღე გაკრული. ხელები გაშალა: Проблем,
проблем... акула, акула...

გავიქეცი ბადისკენ და დავუძახე ზურას:
ცი, ეს რა ბაღეა? — ამის იქით არ შეიძლება
ბანაობა-მეთქი... — „გვეიცები, ახლა მითხრეს,
ძალიან ბევრი „აკულა“ შემოდის და ამი-
ტომ არის გადაკეტილი ეგ ადგილი!“ —
დავუყვირე, თან მეტი დამაჯერებლობა რომ



მიმეცა სიტყვებისთვის, პირველად გადავიწერე. გაიგონა თუ არა „აპკლუა“, მიმიქარავს სინიორ რობინზონი, ისე გამოვარდა. პლაჟზე რომ „გაიწვილა“ ცურვა-ცურვით, გასცდა კაფე-ბარს. ბარის იქით ოც მეტრში ვიპოვე... მე და ზურა სულ სამაგიეროს ვუხდით ერთმანეთს...

მაშუკას და ირინას საოცრად მყუდრო ბინა აქვთ. მათ სახლში თურმე ისეთი ატმოსფეროა, ყველას უყვარს მისვლა და დასვენება. ოჯახში ყოველთვის სტუმრების სიუხვეა. ამ სახლიდან ყველას, საჩუქრად კარგი განწყობა მიჰყვება.

მაშუკამ და ირინამ ერთმანეთი ბაზალეთზე გაიცნეს: სწავლით გადაღლილი ირინა იქ ისვენებდა. ერთ დღეს ღებმა მაკათხეს და უთხრეს: სასწრაფოდ უნდა წამოხვიდე, გამოვდა გაქვს დანიშნული. ღებმა გააცნეს მაშუკას. უთხრეს: ტაქსის მძღოლიაო... ირინას მამინამაშა მაშუკა ტაქსის მძღოლის ფონზე ზღმეტად მსუქანი მოეჩვენა. შემდეგ დაიწყო შეხვედრები. ირინას თავიანთი მშობლებისგან ყველაზე გამოირჩეული მაშუკა აღმოჩნდა – როგორც თავისი სასაიათით, ასევე თუმორით, წონითაც. ირინას გულმა მისკენ გაუწვია. მაშუკას მისთვის წინადადება არ მიუცია, ოფიციალურად არც ხელი უთხოვია... უსიტყვილად გაუგეს ერთმანეთს და ისე გადაწყვიტეს, ცხოვრება ერთმანეთისთვის დაეკავშირებინათ, ხმამაღლა არაფერი უთქვამთ. თბილისში კომუნდანტის საათი იყო, მაშუკამ ირინა დიდ დიღობში, თავისი მშობლების სახლში წაიყვანა. გაიშალა სუფრა, გაჩაღდა ქეიფი და დროც შეუძნელოდ გაიპარა. კომუნდანტის საათის გამო, ირინა ვეღარ წამოვიდა. დარჩა. ასე შეიქმნა მაშუკასა და ირინას ოჯახი, მას შემდეგ რვა წელი გავიდა.

— ირინა, მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ერთად ცხოვრობთ, მაშუკამ შეძლო ყველა სირთულის იუმორში გატარება თუ მიიმე დღეებიც გქონდათ?

— არის შემთხვევები, როცა მე ვენმარები მაშუკას რაიმე პრობლემის გადაჭრისთვის, უფრო სწორად – პირიქით ხდება. ერთმანეთს ვავსებთ

და ვამხნეებთ. მოგესხენებათ, რამდენი პრობლემა ჩვენ ირგვლივ. შუქი რომ ჩაქრება, მაშინვე გვიპყრობს ცული განწყობა, ბევრი რამის გაძლევა გვიწევს ამ საერთო გაჭირვების გამო.

— ირინა, თქვენ არ მუშაობთ, რითი ხართ დაკავებული?

— ძირითადად მოსწავლეებს ვამეცადინებ. მათ მუსიკას ვასწავლი, სიმღერებსაც. მუსიკალური განათლებაც მაქვს მიღებული.

— მამუკას სიმღერებს თუ ავსებსთ ობიექტურად?

— ძალიან მკაცრი შემფასებელი ვარ, სულ უწინმშელო ნაკლიც არ გამომეპარება. ვუბნები მაშუკას დაუფარავად, რაც არ მომწონს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ჩემს შენიშვნებს არ ითვალისწინებს.

— რამდენი წელია, რაც ცალკე ცხოვრობთ?

— დაქორწინების დღიდან მარტონი ვართ. ამიტომ, ცხადია, აქ მოსვლა ყველას უყვარს: როცა სახლში უფროსები არიან, უფრო მორიდებულია მდიან მეგობრები. შემიძლია ვთქვა, რომ სულ სტუმრიანობა გვაქვს ოჯახში. ჩემი დაქვლები ჯერ კითხულობენ: მაშუკა სახლში თუ არისო და მერე მდიან, რადგან მაშუკა საოცრად კარგ სიტუაციას ქნის. მაშუკას ძალიან უყვარს მეგობრები. უამრავ ადამიანთან მეგობრობს, მაგრამ შემიძლია გულწრფელად ვითხრა, რომ ძალიან ახლობელი მეგობარი სულ ორი ან სამი ჰყავს.

— ირინა, მამუკა დიეტაზეა. ამას თქვენს დამსახურებად თვლით. თქვენ სტუმრიანი ოჯახი გაქვთ, მამუკასთვის ხელშეწყობას როგორღა ახერხებთ?

— ვცდილობ არაფერი გავაკეთო: ხედავთ, მე როგორი მინიატურული ვარ და, ცხადია, დიეტა არ მჭირდება ან, თუ მჭირდება – მხოლოდ ორ-სამდღიანი. მაშუკას კი, თავიდან უმეცარესი ორგანიზმი დიეტა ჰქონდა. დიეტოლოგმა გააფრთხილა: თუ ამ ორგანიზმი დიეტის დაცვას ვერ შეძლებ, აზრი არ ექნება გაგრძელებას და ჩავთვლი, რომ შენ ვერ დაიცავ იმ რეჟიმს, რომელსაც თვეების

განმავლობაში შევდივარ. მასსოვს, მთელი დღის განმავლობაში ორ ვაშლს, ერთ ბოთლ მაწონს ჭამდა და ვიტამინებს სვამდა. მეც მაშუკას ავუბი მხარი და ისე ვჭამდი, როგორც დიეტით იყო გათვალისწინებული. ორი კვირის შემდეგ, ექიმთან რომ მივედი, გოცლა – რა გჭირსო: სიგამხდრისგან ფეხზე ძლივს ვიდექი. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ მაცივრის კარს თუ გამოაღებდა, შიგ საკვები არ დახვდებოდა. ახლა, როცა სტუმრები გვაყავს, მიღვივარ აქვე სახლთან ახლოს, სუპერმარკეტში და ვყიდულობთ გამზადებულს.

— ირინა, თქვენს სახლში უამრავი თოჯინა და სათამაშოა. ვინ ყიდულობს?

— მე ძალიან მიყვარს, მაგრამ რასაც ხედავთ, ყველა მაშუკას ნაყიდაა – იყიდის და მაწუქებს. უყვარს ყვეფილების ჩუქება, განსაკუთრებით – ვარდების. კოლმეურნეობის მოედანზე ისე არ გაივლის, თავიგული რომ არ იყიდოს და არ მომიტანოს. მე ყველანაირი ყვავილი მიყვარს, მაშუკა კი, ძირითადად, ვარდებს მწუქნის. თან წესად აქვს, თუ ვინმე ჰყავს გვერდით და ამ დროს ყვავილებს ყიდულობს, მასაც აუცილებლად აყიდვინებს და უტყვის: ახლავე წაუღე შენს ცოლსო... შეიძლება ასეთი ადამიანი არ გიყვარდეს?!

— ჩხუბი თუ უყვარს მამუკას. შენ გვერდით თუ უჩხუბია?

— რამდენჯერ უჩხუბია, ვინ მოთვლის?! იყო ერთი შემთხვევა, როცა ორი ბიჭი გალანა. მართლა გასალანები იყვნენ ორივენი. ერთს რომ სცემდა, მეორე გარბოდა, ამიტომ გაუშვა ხელი და გაქცევულს გაეკიდა და დათრია. მეც ისე ჩავერთვე ჩხუბში, რომ იმ ბიჭს, რომელიც დაეცა, რამდენჯერმე ვუთავაზე... როცა გამწარდება მაშუკა, ვეღარ დაამშვიდებ. კაცია, სხვანაირად როგორ უნდა მოიქცეს?!

— გასტროლოგზე თუ დაჰყვებით ხოლმე მამუკას?

— ძალიან იშვიათად. ადრე სწორად დაეყვებოდი, მაგრამ ერთხელ ასეთი რამ მოხდა: ბორჯომში ჰქონდათ კონცერტი. კონცერტის შემდეგ მოგვათავსეს სასტუმროში. ოთახში ფანჯრებს მინები არ ჰქონდა – არეულობის პერიოდი იყო. საშინლად ციოდა. ქარი უბერავდა. ერთი „აღილა“ ფანჯარაზე გავაკარით, მეორეში ჩვენ გავეხვიეთ. კინაღამ დავიყინეთ. მას შემდეგ აღარსად წავყოლივარ.

— ირინა, როგორია თქვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა?

— არ ვეჭვიროს, პირიქით, ითვლება, რომ კარგად ვცხოვრობთ. მაგრამ დღეს ისეთი გაჭირვება ირგვლივ, რომ თავს მშვიდად ვერ იგრძნობ. ყველას უნდა დაეხმაროს. უხერხულია, როცა შენ კარგად ცხოვრობ, შენს ახლობლებს კი უჭირთ. ჩვენ გვაქვს იმის საშუალება, გავფართოვდეთ. უკეთესად მოვეწყოთ, მაგრამ სახლის გვერდიღა...



„არ მესმოვს, რა გინდა, ვის როლზე... მიხვდი, რომ ხოლი მოვკალი“

გასაიდუმლოებული აკვლელის დეტალები

მეზი სანაპა

ინფორმაცია ამ შემზარავი ფაქტის შესახებ პირველად ათი წლის წინ გაფრცვლდა. 33 წლის ულამაზესი ქალბატონის, ორი მცირეწლოვანი შვილის დედის საშინელება მკვლელობამ მოსახლეობა უფრო მეტად მაშინ აღაშფოთა, როცა დადგინდა, რომ მკვლეელი მისივე მეუღლე იყო. გაფრცვლელი ინფორმაციით, ქმარმა ცოლს პისტოლეტადან შვიდი ტყვია დაახალა. იმ დროს მეუღლეები შინ მარტონი იყვნენ.

აღნიშნულ ტრაგედიაზე მოსახლეობა მეორედ, შარშან ზაფხულში ალაპარაკდა: რვა წლის მანძილზე მიმდევარაში მყოფ მკვლელს პოლიციის თანამშრომლებმა მიაგნეს და დააპატიმრეს. შემდეგ ახალი ინფორმაცია არსად გაუღრუბულა. რა მოხდა თბილისში, გამსახურდიას ქუჩაზე მცხოვრებ ყარანაშვილების ოჯახში იმ ავბედით დღეს, — ზუსტად არავინ იცოდა. მომხდარზე, როგორც გაირკვა, ოჯახის ნათესავებსაც კი ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დახურულ კარს მიღმა განიხილა. გამოძიების მასალებზე მხოლოდ ახლა — განაჩენის გამოტანის შემდეგ მიგვიწვდა ხელი...

გივი ყარანაშვილი და თინათინ მენაბდე 1980 წელს შეუღლდნენ. თინათინი (დაბადებული 1959 წელს) პროფესიით ექიმი გახლდათ და საავადმყოფოში მუშაობდა, გივი (დაბადებული 1955 წელს), ასევე უმაღლესი განათლების მქონე, დროებით უშუქეკარი იყო. მისი თქმით, ბოლო ხანს იგი ოფიციალურად არსად მსახურობდა. მათ ორი შვილი ჰყავდათ, ორივე ვაჟი — გიორგი და ლაშა. ცოლ-ქმარმა უმცროსი, დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ქ. ოზურგეთში, თინათინის შშობლებთან ჩაიყვანა, უფროსი კი დედ-მამასთან ერთად ცხოვრობდა. მეზობლებისა და მეგობრების თქმით, ცოლ-ქმარს კარგი ურთიერთობა ჰქონდა — მათ შორის სერიოზული კონფლიქტის შესახებ არასოდეს ვისმინიაო. თუმცა, სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებენ დაზარალებულები — დაღუპულის ნათესავები.

ლუზა ლომბაძე, თინათინ მენაბდის დედა:

„თინათინთან ჩემს სიძეს სისტემატ-

ურად უსაძოვნება ჰქონდა. იგი ჩვენთანაც ცულ დამოკიდებულებაში იყო. მუდამ ჩხუბობდა, ჩემს შვილს ხშირად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ცემის შედეგად, ერთხელ, თინათინმა ტვინის შერყევაც კი მიიღო. თუმცა, ყოველი ჩხუბის შემდეგ, სიძე ჩემგანაც და თავისი ცოლისგანაც პატიებასა და შერიგებას ითხოვდა, ამბობდა, რომ ასეთ საქციელს აღარ ჩაიდენდა. ჩემი ქალიშვილი ოჯახის შენარჩუნების მიზნით, ყველაფერს ითმენდა და ქმარს შეურაცხყოფის მიუხედავად, ურიგდებოდა. მან კი თინათინის შევიწროება არა და არ შეწყვიტა, გამუდმებით ეზუქრებოდა მას მოკვლით. 29 მაისს განზრახვა კიდევ აღასრულა. ვიცოდი, რომ პისტოლეტი ჰქონდა, მაგრამ თუ ასეთ საშინელებას ჩაიდენდა, ვერ წარმოვიდგენდი...“

ცოლ-ქმარის დაძაბულ ურთიერთობაზე თინათინის ერთ-ერთი მეგობარი და თანამშრომელიც ლაპარაკობენ. თანამშრომლის თქმით, თინათინის სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება არაერთხელ შეუნიშნავს, მაგრამ ცემის კვალი თუ იყო, არ იცოდა.

ნანა ასანუბაძე, თინათინ მენაბდის მეგობარი:

„თინიკო კარგი დედა და მეუღლე იყო. მეგობრებისთვის თავდადებული, კეთილშობილი და განათლებული ადამიანი გახლდათ. თავისი ოჯახის პრობლემების შესახებ საუბარს ყოველთვის თავს არიდებდა, თუმცა მისი განწყობიდან გამოძინარე, ვხვდებოდი, რომ წყნარი ცხოვრება არ ჰქონდა. თინიკოს ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ შევიტყვე, თურმე ქმართან და დედამილ-მამამილთან უსაძოვნება ჰქონია. ქმარს მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფაც მიუყენებია. 1992 წლის 29 მაისს, დაახლოებით 4-5 საათზე, თინიკოს ტელეფონით ველაპარაკე. ხმაში აფორიაქება, აჯუღუბა შეატყვე. რაღაცაზე ნერვიულობდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. დაახლოებით 8 საათისთვის ჩვენმა საერთო მეგობარმა — მაია მაჭავარიანმა დამირეკა და მთხოვა, თინიკოსთან სახლში მივსულიყავი. როცა მივედი, ბინასთან მოგროვილი ხალხი დამხვდა. მაშინ შევიტყვე, რაც მოხდა...“

სამართალდამცავთა თქმით, მკვლელო-



ბრალდებული გივი ყარანაშვილი

ბა დაახლოებით 17 საათსა და 30 წუთზე მოხდა. ტყვიები „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან იყო გასროლილი. გამოძიების განცხადებით, გივი ყარანაშვილი აღნიშნულ პისტოლეტს შინ სათანადო ნებართვის გარეშე ინახავდა და ატარებდა კიდევ. პროკურატურამ მას განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარების შესაბამისი მუხლები მიუყენა. ბრალის წარდგენის შემ-

დეგ, გივი ყარანაშვილი სამართალდამცავებმა დააკითხეს.

ბივი ყარანაშვილი (თბილისის №5 საავრობილე):

„... ბრალი მედება ჩემი მეუღლის განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება-შენახვაში. თავს ნაწილობრივ ვცნობ დამნაშავედ. დამნაშავე ვარ მხოლოდ იარაღის შენახვაში, იგი ჩემმა აწ გარდაცვლილმა სიმამრმა — ელეოუკა მენაბდემ, ჩვენთან თბილისში სტუმრად ყოფნისას, ბავშვის დაბადების დღის აღსანიშნავად მარუტა. მას მხოლოდ სახლში ვინახავდი, არ მიტარებია, არც ვინმესთვის მინახვებია და არც არავისთვის მითქვამს მის შესახებ. რაც შეეხება განზრახ მკვლელობას, ამ მხრივ თავს დამნაშავედ საერთოდ არ ვცნობ. მეუღლესთან ყოველთვის ნორმალური ურთიერთობა მქონდა. მშვიდად ვცხოვრობდით, ორივენი ვმუშაობდით და ოჯახს ვარჩენდით. არც ეჭვიანობას, ფიზიკურ შეურაცხყოფას ჩვენ შორის ადგილი არ ჰქონია. ჩვენი უმცროსი ვაჟი, სიღერისა და სიმძრის თხოვნით, ქ. ოზურგეთში, მათთან იზრდებოდა. ამის გამო მე და ჩემი მეუღლე, იქ ბავშვის სანახავად ხშირად ჩავდიოდით. თინათინი უფრო ხანგრძლივი პერიოდით რჩებოდა. არაერთხელ გამომიხატავს უკმაყოფილება ხანგრძლივი დროით მისი იქ დარჩენის გამო. 1992 წლის 29 მაისს, დღის მეორე ნახევარში, შინ მარტონი ვიყავით. ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ყურმილი ავიღე და გავიგონე, რომ ჩემი მეუღლე მეორე ტელეფონიდან ვიღაც მამაკაცს ესაუბრებოდა. „ნომ გითხარი, აქ არ დარეკო-შეთქი“, —

თქვა მან. უცნობმა უპასუხა: „ერთი შენი მეუღლის კარგიც“...-ო... გაოგნებულმა ვკითხე მას – ვინა ხარ-მეთქი? – და მეც შევაგინე. მერე ვუთხარი: თუ კარგი ბიჭი ხარ, მოდი და შეშვიდი-მეთქი. უცნობი მამაკაცი ვინებას განაგრძობდა, ბოლოს მითხრა: მე შენს მეუღლესთან დავდიოდი, ვივლი კიდევ და ფეხებსაც ვერ მომჭამო. ეს თქვა და ყურმილი დაკიდა. ამის შემდეგ თინათინი ჩემთან მოვიდა, ფეხებში ჩამივარდა და ხვეწნა დამიწყო: ძალიან ვთხოვ, საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდეთ, ის კაცი მოსვენებას არ მძღვეს... მე არ გამივია, თუ ვინ იყო ის უცნობი მამაკაცი და დღემდე არაფერი ვიცი მის შესახებ. ცოლს შევეკითხე – გქონდა თუ არა მასთან ინტიმური კავშირი-მეთქი? მან კი მამინვე ტირილი დაიწყო. ამან მის ღალატში დამარწმუნა. მერე რა მოხდა, არ მახსოვს... გონს რომ მოვედი, ქუჩაში ვიყავი და ხელში, ვაზნებისგან დაცლილი იარაღი მეჭირა. მამინვე ტელეფონთან მივედი და მეზობელთან – კახა უროლაძესთან დავრეკე. მასვე ველაპარაკე, ვუთხარი: ნახე, ჩემს სახლში რა ხდება, – ტელეფონზე დამირეკეს, ძალიან აველელი და მერე რა მოხდა, არ ვიცი, ხელში ვაზნებისგან დაცლილი იარაღი მიჭირავს-მეთქი... არ მახსოვს, ზუსტად რა მიპასუხა, მაგრამ მივხვდი, რომ თინათინი გარდაცვლილი იყო. იარაღი მამინვე მოვისროლე, საჩქაროდ მატარებლის ბილეთი ავიღე და ბაქოში წავიქედი, ცოტა ხნის შემდეგ, იქიდან მოსკოვში გადავიხვედი. დაკავების დღემდე ვიძლეობდი, რადგან არ ვიცოდი, შეიღების წინაშე თავი რით შემართლებინა“.

გივი ყარანაშვილმა გამოძიებას ერთ-მანეთისგან განსხვავებული რამდენიმე ჩვენება მისცა. ერთ-ერთში იგი წერს, რომ მასა და თინათინს შორის უთანხმოება იყო: ცოლი სამსახურიდან ხშირად გვიან ბრუნდებოდა, ყველაფერთან ერთად, გივი იმასაც ამჩნევდა, რომ თინათინი შინ ნასვამიც მოდიოდა. ამის გამო ქმარი მას საყვედურობდა, ეჩხუბებოდა, მაგრამ მისივე თქმით, ფიზიკური შეურაცხყოფა მისთვის არასოდეს მიუყენებია.

იარაღთან დაკავშირებით მიცემული მისი ჩვენებებიც განსხვავდება: ერთგან ის ამბობს, რომ იარაღი ბაქოსკენ მიმავალი მატარებლიდან გადააგდო, მეორეგან კი უჩვენებს – როგორც კი ბინიდან გამოვედი, იარაღი იქვე, ქუჩაში მოვისროლე. ჩვენებებში დაფიქსირებული ასეთი შეუ-

საბამოები ყარანაშვილმა იმით ახსნა, რომ მამინ სრულ ჭკუაზე არ იყო, თავს და საკუთარ ქმედებებს ვერ აკონტროლებდა და ამის გამო, როდის რა ჩაიდინა, ზუსტი თანმიმდევრობით, არ ახსოვს. სასამართლოში განსასჯელმა თავის ჩვენებებს ესეც დაამატა: „როცა ცოლს შევეკითხე – ვინ არის ეს მამაკაცი-მეთქი? – იგი ღალატში გამომიტყდა, ტირილა და თან მეუბნებოდა: ძალიან ვთხოვ, ის პიროვნება არ მოკლაო. თუმცა, მისი ვინაობა არ უთქვამს. მამინ ამაზე არც მე მიფიქრია, გონება გადაძირიალდა, შევედი საძინებელ ოთახში და იქიდან იარაღი გამოვიტანე. პისტოლეტს ლეიბის ქვეშ ვინახავდი... მხოლოდ პირველი გასროლის მომენტი მახსოვს ბუნდოვანად, ამის შემდეგ, რას ვაკეთებდი არ რამდენჯერ ვესროლე ტყვია ცოლს, ვერ ვაცნობიერებდი... ოდნავ გონს რომ მოვედი, დავინახე, რომ რამდენიმე ნაბიჯზე ეგლო დაცხრილული მეუღლე“.

გივი ყარანაშვილის თქმით, იგი ისე გამოვიდა ბინიდან, რომ ცოლის გარდაცვალებაში სავსებით დარწმუნებული არ იყო. დაზარალებულები მის ჩვენებებს არც წინასწარი გამოძიების დროს და არც სასამართლო პროცესის მსვლელობისას არ იზიარებდნენ. დაღუპულის დედა კატეგორიულად უარყოფდა მისი მეუღლის მიერ სიძისთვის, ბავშვის დაბადების დღის აღსანიშნავად, ცეცხლსასროლი იარაღის ჩუქების ფაქტს. მისი თქმით, არც მოწმედ დაკითხული, თინათინის მამამთილის – ელგუჯა ყარანაშვილისა და მახლის – პაატა ყარანაშვილის ის სიტყვები შეესაბამება სიმართლეს, თითქოს თინათინს ჰყავდა საყვარელი, ქ. ოზურგეთში მცხოვრები ვინმე ტარიელ ხავთასი, მეტსახელად ჭვარტ-

**მოკლე
თინათინ მენაბდე**



ლა. განსასჯელის მხარე ირწმუნებოდა, რომ სწორედ ჭვარტლა ურეკვდა ტელეფონით თინათინს. სასამართლოში ტარიელ ხავთასის დაკითხვის საკითხიც დადგა, თუმცა მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა და დაკავება ვერ მოხერხდა: განსასჯელის მხარის მიერ მითითებულ სავარაუდო მისამართზე ასეთი პიროვნება არ ცხოვრობდა. დაზარალებულების თქმით, გივი ყარანაშვილი საშინლად ეჭვიანი იყო და მსგავს ფაქტებსა და პიროვნებებს – თითქოსდა თინათინის საყვარლებს –


თვითონ იგონებდა, რაშიც მას მამა და ძმაც უბამდნენ მხარს.

გივი ყარანაშვილის ადვოკატმა სასამართლო სხდომაზე განსასჯელის ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა. დაზარალებულის მხარე ამას საჭიროდ არ მიიჩნევდა, რადგან მისი აზრით, ეს პროცესის გაჭინურებას გამოიწვევდა. თუმცა, მოსამართლემ განსასჯელის ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და საბოლოოდ, ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაც გაიხიარა. ექსპერტების განცხადებით, გივი ყარანაშვილი ადვილად აგზნებადი, ნერვიული ადამიანი იყო და ამდენად, დანაშაულის ჩადენის მომენტში, სავარაუდოდ, ავექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ამ არგუმენტების საფუძველზე, პოზიცია სახელმწიფო ბრალდებელმაც შეიცვალა და განსასჯელის დასჯა, წინასწარი გამოძიების მიერ მიყენებული – არა განზრახ მკვლელობის მუხლით, არამედ ავექტურ მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის მუხლით მოითხოვა. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ გივი ყარანაშვილმა საკუთარი მეუღლის მკვლელობა მართლაც უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩაიდინა, რაც შეეხება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება-შენახვას, მოსამართლემ განსასჯელს ეს მუხლიც მოუხსნა და ამის მოტივად ის დაასახელა, რომ დანაშაულის თავდაპირველი გამოძიებისას, ყარანაშვილისთვის ეს მუხლი არ მიუყენებიათ და ამდენად, კანონის შესაბამისად – ხანდაზმულობის გამო – აღნიშნული მუხლის ბრალდებულისთვის მიყენება არ შეიძლებოდა.

სასამართლომ გივი ყარანაშვილს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა. სასჯელი მან საერთო რეჟიმის სასჯელს დასრულებით დაწესებულებაში უნდა მოიხადოს.

როგორც შევიტყვეო, გივი ყარანაშვილისა და თინათინ მენაბდის შეილები ამჟამად ნათესავებთან ცხოვრობენ. უფროსი – გიორგი, მამის შშობლებთან გაიზარდა, უმცროსი კი – ლაშა, ბებასთან (თინათინ მენაბდის დედასთან) ერთად მოსკოვში ცხოვრობს. მისი თქმით, მამა მას ბუნდოვანად ახსოვს: „დედა ჩამოდიოდა ხშირად ოზურგეთში და ჩემთვის საჩუქრები ჩამოჰქონდა. მამა დღეს რომ შემხედვს, ვერც კი ვიციან“, – თქვა დაკითხვისას ლაშამ. გიორგიმ კი დასძინა: „მე დედ-მამასთან ვიზრდებოდი, მათ ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ. მკვლელობის დღეს შინ არ ვიყავი, რა მოხდა, არ ვიცი და არც შემდეგ მიკითხავს რამე“... ■



დაინახავე თუ მსხვერპლი?

სწოილი მიკრობიოლოგიის გაუჩინარება

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა მიკრობიოლოგი დონ ვილი. მეცნიერი შიდსის საწინააღმდეგო პრეპარატებზე მუშაობდა და ე.წ. ებოლის ციებ-ცხელების ერთ-ერთ ყველაზე დიდ სპეციალისტად არის მიჩნეული. უკანასკნელად, 57 წლის ვილი ნოემბერის დამლევს ნახეს, ვინც იმ დღეს შეხვედრია, ამტკიცებს, რომ „დონი სავსებით ჩვეულებრივ გუნებაზე იყო, მზიარულიც კი მოგვეჩვენა“. საღამოს კი, ქალაქ მეფისში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის დასკვნით წვეულებაზეც ყოფილა, თუმცა, შინ დონი აღარ დაბრუნებულა.

მეორე დღეს ბიოლოგის ცოლმა პოლიციას მიმართა, რომელმაც ცოტა ხანში, ხიდზე ვილის ავტომობილი იპოვა. უცნაური ის არის, რომ მანქანას ძრავაცა და სანათებიც ჩართული ჰქონდა. ბიოლოგის თვითმკვლელობის ვერსიის არავის სჯერა: ნათესავ-მეგობრები დარწმუნებულები არიან, რომ მას ხიდიდან გადახტომის არანაირი საფუძველი არ ჰქონდა. მდინარეში გვამის ძიებაც უშედეგოდ დასრულდა. სამართალდამცავები გატაცების ვერსიისკენ იხრებიან, თუმცა ბრძოლისა თუ ძალადობის

რაიმე ნიშანს ადგილზე ვერ მიაკვლიეს.

ჩვეულებრივ, როგორც ასეთ დროს ხდება, წარმოიშვა აზრი, რომ შესაძლოა, სწორედ დონ ვილია ის უსახელო ექსტრემისტი მიკრობიოლოგი, რომელიც სხვადასხვა ადგილას ფოსტით აგზავნიდა ციმბირული წყლულის გამომწვევ ფხვნილს. ერთი ვერსიის თანახმად, მან თავად გადაწყვიტა გაუჩინარება,

მეორე ვერსიით კი – დააკავეს სპეცსამსახურებმა, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით, ამ ინფორმაციას დროებით არ ახმაურებენ.

ბოლო დროს გაჩნდა იმის დამადასტურებელი ახალი მონაცემები, რომ ციმბირული წყლულის გამავრცელებელი, უცნობი ამერიკელი ექსტრემისტია, რომელსაც საშიშ დაავადებათა შტამებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. „გერინპისის“ გერმანული ქვედანაყოფის ინფორმაციით, ბოროტმოქმედს განზრახული არ ჰქონია მკვლელობის ჩადენა – მისი მიზანი, პანიკის გამოწვევა და საბოლოოდ, იმის მიღწევა იყო, რომ ყურადღება მიექცყო ბაქტერიოლოგიური ომის საშიშროებისადმი, რათა ამ დარგის გამოკვლევებისთვის დამატებითი სახელმწიფო სუბსიდიები მიეზიდა.

როგორც ცნობილია, აშშ-ში ციმბირული წყლულისგან უკვე 5 ადამიანი დაიღუპა. პირველი ვერსიის თანახმად, სასიკვდილო ფხვნილის ფოსტით გავრცელება ბინ ლადენისა და მისი ორგანიზაციის „ალ-ქაიდას“ სხვა მესვეურთა ნამოქმედარი იყო, მაგრამ ეს ვარაუდი გამოძიების მასალების მიხედვით, მცდარი აღმოჩნდა და ახლა ამერიკული სპეცსამსახურები იძულებულნი არიან, თავი შეიკავონ ყოველგვარი კომენტარისგან.



2001 წლის 14 ნოემბერს საქართველოში ინვიტროგანაყოფიერებით ჩასახული ანუ სინჯარის სამი ტყუპი ბიჭი დაიბადა. ალექო, ვანიკო და გიორგი მეგრულიშვილები უკვე ერთი თვისანი არიან და თავს უარგად გრძნობენ. მამა – ბადრი მეგრულიშვილი ოზურგეთის რაიონის სოფელ სილაურის სასაბავშვო თავმჯდომარეა, დედა – ინგა ცაცხლაძე ანასეულის ბუნებათსარგებლობის სასწავლო ინსტიტუტის ლექტორი. ტყუპის დაბადებით მათ ცხრა წლის ოცნება აუსრულდათ.



სინჯარის ბიჭებს ერთი თვე გაუსრულდათ!

ნათია თენიშვილი

ინგა ცაცხლაძე:

– მე და ბადრი ერთმანეთი საერთო მეგობრის მეშვეობით გავიცანით. ოთხი წელი ერთმანეთს ვხვდებოდით, 1992 წელს კი, ოჯახი შევქმენით. ძალიან განვიცდილი უშვილობას. ყველა ნორმალურ ქალს, როცა თხოვდება, შვილი უნდა. ოჯახის შენარჩუნებაც შვილის გარეშე ცოტა რთულია. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, გვინდოდა ერთად ყოფნა და, რა თქმა უნდა, შვილიც გვინდოდა. ამ მეთოდის შესახებ შემთხვევით შევიტყვევით. მოვაროვეთ თუ არა საჭირო თანხა, ჩამოვედით.

დაახლოებით რა თანხაზე საუბარი?

– მე ათას დოლარამდე დამიჯდა. ინვიტროგანაყოფიერება ი. ყორღანას სახ-

ელობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოხდა. გადანერგვა 15 მარტს გაკეთდა. 1 აპრილს უკვე ვიცოდით, რომ შვილი გვეყოლებოდა.

როდის შეიტყვევთ, რომ სამი შვილის დედა გახდებოდით?

– ორსულობის მერვე კვირას გაკეთდა ექოსკოპია და დაფიქსირდა სამი ნაყოფი. ერთი პატარა იყო და შეიძლებოდა, „უკუსვლა მიეცა“. ღმერთმა ინება და საბედნიეროდ, სამივე დაიბადა.

როგორი რეაქცია გქონდათ, როცა შეიტყვევთ, რომ სამივე ბიჭი გაყოლებოდათ?

– ჩემთვის სქესს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო, ბავშვები ჯანმრთელები დაბადებულყვნენ. ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ სამივე ბიჭი იქნებოდა, მაგრამ მაშინვე გამიჩნდა მეოთხე შვილის გაჩენის სურვილი. სამწუხაროდ, ეს უკვე შეუძლებელია. საკეისრო კვეთის შემდეგ, მოხდა გართულებები სისხლის შედელების სისტემაში. ფაქტობრივად, ერთ ღამეში გაკეთდა სამი ურთულესი ოპერაცია. გადავრჩი მხოლოდ ექიმების ძალიან დიდი ძალისხმევით. რამდენიმე ექიმმა თავად გადაამისხა ცოცხალი სისხლი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორს პალიკო კინტრაიას და გურამ გოცამეს, ნატო

ჯაყელს, ბესო ტყემელაშვილს, ყველა იმ ექიმს, ვისი წყალობითაც დღეს ჩემს შვილებთან ერთად ვარ.

ბავშვები პირველად როდის ნახეთ?

ბადრი:

– ბავშვები, როგორც კი გაჩნდნენ, მაშინვე მაჩვენეს. იმ წუთშივე ვიგრძენი, რომ მამა ვიყავი. ეს სასწაული გრძნობა იყო. როცა ინგას მდგომარეობა გართულდა, მთელი აქცენტი იქით მქონდა გადატანილი: მეორე დღემდე აღარ გამსხენებია ჩემი ბიჭები.

ინგა:

– მე მეორე დღეს მომიყვანეს გიორგი და ვანიკო, მაგრამ ძალიან ცუდად ვიყავი და წესიერად არც მასსოვს. ექიმს უთქვამს, დადებითი ემოცია ასეთ მდგომარეობაში ეხმარება ადამიანს და უთხარით, რომ ბავშვები კარგად არიან. როცა ნარკოზიდან გამოვედი და თვალი გავახილე, ბადრიმ მითხრა – ბიჭებმა მოგიკითხესო. გავაცნობიერე, რომ ისინი უკვე მოვევლინენ ამ ქვეყანას და ეს იმხელა სიხარული იყო, ექიმებს შეეშინდათ, ზედმეტმა ემოციამ ცუდად არ იმოქმედოსო. მესამე დღეს, როცა პატარა ალექო მომიყვანეს და სახეზე მისი შეხება ვიგრძენი, მივხვდი, რომ უნდა მეცოცხლა და ვიბრძოდი სიცოცხლისთვის.

როგორც ვიცი, სხვადასხვა ორგანიზაციიდან დახმარება მიიღეთ?

– ის სისხლი, რომელიც დამჭირდა, სისხლის გადასხმის ინსტიტუტიდან იყო მოტანილი. დაახლოებით 1.900 ლარი

„ვანიკო ყველაზე წყნარი, უარეგნზიოა“



ბესტი ერუდიციაზე

1. ნომერი, რომლითაც „მარაქანას“ სტადიონზე ზრაზილიის ნაპრების წინააღმდეგ 1965 წელს თამაშობდა მიხეილ მესხი:



- ა) 11;
- ბ) 9;
- გ) 10.

2. რა ერქვა ზურაბ ყიფშიძის გმირის მხ/შ-ში „როცა ახვავდა ნუში?“



- ა) ზურა;
- ბ) ვასიკო;
- გ) თამაზი.

3. რომელი მოციქული ბაბაქრის თამდაყირა ჯვარზე?



- ა) პეტრე;
- ბ) იოანე;
- გ) ანდრია.

4. სად დაიბადა ნოდარ დუმბაძე?



- ა) ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზენობანში;
- ბ) ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში;
- გ) თბილისში.

დაჯდა. მერიაში განცხადება შევიტანეთ დახმარების თაობაზე და მისი რეკომენდაციით, ეს თანხა ჯანდაცვის სამმართველომ გადარიცხა. ორგანიზაციამ „მშვიდობა ყოველთა“, ბავშვები სამასი ლარითა და ტანსაცმლით დაასაჩუქრა. ფირმამ PROCTER AND GAMBLE სამშობიაროშივე მოგვიტანა საჩუქრები. ბავშვთა კვების ოფისმა ერთი თვის სამყოფი საკვები გვაჩუქა.

— სახელები ადრევე გქონდათ მოფიქრებული?

— ალექს ჩემი ძმის სახელი დავარქე (ინგას ძმა — ალექო ცეცხლაძე ტრავიკულად დაიღუპა 23 წლის ასაკში. — ავტ.), ვანიკოს — ჩემი მამამთილის პატივსაცემად. გიორგი კი — ბავშვები გიორგობისთვის გაჩნდნენ და თანაც, სამ ბიჭში ერთი გიორგი ხომ უნდა ყოფილიყო!

— ერთმანეთისგან გარჩევა არ გიჭირთ?

— ბიჭები სხვადასხვა პლაცენტისები არიან და ერთმანეთს არ ჰგვანან. გიორგი და ალექო შეიძლება დაემსგავსონ ერთმანეთს, ვანო კი სულ სხვანაირია, ყველაზე წყნარია, პრობლემას მხოლოდ ჭამა წარმოადგენს. გიორგი უკვე პრანჭია და ნახია. ყველაზე ცელქი, ალექოა, ჯერ კიდევ მუცელში შეარქვეს „აკიმი“. ყველაზე მეტად, მისი გვეშინია: გაიღვიძებს თუ არა, იმ წუთშივე მასთან უნდა გაჩნდე და სხვას ყურადღება არ უნდა მიაქციო, თორემ საშინლად ჩხუბობს. ვანიკო იმდენად უპრეტენზიოა, ხშირად უყურადღებოდ გვრჩება და მხოლოდ მაშინლა გვიბრაზდება ხოლმე.

— 14 ნოემბრის შემდეგ რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში? ინტა:

— ცხოვრებაში ძალიან დიდი ტკივილი მაქვს გადატანილი: 23 წლის ძმა არაფრის გულისთვის, ვიღაცის ამბიციების გამო დამეღუპა. მიუხედავად იმისა, რომ მე და ბადრის ერთმანეთი გვიყვარდა, ჩვენს ცხოვრებას მიზანი არ ჰქონდა. უბრალოდ, ვარსებობდით და მივეყვებოდით დინებას. ახლა გვაქვს უზარმაზარი მიზანი, ძალიან მინდა, რომ ვიცოცხლო და ვუყურო, როგორები გაიზრდებიან.

ბადრი:

— ჯერ კიდევ არა ვარ ბოლომდე აზრზე მოსული. ასეთ რამეზე ოცნებასაც ვერ ვებედავდი და ახლაც არ მგონია, თუ რეალობაა. ეს საკუთარ თავზე გამარჯვებას ნიშნავს.

— ეი. ოცნება აგისრულდათ? ინტა:

— კი. ასეც ვფიქრობდი ხოლმე — ჩემი ოცნებები ხართ-მეთქი. არ არსებობს ამაზე დიდი წყალობა. ღმერთის მაღლობელი ვარ, სამი ვაჟკაცი მაჩუქა და სიცოცხლეც შემინარჩუნა.

ბადრი:

— ტრადიციულად გავზრდი, ნამდვილ ქართველ ვაჟკაცებად. ოღონდ სასურველია, ზვალინდელი დღე იყოს უკეთესი, რომ დაწყნარებულ ქვეყანაში იცხოვრონ. ოპტიმისტები ვართ და გვჯერა, ჩვენი ძალისხმევითა და უფლის დახმარებით, დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი.



პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ნინო ჯავახიშვილი

როდესაც პოლიციის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმის უფროსი თემურ მღებრიშვილს ინტერვიუ ვთხოვე და ისიც ვუთხარი, თუ რა თემაზე მოგიწინებდა საუბარი, ცოტა არ იყოს, ცნობისმოყვარეობამ სძლია და საუბრის დასაწყისშივე მკითხა: კი, მაგრამ, ვის რაში აინტერესებს, რა სიმდიდრის პატრონი ვარ, ამ ქვეყანაზე გულის გარდა, სხვა არაფერი მბაბდია და ამიტომ დეკლარაციასაც კი არ ვაფასებ ხოლმეო... მთლად ასე გაღარბებული-გაღატაკებული და მხოლოდ ცარიელი გულის ამარა დარჩენილი რომ არ გახლდათ ჩვენი დეკლარანტი, მშენივნად ვიცოდი და ამიტომაც ტელეფონით ნათქვამი სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ხალას იუმორს მივანერე არც შევმცდარვარ — მღებრიშვილის დეკლარებული და თუ გნებავთ, არადეკლარებული ცხოვრება-ქონება ზოგიერთების ქონებასთან შეიძლება მართლაც არ არის მოსატანი, მაგრამ არც ისე ღარიბულად გამოიყურება, როგორც თავად ბატონ თემურს ეჩვენება...



როგორ გავაჩვენოთ ნიგნაქს ინასაქს სეიფში თემურ მღებრიშვილი

დონი:

თემურ მღებრიშვილი თბილისში 1944 წლის 6 ივლისს დაიბადა. შეძლებული მშობლების ერთადერთი მემკვიდრე გახლდათ და უღარდელი, ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა. პატარაობისას წესიერი და ჭკვიანი, სამგალითი მოსწავლე ყოფილა (ისე, წესიერება და განსწავლულობა ახლაც რომ არ აკლია ბატონ თემურს, ცხადზე უცხადესია!), ყმაწვილკაცობისას კი დარდმანდი და ქალების მოტრფივალე ვინმე... ალბათ ამიტომაც ცოტა გვიან, 27 წლის ასაკში გადაწყვიტა დაოჯახება და თავისი დის თანაკლასელს 21 წლის კუდრაჭა და ცქრილა გოგოს ქეთი (როგორც თვითონ მოფერებით ეძახის — ქეთუშა) ქაშხაძეს დაადგა თვალი... დეკლარირების „ზონაში“ შვილებიდან მხოლოდ მღებრიშვილების ოჯახის პირველი სინარული და სიამაყე — 28 წლის ალექო მოხვდა. რაც შეეხება ქალიშვილს, ხათუნა ჯერ კიდევ 21 წლის იყო, როდესაც მამამისის მეგობრის შვილს დიმიტრი ჩიჩუას ვაკეცა ცოლად და ახლა უკვე 4 წლის ვაჟიკაც ჰყავს. ცნობისათვის: მღებრიშვილის სიძე თავადაც პოლიციელი გახლავთ და სიმამრის დაუნმარებლადაც ახერხებს ოჯახის შენახვას, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბედნიერი და მოსიყვარულე ბაბუა ერთადერთ „პაპაილა“ შვილიშვილთან ხელცარიელი ვერ მიდის და იაფფასიანი სათამაშოებით ანებივრებს ხოლმე...

რატომ უნდა შეცვალოს მღებრიშვილმა „დუბინჯა“ ჯახური ჩურჩხელით?!

მღებრიშვილების ოჯახის მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას მხოლოდ რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და ორი ავტომანქანა შეადგენს: „ნივა“ (რომელიც ალექოს განკარგულებაშია და სულ 2.000 ლოლარად უღირთ მღებრიშვილებს) და „ბე-ემ-ვე“, რომლითაც მოძიებინებთა რისხვა თავად დაბრძანდება ხოლმე. ჟურნალისტების სიძულვილს ტყუილად რომ აბრალებენ სპეცდანიშნულების რაზმის უფროსს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც ბატონი თემური ფრიად შეწუხდა და საკუთარი მანქანით საკუთარ, არცთუ ისე მდიდრულად მოწყობილ კაბინეტში წავგაბრძანა. მანქანაში ჩავჯექი თუ არა, ენაწყლიანმა და ზედმეტად გულახდილმა დეკლარანტმა მამინვე მომახარა: ეს „ბე-ემ-ვე“ ჩაწერილი მაქვს დეკლარაციაში, თუმცა თვითონ არ მიყვია, ნაჩუქარიო...

— ბატონო თემურ, თავდაპირველად რატომ მითხარით: დეკლარაციას იმიტომ არ ვაფასებ, რომ უშველებელი გულის გარდა, სხვა სიმდიდრე არა მაქვსო?! აბა, ვისია სახლები თბილისში, ნალვერო... კიდევ ჩამოვთვალო?

— რას ამბობ, კაცო, დეკლარაციას როგორ არ ვაფასებ, ვინ მოგასვენებს ისე?! ჯერ რა ცხოვრება-ქონება მაქვს, მაგრამ

რაც მაქვს, ყველაფერს გულახდილად ვწერ ხოლმე, ან დასამალი ვისთან რა მაქვს?! მამაჩემი იურისტი იყო, ჯერ მოსამართლედ მუშაობდა, მერე ადვოკატად — მოკლედ, შეძლებული ოჯახი გვქონდა, ჩასაცემელ-დასახური არ მაკლდა და გავლა-გამოვლა. მანქანის ყიდვაზე ვოცნებობდი და მამამ ეს ნატვრაც ამიხდინა. სავალდებულო სამხედრო სამსახურს გერმანიაში ვიხდიდი და გადავწყვიტე, ერთ-ორ წელს გერმანიაში დავრჩები, ვიშუშავებ, მანქანას ვიყიდი და ისე ჩავალ საქართველოში-მეთქი. გადაირია კაცი: ოღონდ მანდ არ დარჩე და მანქანას თვითონ გიყიდი, როგორც კი ჯარიდან ჩამოხვალ. მართლაც, ჩამოვედი თუ არა, „პობედა“ მიყიდა. სწორედ იმ „პობედით“ მოვიყვანე ცოლიც. მამაჩემი სულ მაფრთხილებდა: თუ ცოლის შერთვას დააპირებ, აუცილებლად ენამოკლე ქალი მოიყვანეო. ჩემი მუდელე კასპის რაიონიდან, სოფელ ახალქალაქიდან არის წარმოშობით. ერთხელ სოფლიდან მანქანით წამოვიყვანე თბილისში. რასაც ვეკითხებოდი, პასუხს არაფერზე მცემდა, მთელი გზა ხმას არ იღებდა — მარტო ასანთის ღერს ატრიალებდა პირში. მამაჩემის დარიგება გამახსენდა. ვიფიქრე: აი, ვინ უნდა გახდეს ჩემი ცოლი-მეთქი და სახლში წამოვიყვანე. მანქანიდან გადმოვიდა თუ არა, არ დაიწყო ლაი-ლაი?! თურმე ნუ იტყვით და მანქანით მგზავრობას ვერ იტანდა — ასანთის ღერსაც იმიტომ ვერ

იღებდა პირიდან და ჩუმადაც იმიტომ იჯდა...

— ჭკუთ მოქცეულხართ, ცოლად დედისერთა გოგო რომ შეგიერთათ — ალბათ ბევრი მზითევი მოჰყვა ქამხაძეების მხოლოდშობილ ასულს, არა?

— მოჰყვა და თან რამდენი — 2 „შიფანერკა“, სკამები და პატეფონი. ახალქალაქში სიღვდრის სახლი რომ არის წამოჭიმული, ის რა, ქეთუშასი არ არის?! მართალია, ახლაც სიღვდრი ცხოვრობს იმ სახლში, მაგრამ უნდა გაეყიდო — ძალიან გამიჭირდა და აბა, რა ვქნა?!

— სიღვდრის სახლს ასე ხელალებით რომ ყიდით, თვითონ სიღვდრს რაღას უბირებთ?!

— რა ვიცი, მოუხერხებ რამეს! აღრე ყველას ვეუბნებოდი: კლიენტი გამოიმგზავნეთ, სახლს სიღვდრიანად ვყიდი-მეთქი, მაგრამ რად გინდა — დღემდე არ გამოჩენილა მყიდველი. მერე სიღვდრმა მითხრა: რომ გაიძახი, სახლს სიღვდრიანად ვყიდი, ასე ვინ იყიდა? თავიანთი სიღვდრები აღარ უნდათ და შენი ვის რაში სჭირდება?! ჰოდა, ახლა ვამბობ ხოლმე, სახლს ისევე ვყიდი, ოღონდ უსიღვდროდ-მეთქი... ორსართულიანი სახლია, 4-5 ათასად მაინც არ გაიყიდება?!

— ამბობენ, მღებრიშვილმა სიღვდრს თვითონ აუშენა სახლიო, მართალია?

— აბა, ბიჭო?! მეტი საქმე არ მქონდა, რომ სიღვდრისთვის მეშენებინა სახლები! თავიდან თურმე სასიძოდ არ მოვწონდი და მე სახლს ავუშენებდი?! ახლა მეუბნება ხოლმე: რატომ ენა არ მიხმებოდა, შენზე ცუდს რომ ვლაპარაკობდი და ხულიგანი და უსაქმური რომ მეგონეო...

— არადა, რა იცოდა, რა ცხოვ-


რება-ქონების პატრონი და როგორი ოჯახის „მუჭუჭი“ სიძე ეყოლებოდა, არა?

— რატომაც არა?! რაც მაქვს, ყველაფერი საკუთარი შრომით შემიძენია — არავისთვის არაფერი მომიპარავს, პირიქით — იქით დავდევდი ქურდებსა და მამაძაღლებს... ისე, ბებიებაბუებისგან და მშობლებისგანაც კი გვარიანი ქონება დამჩნა. კასპში ბაბუაჩემის (დედაჩემის მხრიდან) დანატოვარი სახლი მაქვს

— ორსართულიანი, „ახალბრიზგმიცემული“ და „ჟალუზებიანი“ — 25.000 დოლარად შევაფასე დეკლარაციაში. წალვერშიც ვეებერთელა სახლი მაქვს — რომ ნახოთ, სანატორიუმი გეგონებათ (მისი დეკლარირებული ფასი 45.000 დოლარი გახლავთ). ძალიან გვიყვარს იქაურობა, არაჩვეულებრივი ბუნებაა და ოჯახთან ერთად ხშირად მივდივარ ხოლმე. ამის გარდა, ორი სხვა სახლიც მქონდა და არეულობის დროს, როდესაც ძალიან გაგვიჭირდა, ორივე გავყიდე — კასპში ძალიან იაფად, 2.500 ლარად გავყიდე, მამაჩემისი ბინა კი, რუსთაველის პროსპექტზე, 5.000 დოლარად. დღემდე იმ დანაზოვით ვვედგა სული, თორემ მარტო ხელფასი რაში გასწვდება კაცს?! (ალბათ, დამეთანხმებით, რომ ბევრს შემურდება ბატონი თემურის ასეთი მომჭირნება. — ავტ.)... ახლა ვატყობ, რომ ჯიბე ცარიელდება და „მუთაქა“ თხელდება... ამიტომაც ვყიდი სიღვდრის სახლს და თუ სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება, მერე ალბათ, დანარჩენებსაც მივყოლებ. აი, წალვერის სახლს კი, როგორც არ უნდა გამიჭირდეს, მაინც ვერ შეველევ — მთელი ოჯახის განძეულობა იმ სახლთან ახლოს, ფიჭვის ძირას მაქვს ჩაფლული...

— ბატონო თემურ, იქნებ ხუმრობის გარეშე მიპასუხოთ: ყველაზე ძვირფასი და ძვირად ღირებული ნივთი ოჯახში რა გაქვთ?

— (იცინის) ოჯახში ყველაზე ძვირფასი და ძვირად ღირებული მე ვარ! ერთ ამბავს მოგიყვებით. ერთხელ წვეულება მქონდა ოჯახში (მღებრიშვილები ამჟამად ვერაზე, 80.000 დოლარად შეფასებულ სამოთახიან



„ასეთი საათი მართლაც არავის აქვს საქართველოში“

ბინაში ცხოვრობენ. — ავტ.) და როდესაც სტუმრები მოვიდნენ, აქეთ-იქით ყურება და სახლის თვალღებება დაიწყეს. ბოლოს ქეთუშას გაუხილეს: ამბობენ, ვითომ სახლში ანტიკვარები გაქვთ და შენმა ქმარმა რა უყო, სად გადამალაო?! ჩემს ცოლს გაეცინა: რა ანტიკვარები, რის ანტიკვარები, ანტიკვარი თვითონ არ გყავსო?!.. ასე! ვისაც ჰგონია, რომ მდიდარი ვარ, ეგონოს! ვისაც შურს ჩემი, შეშურდეს!

— რეზინის ხელკეტი, კედელზე ჩურჩხილების გვერდით რომ დაგიკიდიათ, თქვენთვის, როგორც პროფესიონალისთვის, ძვირფასი არ არის?

— ძვირფასია, აბა რა! იცით, რა ვერ გამოგია? რას ერჩით ჟურნალისტები ამ „დუბინკებს“?! აბა, მითინგებისა და არეულობის დროს ათასი უსაქმურის დასაშოშმინებლად დოლ-გარმონითა და დაფა-ზურნით ხომ არ გავალთ ქუჩაში?! არ მოგწონთ „დუბინკები“, არა?! კი, ბატონო, შევცვალოთ ხელკეტები კასური ჩურჩხილებით. ჩამოვიტან კასეთიდან ჩურჩხილებს და დავურიგებ ხოლმე მომიტინგებს — რომ შეჭამენ, იქნებ მაშინ მაინც „დატკნენ“ და წავიდ-წამოვიდნენ.

რას ჩექნიან შეყვარებული ქალები თემურ მღებრიშვილს...

თემურ მღებრიშვილს ზვიადისტი ქალები არ წყალობენ, თორემ თავიანთი ცემელ, ანუ როგორც თვითონ ამბობს — მოტრფიალე ქალთა სიმცირეს ნამდვილად არ უჩივის და მათი სიყვარულითა და საჩუქრებითაც ერთობ განებვიგრებულა (ცნობისათვის: ახლახან „მაგთის“ ხელმძღვანელობამ სიურპრიზი გაუკეთა ბატონ თემურს და მობილური ტელეფონის ისეთი ნომრით დაასაჩუქრა, რომელშიც მისი საყვარელი ციფრი — 4 ოთხჯერ მეორდება). ჩვენი დეკლარანტისთვის ყურებაზე შეყვარებულ ერთ ქალბატონს ანტიკვარული (როგორც თავად რესპონდენტი ირწმუნება), 2.000 დოლარად ღირებული საათი უჩუქებია, მეორეს — ბრილიანტის 8-თვლიანი ბეჭედი (2.500 დოლარად შეფასებული), მესამეს კი გერმანიიდან „ბე-ემ-ვე“ გამოუგზავნია (ავტომანქანის დეკლარირებული ფასი 8.000 დოლარი გახლავთ)... მოდი და ნუ შემურდება! ამაზეა ნათქვამი: კაცი თავის ბედს თვითონვე დანატროდა...

— ბატონო თემურ, ამ ნივთე-



„ვერ გამოგია, რას ერჩით ჟურნალისტები ამ „დუბინკებს“...“

ბის ფასს იმიტომ ხომ არ აზვიადებთ, რომ ისინი თქვენთვის საყვარელმა ადამიანებმა გისახსოვრეს? თუ მართლა ასეთი ძვირად ღირებული საჩუქრებით ცდილობენ ხოლმე ქალები თქვენი გულის მოგებას?

— უჰ, როგორ გეკადრებათ, გაზვიადება რა შუაშია?! მაშინ გეტყოდით: სულაც შეუფასებელია ჩემთვის ეს საათი და ბეჭედი-მეთქი! ასეთი საათი მართლაც არავის აქვს საქართველოში. ნახეთ, ისრებიც ოქროსი აქვს და საქოქიც.

— „ბე-ემ-ვე“ ვინდა გაჩუქათ?

— ვინ და გერმანელმა შეყვარებულმა ელიტა ბენცმა! ჯვარში რომ ვიყავი, ერთ-მანეთი მაშინ შეგვიყვარდა, მაგრამ ცოლად ვინ მომაცხანინებდა? მე საქართველოში ჩამოვედი, ის გათხოვდა. დაახლოებით 4 წლის წინ ჩემი ნაცნობები გერმანიაში რომ მიდიოდნენ, ელიტას მისამართი მივეცი და ვთხოვე, რომ გაეგოთ მისი აბბავი. ჩემი ახალგაზრდობის სურათი რომ უჩვენებიათ, გაგიჟებულა საწყალი... მერე უთქვამს: თემურის ძალიან უყვარდა მანქანები და „ბე-ემ-ვე“ უნდა გაეუფხავნო. მანქანას ისე უფურთხილდები და ისე ვუვლი, რომ ყველას ახალი ჰგონია.

— ქალები თქვენს „მოქროთამ-ვასა“ და მისაკუთრებას საჩუქრებით რომ ცდილობენ, მეუღლე არ ნერვიულობს ხოლმე?

— სანერვიულო რა აქვს?! — ქეთუშასთვის ხომ ყველაზე მთავარი — გული მაქვს მიცემული! პირიქით, ამდენ ქალს რომ მოვწონვარ, უხარია კიდევ: რაც უფრო ბევრს ეყვარები, უფრო მეტ რამეს გაჩუქებენ...

ბანკში ყი არა, ოჯახში შესატანი ფულიც არა მაქვს...

არ დაიჯერებთ, მაგრამ მღებრიშვილების

ოჯახის წლიური სახელფასო შემოსავალი ძალიან მწირია — სულ 3.744 ლარი! თავად ბატონი თემური დაუღალავი შრომისა და გარჯვისათვის თვეში მხოლოდ 177 ლარს იღებს, ალექოს ხელფასი კი (ალექო ისანი-სამგორის რაიონის პოლიციაში განყოფილების უფროსია) უფრო მოკრძალებულია — 135 ლარი. პროფესიით ეკონომისტი ქალბატონი ქეთი კი, მღებრიშვილების ოჯახში მისვლის დღიდან პირნათლად ასრულებს დიასახლისის მოვალეობას და ამჟვე დროს, ოჯახის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობასაც ითავსებს. ქეთის მხოლოდ და მხოლოდ შვილების აღზრდა და ქმრის მოვლა-პატრონობა ევალებოდა, ამიტომაც დაენიშნე შინაგან საქმეთა მინისტრადო, — სიცლით განაცხადა დეკლარანტმა.

— მეუღლეს რომ ემუშავა, ან შვილებს ვინ დამიზრდიდა და ან ყურადღებას ვინ მომაქცევდა? როცა კარგი დრო იყო, ვმუშაობდი და ხელფასით ვინახავდი ოჯახს, მშობლებიც გვეხმარებოდნენ და გავდიოდი იოლას...

— თვეში 312 ლარი რაში გყოფნით, სხვა არანაირი დამატებითი შემოსავალი არ გაქვთ?

— სხვა რა შემოსავალი მექნება? ბიზნესი რომ მქონდეს, ჟურნალისტებს ხომ აქამდე „ამოთხრილი“ გეყოლებოდი, მაგას ვერ გაიგებდით?! ხელფასი მხოლოდ პურის ფულად მყოფნის... აბა, ბევრი ფული რომ მქონდეს, ამ ხნის კაცი 15-ლარიანი ჯინსის შარვლით და 20-ლარიანი ჯინსის კურტკით ვივლიდი? ან კიდევ, თორნიკეს (შვილიშვილს) ერთლარიანი სათამაშოებით კი არ მოვატყუებდი, ზოგიერთებივით მეც 300-ლარიანი სათამაშო მანქანას ვუყიდდი!.. თუმცა თორნიკე მაინც სულ იმას გაიძახის: ყველაზე ძალიან თემო პაპა მიყვარსო. ისე, პაპა-შვილიშვილი რაღაც-რაღაცებში ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ამას წინათ, ბაღში ცოტა არ იყოს უზრდელური ლექსი უთქვამს. მასწავლებელი განაწყენებულა: ზედგეტყობა, ვისი შვილიშვილიც ხარო... არადა, ღმერთი, რჯული, ის ლექსი მე არ მისწავლებია. ასეა, ყველა სიგლახეს მე მამბრალე ბენ ხოლმე...

— ბატონო თემურ, ნელ-ნელა საუბრისას თქვით: „მუთაქა“ უკვე თხელდება და ჯიბეც მიცარიელდებაო. ბანკში ანგარიშს იმიტომ არ ხსნი, რომ ფულს ისევ მამაპაპურად, მუთაქებში ინახ-

ავთ?

— ანგარიშები იმდენი მაქვს ბანკში, არავის დაესიზმრება. მოიცადე, ახლავე გაჩვენებ წიგნაკს და თვითონვე დარწმუნდები.

ბატონი თემური მკვირცხლად წამოხტა, საგულდაგულოდ ჩაკეტილი სეიფი გახსნა და გაცრეცილი, კომუნისტების დროინდელი წიგნაკი მაჩვენა. აი, ნახე, რამდენი ფული ჰქონდა მამაჩემს ჩემს სახელზე. თვალებს არ ვუჯერებდი: 87.128 მანეთი — გარკვევით ეწერა წიგნაკში...

— ძალიან მდიდარი კი იქნებოდით, ქვეყანა რომ არ არეულიყო, მაგრამ ახლა რაღად გინდათ, ასე საგულდაგულოდ რატომღა ინახავთ ამ წიგნაკს? გჯერათ, რომ იმ ფულს ვინმე როდისმე გაგინადლებთ?


— (იციხის) რა ვიცი, იქნებ მოგვცენ, კაცმა არ იცის, რა მოხდება... სათუნას სახელზეც მქონდა 3.000 მანეთი შეტანილი... რა დრო იყო?! ახლა ბანკში კი არა, სახლში შესატანი ფულიც აღარ მაქვს...

— დაბოლოს, რამდენია თემურ მღებრიშვილის ჯიბის ფული?..

— (გაოცებული) რას ამბობ, შვილო, სადა მაქვს ჯიბით სატარებელი ფული? ჯიბეში იმას გაუჩერდება ფული, ვისაც ბევრი აქვს. იცი, რომ ღამით ცოლი სახლში აღარ მიშვებს ხოლმე? ერთხელ შუალამისას მივედი და კარს აღარ მიღებდა. ვეხვეწე: ქეთუშ, ნუ გეშინია, თემური ვარ, კარი გამიღე-მეთქი. იცით, რა მიპასუხა?! ვიცი, შენ რომ ხარ და ზუსტად მაგიტომ არ გიღებ კარს... რა გინდა, ამ შუალამისას ძილს ტყუილად რატომ გვიფრთხობ, ფული შენ არ მოგაქვს ოჯახში და სხვა არაფრის გამკეთებელი შენ არ ხარო...

პოსტსკრიპტუმის მაგიერ

ყოველ ახალ წელს ბატონი თემური თურმე ჯერ საკუთარ კაბინეტში ხედება და მერე მეკვლედ ესტუმრება ხოლმე ცოლსა და შვილს. ამ ახალ წელს ღარიბული ხელფასის შემყურე და მომლოდინე მღებრიშვილების ოჯახში შეიძლება ღარიბული სუფრა გაიშალოს, თუმცა მხიარული და ოპტიმისტი დეკლარანტი უფულობას მაინც არ უშინდება: ისე როგორ დავიხსოვებით, რომ საცივი მაინც ვერ გავაკეთოთ (ბატონ თემურს ძალიან ჰყვარება საცივი) და ღვინო ვერ ვიყიდოთ, სულაც ვალებში გადავარდება კაცი და საახალწლოდ მაინც გაამზადებს რამესო... ახალ წლამდე სიდერის სახლს თუ ვერ გაყიდის სპეცდანიშნულების რაზმის უფროსი, იმედია, 177 ლარს მაინც აიღებს და საახალწლოდ ვალებში „გადავარდნაც“ აღარ მოუწევს...



„ეს მანქანა გერმანელმა შეყვარებულმა ელიტა ბენცმა მაჩუქა“

ჟურნალისტი დალი დვალი მუდამ სიმართლის სადარაჯოზე იდგა. მან 9 წელი რაიონულ გაზეთში, ხოლო 13 წელი — გაზეთ „თბილისში“ იმუშავა. მაშინაც კი, როცა „მხატვრულად წერა მხოლოდ ფერუმარლი გახლდათ ჟურნალისტიკისთვის“, მთავარი მისთვის პროფესიული სიმართლე იყო — მართლად წერა, რის გამოც ზოგჯერ ეკლიან გზაზეც უხდებოდა გავლა. სამჯერ გაათავისუფლეს სამსახურიდან და სამჯერ გარიცხეს კომკავშირის რიგებიდან. სამჯერვე აღადგინეს. მისი ცხოვრება აღმასვლისა და დაცემის გრძელი ჯაჭვია, აღსავსე ტკივილებით, დეპრესიით, განცდითა და იმედგაცრუებით.

დალი დვალის ცხოვრება რეპრესიებით დაიწყო და მისი, როგორც ჟურნალისტის, კარიერა რეპრესიებითვე დასრულდა: ჯერ ორმოცი წლისაც არ იყო, გაზეთ „თბილისში“ თექვსმეტი თანამშრომელი რომ განათავისუფლეს, მერყიდმეტეს კი — დალი დვალს — გამოუცხადეს: მოქმედი ჟურნალისტის გვარს იმ სიაში ვერ ჩავენერდით, მაგრამ შენც გათავისუფლებული ხარო... და კიდევ ერთხელ გაიხსნა ქრილობამ პირო...

ლელა ჭანკოტაძე

— **ქალბატონო დალი, საუბარი რეპრესიებიდან დაგინწყით ანუ იმ წლებიდან, როცა თქვენი ოჯახი კახეთიდან ყაზახეთში გადაასახლეს. რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

— მამაჩემი მეორე მსოფლიო ომის ჯარისკაცი იყო. მისი ცოლ-შვილი ომის დამთავრების მეექვსე წლისთავზე გადაგვასახლეს. სანამ გადაგვასახლებდნენ, მამა გამუდმებით ავადმყოფობდა: შვიდი ნეკნი ჰქონდა გაბზარული, ოთხწელიწად-ნახევარი თაბაშირის არტახებში იყო მოქცეული, რაც მას იტალიის ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკში არაადამიანური წამებისგან დარჩა „სამასსოვროდ“ და რის გამოც, რკინის კორსეტს ატარებდა. მეგობრებში ხშირად ხუმრობდა კიდევ: „შედუღებული რკინა უფრო დიდხანს ძლებსო... სპეციალისტებმა იციან, რა არის ადისონის დაავადება. მამაჩემს იგი ტყვეთა ბანაკში მიყენებული ტრავმების გამო განუვითარდა. დაავადება გარეგნულად ასე იჩინდა თავს: მამა ჩემ თვალწინ იღეოდა, კანის



გზა რეპრესიებიდან რეპრესიებამდე

ფერი შეეცვალა და მალე, ძვლებზე კან-გადაკრულ არსებად იქცა. მკრეხელობად მიმჩნია ახლა ამის გახსენება... მაშინ სოფელში ვცხოვრობდით. მე, ხუთ წლამდე და ჩემი და — სამ წლამდე, უმამოდ ვიზრდებოდით. ერთ ღლეს გვითხრეს: მამა თბილისში, საავადმყოფოში წვეს და უნდა ჩამოვიდესო. იმ ღამით გვიან დავიძინეთ. ნახევრად გაბათქაშებულ სახლს ჯერ კიდევ კირის სუნი ასდიოდა. ოთახში გაბმულ თოკზე ჩვენი დაკონკილი ტანსაცმელი ეკიდა. დედა ერთთავად იმეორებდა: „მამა ჩამოღის“... მერე კარზე კაკუნნი ატყდა. კარს იქით პაპაჩემის (მამაჩემის მამის) ხმა გაისმა: „გააღე, შვილო, კარი!“ შემდეგ კი, ისევ მისი გაბზარული ხმა ჩავგვისმა: „ტყვევ ნამყოფთა ოჯახებს ასახლებენ... თქვენ გასახლებენ!“

— **მამა არ იყო საავადმყოფოდან დაბრუნებული?**

— არა. ჩვენ ჯერ არ გვყავდა ის ნანახი. ვიღაცამ ადგილობრივი ხელისუფლებიდან პაპაჩემს შეატყობინა, რომ მის რძალს ორი პატარა ბავშვით გადასახლება ელოდა. იმ ღამით პაპას — ვლასი დვალს ხელზე დამლა დაეცა. მისი უფროსი შვილი — სოფლის საშუალო სკოლის დირექტორი, ომიდან შინ აღარ დაბრუნებულა. უგზო-უკვლოდ დაიკარგა მეორე შვილი — პავლე დვალი. მამაჩემი მესამე იყო. მეოთხე ვაჟი კი, ფენიმოჭრილი დაბრუნდა ფრონტიდან. ახალი გარდაცვლილი იყო ვლასის უმცროსი შვილი, რომელიც

ომში წასულმა ოთხმა ძმამ შინ დატოვა და ოჯახში ახალი ტრაგედია იწყებოდა: ჩვენს ოჯახს ასახლებდნენ!.. მთელ სახლს მოედნენ, წაილეს ყველაფერი, რაც კი ძვირფასი მოეჩვენათ... ახლაც თვალწინ მიდგას დედაჩემის დედის გასავსავებული ხელები — დადიოდა და მოთქვამდა, მეტი რა შეეძლო?! დედას ურჩევდნენ, ერთი შვილი მაინც დაეტოვებინა, მაგრამ — რომელი? რომელ ხელს მოიჭრიდა?! მან არჩევანი არ გააკეთა... ეზო ხალხით გაივსო. ყველა ტირიდა. ამასობაში გათენდა კიდევ. დაღა ღეკემბრის სუსხიანი დილა. ღია-არიან მანქანაზე შეეყარათ ჩვენი ბარგი. ჩემმა მასწავლებელმა თავის გოგონას ქურჭი გახადა და ზემოთ, მანქანაზე შეავლო. ახლაც მახსენდება ჩემი სევდიანი ბავშვობის დროინდელი ჭრელი ქურჭი... მეზობლის კაცებმა სახელდახელოდ დაკლეს ღორები და ძარაზე შეყარეს: იფიქრეს, იქნებ შიმშილით სიკვდილს მაინც გადავარჩინოთ უმწეო ბავშვებით... მერე უკან დარჩა ჩვენი სოფელი. ბუნდოვნად მახსოვს — ბორანზე შედგა ჩვენი მანქანა. დედაჩემმა ხელები აღაპყრო და ღმერთს შეკლადა: „თუ დამნაშავე იყოს ჩემი ქმარი სამშობლოს წინაშე, ჩაწყდეს ბორანი!“ მაგრამ ბორანი არ ჩაწყდა... და დაიწყო ოცდარვა დღიანი მოგზაურობა ეშელონით, ყაზახეთის მიმართულებით.

— **თქვენ მამა პირველად სადგურში გინახავთ, ტიროდაო, — მითხარით... როგორ შეიტყო**

ბატონმა ვასტანგმა იმ მატარებლის შესახებ, რომელსაც საქართველოდან ლტოლვილები გაჰყავდა?

— იმ დღეს, როცა ჩვენ გადაგვასახლეს, სოფელში მიიტანეს მამაჩემის დანაბარები — რომ ის კიროვაბადში მიდიოდა თავის ფრონტელ ამხანაგთან და ამის შემდეგ დაბრუნდებოდა სახლში. მართლაც, ჩასულა ილიკო ბერიშვილთან. ეს გახლდათ რკინიგზელი, კიროვაბადელი ქართველი. მისმა მეუღლემ ქალბატონმა ანეტა ბერიშვილმა წლების შემდეგ ასეთი რამ მიაბო: მამაშენი სიზმარში ლაპარაკობდა, სიტყვასიტყვით გავიგონე, რომ ამბობდა: „იოსებ ბესარიონის ძე, დამნაშავე არ ვარ სამშობლოს წინაშე!“ მძინარემ რამდენჯერმე გაიმეორა ეს სიტყვები; ბოლოს, ვეღარ მოვითმინე — მივეჭერი და გავაღვიძე, თან ვუთხარი: „ვასტანგ, შენს ცოლ-შვილს ასახლებენ!“ — ქართველი რკინიგზელი მუშებისგან მქონდა გავგონილი, რომ საქართველოდან გადასახლებულები მოჰყავდათ და ვიღაც ქალი 47-ე ვაგონიდან თხოულობდა ილიკო ბერიშვილთან დაკავშირებას... მამას ეს ამბავი ცუდად ენიშნა თურმე და მაშინვე გაიქცა კიროვაბადის ვაგზალზე. დედა ვაგონის სარკმელს მიეჭრა. თითის წვერებზე ავიწიე, როგორმე რომ დამენახა მამაჩემი. აი, თურმე როგორი ყოფილა-მეთქი, — ჩავილაპარაკე და დღემდე, თვალწინ მიდგას მისი მაშინდელი სახე: ფართოდ გახელილი ლურჯი თვალების სასოწარკვეთა და საავადმყოფოდან გამოყოფილი სიფერქრთალე. მერე დედის ხმა ჩამესმა: „მონი, ყაზახეთში გვასახლებენ. აბა, შენ იცი, გამაგრდი! მოგწერთ და ჩამოდი“. სამწუხაროდ ჩვენთან ლაპარაკი აკრძალული იყო და ამიტომ, ვიღაც სამხედროფორმიანმა მამას ჩვენთან მოახლოების უფლება არ მისცა.

— როგორ დაგამახსოვრდათ ხუთი წლის ბავშვს ფაქტები ასე ზუსტად?

— იმ დღიდან, როცა ჩვენს კარზე კაკუნით გაისმა და დაიძახეს, — გასახლებენო, ჩემი და ჩემი პატარა დის მეხსიერების გააქტიურება მოხდა. ის, რაც ჩვენ — ყოფილი სამხედრო ტყვის ოჯახმა (და თავად მამაჩემმა) გადავიტანეთ, რა თქმა უნდა, უკანონო რეპრესიების შედეგია. მაშინ და მას შემდეგაც, ჩვენს ოჯახშიც და სხვა უკანონოდ გადასახლებულებისგანაც, ხშირად მსმენია ბერიას, რუსხადისა და ჩარკვიანის (მაშინდელი რეპრესიების ქართველი ავტორების) სალანძღავი სიტყვები, მაგრამ ახლაც მიკვირს, რომ არც ერთი აუგი სიტყვა არ გამიგია სტალინის მისამარ-

თით!..

— ალბათ, უმძიმესი იყო გზა, რომელიც თბილისიდან კრასნი ოკტიაბრამდე გაიარეთ?

— ჩვენს ვაგონში ორად ორი ოჯახი „ვცხოვრობდით“: ჩვენ და ხოსროშვილები — ჩვენი მეზობელი სოფლიდან. მთელი ოჯახით იყვნენ: დედა, მამა, შვილები და თან მთელი კასრი კარაქი ჰქონდათ. მათ გაატყავეს და დაამარილეს ჩვენი ორი ღორიც. ციოდა. საქონლის გადასაცემი მატარებლის ფარდალალა ვაგონები ვერ აკავებდა ცეცხლის სითბოს, რომელსაც დროდადრო ვაგონში ანთებდნენ. როცა მატარებელი ჩერდებოდა, მამაკაცები ბაქანზე ჩადიდნენ და თუ რაიმეს, ამისთვის გამოსადგეს ჩადიდებდნენ ხელში, მაშინვე ცეცხლს აჩაღებდნენ. მე და ჩემი და, გათომილ ხელებს შორიდან „ვუმიზნებდით“ და თითქოს აღარ გვეციოდა. გვეუბნებოდნენ: მოდით, გათბითო, მაგრამ თვითონაც იმდენი იყვნენ, რომ ცეცხლის გარშემო დღისაღმომი ადგილიც აღარ რჩებოდა... მე, დედა და ჩემი და, ძირითადად ვიწექით. ჩვენი ლოგინები, რა თქმა უნდა, სველი იყო და მის გაშრობას ვერ ვახერხებდით. გავცივდით. ფილტვების ანთება დაგვემართა. ჩემი და ჩემზე ჯანმრთელი იყო, მაგრამ მან უფრო მძიმედ გადაიტანა ავადმყოფობა. დედაჩემი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ოცდამეგრე დღეს, ყაზახეთში, პახტარალის რაიონში ჩავედით. დროებით, მოხუცი მღვდლის სახლში დაგვაბინავენ. კრასნი ოკტიაბრი ერქვა სოფელს. მოხუცი მღვდელი, რომელსაც ჩვენ „დედუმკას“ ვეძახდით, ყოველდღე ერთ წველა რძეს აძლევდა დედაჩემს და თბილ რუსულ ღუმელზე გვაძინებდა. მალე მამაც ჩამოვიდა და პატარა სახლი გვიყიდა.

— როგორ მოგაგნოთ, ან როგორ მისცევ ჩამოსვლის უფლება?

— მისამართი დედამ შეატყობინა, ჩამოსვლა კი, მისთვის არავის აუკრძალავს. ასეთი უცნაური კანონები იყო მაშინ... იქ, შორეულ პახტარალში პატარა თეთრი სახლი ჩემი ბავშვობის ნაკრძალია. მამამ თან ვაზის ნერგებიც ჩამოიტანა და ერთი სული გვექონდა, როდის გაიფოთლებოდა, როდის იქცეოდა ვენახად. მამამ, რომელიც მებაბეობის მეურნეობაში ქართველების ბრიგადის ხელმძღვანელად დანიშნეს, შემისრულა თხოვნა და ბაბის ნერგები მომიტანა. ბაბა დილაობით ტერციალით იპენტებოდა და ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა კოკორიდან პატარა თეთრი ქულა ამოყოფდა თავს. დედა და მამა არ კარგავდნენ იმეს, რომ მალე დადებოდა დრო, როცა გაგვათავისუფლებდნენ. მამა თითქმის ყოველდღე აგზავნიდა დეპეშებს, განცხადებებს მოსკოვის მისამართით და წერდა, რომ დამნაშავე არ იყო... გადასახლების წლები ჩემთვის კიდევ ერთ ტრაგედიას უკავშირდება: გარდაიცვალა ჩემი ქართველი მეგობარი გოგონა — ნათელა ხოსროშვილი, რომლის ნეშტი გადასახლებიდან გათავისუფლების შემდეგ, თუთიის კუბოთი, კონსპირაციულად ჩამოსვენეს სამშობლოში. ჩემს უმცროს დაიკოს კი, ფილტვების ანთებამ გაუარა და ტაშკენტში, „ტრუდ ვოსტოკას“ საავადმყოფოში დედას ყრუ-მუნჯი ბავშვი შერჩა ხელში: გადასახლებაში, უკანონო რეპრესიებმა სამუდამოდ დაახეიბრა იგი.

— საქართველოში გათავისუფლებისთანავე დაბრუნდით?

— რა თქმა უნდა. უდანაშაულონი ვიყავით და გაგვათავისუფლეს. ბოლიში



ელასი და ვახგანგ დგალები

მოგვიხადეს, მაგრამ ბოღში ვერაფერი წამალი გამოდგა შეურაცხყოფილი და განაწამები ჯვარისკაცის ოჯახისთვის, სამუდამოდ დასრულებული გოგონასთვის, ჩემი დისათვის, ჩემთვის... წამოვიდა მატარებელი საქართველოსკენ ტომარაში გახვეული თუთიის კუბოთი და თან წამოიღო ჩემი მეგობარი გოგონას ნეშტი და გადასახლების მძიმე წლებში ათასებისთვის თავს დატყევილი ათასი უბედურება. დაბრუნდით. მერამდენედ დაიწყო მამაჩემმა ცხოვრება თავიდან, რამდენი უსამართლობა ვიგემეთ შემდგომშიც! ძნელია ომის მკაცრ სინამდვილესთან პირისპირ დადგომა. საშინელია ომის სინამდვილის განცდა: ომი არასოდეს მთავრდება მათთვის, ვისაც მამების, შვილების, მეუღლეების მხოლოდ ფოტოსურათებია შემორჩება... ბავშვობაში, როცა მამა ჯერ კიდევ ცოცხალი მყავდა, რამდენჯერ მიფიქრია: უჩვეულო მსოფლიოს მამაჩემი და აღარ იქნება ომი-მეთქი. მასსოვს, მამა, მეგობრებთან შეხვედრისას, სუფრასთან სწორად იტყოდა ხოლმე: „ომი დამთავრდა, მეგონა, ყველაფერი გადავიტანე – ტყვეობა, შიმშილი, ყოველგვარი წამება, ისიც კი, მავთულების მსხვილი შეკვრა რომ გადამალეწეს ზურგზე ფაშისტებმა და მეგონა, აღარასოდეს გათენდებოდა. მაშინ იცი, რა ვინატრე? – თონეში ჩაკრული დედას პური...“

— გადასახლების წლები, რა თქმა უნდა, არ დაგავიწყდათ. ალბათ, საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე პროცესები თქვენთვის ბავშვობის ტრაგედიის განახლებად იქცა?

— პირველი ნაკადი რომ ჩამოვიდა აფხაზეთიდან და პირველი ლტოლვილები ჩამოასახლეს, მე საჭმლით ხელში წავედი ვაგზალზე. მაშინ გაცოცხლდა ჩემთვის გადასახლების მთელი სიმწარე. მეზობლის ქალიც თან წაიყვანე – იქნებ, უდელდამო ბავშვები იყვნენ და წამოიყვანოთ-მეთქი. შევედი ვაგზალზე და ატირებული, მთელი დარბაზი შემრჩა ხელში... რომელ ჩვილ ბავშვს გაუწვდელი საკვებს?! ცუდად გავხდი. დამიცვივდა ყველაფერი ხელიდან, რაც სახლიდან წამოვიღე. რა იცოდა იმ ხალხმა, რომ იქ იდგა ლტოლვილი ბავშვი, რომელიც ყველაზე მეტად გრძნობდა და ითავისებდა მათ განცდებს... მე მეგონი, თქვენთან საუბარში ვერა და ვერ გადმოვცი მთელი სიმწვავით, ის საშინელება, რაც ომს შეუძლია მოუტანოს არა მხოლოდ ომის პერიოდის თაობას, არამედ მათაც, ვინც ომის შემდგომ დაიბადება: ომი არასოდეს დასრულებდა მისთვის, ვისაც აქ, ქართულ მიწაზე, გაგრასთან, ლესელიძ-

ესთან, სოხუმში გმირულად დაცემული მამა, მხოლოდ ფოტოსურათებზე ან ვიდეო-ფირზე შემორჩება...

— თქვენ „თბილისის ომის“ მიმდინარეობის გამოიარეთ. მე ხელთ მაქვს თქვენ მიერ გამოშვებული გაზეთები, რომელშიც ხალხს შერიგებისკენ მოუწოდებდით. რა გახსენდებათ ყველაზე მწვავედ?

— მე ვამაყობდი, რომ ნაომარი ჯვარისკაცის შვილი ვიყავი, მაგრამ მერწმუნეთ, საამაყო არაფერი ექნებათ მათ შვილებს, ვისაც მხრებზე აწევთ „თბილისის ომი“: აი, მაშინ გაიხლიჩა საქართველო ორ ნაწილად. მიჭირს დავივიწყო „სნაიპერიანი“ სახლები, მთავრობის სასახლეში გამომწყვდეული პრეზიდენტი და ტანკებზე ამხედრებული ჩვენი კოლეგები. „თბილისის ომის“ დღეებში, როგორც საერთოდ საზოგადოება, ყურნაღისტა კორპუსიც ორად იყო გაყოფილი. ომის წინა დამეს მთავრობის სახლის კიბესთან უცნობმა ქალბატონმა ზვიად გამსახურდიას სურათი მაჩუქა. ეს სურათი იმ მძიმე დღეების ყველაზე საშინელი, მაგრამ ყველაზე ძვირფასი რელიკვია ჩემი ოჯახისთვის.

— თქვენ მაშინ გაზეთ „თბილისში“ მუშაობდით?

— დიახ. „თბილისის“ თითქმის ყოველ ნომერში იყო პატრიოტიზმით სავსე ჩემი წერილები, რის გამოც, საერთო ენის გამოჩნება გამოიჭირდა ზოგიერთ ჩემს კოლეგასთან, რომელიც ათასნაირ ჩირქს სცხებდა საქართველოს პრეზიდენტს. ვგრძნობდი, დგებოდა დრო, როცა ჩემს პროფესიას მიწა ეცლებოდა. მე და ჩემმა მეგობრებმა გამოვუშვით განთავსებული „მამულიშვილი“. ამ განთავსების კედლებზე ვაკრავდით, ხალხში ვარიგებდით, სისხლის ღვრის თავიდან აცილებას ვცდილობდით.

— უმუშევარი, „თბილისის ომის“ შემდეგ დარჩით?

— ომი ათას სამხედროს ბაღებს. „თბილისის ომის“ შემდეგ იყო ტელევიზიის მუშაკთა დიდი კოლონიის შემცირება, რომლებსაც ჯერ არ მიეღწათ საპენსიო ასაკისთვის, – ისევე, როგორც მე. ჩვენთან, გაზეთ „თბილისში“ სასწრაფოდ შემცირეს ათზე მეტი თანამშრომელი და მათ სანაცვლოდ, ბანკი ჩამოაყალიბეს, შემდეგ კი, ნელ-ნელა ახალი ხალხით შეავსეს ვაკანტური ადგილები. არც ტელევიზიის შემცირებული მუშაკები და არც პრესიდან წამოსული ჩემი კოლეგები ჯერ არავის გახსენებია, თქვენ ყურნაღის გარდა. მაღლობა თქვენ ამისთვის! დაე, იცოდნენ მათ, ვინც უკანონოდ გაგვისწორდა, რომ ჩვენ ვარსებობთ... ■

რეაქციონარული



ყველაზე ჩლუნგი, ლაყე თავები ყველაზე მეტად ამპარტავნობენ. იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ვისაც არ სურს ან არ ძალუძს, რომ მეგობარს დაეხმაროს, მისგან უნდა მოელოდეს კაცი სამტროდ გამოხდომას. ქრისტიან ფურხტეგოტ გელერტი

იმაზე სამარცხვინო არაფერია, კვყენის და თავის ურგი რომ იქნები და მხოლოდ იმის ჭკუა გექნება, არაფერი აკეთო. ბლუზ პასკალი

ის არის ბრძენი, ვინც გზას ინათებს, შეცდება, მაგრამ ეძებს სიმართლეს, და ვინც არ არის ამის მსურველი, იცავს შეცდომას – არის სულელი. თეოდორ შტორმი

როგორც სხეულს აკაუებს ვარჯიში, აზროვნებაში ვარჯიშიც ამაგრებს გონივრულ ძალებს. ალექსანდრ რადიშჩევი

ჭეშმარიტებისაკენ მისწრაფება ერთადერთი რამეა, ღირსი გმირისა. ჯორდანო ბრუნო

ყოველს სიტყვას დრო უნდა, ლაპარაკს – მისი ადგილი. სულხან-საბა ორბელიანი

ჭკვიანთა დაცინვა სულელთა პრივილეგია გახლავთ. ალფონს მარი ლუი დე ლამარტენი

აზრები ერთიმეორეს იმისათვის ებრძვიან, რომ დაძლიონ შეცდომა და მიადწინონ ჭეშმარიტებას. პლატონი



25 წლის რივაზ ბრჩვაძემ უკვე დაამახსოვრა თბილისის თავი ორიგინალური კონცერტებით, საღამოებითა და ულამაზესი ფიერვერკებით. ზაფხულში კუს ტბაზე მისი რეისორობითა და ორგანიზატორობით განხორციელებული ულამაზესი შოუთი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა მაცურებელი, მოგვიანებით კი, ჯანსუღ ჩარკვიანმა თავისი საღამოს მონაცობისათვის მადლობა გადაუხადა ახალგაზრდა რეისორს და საზოგადოებას წარუდგინა, როგორც ახალი სახე ქართულ შოუბიზნესში. თუ ჩვეულებრივი, სადაგი ღამით თბილისის ცაზე ულამაზესი ფიერვერკი გაიშალა, დარწმუნებული იყავით, რომ იგი რეზოს თავყანისცემის ობიექტს ან რომელიმე მისი მეგობრის სატრფოს ეძღვნება...

„რესტორნში გახართულ წვეულებაზე არასოდეს დაუშვებ ქართულ სუპრას!“

ეკა ლომიძე

— შენზე ამბობენ — ყვაილები გამყიდველები ცნობენო: ყველაზე ორიგინალურ თაიგულებზე იძლევი თურმე შეკვეთებს. იმასაც ამბობენ, თუ ვინმე შეუყვარდა, სიურპრიზებით გააცოცხლებო...

— 16 წლის ვიყავი, ჩემი პირველი სიყვარული იყო ის გოგო. მინდოდა მესამოვებინა. მე და ჩემი მეგობრები დიდი გარჯით ნაშოვნი ფულით ნაყიდი ვარდების თაიგულით ვესტუმრეთ. ბიჭები სადარბაზოში დამელოდნენ. გოგომ კარი გააღო და ცხვირაბზუებულმა მითხრა — აქ რატომ მოხვედი და ყვაილები, ყველას დასანახავად, სკოლაში რატომ არ მომიტანეო?... მთელ სხეულში დენივით დამიარა რალაცამ, ფეხებთან დაუყვარე ყვაილები და ძირს ჩავედი. კითხვით სავსე თვალებით მელოდნენ ბიჭები.

მათ ვერ ვეტყოდი, რაც მოხდა. მოეწონა-მეთქი — ვიცრუე, თავი დავლუნე და წამოვედი.

— ამ ფაქტმა ქალებზე წარმოდგენა, რა თქმა უნდა, ვერ შეგირცხია.

— არა, საერთოდ თავყანს ვცემ ქალს, არა აქვს მნიშვნელობა, ვეტრფი თუ არა. ამას წინათ კლიპის პრეზენტაციის წინ

ძალიან მომინდა თათია გიორგობიანი-სათვის მესამოვებინა, პოლანდიური ყვაილების დიდი კოლექციიდან თითო საუკეთესო ყვაილით უზარმაზარი თაიგული შევაკერევი და თათიას ვაჩუქე. ძალიან მესამოვინა მერე სცენაზე რომ ვნახე ის თაიგული.

— შენმა ახლობლებმა მითხრეს — მშვენიერი სქესის წინაშე თავის მოსაწონებლად არაერთხელ აღმოჩენილა კუროზულ სიტუაციაშიო.

— ეს უფრო, ბავშვობაში ხდებოდა. ზაფხულის არდადეგებზე ბებიასთან ჩავედი ფოთში. მაშინ 11 წლის ვიყავი. მშვენიერი რუსი ასულები გავიცანი. მითხრეს — ზღვაზე გასარუჯად გავიდეთო და პორტში, ძველი გემების სადგომისკენ წამიყვანეს, იქ, სადაც ნაპირზე წყალი თურმე ძალიან ღრმაა. გოგონები წყალში ჩახტნენ და ძველ გემზე აძვრნენ. მე ცურვა არ ვიცოდი, მაგრამ მათთან თავს ხომ არ შევირცხვენდი?! — იქვე დაგდებული პენოპლასტის ნაჭერი მკერდზე მივიკარი და წყალში გადავეშვი. გემზე ძლივს ამთრეის. სულ დაწითლებული მქონდა გულმკერდი. გოგონებმა შინ დაბრუნება რომ დააპირეს, ვუთხარი, კარგად უნდა გავირუჯო-მეთქი და იძულებით დავრჩი გემზე. იმ დროს თურმე ბებიაჩემი სამეზობლოსთან ერთად მეძებდა. რუსმა მეზ-

ვაურებმა გამომიყვანეს ნაპირზე. თან გაცეხას ვერ ფარავდნენ: თუ ცურვა არ იცი, აქ როგორ მოხვედიო?... ამ ამბავს კიდევ არა უშავს რა, მაგრამ რაც ერთხელ თავს გადამხდა, შესაძლოა, მართლაც ტრაგიკულად დასრულებულიყო. ეზოში მეზობლის გოგოსთან ერთად სახლობანას ვთამაშობდი. სულ პატარები ვიყავით მაშინ. მე „მამა“ ვიყავი, ის კი „დედა“, „სუფრა გაშალა“, სათამაშო ჭიქაში აცეტონი ჩამისხა და მითხრა — ოჯახი დალოცეო. იმან არ იცოდა, რას მასმევედა, მე კი ვიცოდი, მაგრამ თავს ხომ არ შევირცხვენდი „ქალის“ წინაშე. სადღეგრძელო ვთქვი და გადავკარი. მახსოვს, როგორ მივედი ეზოს ჭიშკრამდე, დავეცი და მხოლოდ სამი ღლის შემდეგ მოვედი გონზე საავადმყოფოში.

— მართალია, რომ კუს ტბის კონცერტების შემდეგ ცუდად გამხდარხარ და სასწრაფო სამედიცინო დახმარება დაგჭირვებია?

— იმდენად დამაბული ვიყავი კონცერტებზე მუშაობისას, რომ როგორც ჩანს, ძალა გამომეცალა და ბოლო კონცერტის შემდეგ შინ დაბრუნებული ცუდად გავხდი. ჩემი კონცერტები ჩემი შვილებია, როგორც მშობელი, ისე ვუყურებ...

— კუს ტბაზე მართლაც

საოცარი სანახაობა გამოგივიდა. მარტო გააკეთე ყველაფერი თუ უფროსი კოლეგებიც გესმარებოდნენ?

— იდეა მთლიანად ჩემი იყო, ტექნიკური თვალსაზრისით კი, ბევრი ადამიანი დაემხმარა: ბასა ფოცხიშვილი, მერაბ სეფაშვილი, მამუკა ჩარკვიანი, ლელა წურწუშია, რომა რცხილაძე... სხვებიც დამიდგნენ გვერდში. მჯერა, რომ ყველაფერი ღვთის ნებით ხდებოდა. ფინალური კონცერტის წინ მთელი დღეები წვიმდა, რეპეტიციებიც ვერ ჩავატარეთ. დაქირავებულ უმეირფასეს აპარატურას თავს დავკანკალებდი. წვიმას რომ არ გადაეღო, ყველაფერი წყალში ჩამეყრებოდა. კონცერტის წინა დღეს მე და ბესო ხარძიანი — შოუს დამკვეთი ბიზნესმენი მცხეთაში წავედი. ვილოცეთ, სანთლები დავანთეთ. მეორე დღეც ღრუბლიანი გათენდა. კონცერტი საღამოს 10 საათზე იწყებოდა. ზუსტად 7 საათზე ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. სიხარულისგან კინაღამ დავმუნჯდი, მაგრამ 10-ის ნახევარზე მოულოდნელად შუქი გამოირთო. „ლიხტვაიგენები“ (სატვირთო მანქანაზე დამონტაჟებული გენერატორი. — ავტ.) რომ არ გვქონოდა, სიბნელეში დავრჩებოდით და მთის განათების, კვამლიანი სპეცეფექტებისა და ფერადი განათების გარეშე, კონცერტს არანაირი ხიბლი არ ექნებოდა.

— შენზე ამბობენ, რომ აკუს ტბის შოუდან აღებული პონორარი — 1.500 დოლარი წყალში გადაყარაო, მართალია?

— წყალში გადაყარა თუ ცაში გაუშ-

მერაბ სეფაშვილთან და დათო ოქიგაშვილთან ერთად



ვაო? ფეიერვერკებს დავახარჯე ის ფულიც. ძალიან მინდოდა, მანქანა მეყიდა, ბევრიც ვებრძოლე საკუთარ თავს და ბოლოს გადაწყვიტე, ფული შოუზე დაემხარჯა. სულ ვფიქრობდი, რომ შოუს ფეიერვერკი აკლდა. ხალხს ბილეთში ფულს რომ ახდევინებ, უნდა უღირდეს კიდევ. დღეს ფანტასტიკური შოუს მოწყობას 100.000 დოლარიც შეიძლება არ ეყოს და თუ 5-8 ათასად რაღაც გამოვიდა, ღმერთს მადლობას ვუხდი. ის 1.500 დოლარი იმისთვის გამოვიყენე, რომ ჩემ შემდეგ სხვამ უკეთესის მოწყობაზე იფიქროს.

— სამწუხაროდ, დღეს მსგავსი ტენდენცია არ იგრძნობა. შოუს ბევრი მხოლოდ კომერციული მიზნებით აწყობს, მაყურებელი მეტწილად მოტყუებული რჩება ფონოგრამით ჩატარებული კონცერტებით. გარდა ამისა, თვითონ კონცერტის ორგანიზატორები ხშირად მომღერლებსა და მუსიკოსებსაც ატყუებენ და პონორარებს არ აძლევენ.

— საქართველოში შოუბიზნესი რომ განვითარდეს, დამკვეთმაც და შემსრულებელმაც ცივილიზებული ფორმებით უნდა იმოქმედონ, სხვათა შორის, მომღერლები უკვე ყველაფერს აქცევენ ყურადღებას: ვინ ატარებს კონცერტს, რა აპარატურა იქნება გამოყენებული და ა.შ.



მამუკა ჩარკვიანთან ერთად

— შენს კონცერტებში ყველა ცნობილი მომღერალი არ მონაწილეობს, რა კრიტერიუმებით არჩევ ხოლმე შემსრულებლებს?

— ბევრ პროფესიონალ მომღერალთან არც მიმუშავია და არც ახლო მომავალში ვაპირებ კონტაქტს. იმედი მაქვს, რომ საქართველოში მალე შემოვა კანონი ფონოგრამის შესახებ და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა შოუბიზნესში, სადაც დღეს ძალიან რთული სიტუაციაა. ზოგიერთ ტელე და რადიოგადაცემაში რეიტინგებს რომ ვეცნობი, სახტად ვრჩები, ქართველი ესტრადის ვარსკვლავების გვერდით ისეთი არაპროფესიონალები ხვდებიან ხოლმე. ბიზნესმენებიც იმიტომ იკავენ ბენ თავს სპონსორობისგან, რომ ამდენი უსარისხო კონცერტის შემხედვარე, წყალში ფულის გადაყრა არ უნდათ. უვარგისი აკუსტიკის დარბაზებში უნდა აიკრძალოს კონცერტების მოწყობა, რომელსაც არც რეჟისორის ხელი ეტყობა და არც მხატვრისა, უნიჭოდ გაკეთებული შოუ კი ადასტურებს, რომ მის ორგანიზატორს მხოლოდ კომერციული მიზნები ამოძრავებს.

— საერთოდ, რამ გიბიძგა, მაინცდამაინც საკონცერტო რეჟისურისთვის რომ მოგეკიდებინა ხელი?



ჯანსუღ ჩარკვიანთან და მერაბ სეფაშვილთან ერთად კონცერტის შემდეგ

– ბავშვობიდანვე რეჟისორობაზე ვოცნებობდი, მაგრამ სწავლა თავდაპირველად ფიზიკულტურის აკადემიაში განვაგრძე იმის გამო, რომ მშვიდლოსნობას მივსდევდი. მამაჩემი – გივი არჩვაძე საქართველოში ამ სახეობის სპორტული სკოლის დამაარსებელია. აკადემიის შემდეგ სწავლა განვაგრძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. პარალელურად ვმუშაობდი ტელევიზიაში, შემოქმედებით გაერთიანება „მამულში“. სწორედ მაშინ, ჩემმა მეზობელმა, გურამ რჩეულიშვილის დამ, ქალბატონმა მარინამ მიმიყვანა ერლომ ახვლედიანის სახელოსნოში, სადაც ერთი წელი ვისწავლე თეატრალური ინსტიტუტის კინოდრამატურგთა ფაკულტეტის სტუდენტების ჯგუფში. მანამდე ქალბატონმა მარინამ, გიორგი შენგელაიასთან მიმიყვანა, რომელმაც მიჩნია, რომ თავიდან ამომეგლო რეჟისორობაზე ფიქრი: ის დრო იყო, როცა საერთოდ არაფერი კეთდებოდა კინო და ტელეერეჟისურაში. ბატონი გიორგი ძალიან პესიმისტურად იყო განწყობილი. მეც, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი მქონდა საკონცერტო რეჟისურაზე მემუშავა, მატერიალურმა პრობლემებმა სავაჭრო ფირმაში მიმიყვანა მენეჯერად, ბატონ ჯონი გიგანთან და ბატონ ბესო ხარშიანთან. პარალელურად, ქალბატონ თამარ ჩარკვიანთან ერთად ვაწყობდი სადღესასწაულო სადამოებს, შემდეგ – კუს ტბაზე დავდგი შოუ, რომელიც

საქართველოს ტელევიზიის „I არხით“ გადაიცა. ბატონი ჯანსუღის სადამოკი, რეჟისორ ნუგზარ ჩხაიძესა და დათო ოქიტაშვილთან ერთად მოვაწყვე. ძალიან ვწერვიულობდი, მაგრამ როგორც მითხრეს, საინტერესო ნამუშევარი გამოვიდა.

– **თურმე ცნობილი ბიზნესმენები, მათ შორის, ისეთი, როგორც არის, ვთქვათ, ბადრი პატარკაციშვილი, შენ გინვევს ხოლმე სადღესასწაულო სადამოებისა და ფურშეტების მოსაწყობად. შენთვის ესეც ხელოვნებაა?**

– რა თქმა უნდა. ორი წლის წინ ლელა წურწუშიამ ბათუმში, ფესტივალის დროს, გამოხატა პოზიცია, რომელზეც დიდი ხანია ვდგავარ: რესტორანში გამართულ წვეულებაზე არასოდეს დავუშვებ ქართულ სუფრას! წარმოუდგენელია, პროფესიონალი მდეროდეს და შენ ამ დროს ქათმის ბარკალი გეჭიროს ან საცივს ჭამდე. შამპანური, ხილის ასორტი და სურვილისამებრ მაღალი კლასის სივარეტი სხვაგვარად განაწყობს წვეულების მონაწილეებს.


– **აუსრულებელი ოცნებები თუ გაქვს?**

– ბავშვობიდან გამოყოფილი – რამდენიც გინდა. სოლოლაკში „იტალიურ ეზოში“ გავიზარდე, სადაც უამრავი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა და რატომღაც, ყველა ქართველი მეგონა. კარგი დრო იყო. ჩემს ბავშვობაში

უფროსი თაობაც სხვანაირი იყო. მასწავლიდნენ: მეგობარი გამორჩენის მიზნით არ უნდა გაიჩინო, გაჭირვებულს უნდა დაეხმარო და როცა შენს უბნელ გოგონას ვინმე შეაწუხებს, თუ საჭიროა, თავიც უნდა შეაკლავო... მეზობლის ბავშვები სულ ჯოკერს თამაშობდნენ ხოლმე. გული მიწუხდა. მათთვის ეზოში დავდგი სპექტაკლი – „ბარონი მიუნჰაუზენი“. მერე „ალიბაბა და 40 ყაჩაღი“ მინდოდა დამედგა, მაგრამ რუსულად კარგად ვერ ვკითხულობდი, არადა ეს ზღაპარი მხოლოდ რუსულ ენაზე მქონდა. ერთხელაც, ნათესავის ბავშვი გვესტუმრა, დავსვი და ვაკითხე, მაგრამ დედამისმა ძალე წაიყვანა და „ალიბაბა და 40 ყაჩაღი“ დაუდგმელი დამჩნა. ეს არის ჩემი ერთადერთი განუხორცილებელი ოცნება: ძალიან მინდა, ქალაქის ცენტრში დავდგა ულამაზესი შოუ, სადაც ყველა მიიღებს მონაწილეობას და ადამიანებს, თუნდაც საათ-ნახევრით ეყვარებათ ერთურთი და ღიმილს არ დაიშურებენ ერთმანეთისთვის.

– **საახალწლოდ თუ აპირებ შოუს მონაწილას?**

– 31 დეკემბერს კუს ტბაზე, რესტორან „ვიკენდში“ ვმართავ საახალწლო შოუს, რომელშიც ეკა კვალიაშვილი, რომა რცხილაძე, თათია გიორგობიანი ცოცხალი შესრულებით იმღერებენ, წამყვანი, მამუკა ონაშვილი იქნება. ახლო მომავალში მოვაწყობ ჩემი საკუთარი კომპანიის – „პრომოუშენელის“ პრეზენტაციას, საახალწლო დღესასწაულის შემდეგ კი, რამდენიმე საინტერესო, დიდ სანახაობას წარმოგიდგენთ.



ლელა ჭანჭიჭაძე

საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაცია I კლინიკურ სავადმყოფოში, ზოგადქირურგიულ კლინიკაში მდებარეობს (მკითხველს შევახსენებთ: თირკმლის გადანერგვის თემაზე პირველი წერილი „გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ). აქვე დაარსებულია საინფორმაციო ბანკი, სადაც რეგისტრირდება მონაცემები ორგანოგადანერგულ პაციენტთა, დონორთა და დონორობის მსურველთა შესახებ. თავად ცნება „დონორობის მსურველი“ იწვევს უამრავ გაუგებრობას. აღამიანებს ჰგონიათ, რომ შეუძლიათ საკუთარი ნებით მივიდნენ საინფორმაციო ბანკში და გაყიდონ რომელიმე ორგანო, ამ შემთხვევაში – თირკმელი. იმ ერთი საათის განმავლობაში, რაც საინფორმაციო ბანკის მუშაობის პრინციპების გაცნობას მოვანდომე, რამდენიმე ადამიანმა დარეკა და მოითხოვა – თირკმლის გაყიდვაში დამეხმარეთო. საკმარისია წარმოიდგინო მთელი ის პროცესი, რომელიც საოპერაციო ბლოკში უნდა გაატაროს ადამიანმა, რომ ნათელი გახდეს დონორობის მსურველ ადამიანთა ფინანსური და სულიერი მდგომარეობა.

...ოჯახი შიმშილით მეზოცებოდა, ერთი თვის მანძილზე, შეილებს პურზე წასმულ დანაყულ ნიორს ვაჭმევდი... უმცროსი გოგონა მკითხებოდა: რომ ვინაზრო, ახალ წელს თოვლის პაპა კარაქიან პურს ხომ მომიტანსო?... მზად ვიყავი, თირკმელი კი არა, სულიც გამეყიდაო, – ასე დაიწყო ჩემთან საუბარი ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ორჯერ ჩავიდა მოსკოვში თირკმლის გასაყიდად... არ იფიქროთ, მას საკუთარი ვინაობის გამხელა ესირცხვებოდა – უბრალოდ, იძულებული ვარ, ჩემი რესპონდენტები, რომლებიც ვაჭირვების გამო, ორგანოთა ტრეფიკინგში ჩაებნენ, ინკოგნიტოდ დავტოვო, რათა საფრთხე არ შევეუქმნა თავად მათ: შესაძლებელია, ხვალ ან ზევ მათზე „ნადირობა“ დაიწყოს. ორგანოთა ტრეფიკინგის ფართო ქსელში, იქნებ, ჩვენც ვართ ჩართულები, მიუხედავად იმისა, რომ ამას კატეგორიულად უარყოფენ ქართველი ტრანსპლანტოლოგები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება ნებისმიერს, ვინც ნებით თუ უნებლიეთ ეწევა ორგანოთა ტრეფიკინგის პოპულარიზაციას.

საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი ბატონი **ვია თომაძე** გულისტკივილით აღნიშნავს: – დღე არ გავა, ვინმემ არ შემოაღოს ოთახის კარი და არ მოვიდეს თირკმლის გაყიდვის სურვილით. ეს ადამიანები საოცარ ამბებს ჰყვებიან თავიანთი



„ვისაც თირკმელი მისცა, ის კასი მოკვდა და ფული კლარ გადაუხადეს...“

დღეცხრიდი ცხოვრების შესახებ: ზოგი ვალშია ჩავარდნილი და მეგალები მოსაკლავად დასდევენ, ზოგს ოჯახის რომელიმე წევრი ჰყავს ავად, ზოგსაც შვილი ელუპება შიმშილით. საბედნიეროდ, ძალიან მკაცრია კანონი, აღმინისტრაციულ კოდექსში შეტანილია მუხლი, რომლის თანახმად, ორგანოთა გაყიდვაში მონაწილეობა ისჯება თავისუფლებაში აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე.

— **თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, თუ არის ეჭვი, რომ საქართველოც ჩაბმულია ორგანოთა ვაჭრობის მსოფლიო ქსელში?**

– როგორც არის ადამიანთა ტრეფიკინგი, ასევე არსებობს ორგანოთა ტრეფიკინგი. სპეციალური კომისია შექმნილი ევროსაბჭოში. მე ვახლავართ ამ კომისიის წევრი. მეორე წელია, რაც ეს კომისია არსებობს და იკვლევს ნებისმიერ შემთხვევას, რომელიც გამოავლენს ორგანოთა ტრეფიკინგს. მაგრამ ორგანოებით ვაჭრობა, შეიძლება ითქვას, იატაკქვეშა ბიზნესია, ამიტომ მასთან ბრძოლა განსაკუთრებით ძნელია. თქვენ წარმოიდგინეთ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგია ასეთი ვაჭრობისთვის. დადგენილია, რომ მოლდავეთიდან დონორები მიჰყავთ თურქეთში. თურქეთში ჩამოჰყავთ რეციპიენტები ისრაელიდან, საბერძნეთიდან, ამერიკიდან. ძირითადად, ჩამოჰყავთ შე-

ძლებული ხალხი და თურქეთში უკეთებენ თირკმლის ტრანსპლანტაციას. არსებობდა ვერსია, თითქოს თბილისის ერთ-ერთ პატარა კლინიკაში ხდებოდა თირკმლების გადანერგვა. ეს ინფორმაცია გაავრცელა მოსკოვის ერთ-ერთმა ჭორიკანა გაზეთმა. ჩვენმა ასოციაციამ ჩაატარა კვლევა, მაგრამ ეს ფაქტი არ დადასტურდა. შემდეგ დაუკავშირდით მოლდავეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს და მათაც გვაუწყეს, რომ ამ საქმეში საქართველოს მონაწილეობა არ დასტურდება. ჩვენ, ქართველ ტრანსპლანტოლოგებს გვაქვს კავშირი „სიარეისთან“ – ეს არის ამერიკული ორგანიზაცია, კორუფციის საწინააღმდეგო ცენტრი, რომლის მეშვეობით ვიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად როგორი მდგომარეობაა ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობის მხრივ. არის შემთხვევები, როცა ქართველები მიდიან ორგანოთა გასაყიდად. ერთ ქართველს პეტერბურგში გაუკეთდა ასეთი ოპერაცია, ერთი – ჯერ პეტერბურგში ჩავიყვანეს, შემდეგ ესპანეთში გადაიყვანეს.

— **ჩვენ დაგვიკავშირდა თბილისელი ქალი, რომელიც მოსკოვში ტრანსპლანტაციის ინსტიტუტში ჩავიდა თირკმლის გასაყიდად. გაუკეთდა ანალიზები. აღმოჩნდა, რომ ორსულად იყო. ნამოვიდა უკან. თბილისში გინეკოლოგების დახ-**


მარებით, მოხდა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა. სამი თვის შემდეგ ისევ წავიდა, ისევ გაიკეთა ანალიზები. გადაწყდა, რომ თირკმელი უნდა მიეცა პეტერბურგელი გოგონასათვის, რომელიც ოცდასამი წლისაც არ იყო. მოხდა სასწაული: ოპერაციამდე სულ რაღაც ორი საათით ადრე, ის გოგონა გარდაიცვალა...

— ვინტერესებით ასეთი შემთხვევებით. ყველაზე ხშირად, გერმანიაში გადასული თირკმლების, უფრო სწორად — გაყიდული თირკმლების თაობაზე შემიტყვია. ჩემთან მოდიან და მეხვეწებიან — გამაყიდვინე თირკმელიო. როგორც კი უარს ვუბნები, დაუფარავად ამბობენ: მაშინ იძულებული გავხდებით, უცხოეთში წავიდეთო... ვეკითხები — ვინ უნდა წავიყვანოთ, რა კონტაქტები აქვს მას უცხოეთში? — არაფერს მპასუხობენ. საქართველოში, სახელმწიფო დონეზე არ არსებობს რაიმე სპეციალური კომისია, რომელიც ასეთ საკითხებს შეისწავლიდა. ძირითადად, ჩვენი ასოციაცია ცდილობს, გამოავლინოს მსგავსი შემთხვევები. რამდენჯერმე, პრესაშიც გამოჩნდა განცხადება: „გაყვიდი თირკმელს“.

— კანონით, ორგანოთა გაყიდვის რეგლამირება აკრძალულია, მაგრამ ასეთი განცხადება ტელევიზიითაც იყო. თუ არის ეს ფაქტი თქვენი ასოციაციისთვის ცნობილი?

— წავიკითხე ასეთი განცხადება მოძრავ სტრიქონში. ჩავიწერე ტელეფონი. დავრეკე და ქალმა მიპასუხა — მინდა თირკმლის გაყიდვაო...

— კანონით, ორგანოთა ვაჭრობა 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, მაგრამ ჩვენი თანამემამულეები თამამად საუბრობენ იმაზე, თუ როგორ გაყიდეს თირკმელი. მაგალითად, ცნობილია, რომ ქუთაისელმა ქალმა ოცდაცხრა წლის ასაკში გაყიდა თირკმელი. ის ჯერ საქართველოში გამოიკვლიეს, შემდეგ — ევროპაში. მან თირკმელი 40.000 დოლარად გაყიდა. როგორც ამბობენ, სადღეისოდ ფასი ძალიან დაეცა და ახლა თირკმელი 5.000 დოლარი ღირს. ის ქალი წერდა, რომ მასთან ერთად იყო თბილისელი ქალი, რომელიც 18.000 დოლარად ყიდდა ელენთას. თქვენს ასოციაციას მსგავსი ინფორმაცია არა აქვს?



პროფესორი გია თომაძე

— სამწუხაროდ, ჩვენში შესაძლებელია, ისე გაფორმდეს საბუთები, რომ, ვთქვათ, მე და თქვენ და-ძმანი აღმოვჩნდეთ. ხდება საბუთების გაყალბება და შეიძლება, შეცდომაში შევიდეს ეთიკური კომისიაც კი. ორგანოთა ტრეფიკინგი საკმაოდ სერიოზული და მრავლისმომცველი პრობლემაა.

— ეთიკური კომისია ამჟამად თუ მუშაობს დონორობის მსურველი რომელიმე ადამიანის საბუთებზე?

— ამჟამად დეიდაშვილი აძლევს თირკმელს მორე დეიდაშვილს და დგინდება, ნამდვილია თუ არა ეს ნათესაური კავშირი. ორივე დეიდაშვილის დაბადების მოწმობებში ხომ წერია დედის სახელი, გვარი და მამის სახელი. უნდა შემოწმდეს დედების დაბადების მოწმობებიც. ორივე დედის დაბადების მოწმობაში უნდა იყოს მამის ერთი და იმავე სახელი და გვარი.

...პროფესორმა გია თომაძემ ინტერვიუზე დაივიანა. მე უამრავ ადამიანს ვეკითხებოდი: მოვა თუ არა დღეს სავადმყოფოში-მეთქი? როგორც ჩანს, ყურადღება მიექცე. დაახლოებით ორმოცი-ორმოცდახუთი წლის ქალბატონი გამომელაპარაკა. შეიტყო თუ არა ჩემი მისვლის მიზეზი, მითხრა: დაგაკავშირებთ თამუნას — მან ამ ხუთი წლის წინ მარცხენა თირკმელი გაყიდაო. სხვათა შორის, იმ ადამიანებიდან, რომლებმაც თირკმელი გაყიდეს ან გაყიდვა სცადეს, უმეტესობა ქალია, უფრო მეტად რომ დაავაკონკრეტო — ჩემ მიერ მიკვლეული შვიდი დონორიდან ექვსი ქალი აღმოჩნდა...

თამუნას ბინაში გასაოცარი ამბები მოვისმინე. თურმე, როგორც კი შეიტყო, რომ ვილაყამ თირკმელი გაყიდა, მასაც გაუჩნდა იგივე სურვილი და ყველაფერი გააკეთა, რომ ტრეფიკინგის ქსელში ჩაბმულიყო. აი, რას ამბობს იგი:

— გვიჭირდა, დედა ღამით მუშაობდა, დიღუბის ავტოსადგურში საცხობი იყო. იქ ხაჭაპურებს აცხობდა, ღამეში სამ ლარს აძლევდნენ. სახლში გაწამებული მოდიოდა და იწყებდა ნამცხვრების ცხობას, რომ გაეტანა და გაეყიდა. მე სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა და ექიმობაზე ვოცნებობდი. ერთ დღეს, პრესის საშუალებით გავიგე, რომ ვილაც ქალმა თირკმელი გაყიდა ძალზე სოლიდურ ფასად. არც მიფიქრია, ისე განვუცხადე საკუთარ თავს: მეც გავყიდი თირკმელს და ამ გავჭირვებიდან გამოვალთ-მეთქი.

— ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღე, რამდენი წლის იყავი?

— ოცი წლის ვერ არ ვიყავი. დაწვერე განცხადებები: „გაყვიდი თირკმელს“ — და პირდაპირ ხეებზე გაგაკარი. სულ რაღაც სამი დღის შემდეგ, დამიკავშირდა ვილაც კაცი და მითხრა: თუ მართლა შეეღვევი თირკმელს, მე დაგეხმარებიო.

— ვინ იყო ის კაცი ან როგორ დაგიკავშირდა?

— რადგან მისი ქმედება უკანონოა, ვიტყვი მხოლოდ ერთს: არ ვიცი, ვინ იყო, მაგრამ მან გამიკეთა ყველაზე დიდი სიკეთე... განცხადების ბოლოს ეწერა ჩემი მისამართი. მოვიდა ის კაცი, მე ამ დროს სადარბაზოში შევდიოდი. მკითხა — თამუნა სად ცხოვრობსო. მეც ვუთხარი — მე ვარ-მეთქი. ჩუმად ისე, რომ არავის გაეგო, დამელაპარაკა. შემდეგ ღამით მოვიდა. მარტო ვიყავი. ორი თუ სამი საათის განმავლობაში მელაპარაკებოდა. მერე დედაჩემთან მივიდა და უთხრა: სახლში ავადმყოფი შვილი მყავს, მინდა, თქვენმა გოგომ მასთან იმეგობროს, როცა დრო ექნება, მოვიდეს ჩვენთან, ჩემს შვილსაც თამუნა ჰქვია და გაართოს; ამ სამსახურისთვის თვეში 200 დოლარს გადავუხდით. დედა დათანხმდა, როცა ავადმყოფი გოგონას სურათები ნახა. ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის იყო მოწყობილი, რომ ვინმეს რაიმე ეჭვი არ გასჩენოდა, თუ სახლიდან ხშირ-ხშირად წავიდოდი.

— რატომ უნდა წასულიყავი სახლიდან ხშირ-ხშირად?

— ის კაცი ფსიქოლოგიურად მამზადებდა. ოპერაციისთვის, თან დაყვავიდი გამოკვლევაზე; თუ ჩემი თირკმელი არ გამოდგებოდა, მე დონორობას ვერ შევძლებდი. მიყიდა თბილი ტანსაცმელი, რომ უცაბედად არ გავცივებულიყავი. როცა მივდიოდი მათთან, ისეთ სუფრას მახვედრებდა, ჩიტის რძეც რომ არ აკლდა. მაიძულებდა კარგად მეჭამა. ყველაფერს აკეთებდა, როგორმე ჩემი თირკმელი რომ მიეღო. ბოლოს, დადგინდა, რომ შემქმლო დონორობა. ეს უკვე მოსკოვში დადგინ-

და და ჩვენც გაფურინდით ღიდ რუსეთში.

— დედამ გაგიშვა?

— კი. გამაცილა კიდევ. მას ვუთხარი, რომ ამ კეთილ ოჯახს ისე მოვეწონე, ავადმყოფი შეიღის მომვლელად ამიყვანეს, რადან გოგონა მოსკოვში მიჰყავთ სამკურნალოდ, მეც უნდა წავიდე-მეთქი. დედას უარი არ უთქვამს. მაცდუნებელი აღმოჩნდა ხუთასი დოლარი, რომელიც ვითომ უნდა გადაეხადათ ჩემთვის ჩემივე მოსახელე ავადმყოფი გოგონას მოვლაში... ვიდრე წარმოვიდგენდი, იმაზე იოლად გადავიტანე ოპერაცია: მეოთხე დღეს საავადმყოფოდან გამომიყვანეს. საბუთები ისე გაფორმდა, თითქოს ერთი ტყუპისცალი მეორეს აძლევდა თირკმელს... მაგრამ მოხდა ძალიან ცუდი რამ: ისედაც დაუძლურებულმა გოგონამ იმუნოდებრესანტებს ვეღარ გაუძლო და ოპერაციიდან ხუთი საათის შემდეგ გარდაიცვალა. მისმა ორგანიზმმა ჩემი თირკმელი ვერ შეითვისა.

— ე.ი. უნდა ცდა, ვინმესთვის მიგცვა თირკმელი ფუჭი აღმოჩნდა?

— არა. ასე არ ვფიქრობ. მე მივეცი ჩემი თირკმელი ჩემს თანატოლს და ამაში ავიღე გასამრჯელო. თამუნა რომ დაკრძალეს (მოსკოვში) მე ორი კვირა კიდევ იმ ოჯახში ვცხოვრობდი, შემდეგ გადამიხადეს ფული და გამომიშვეს თბილისში. დედამ, რა თქმა უნდა, ვერაფერი გაიგო. ხუთი თვე იყო გასული ოპერაციიდან, ჩემი ჭრილობა რომ დაინახა. აღარ დამიფიცია, სიმართლე ვუთხარი. რაღას იზამდა? — თირკმელი უკვე აღარ მქონდა.

— ოპერაციამდევე პერიოდში არ გაგიჩნდა სურვილი, გამოქცეულიყავი და ხელი აგელო ამ განზრახვაზე?

— სხვათა შორის, გამაფრთხილეს, რომ თუ მსგავს რამეს ჩავიდენდი, ჩემთვის ერთი ტყვია დაიხარჯებოდა...

— გამოდის, გეზინოდა კიდევ.

— მხოლოდ ოპერაციის წინა დღეს. შიშისგან ისეთი კანკალი დამეწყო, მთე-

ლი სხეული მიცანცახებდა. კვილი — თბილისში დამაბრუნეთ-მეთქი, მაგრამ შუბლზე ლულა რომ მიმადეს, დავწყნარდი. ავადმყოფი ერთი კვირა იწვა საავადმყოფოში, მე მხოლოდ ოპერაციის დღეს მიმიყვანეს და დამაწვინეს.

— რამდენი გადაგიხადეს თირკმელში?

— იმ ფულით სახლში ყველაფერი მოვაწესრიგეთ. მე კომერციულ ინსტიტუტში ჩავაბარე, ხუთი წლის შესატანი წინასწარ გადავიხადე და ძალიან პატარა მაღაზია გავუხსენი დედაჩემს. მაღაზია არც ეთქმის, ფაქტობრივად, „ბუტკაა“, მაგრამ იმდენ მოგებას ტოვებს, რომ სახარჯო ფული ყოველთვის გვაქვს.

— თუ გაიცანი ვინმე მოსკოვში, ვინც თირკმლის გაყიდვას ცდილობდა ან ყიდდა?

— არა. კონტაქტი არავისთან მქონია. ვიცი მხოლოდ ის, რომ ავადმყოფი თამუნასთვის ანალიზები ჩააბარა ხუთმა ქართველმა გოგონამ, მაგრამ არც ერთის თირკმელმა არ ივარგა, ამიტომ მათ ვერ შეძლეს დონორობა. მე ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა, ჯერ არ მინანია, თირკმელი რომ გაყვიდე. პირიქით, საამაყოდ მაქვს, რომ ჩემი ცხოვრების პირობები გავიუმჯობესე, ისე, როგორც შეეძლო.

თამუნას მსგავსად, სამწუხაროდ, უამრავი ადამიანი გამოთქვამს სურვილს, რომ გაყიდოს თირკმელი ან სხვა ორგანო. დამიკავშირდა ორმოცი წლის ქალბატონი, რომელმაც თვალის რქოვანა გაყიდა. ადამიანები ყოველდღიურად მიდიან იმ საავადმყოფოებში, სადაც თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციები კეთდება და დახმარებას ითხოვენ. ჩვენ ვერ შევძელით დაკავშირება ვინმე დათო ღ-სთან, რომელიც თურქეთში წავიდა თირკმლის გასაყიდად; დღემდე იქ ცხოვრობს, ჯერ არ დაბრუნებულა. მისმა თბილისელმა მეგობარმა მიახბო:

— დათოს სულ ვეუბნებოდი — არ წახვიდე, არ გაყილო თირკმელი, გაქვს იმის გარანტია, რომ ცალი თირკმლით ცხოვრებას შეძლებ-მეთქი?! მეუბნებოდა: ცხოვრებაში ერთხელ მეც მინდა ვივრძნო, რომ კაცი ვარ და შეიღების რჩენა შემძლია... არ დამიჯერა. ჩავიდა რიზეში, სადაც დაუკავშირდა თავის ნათესავებს, რომლებიც ასევე თბილისიდან

იყვნენ წასულები და უკვე სამი წელიწადი იქ ცხოვრობდნენ. მათ მიიყვანეს ერთ-ერთ საავადმყოფოში, სადაც ექიმისთვის უთხოვია თურმე, დამეხმარეთ თირკმლის გაყიდვაში... ექვს თვეში დათოს უკვე აღარც ცალი თირკმელი ჰქონდა, არც ფული: ვისაც თირკმელი მისცა, ის კაცი დაიღუპა და მისმა ახლობლებმა ფული აღარ გადაუხადეს. გადაირია ბიჭი, უკან ვეღარ დაბრუნდა, დროებით, რიზეში, ნათესავებმა შეიფარეს. შემდეგ გამოჯანმრთელდა, მუშაობა დაიწყო და შარშან ჩამოვიდა, ცოლ-შვილს დახვდა, ფული დაუტოვა და წავიდა. მასთან დალაპარაკება აღარ შეიძლება: ისეა მოშლილი კაცი.

ამ ცოტა ხნის წინ ქირურგიის ინსტიტუტში ჩამოვიდა პროფესორი იან მაისუკი, რომელიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებს ქართველ ტრანსპლანტოლოგებს. საქართველოში ამჟამად დიალიზზე მყოფი 180 პაციენტი. ჩვენში გვაპური დონორობის პრაქტიკა რომ არსებობდეს, მათი 90% უახლოეს პერიოდში შეძლებდა ოპერაციის გაკეთებას. სახელმწიფო პროგრამით საქართველოში წელიწადში ათი ოპერაცია ფინანსდება, მეტი არც კეთდება. თუ გვაპური დონორის პრაქტიკა დაინერგა, წელიწადში მინიმუმ, ორმოცდაათი ოპერაციის გაკეთება გახდება შესაძლებელი. ადამიანის ორგანოების, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების აღებისა და გამოყენების შესახებ საქართველოს კანონში წერია, რომ ყოველგვარი ზემოქმედება დონორობის მსურველ ადამიანზე (მუხლი 18) ისჯება. ქართველი ტრანსპლანტოლოგები ეთიკური კომისიის დასკვნას ეყრდნობიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ იციან: თუნდაც გენეტიკური ნათესავები, იოლად ვერ თანხმდებიან დონორობაზე...


თირკმლის გადანერგვის ოპერაცია ხუთი-ექვსი საათი მიმდინარეობს და საკმაოდ რთულ ოპერაციად ითვლება. იმ ათი ათასი ლარიდან, რომელიც სახელმწიფო პროგრამით თითოეულ ასეთ ოპერაციაზეა გამოყოფილი, თავად ტრანსპლანტოლოგს ორმოცდასამი ლარი ეკუთვნის. საერთოდ, სახელფასო ფონდად იანგარიშება განსაზღვრული თანხის 25%, რომელზეც დაქვითვაც ურცელდება. 10.000 ლარის 25% პლუს დაქვითვა უნდა გადაინაწილდეს იმ მედპერსონალზე, რომელიც ოპერაციას აკეთებს. მართლაც სასაცილო თანხა გამოდის... სახელმწიფო სოციალურად ვერ უზრუნველყოფს თავად მედპერსონალს. ბუნებრივია, მის წარმომადგენლებსაც თავისუფლად შეიძლება გაუჩნდეთ კანონის გვერდის ავლით დონორობის სურვილი...



პაციენტი ნოდარ პავლიაშვილი ჰემოდიალიზის დროს

დაშაქრული სიამ

ჩვენი ერთობ შფოთიანი ცხოვრების დატყობის უმარტივესი მეთოდი – ფინჯან ჩაიში შაქრის ჩამატებაა. სწორედ ასე იქცევა ადამიანთა 99 პროცენტი, მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ ეს პროდუქტი სასარგებლო არ არის. ამასთანავე, შაქრის მოყვარულები სულ იმის ფიქრში არიან, თუ რომელი სახეობა აირჩიონ – რუხი, თეთრი თუ დამწვარი...



როცა ალექსანდრე მაკედონელის ჯარისკაცებმა ინდოეთის მიწაზე ფეხი პირველად დადგეს, უძველესი ქვეყნის ბევრ სხვა საოცრებასთან ერთად მათი ყურადღება მანამდე უცნობმა თეთრმა, მკვრივმა პროდუქტმა მიიქცია, რომელსაც სასიამოვნო ტკბილი გემო ჰქონდა. „ეს ლერწამი ფუტკრის გარეშე იძლევა თაფლს“. პროდუქტს „საკარა“ ან „სარკარას“ უწოდებდნენ, რადგან იგი ქვიშას ჰგავდა. ამრიგად, შაქრის წარმოება ინდოეთში დაიწყო, შემდეგ ამ პროდუქტმა სპარსეთში შეაღწია, ხოლო VII საუკუნეში ევროპასაც მიაღწია და მაშინვე დეფიციტური

გახდა. ცნობილია, რომ ინგლისის მეფე ჰენრი მესამეს, რომელმაც მოინდომა, საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავად, სტუმრებს ეგზოტიკური სიახლით გამასპინძლებოდა, კონტრაბანდული შაქრის შეტანა ისეთ მაღალ ფასად მოუწია, რომელიც მისი მდიდარი ფანტაზიისთვისაც კი წარმოუდგენელი იყო. XVIII საუკუნეში ევროპაში ჩაი, ყავა და შოკოლადი გავრცელდა და ამ ახალმა პროდუქტებმა ადამიანთა ცხოვრებაში მანამდე არნახული

სიტკობა და სიამოვნება შეიტანა. იმავე საუკუნეში გერმანელმა მეცნიერმა ანდრეი მარკგრაფმა შაქრის მიღება ჭარხლისგანაც შეძლო.

იმ დროიდან შაქარი ხელმისაწვდომ პროდუქტად იქცა. ნირსახეობის მიხედვით კი, იგი ჭარხლისა და ლერწმის შაქრად იყოფა, მაგრამ თითოეულ ჯგუფს სხვადასხვა სახეობაც აქვს. ყავისფერი შაქარი მხოლოდ ლერწმისგან მიიღება, ის ნაწილობრივ დამუშავებას ექვემდებარება და ამიტომ, ნატურალურ ფერსა და ბუნებრივ არომატს ინარჩუნებს. ასეთ შაქარში დარჩენილი ლერწმის ნაწილაკებით ორგანიზმი მისთვის სასიცოცხლო ნივთიერებას იღებს, რომელიც ცხიმის დაგროვებას უშლის ხელს. სწორედ ამის გამო, ყავისფერი შაქარი მის თეთრ ანალოგზე უფრო მარგებლად არის მიჩნეული.

ინგლისელები უპირატესობას მუქ ყავისფერ შაქარს ანიჭებენ. ის თითქმის შავია და მძაფრი გემო და არომატი აქვს, რომელიც განსაკუთრებით, ცხობის დროს ვლინდება. ამიტომ მას უმეტესად საკონდიტრო ნაწარმსა და ეგზოტიკურ საწებლებში იყენებენ. ჩაიში ან ყავაში ასეთი შაქრის ჩამატება, სწორედ მისი არომატისა და სპეციფიკური გემოს მიზეზით, რეკომენდებული არ არის. უფრო შესაფერისად საამისოდ, ღია ყავისფერი, გაწმენდილი შაქარი ითვლება.



პატარა მგალობელი ფრინველი	ფილმი გოგი ქავთარაძის მონაწილეობით	ყვავილი	ქ. ნეაპოლის საფეხბურთო კლუბი	„გალახიანი“ კურორტი საქართველოში	ირანის მეფის ტიტული	სასცენო დრამატული ნაწარმოები
	ჩიხნა		იპარეგოსი	ასხმა	ვაჟა	შინი
გორეალორის შეძახილი	მხალაი	თქმულება რამაზე ანუ „(...“	მაკარონი	გემის სახეობა	თამარის მეფე-ვიორგი	გრძელთმიანი ახალგაზრდა
						მს./ფ. ანა რევი

თქნისა



ცილას და რადგან ორგანიზმს აუცილებლად ესაჭიროება ეს ნივთიერებები, შაქართან ერთად, აუცილებლად უნდა მიირთვათ სხვა პროდუქტიც, რაც მეტი კალორიის მიღებასა და შესაბამისად, წონაში მომატებასაც ნიშნავს.

გავრცელებული აზრი, თითქოს შაქრის მიღება გონებრივ და ფიზიკურ შრომისუნარიანობას ამაღლებს, სამეცნიერო გამოკვლევებმა არ დაადასტურა. შაქრის მიღების შემდეგ, სისხლში მისი შემცველობა მკვეთრად იმატებს და სულ მალე იკლებს, რაც შაქრის ახალი ულუფის მიღების მოთხოვნილებას იწვევს.

სინამდვილეში, შაქრის მიღებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – სიამოვნება, ტკბილი საკვებისკენ ლტოლვა კი მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული და იმავდროულად, მავნე ჩვეულებაა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ შაქარი ორგანიზმიდან B ვიტამინის გამოდევნას და ძელოვან-კუნთოვანი სისტემიდან კალციუმისა და მაგნიუმის გაქრობას უწყობს ხელს. შაქრის დიდი რაოდენობით მიღება კარიესის გამომწვევე ბაქტერიების რაოდენობის ზრდასაც უწყობს ხელს. ყველაფერ ამასთან ერთად, შაქარი დამლუპველად მოქმედებს კუჭქვეშა ჯირკვალზე, რომელიც სისხლში შაქრის

შემცველობას არეგულირებს და ამასთანავე შაქრის დიაბეტის გამოწვევაც შეუძლია. საუკუნის კიდევ ერთი დაავადება, რომლის მიზეზადაც შაქარი ითვლება, არის ჰიპოგლიკემია. შაქრის დიდ რაოდენობას „დაჩვეული“ კუჭქვეშა ჯირკვალი ნორმაზე მეტი რაოდენობის შაქრის დაწვას იწყებს, ამის შედეგად სისხლში გლუკოზის შემცველობა იკლებს და ადამიანი მოღუნებული და გაღიზიანებული ხდება.

ყველა ამ მნიშვნელოვანი მიზეზის მიუხედავად, უშაქროდ არსებობა წარმოუდგენელია. რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს? ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით გამოგონებულია შაქრის შემცველები, რომელიც ნაკლებ კალორიებს შეიცავს ან საერთოდ არ შეიცავს მათ. ასეთებია: ქსილიტი, სორბიტი, ფრუქტოზა, სახარინი, ასპარტამი და ციკლომატი. თუმცა, გასუქება ფრუქტოზის მოხმარების დროსაც ყოფილა შესაძლებელი, ოღონდ, ეს უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ახლახან კი ისიც გაირკვა, რომ არაკალორიული ქსილიტი კანცეროგენული (ავთვისებიანი სიმსივნის გამომწვევი) ყოფილა.

ამრიგად, რადგან კვების რაციონიდან შაქრის სრული განდევნა შეუძლებელია, საჭიროა, მისი ზომიერად მოხმარება ვისწავლოთ.

თუ ლერწმის ყავისფერი შაქრის დატუშავება გაგრძელდა – ე.ი. მცენარეს ნარჩენი ნაწილაკები მოშორდა და საღებავების მეშვეობით გათეთრდა, – რაფინირებულ თეთრ შაქარს მივიღებთ. თუმცა, ამ დროს შაქარს ყველა სასარგებლო ნივთიერება შორდება და პრაქტიკულად, სუფთა ნახშირწყალს ვიღებთ. ჭარხლის შაქარი მხოლოდ რაფინირებული შეიძლება იყოს და გემოთი და თვისებებით ლერწმის რაფინირებული შაქრისგან არ განსხვავდება.

თეთრი შაქრის სახეობებს კრისტალების ზომის მიხედვით განასხვავებენ. მაგალითად, ჩვენთვის კარგად ნაცნობი შაქრის ფხვნილის გარდა, არსებობს სხვადასხვა ზომის კრისტალებიანი შაქარი, რომელსაც ცხობისას, განსაკუთრებით კი, კოქტეილების მოსამზადებლად იყენებენ. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, გაჩნდა ადვილად ხსნადი რაფინირებული შაქარი, რომელიც სპეციალურად გამაგრებელი სასმელებისთვის არის განკუთვნილი. არსებობს კიდევ მსხვილკრისტალებიანი შაქარი, რომელსაც გამოცხვარ ღვეზელზე ან ნამცხვარზე მოსაფრქვევად იყენებენ, რადგან მსხვილი კრისტალები კარგად ირეკლავს შუქს.

თუ შაქრის ფხვნილს ტემპერატურის ზემოქმედების ქვეშ მოვაქცევთ, კარამელის მსგავს შაქარს მივიღებთ. ითვლება, რომ ამგვარი სახით დამუშავებული, რაფინირებული შაქარი ჩვეულებრივზე უფრო სასარგებლოა.

გავრცელებული აზრის მიხედვით, შაქრის უმეტეს რაოდენობას საკონდიტრო ნაწარმთან ერთად ვიღებთ, სინამდვილეში კი, შაქრის შემცველობა ბევრად მეტია ჩვეულებრივ პროდუქტში. ამასთანავე, თუ ჩაის, ყავას და ფაფას შაქრით მიირთმევთ, გახსოვდეთ, რომ ამ „დაშაქრული სიამოვნების“ ყოველი გრამი ექვს კალორიას შეიცავს, თანაც, ეს „ცარიელი“ კალორიებია, რადგან რაფინირებული შაქარი არ შეიცავს ვიტამინებს, მინერალებსა და

ქანდაკება	ერბ-ერთი თითი	სახელმწიფო ლათინურ ამერიკაში	საიდუმლო ნიშნების სისტემა	მუხლის სახსრის ხრტილი	ჯამის ფორმის სახმისი
ქ	ბ	გ	დ	ე	ვ
ზ	თ	ი	კ	ლ	მ
ნ	ო	პ	ჟ	რ	ს
ტ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ყ	ფ	ყ	შ	ჩ	ც
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ფ	ყ	შ	ჩ	ც	ძ
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც
წ	ჭ	ხ	ყ	ც	ძ
ჭ	ხ	ყ	ც	ძ	წ
ხ	ყ	ც	ძ	წ	ჭ
ყ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ც	ძ	წ	ჭ	ხ	ყ
ძ	წ	ჭ	ხ	ყ	ც

სალომე მომიტაშვილი

– ფშავური ქორწილი ნამდვილი დღესასწაულია.
 – „ლაშარის გორზე“ მღვარი მუხა შიბით ზეცაში ყოფილა მიბმული...
 – სახლის სანახავის მიტანის დღიდან საქმროს შეუძლია დამე საცოლესთან გაათიოს...

– გამაირებისას მყრები შეიძლება ერთმანეთს ხანჯლებითაც დაერიონ.
 – „მეფარები“ ხმამაღლა „დაჰყეფდნენ“, ვინ რა საჩუქარი მთართვა ნეფე-დელოფალს.

– გვირგვინმოხდილი ნეფე მყრებმა თუ დაიჭირეს, თავის „დასახსნელად“ სასმელი უნდა მიიტანოს.

გასული საუკუნის შუა ხანებამდე ფშავში ორი წელი მინც დადიოდა მაჭანკალი საპატარძლოს ოჯახში, სანამ „აგრეობას“ (თანხმობას) არ მიიღებდა. ამ თანხმობას სასიძოსგან ძვენი მოჰყვებოდა და ამის შემდეგაც შეიძლება ისევ უარი (ამჯერად ყასიდად) ეთქვას ქალის მშობლებს, რომელთაც შუამავალი ფულს (განსაზღვრული ოდენობით) მართმეფდა, რასაც „ლიშნის დაჭერა“, ანუ ნიშნობა მოჰყვებოდა.

ამის შემდეგ ქალის ოჯახში სუფრა გაიმართებოდა, დანიშნულებსაც ერთად დასვაძმდნენ, წინ ღვინით სავსე ვიწრო დაუდგამდნენ, ხვევისბერი ვიწრო ანთიბულ სანილებს დაამყრებდა... ვიწროდან ღვინოს ამოიღებდნენ ყანწებით და ხვევისბერი ვიწრო მუხის ანგელოზს შესთხოვდა წყალობას. ფშაველთა რწმენით, ლაშარის გორზე მღვარი მუხა შიბით ზეცაში ყოფილა მიბმული...

„ერთუროს შგაებრენს, ერთ სასთაულზე დაგაბერენს, გჯნეთ ბედიან-დავლათიანნი...“ – ხვევისბერის წარმოთქმულ ამ სადიდებელს ყველანი იბოროებდნენ. აქვე „მეფარს“ აირჩევდნენ ორივე მხრიდან. მეფარები ხმამაღლა „დაჰყეფდნენ“, ვინ რამდენი და რა საჩუქარი მთართვა ნეფე-დელოფალს. ეს საჩუქარი ოქროს ფულიც შეიძლება ყოფილიყო, ცხვარიც და სიმბოლური ერთი მანეთიც...

პატარძლსაც მართებდა „თავის გამოჩენა“, მას თავისი მოქსოვილი წინდები უნდა დაერიებინა „სანაწოთისის“ (საჩუქრის მომტანისთვის) და მეფარისთვისაც.

ამჯერად ჩვენი რესპონდენტია ცნობილი ეთნოლოგი, საქართველოს მთის შესახებ შექმნილი არაერთი უნიკალური დოკუმენტური ფილმის ავტორი, პატონი **მირიან ხუციშვილი**, რომელიც იმდენი ნიშნობისა და ქორწილის უშუალო მონაწილე ყოფილა, თავდაც უჭირს დათვლა.

– სტუმარს მთაში განსაკუთრებული პატივით ეპყრობიან. ასე რომ, მე ამ მხრივ ძალიან გამიმართლა.

– **პატონო მირიან, როგორც ჩანს, ფშაველი ქალი ხელში წინდის ჩხირის დაჭერას შეძლებდა თუ არა, მაშინვე საქორწინოდ გასაჩუქებელი წინდების**

ქორწილი ფშავში ანუ მართ «სასთაულზე» დაბაბერნის...



ქსოვას იწყებდა.
 – მართლაც ასე იყო. და არა მარტო ქსოვას. ქალს პატარაობიდანვე უნდა დაეწყო თავისი „სათაფრის“ მომზადება. თვითონ ზრდიდა და უვლიდა სამზითვო ცხვარ-ძროხას, ნაწველსა და მატყლს ყიდა და ბარგ-ლოვის ამზადებდა.

– **მეტისმეტად გაჭიანურებულია ქორწინლისწინა სამზადისი, რით შეიძლება ამის ახსნა?**

– სიფრთხილით, რომლითაც ქალ-ვაჟის მშობლები და ახლობლები ეკიდებოდნენ ახალი ოჯახის შექმნას, ის ხომ აუცილებლად მტკიცე უნდა ყოფილიყო.

– **დაბერუნდეთ ისევ დანიშნულებთან. ბოლოს და ბოლოს, როდის იწყება ქორწილი?**

– ერთის მხრივ, ნიშნობა, შეიძლება ქორწილადაც ჩათვალოს, რადგან როცა დანიშნული, საცოლის ოჯახში „სახლის სანახავს“ მიიტანდა, იმ დღიდან საცოლესთან დამის გათივის უფლება ჰქონდა. ვკრისწერა კი კვირადღით იცოდნენ. იკვლებოდა საკლავი (დიდი რაოდენობითაც), აცხობდნენ პურ-ლავაშებს, მოხვეულ ქაღებს... რა თქმა უნდა, ქვაბებიდან ვერ აუდიოდნენ უემრიელესი ხინჯლებს ამოღებას.

– **ვინ უმშვენებდა გვერდს ნეფე-პატარძალს?**

– ნეფეს მეგვარე, ეგვიფი და მყრონი ახლდა, ქალს – ძმა, მდადი და ასევე მყრონი. მეგვარის მოვალეობა იყო, ორი დღე ნეფე-დელოფალს ვკრიანი სუფრით გასძლიოდა წინ. მდადი დელოფალს უვლიდა,

და, სამკაულებსა და ტანსაცმელს უსწორებდა. ეგვიფი ქორწილში „გამგებლის“ როლს ასრულებდა. მყრონის „საქმე“ ხომ იცით, რაც არის – ქეფი და დროს ტარება, რომელსაც ხანდახან ჩხუბიც გამოერეოდა ხოლმე და ამიტომ იყო, მექორწილენი ხანჯლებს არ იშორებდნენ. მდალსაც კი ხანჯალი ეჭირა – ემშაკმა ნეფე-დელოფალი არ დანავსო.

– **ახლა სუფრასთანაც „დავსდეთ“**

– თქვენ რომ ფშავურ ქორწილში მოხვედრილიყავით, დიდხანს მოგიწყვდათ სუფრასთან ყოფნა. ... ნეფე მყრებით მიდის დელოფლის სახლში. „ახალცილოთ“ ტოტე-ბიანი გვირგვინით შეამკობდნენ. სუფრას მოუსხდებოდნენ, საღამო ხანს სოფლის ეკლესიას მაშურებდნენ ვკრისწერაზე... შემდეგ თოფების სროლით ნეფის ოჯახში მიდიოდნენ. წინ ეგვიფი მიუძღოდნენ ცხენზე აკიდებული ქალის „სათაფრით“ (ლოგინი, ტანისამოსი, ჭურჭელი...). მექორწილეთ „ნეფის დედა“ ეგებებთ – ხანში შესული ქალი (ქერიფი და უშვილო არ უნდა ყოფილიყო) ხონჩით ხელში, რომელზეც თაფლიანი ვაძი და საფური (ხაშის ნაჭერი) იდო. მყრები სახლის კართან ხმალ-ხანჯალს გადაავარდნიდნენ და ნეფე-დელოფალს ქვეშ გაატარებდნენ. „ნეფის დედა“ აიღებდა საფურს და კარის ბჭეს წაუსვამდა – პურად და ბარაქიანი ოჯახი გჭირდეთო, შემდეგ ნეფე-დელოფალს სამ-სამჯერ თაფლს გაალოკინებდა და დალოკავდა, თაფლიან ვაძის კი მეგვარის ხონჩაზე დადებდა.

– **რა იყო მეგვარის ხონჩაზე?**

– ვკრიანი მრგვალი პური და თაფლიანი ვაძი. ვკარს ვაშლები ამკობდა. დელოფალს ნეფის წელზე შემოკრული ხელსახოცის წვერზე ეჭირა ხელი. ეგვიფი ნეფე-დელოფალს სამჯერ შემოატარებდა და სახლის კერიისკენ გაუძღვებოდა. მყრონიც თან მიჰყვებოდა.

ნეფე-დელოფალს ვაშლი ნაბებზე დასვაძმდნენ, ქალს კალთაში ბიჭუნას ჩაეკრებოდა ეგვიფი და ეტყოდა, გაუიანიძე იქნებო. დელოფალი, რა თქმა უნდა, ჭრელ წინდებს აჩუქებდა პატარას.

მყრები ორპირად დასხდებოდნენ. წინ ხონჩებს დაუდგამდნენ და „მეღვინეებსაც“ დაუწყებდნენ. ჩამართებდნენ ლავაშებს, ხორცს, ყველს და ყანწებით სასმელს (ლუღსა და არაყს). დაიწყებოდა სმა, ქეფი და შაირობა.

გამაირებისას მყრები შეიძლება ერთმანეთს ხანჯლებითაც დაერიოდნენ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ზღაპრით მთავრდებოდა.

ქორწილი სამ დღეს ვრძელდებოდა და ნეფის გვირგვინის მოხდით სრულდებოდა. გვირგვინმოხდილი ნეფე უნდა გაქცეულიყო, თორემ მყრებს რომ დაეჭირათ, „დასახსნელად“ სასმლის მოტანა მოუწევდა, რომელიც საჭვლა, საძლიანი ლხინის შემდეგ კიდევ დარჩენილ ოჯახში...

ელენე სალარიძე

ანტიკური ხანის ბერძენი მწერლის კლავდოუს პტოლემეოსის „გეოგრაფიაში“ დასახელებული ქალაქი სარაკე საჩხერის რაიონში ყოფილა, ყვირილის მარცხენა ნაპირზე და მას დღეს საირხე ჰქვია.

ანტიკურ-ელენისტური ხანის უძნეს-ვნილოვანესი ქალაქის ტერიტორია 70 ჰექტარს აღემატება და უდიდესია ქვეყნის ძველ დასახლებათა შორის.

საირხეში შემთხვევით მიაკვლიეს უძველესი ტაძრის ნაშთებს იმ ადგილას, რომელსაც მოსახლეობა ლომინაურს უწოდებს.

1966 წლიდან ლომინაურში განახლდა არქეოლოგიური გათხრები.

ვესაუბრებით ცნობილ ეთნოლოგს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, ელდარ ნადირაძეს.

— ჩემთვის ძნელიცაა და ადვილიც საირხის საგანმეურნეო საუბარი, რადგანაც აქ თითქმის ყოველი გოჯი ზეპირად ვიცი, შეიძლება ითქვას, რომ გათხრებზე გავიზარდე (საირხის არქეოლოგიურ ექსპედიციას მრავალი წელი ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული არქეოლოგი ჯურხა ნადირაძე, ბ-ნი ელდარის უფროსი ძმა, რომლის სახელსაც არაერთი საყურადღებო აღმოჩენა უკავშირდება ქართულ არქეოლოგიაში. — ავტ.). საირხის დასავლეთით აღმართულ 15 ბორცვზე და მათ შორის გაშლილ ვაკეზე, ადრე კოლხური ტომები ყოფილან დასახლებულნი. უფრო მეტიც, ქალაქი ჩვ.წ.აღ-მდე I ათასწლეულში ქვეყანას ლითონის ნაწარმით ამარაგებდა და აქაურ პროდუქციას თავისი წილი უნდა სდებოდა საგარეო ვაჭრობაშიც.

და რამდენადაც ვიცი, აღებშიცემობას ორმხრივი ხასიათი ჰქონია.


— ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებს ადასტურებს ის ფაქტი, რომ საირხეში მოპოვებული ფუფუნების საგნების ერთი ნაწილი ათენის ოლქში, ატიკაში, ფინიკიაში და აქემენიდური ირანის შორეულ ქვეყნებში მზადდებოდა.

რაც შეეხება ქართულ კულტურას?


— ამ მხრივ საირხის გათხრებმა არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი გამოავლინა...

სენსაციური ამბებიც მსმენია საბადურის გორის ოქრო-ვერცხლზე.

— ოქრო-საბადურის ეძახდნენ საჩხერელები. ჯურხას ერთი აქაური „განმის მომპოვებლისთვის“ მიუკვლევი, ვინმე ნინა



შართხლში გახსვდიდი საირხის განძი...



იხვისგამოსახულებიანი სიყვარულის სიმბოლო (ძვ.წ.აღ-ის V ს)

ქველადისთვის. ეს 80-ს გადაცილებული ჩია ტანის ქალი, ერთსა და იმავე ადგილს შეუცდომლად უჩვენებდა თურმე ჯურხას და ყოველთვის ერთსა და იმავე ამბავს უყვებოდა, რომ მან აქ იპოვა „ნახევარგირვანქიანი ოქროს სამაჯური, რომელიც ომამდე ტორესინგში ჩააბარა და სანაცვლოდ ბევრი ფართალი მიიღო. ჩამოზვაკვებულ მიწაში ოქროსთან ერთად იყო სპილენძის ქვაბები, ერთი მათგანი, ქარისგან რომ დაგვეცვა, ბუხრის ყელს დავაფარეთ, ხოლო მეორე სხვენზე ევლო“...

თუ მიაკვლიეს ამ ქვაბებს?

— სამწუხაროდ ვერა, მაგრამ საბუ-

ოქროს საყურეები (ძვ.წ.აღ-ის V ს)

დარას გორა კი უკვე ყურადღების ცენტრში მოექცა. მიუღი ხუთი წელიწადი გრძელდებოდა გათხრები ამ გორაზე, სადაც გამოვლინდა ძვ.წ.აღ-ის VI-I საუკუნეების ნაქალაქარი დიდებულთა აკლდამებით და საკულტო მოედნებით... აკლდამების დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში დაძრულა (მეწყრის, ხშირი წვიმების გამო), ალბათ ამის შედეგი იყო ჩამოზვაკვებულ მიწას გაყოლილი ძვირფასი ნივთები. ... „ხელშეუხებელი“ იყო სამარხი, რომლის საერთო ფართობი 20 კვადრატულ მეტრს უდრიდა და ორად იყოფოდა. ერთ ნაწილში სამი ქალი და ხუთი ცხენი დაუკრძალავთ, ხოლო მეორეში დაფიქსირდა ცეცხლში სრულიად გამლღვალი და დაზიანებული ოქროს ნივთები, ჭურჭლის ნაწილები.

ამ სამარხში აღმოსავლეთით დაკრძალული ასულის სამკაული დიდად აღემატებოდა დანარჩენი ორისას. ოქროს ნივთები აქ გაცილებით მეტი იყო, რაოდენობითაც და წონითაც. თავის მხრივ, მეორე ქალი მესამეზე მდიდრულად იყო დაკრძალული. „ქონებრივი განსხვავება“ აქ დამარხული ცხენების აღკაზმულობაშიც იგრძნობოდა.

სამარხში აღმოჩენილია ვერცხლის დიადემები, დამახასიათებელი კოლხური კულტურის წრისათვის; საყურეები, რომლებიც ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს (ცვრით შემკული, პირამიდებით დაბოლოებული...), მიცვალებულის ძეგრზე ძაფზე ასაცემელი მძივების ნაწილი — არწივის თავისგამოსახულებანი, რაც კოლხური ყელსაბამისთვის იყო დამახასიათებელი. როგორც ჩანს, ოქროს ფრინველები ნაკლებად გამძლე მასალისგან შედგენილი მძივის შუაში იყო მოთავსებული.

საყურადღებოა ცხენების მორთულობაც. ერთ-ერთის თავის ქალასთან ოქროს ფირფიტისგან გამოკვეთილი იხვეები აღმოჩნდა. იხვისა და გედისგამოსახულებიანი კი აღმოსავლურ ხელოვნებაში უცვლელი ატრიბუტია. ეს ფრინველები მშობელი ქალღმერთის კულტს უკავშირდება და ამავე დროს ცოლქმრული ერთეულებისა და სიყვარულის განსახიერებაც არის.

P.S. საირხეს რაჭა-იმერეთის მთები გადმოჰყურებს. ამ მთებიდან კი მოდინახეს ციხე გვახსენებს თავს. მომდევნო შეხვედრისას კვლავ საირხის საბადოზე გესაუბრებით და მოდინახეს ციხის საგანძურსაც გავეცნობით...

რკინის მაიკი



მაიკ ტაისონი იმ სპორტსმენთა რიგს განეკუთვნება, რომლებმაც საქვეყნოდ გაითქვეს სახელი არა მხოლოდ სპორტული მწვერვალების დაპყრობით, არამედ საზოგადოებაში გახმაურებული დიდი სკანდალებით. ამ მხრივ „რკინის მაიკის“ მეტსახელით ცნობილი ფენომენალური ფიზიკური მონაცემების მქონე მოკრივე თამამად შეიძლება დავაყენოთ ისეთი ვარსკვლავ-სკანდალისტების გვერდით, როგორებიც დიეგო მარადონა და დენის როდმანი არიან. ცნობილია, რომ მარადონამ „სახელი გაითქვა“ როგორც ნარკოტიკების ტრფიალმა, ხოლო როდმანმა — როგორც ტაკიმასხარამ და „ექსტრავაგანტურმა შოუმენმა“. მაიკ ტაისონი კი, უკვე მრავალი წელია, რაც სპორტულ სამყაროში დაუდგრომელი მექალთანისა და „ქალების გამაუპატიურებლის ქრონიკული სენით“ შეპყრობილი პიროვნების სახელით სარგებლობს. მართლაც, ტაისონის ბიოგრაფიაში, რინგზე მიღწეულ თავბრუსმხვევ ნარმატებებთან ერთად,

„ღირსეული ადგილი“ უკავია მოკრივის მიმართ გაუპატიურების ბრალდებით ატყეილ არაერთ ამბავს. ერთი კია, დღემდე ზუსტად ვერავინ გეტყვით, ამ სკანდალებში რომელი იყო მაიკის მხრიდან გაუპატიურების განზრახ მცდელობა და რომელი შემთხვევის დროს „შემოეუპატიურა“ ავსტრიე მოკრივეს „მსხვერპლი“. თუმცა, თავად მაიკისთვის ამის დადგენას დიდი მნიშვნელობა არასოდეს ჰქონია, რადგან უმეტეს შემთხვევაში მას ამტყუნებდნენ, რის შედეგადაც რამდენიმე წლით ციხეში უკრავდნენ ხოლმე თავს, უკეთეს შემთხვევაში კი, სპორტულ დისკვალიფიკაციასა და გვარიან ჯარიმას აკმარებდნენ. ცოტა ხნის წინ, მაიკ ტაისონი კვლავ გამოჩნდა რინგზე და თავისი მორიგი გამარჯვებაც მოიპოვა, მაგრამ „მორიგ გამარჯვებას“ როგორც ყოველთვის, წინ უსწრებდა „სერიული მანიაკ-გამაუპატიურებლის“ მორიგი სკანდალი. ამჯერად, „რკინის მაიკს“ 50 წლის ქალი უჩიოდა...

ჩხუბისთავი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნიუ-იორკის ღარიბ შავკანიანთა უბნებში დაბადებულ ბავშვებს მომავალი მაცნდამაინც მრავალფეროვან ცხოვრებისეულ არჩევანს არ სთავაზობს. ამ მხრივ გამონაკლისი არც მაიკლ ჯერალდ ტაისონი იყო, რომელიც ბრუკლინში 1966 წლის 30 ივნისს დაიბადა. ტაისონების ოჯახი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, ამიტომ პატარა მაიკი იძულებული იყო, ველურ სამყაროში თავად დაემკვიდრებინა ადგილი. ბავშვობიდანვე კრივის მომავალი ვარსკვლავის მთავარ საქმეს და გასართობს, ბუდოორდ-სტაივესანტის უსუფთაო ქუჩებში თანატოლებთან (და ხშირად თავისზე უფროსებთანაც) წარმოებული საქმის გარჩევები და

ჩხუბი წარმოადგენდა. „როდესაც დაახლოებით ათი წლის ვიყავი, ძალიან ბევრს ვჩხუბობდი ქუჩაში, — იხსენებს ტაისონი, — ოღონდ ვჩხუბობდი მხოლოდ ჩხუბის გამო, ყოველგვარი მიზეზის გარეშე. რა თქმა უნდა, ამ ჩხუბისთავობისთვის ჩემი წილი კობებითაც დავდიოდი ხოლმე“. 1978 წელს ერთ-ერთი ამგვარი ჩხუბის გამო 11 წლის მაიკ ტაისონი საბავშვო შრომა-გასწორების კოლონიაში მოხვდა, ისე კი, იგი არცთუ ისე იშვიათად იყო მსგავსი დაწესებულებების სტუმარი.

მაიკს მამა არ ახსოვდა. კრივის მომავალი ვარსკვლავი ჯერ კიდევ სულ პატარა იყო, როდესაც მამამისი, ლოთი პასე-ლა ტაისონი დაიღუპა. როდესაც მაიკი 15 წლის გახდა, დედა, ლორნაც გარდაეცვალა



და ძნელად აღსაზრდელი მოზარდი ბედის ანბარად დარჩა. სწორედ მაშინ ჩსუბისთავ, დაუდგრომელ ბიჭში მოკრივისთავის შესაშური თვისებები აღმოაჩინა კრივის სამყაროში კარგად ცნობილმა მწვრთნელმა კონსტანტინ დამატომ, რომლის აღზრდილებიც იყვნენ ისეთი ცნობილი ათლეტები, როგორიც მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ფლოიდ პატერსონი და მსოფლიო ჩემპიონი ხოსე ტორესი იყვნენ. დამატომ ტაისონს თბილი, ოჯახური გარემო შეუქმნა. იგი მოზარდს მამობრივი მზრუნველობით ეკიდებოდა, ცდილობდა ძნელად აღსაზრდელი მაიკი ქუჩისთვის ჩამოეშორებინა და აიძულებოდა, რომ სულ უფრო მეტი დრო დაეთმო კრივისთვის. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ შემდგომში თავისი აღმზრდელის მიმართ ტაისონი დიდ სიყვარულს, პატივისცემას და მზრუნველობას იჩენდა, ხოლო როდესაც წლების შემდეგ დამატო გარდაიცვალა, უკვე საქვეყნოდ ცნობილმა და აღიარებულმა „რკინის მაიკმა“ ცხოვრებაში პირველად იგრძნო თავი ობლად.

დამატოს ხელმძღვანელობით მაიკ ტაისონმა ორთაბრძოლის შესანიშნავი ტექნიკა გამოიხუშა. იგი თავიდანვე ფენომენალური ამტანობითა და უძლიერესი დარტყმითაც გამოირჩეოდა. სამოყვარულო რინგზე ტაისონს აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი ორთაბრძოლის აგრესიული და დაუნდობელი მანერით, რასაც ძალიან ხშირად მოწინააღმდეგის მძიმე ნოკაუტში ჩაგდება მოსდევდა ხოლმე. სწორედ ასე აღგაზრდა მოკრივის ამ თვისებების გამო კმაყოფილი მაყურებლისაგან განსხვავებით, აღშფოთებას ვერ მალავდნენ სამოყვარულო კრივის ორგანიზაციათა თავკაცები. ისინი შედრწუნებულნი იყვნენ რინგზე მაიკის „არასპორტული დაუნდობლობით“, მათთვის ტაისონი კვლავ თავზეხელაღებულ, ქუჩის მოჩხუბარს წარმოადგენდა და არა თავდაცვის ვენტლმენური ხელოვნების მკაცრი ეთიკისა და წესების დამცველ ათლეტს. ნიშანდობლივი იყო ის ფაქტიც, რომ რინგზე ნებისმიერი გამოსვლის წინ ტაისონი მთავარ მიზნად არა უბრალოდ

გამარჯვებას, არამედ ნოკაუტით გამარჯვებას ისახავდა, რასაც უმეტეს შემთხვევაში აღწევდა კიდეც. მძაფრ ორთაბრძოლებს მოწყურებულ მაყურებელს კი, სხვა რაღა უნდოდა: მის თვალწინ მაიკის „რკინის მუშტების“ მიერ ნოკაუტირებული მოწინააღმდეგენი რინგზე მოცელილებით ეცემოდნენ. „მე არასოდეს არავისი მეშინოდა, — ამბობს მაიკი, — უშიშრობით მაშინაც გამოვიჩრდი, როდესაც პატარა ბიჭი ვიყავი და ქუჩებში ვჩხუბობდი. მხოლოდ ერთხელ გამოვიყენე რეკოლვერი... ამის გამო ძნელად აღსაზრდელთა სახლში წამიყვანეს. იქ გამოვიჩინე მოკრივის ნიჭი. შემდგომში დამატოს დახმარებით იმის სურვილი გამიჩნდა, რომ მსოფლიო ჩემპიონი გავმხდარიყავი... რინგზე მე ზოგისთვის რაღაც მკვლელს წარმოვადგენ. ამბობენ, რომ სხვებისთვის ზიანის მიყენება მსურს, მაგრამ სიმართლეს გეტყვით, მე დაკავებული ვარ ბიზნესით, სადაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება მოქმედება. არ შეიძლება რინგზე გამოხვედე და იფიქრო იმაზე, რომ ძალიან მაგრად არ დაარტყა. თუ თავში ასეთ აზრს გაივლებ, შენი საქმე წასულია. როგორც კი, ამგვარი ფიქრები გამიჩნდება, კარიერას დავასრულებ“.

მაიკის არაერთი თავგანისცემელი მიჩინვეს, რომ იგი 1984 წელს აშშ-ის მოკრივეთა ოლიმპიურ ნაკრებში სწორედ თავისი აგრესიული ბრძოლის მანერის გამო არ მოახვედრეს, თუმცა ამ აზრს საფუძველიც ჰქონდა. სწორედ იმ პერიოდში ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ტაისონი არაადამიანურად ექცეოდა თავის კოლეგებს ნაკრებში და დაუნდობლობას იჩენდა თვით ვარჯიშების დროსაც სპარინგ-პარტნიორე-



ბის მიმართ.

პროფესიონალურ რინგზე

დამატომ ტაისონს ორთაბრძოლის ერთგვარი სტილი — „პიკაბო“ შესწავლა, რომლის თავისებურებაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მოკრივეს ხელები სახესთან ახლოს უნდა სჭეროდა და რინგზე მუდმივად გადაადგილებულიყო. ორთაბრძოლის ამგვარი მანერა მაიკს პრაქტიკულად დაუმარცხებელს ხდიდა. არცთუ ისე მაღალი, მაგრამ დაკუნთული ტაისონი მძიმეწონისან მოკრივეს არ ჩამოჰყავდა, თუმცა მის უმთავრეს უპირატესობად ყოველთვის ითვლებოდა ენერგიული, დამანგრეველი სიძლიერის დარტყმები.

1985 წელს მაიკ ტაისონმა პროფესიონალი მოკრივის სტატუსი მიიღო. იმავე წლის 4 მარტს მან პროფესიონალის რანგში, თავის პირველ შეხვედრაში პირველივე რაუნდში ნოკაუტით მოუგო ნექტორ მერსელესს. წლინახევრის შემდეგ კი, 1986 წლის 22 ნოემბერს ლას-ვეგასში „რკინის მაიკის“ უძლიერესი დარტყმების წინაშე უკვე მეორე რაუნდში უძლური აღმოჩნდა ტრევორ ბერბიკიც. ამ ორთაბრძოლის მოგებისთვის WBC-მ (კრივის მსოფლიო კომიტეტი) მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინით დააჯილდოვა 20 წლის ტაისონი. მაიკი კრივის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მძიმეწონისან პროფესიონალ მოკრივედ იქცა. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ტაისონის ამ დიდ წარმატებასა და აღიარებას დამატო ვეღარ მოესწრო.





ოჯახური სკანდალი

„მე მას ცოლად სიყვარულით გავყვე და არა იმიტომ, რომ ცნობილი გავხდე. ჯერ კიდევ მაიკთან შეხვედრამდე საკუთარი დიდებაც საკმარისად მქონდა. ფული? თავადაც საკმარისად გამოვიტყუებ, იმისათვის რომ მქონდეს ყველაფერი, რაც მსურს“, – განაცხადა 1988 წლის 7 თებერვალს 23 წლის შავკანიანმა ლამაზმანმა და კინომსახიობმა რობინ გივენსმა, რომელიც იმ დროს კომპანია „გი-ბი-სი“-ს ტელესერიალში მთავარ როლს ასრულებდა. მანამდე, ვიდრე ტაისონის მეუღლე გახდებოდა, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი რობინი, ჯერ მსახიობ ვედი მერფის, ხოლო შემდეგ კი, მაიკლ ჯორდანის ცოლიც ყოფილა.

„რკინის მაიკი“ განაგრძობდა გამარჯვებებს. 1987 წლის 7 მარტს მან WBA-სგან (კრივის მსოფლიო ასოციაცია) ჯემის სმიტზე გამარჯვებისთვის ჯილდოდ პროფესიონალი მოკრივის ქაბარი მიიღო. იმავე წლის აგვისტოში კი, კრივის სამივე საერთაშორისო ორგანიზაციამ (WBA, WBC, IBF) მაიკ ტაისონი ტონი ტაკერზე გამარჯვებისთვის მსოფლიო ჩემპიონად აღიარა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ტაისონის დამარცხებას ველარაინ შეძლებდა, თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მაიკის დიდ აღმასვლასა და პროფესიონალური კრივის მწვერვლების დაპყრობასაც მალე მოჰყვა მოულოდნელი მარცხი.


1990 წლის 10 თებერვალს, ტოკიოში ჯემის ლუგლასთან შესახვედრად მაიკი ზედმეტად თვითდაჯერებული ჩაფრინდა. ტაისონის წარმატებაში ეჭვი არც კრივის მრავალრიცხოვან გულშემბატოვარს ეპარებოდა, თუმცა ლუგლასმა, რომელიც გაბარიტებით გაცილებით აღემატებოდა თავის მძინვარე მოწინააღმდეგეს, ყველას მოლოდინი გაუცრუა. მე-10 რაუნდში ჯემის ლუგლასის ენერგოული შეტევის შემდეგ, „რკინის მაიკი“ ნოკაუტში აღმოჩნდა. ბოლო დარტყმა, რომელიც ტაისონმა იმ ორთაბრძოლისას მოწინააღმდეგისგან მიიღო, აპერკოტი იყო. დაუმარცხებელი ტაისონი რინგზე უგონოდ ევლო, რასაც სულ რაღაც საათ-ნახევრის წინ ვერავინ წარმოიდგენდა.

ტაისონ-გივენსის წყვილი შესანიშნავად გამოიყურებოდა. რობინი ნაზი, მაღალი, მშვენიერი გარეგნობის გოგო იყო, მაიკი კი, მხარბეჭიანი, „ხარისკისერა“ ათლეტი. წყვილი ისე ვერსად გამოჩნდებოდა, ჟურნალისტებისა და ფოტორეპორტიორების გარემოცვაში რომ არ მოქცეულიყო. რობინ გივენსს ჟურნალისტები თითქმის ერთი და იგივე კითხვებით აბეზრებდნენ თავს, უფრო მეტად კი, ის აინტერესებდათ, თუ რით მოხიბლა შავკანიანი ტანადი ლამაზმანი, უხეშმა, სასტიკმა და უინტელექტო ტაისონმა.

„წინააღმდეგობებით აღსავსე მისმა ბუნებამ, – პასუხობდა რობინ გივენსი, – ის ძლიერია, შეუდრეკელი, მაგრამ ძალიან მგრძობიარე. ზოგიერთ სიტუაციაში ის ბავშვით გამოიყურება, მაგრამ ამავე დროს

ზრდასრული მამაკაცის ხასიათსაც ამჟღავნებს. ის აგრესიულია, მაგრამ ადვილად შეიძლება გული ატკინო. იგი ყველაზე საუკეთესო მამაკაცია, ვისაც კი, ოდესმე ცხოვრებაში შეხვედრივარ. მისი ნაკლოვანებებიდან შეიძლება გულუბრყვილობა დაფასახლო, თუმცა ვერ გეტყვით, ეს თვისება შეიძლება თუ არა, რომ ნაკლად ჩავთვალოთ“.

ახალდაქორწინებულთათვის თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა და მაიკიც ბედნიერი იყო. იგი ორთაბრძოლებს ზედიზედ იგებდა, რამაც ყოველნაირად უწყობდა ხელს მეუღლე, თუმცა ტაისონ-გივენსის ოჯახური იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა. მაიკი და რობინი ჯერ კიდევ ახალი დაქორწინებულნი იყვნენ, როდესაც საინფორმაციო საშუალებებმა უკვე დაიწყეს ხმების გავრცელება იმის შესახებ, რომ ტაისონი მეუღლეს სცემდა. „რა თქმა უნდა, არა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ცოლად არ გავყვებოდი. ხანდახან მე თვითონ ვაღიზიანებ მას, მაგრამ მაიკს ჯერ თითიც არ დაუკარებია ჩემთვის. ჩვენს ქორწინებაში მხოლოდ ერთი შეთანხმებაა: თუ გაუმორღებთ, ის მომკლავს“, – დარწმუნებით პასუხობდა პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს რობინ გივენსი, რომელიც ტაისონის სპორტული საქმიანობის ხელმძღვანელის, ბილი კეიტონის აზრით, მხოლოდ უარყოფით გავლენას ახდენდა მეუღლეზე. „მე მიყვარს ჩემი ცოლი და ყველაფერში ვუჯერებ მას“, – ამბობდა „რკინის მაიკი“, თუმცა მისი უკვე აღარავის სჯეროდა, სიტუაცია კი, თანდათან იძებოდა, რაც დამთრგუნველად მოქმედებდა მოკრივეზე. დაძაბულობამ კულმინაციას მამინ მიაღწია, როდესაც რობინის დამ, სტეფანიმ გაზეთ „ნოუზ დეი“-სთვის მიცემულ ინტერვიოში, სრულიად გამოაშკარავა ტაისონ-გივენსის ურთიერთობები. „მაიკი დაუნდობელია და მისი ქმედებების წინასწარი განსაზღვრა, შეუძლებელია. იგი რობინს სცემს. ერთხელ მაიკმა მას თავში დაარტყა. მან ხომ მშვენივრად იცის, სად უნდა ურტყას, რომ კვალი არ დატოვოს. მათი ქორწინება თავიდანვე საშინელი შეცლომა იყო“, – განაცხადა სტეფანიმ. დას არც რობინი ჩამორჩა და იგივე გაზეთის ფურცლებზე აღიარა, რომ მისი ქორწინების ოთხი თვე საშინელება იყო. „იმ დღის შემდეგ, როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, მაიკი ძალიან შეიცვალა“, – გამოტყდა გივენსი, თუმცა იმ მომენტში რაიმეს დამალვას უკვე აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ცხადი



პოლიფილდს ყოველთვის მწარედ ემახსოვრება ის გამარჯვება

იყო, რომ საქმე განქორწინებისკენ მიდიოდა. ყველაფერს წერტილი გახეთ „ნიუ-იორკ დეილი ნიუსის“ ჟურნალისტმა, მიშელ კატცმა დაუსვა, რომელმაც თავისი განცხადებით, როგორც იტყვიან, ცეცხლზე ნავთი დაასხა. კატცი წერდა, რომ როდესაც მაიკ ტაისონი ნიუ-იორკიდან ლოს-ანჯელესში თავისი ერთ-ერთი მენეჯერის ვიმ ვეკობსის დაკრძალვაზე გაფრინდა, რობინი ცდილობდა, ბანკ „მერილ ლინჩში“ მეუღლის ანგარიშიდან 2 მილიონი დოლარი გამოეთანა. ამასობაში ახლოვდებოდა მაიკ ტაისონსა და მაიკლ სპინკსს შორის დაგეგმილი შეხვედრა, რომლის შესახებაც ჟურნალისტები ათასგვარ პროგნოზს ავრცელებდნენ. ატლანტიკ-სიტიის კაზინო „ტრამპ პლაზაში“ ამ შეხვედრაზე დასასწრები თვით ყველაზე იაფფასიანი ბილეთიც კი, ორი ათასი დოლარი ღირდა. უფრო კომფორტაბელურ საგარძღვებში მოკალათების საშუალებას საკუთარი მატერიალური შესაძლებლობები მხოლოდ ისეთ ცნობილ პროფესორებს აძლევდა, როგორებიც ვეკ ნიკოლსონი და მაიკლ ვექსონი არიან. კრივის მილიონობით გულშემბატკავარი კი, ბედს შეგუებული, ტელეკრანით ადევნებდა თვალს ამ ორთაბრძოლას. თუმცა ტაისონ-სპინკსის შეხვედრა ისე წარიმართა, რომ ძნელი იყო მისთვის ორთაბრძოლა გეწოდებინათ. ოჯახური კრიზისით ნირწამხდარ მაიკს არ გასჭირვებია, მოწინააღმდეგე უკვე პირველივე რაუნდის 91-ე წამზე მძიმე ნოკაუტში ჩაეგდო. იმ საღამოს „რკინის მაიკს“ ზემოქმედებას თავის მოწინააღმდეგეზე ისეთივე ეფექტი ჰქონდა, როგორიც ასაფეთქებელ მასალას აქვს ხოლმე თევზებზე. კაზინოში თავმოყრილი მაყურებელი კი, საინტერესო, დაძაბული მატჩის მოლოდინში სავარძელში ვერ რიგიანად არც მოწყობილიყო...


მაიკი აუპატიურებდა, თუმცა ამით ყველაზე მეტად თავად ზარალდებოდა

სექსუალური მოძალადის ბრალდებით ტაისონი უკვე იძღვრებოდა იყო გასამართლებული, რომ თავის მსხვერპლთა სახელები ალბათ წესიერად თავად მაიკსაც, აღარ ახსოვს. პირველი დიდი სკანდალი 1987 წელს აგორდა. მაიკს ავტოსადგომის ერთ-ერთი მომსახურე გოგო უჩიოდა და ამტკიცებდა, რომ კრივის მოყვარულთა წრეებში უკვე კარგად ცნობილი და პოპულარული ტაისონის მხრიდან მის მიმართ სექსუალური ძალადობას ჰქონდა ადგილი. მაშინ მაიკმა მოახერხა და მართლმსაჯულებას ხელიდან დაუსხლტა. 1991 წლის 19 ივლისს მაიკმა სილაბაზის კონკურსის ერთ-

ერთი შავკანიანი მონაწილე გააუპატიურა. 1992 წლის 10 თებერვალს მოკრივე გაასამართლეს და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მაიკი ციხიდან 1995 წელს თავდებით გამოუშვეს, თუმცა „ქალების რისხვა“ მალე კვლავ გაუპატიურებასთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვია. ამჯერად მაიკს ჩიკაგოს ლამის კლუბ „კლიკის“ რეგულარული კლიენტი, 25 წლის ლაბელა ოგსტი უჩიოდა. მიუხედავად ტაისონის უარყოფითი რეპუტაციისა, ბევრს მაინც მიანხნდა, რომ ეს შემთხვევა, მილიონერი მოკრივისგან ფულის გამოძალვის მიზნით იყო მოწყობილი. მაიკის ადვოკატმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ლაბელა ოგსტი პოლიციიდან საჩივრის გამოტანაზე დაეყოლიებინა. რამდენიმე თვის წინ კი, მაიკ ტაისონს 50 წლის ქალბატონმა უჩივლა და ამტკიცებდა, რომ ლოს-ანჯელესიდან 70 კმ-ის დაშორებით მდებარე მოკრივის ვილაში მაიკი მის გაუპატიურებას ცდილობდა. „მე უბრალოდ არ მჯერა, რომ საოლქო პროკურატურამ ამ საკითხთან დაკავშირებით საქმე არ აღძრა. ჩემი განცდები პროკურორის ამ გადაწყვეტილების გამო კიდევ უფრო გამძაფრდა. თუმცა მაინც ვიმედოვნებ, რომ სამართლიანობა აღდგება“, – განაცხადა მომჩივანმა ქალბატონმა მას შემდეგ, რაც წინასწარი გამოძიების დასკვნით, „რკინის მაიკი“ უდანაშაულოდ ცნეს.

გარდა გაუპატიურების ბრალდებებისა, მაიკ ტაისონი არაერთხელ იყო გასამართლებული და დაჯარიმებული მოქალაქეთა ცემისთვის, მარისუანის მოხმარებისა და საზოგადოებრივ ადგილებში არაეთიკური ქცევისთვის. მაიკის მრავალრიცხოვანი ხულიგნური გამოსვლიდან საკმარისია, გავისსენით მისი შეხვედრა ევანდერ ჰოლიფილდთან 1997 წელს. მას შემდეგ, რაც მაიკი დარწმუნდა, რომ ბრძოლას აგებდა, სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ჰოლიფილდს ყურის ბიბილო მოაჭამა.

1999 წელს მაიკს ფილმ „შავ და თეთრში“ იღებდნენ. მოკრივე ერთ-ერთ მეთრეხარისხოვან როლს ასრულებდა და კინალამ მთავარი როლის შემსრულებელი, მსახიობი რობერტ დაუნ-უმცროსი შემოაკვდა. დაუნის ფილმში ჰომოსექსუალისტის როლს ასრულებდა. ერთ-ერთი სცენის გადაღებისას ტაისონი თავისი მარწუხები-სმაგვარი მძლავრი ხელებით მას ყელში სწვდა და ახრჩობდა. როგორც ჩანს, აგრესიული და ადვილად ფეთქებადი მოკრივე წესიერად ვერ გარკვეულიყო, თუ რა სცენას იღებდნენ და თავისი პარტნიორის თამაში შეურაცხყოფად მიიღო. მაიკმა




დაუნის მხოლოდ მაშინ უშვა ხელი, როდესაც ამ უკანასკნელს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ამ სცენის შემყურე კიდევ ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა, ბრუკ შილდსმა გადაწყვიტა, რომ გააფთრებული ტაისონი დაემშვიდებინა და მას კომპლიმენტით მიმართა: „თქვენ მომხიბვლელი მამაკაცი ხართ და ძალიან ლამაზი თვალები გაქვთ“. ტაისონმაც პარტნიორს პასუხი არ დაუგვიანა: „ჩემი თვალები ხედავდნენ, თუ როგორ ვაუპატიურებდი ქალს და ციხეში აღმოვჩნდი. ამიტომ თეთრკანიანი ძუკუნების თანაგრძნობა არ მჭირდება“...

ორი თვის წინ მაიკ ტაისონი კვლავ გამოჩნდა რინგზე და დანიელი მოკრივე ბრაიან ნილსენი მეექვსე რაუნდში დაამარცხა. „რკინის მაიკს“ პროფესიონალურ რინგზე დღემდე 53 ბრძოლა აქვს ჩატარებული. აქედან 49 ბრძოლაში მაიკმა გაიმარჯვა, ხოლო 43 ბრძოლა, ნოკაუტით მოიგო. 35 წლის ტაისონი დღესაც განაგრძობს ვარჯიშს და როგორც ყოველთვის, ოპტიმისტურად უყურებს თავის მომავალ ორთაბრძოლებს. „რამდენიმე თვის შემდეგ მე მზად ვიქნები ლუის-რამპანს შორის გამარჯვებულთან შესახვედრად, – განაცხადა ნილსენთან გამარჯვების შემდეგ „რკინის მაიკმა“ (როგორც ცნობილია, ამ ბრძოლის მეთხე რაუნდში, ლუისმა გაიმარჯვა, რის შესახებაც, „ვზის“ წინა ნომერში გაუწყეთ –ავტ.). – ყოველი ბრძოლის შემდეგ ვფიქრობ, რომ ეს რინგზე ჩემი ბოლო გამოსვლა იყო, მაგრამ მე უფრო და უფრო მეტ ფულს მთავაზობენ, ამიტომ როგორ ვთქვა უარი?“ ამბობენ, რომ შემდეგი ორთაბრძოლისთვის ტაისონი 50 მილიონ დოლარს მიიღებს, დანიიდან კი, 13 მილიონით გამდიდრებული დაბრუნდა შინ...

**მომამხალა
ალექსი რეხვიამშვილმა**



სინდი კროუფორდი



სუპერმოდელი

კოზიციის

სინდი

როგორ მკვიდრდებოდა თამაშის ახალი წესები პოლიუმზე

„10 ათას დოლარზე ნაკლები გასამრჯელოსთვის მე და კრისტი ლოგინიდანაც კი არ ავდგებით“, – ლინდა ევანგელისტას მიერ თქმული ეს ფრაზა „სუპერმოდელების ერის“ დასასრულის დასაწყისის მომასწავებელი გახდა. ობივატელი მანამდეც ვარაუდობდა, რომ მოდურ ინდუსტრიაში უზარმაზარი ფული ტრიალებდა, მაგრამ დასახელებულმა თანხამ ნამდვილი შოკი გამოიწვია. გოგონები, რომლებიც მანამდე მთელი მსოფლიოს კერპები იყვნენ, მყისიერად მონსტრების მაგვარ არსებებად იქცნენ. ნაომი კემპბელს, ლინდა ევანგელისტას, კრისტი ტერლინგტონს, კლაუდია შიფერსა და სინდი კროუფორდს ყველა ცოდვა და შეცდომა გაუხსენეს: ნაომი – ფსიქოპათი და ლოთი ყოფილა, სინდის შემთხვევითი

სასიყვარულო კავშირები ჰქონია... თვით „ანგელოზ გოგონას“ – კლაუდია შიფერსაც გაუხსენეს დევიდ კოპერფილდთან გაწეილი, გაურკვეველი რომანი...

მოდელიერებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სუპერმოდელებს, რომელთა ჰონორარები შოუებზე დახარჯული თანხების დაახლოებით 70%-ს შთანთქავდა. 1995 წელს პარიზში გამართულ საგაზაფხულო PRET-A-PORTER-ზე არც ერთი სუპერმოდელი არ გამოჩენილა. 1996 წელს ახალი გოგონები შეარჩიეს, მათთვის განკუთვნილ ადგილზეც არაორაზროვნად მიუთითეს და ჰონორარების ფარგლებიც ზუსტად განუსაზღვრეს. დადგა ე.წ. „პერიონული შიკის“ ერა, რომლის სახედ მოღვეული ქვით მოსი იქცა. თვალში საცემი კლაუდია, სინდი და ნაომი დროებით, განზე

გადგნენ.

ბევრი ადამიანი სვამდა კითხვას: „მაინც, რამ აქცია ეს გოგონები მილიონების კერპებად?“ 80-იანი წლების ბოლოს, მოდის სამყარო სერიოზულმა კრიზისმა მოიცვა: მოდის სახელგანთქმული სახლები გაკოტრების პირას აღმოჩნდა, მოდელები, რომლებიც 50-60-იან წლებში ქუხდნენ, გახუნდნენ. იდეების დეფიციტის დასაფარავად და ფინანსური შემოსავლის წყაროების შესანარჩუნებლად, მოდელებმა, ფოტოგრაფებმა, სტილისტებმა და მოდის ჟურნალების რედაქტორებმა წარმოუდგენელ სიმაღლეზე აიყვანეს გოგონები, რომლებიც ტანსაცმლის დემონსტრირებას მისდევდნენ. ბრბოს კერპები სჭირდება, იმ პერიოდში პოლიუმის ვარსკვლავები მათ პირად ცხოვრებაში ჩაურევლობას მოითხოვდნენ, რად-

გან სურდათ, მასიდან გამოსულ ადამიანებს დამსგავსებოდნენ და კერპის ადგილი ვაკანტური აღმოჩნდა. ასე იქცა იდეალად მანეკენი ქალი.


რასაკვირველია, მოდელებს მანამდე იცნობდნენ. პირველი სუპერმოდელი, ფაქტობრივად, ლორენ ჰატონი იყო, რომელსაც „70-იანი წლების სახედ“ ნათლავდნენ და 1973 წელს კოსმეტიკურმა გიგანტმა „რეველონმა“ მასთან იმ დროისთვის ასტრონომიული – 400.000 დოლარიანი კონტრაქტი გააფორმა (შედარებისთვის, აქვე ვიტყვი, რომ იმავე „რეველონმა“ 1990 წელს კლაუდია შიფერთან 10 მილიონიანი კონტრაქტი დადო). ჰატონის გარდა, სხვადასხვა ქვეყანაში კარგად იცნობდნენ ტვიგის, კუკის, ვერუშიე ფონ ლენდორფს, ჯერი ჰოლს, მაგრამ მილიონების კერპებს მათ ვერ უწოდებდი: ისინი მაინც, მხოლოდ ტანსაცმლის სამყაროსთან იყვნენ ასოცირებულნი. ის კი, რაც 80-იანი წლებში შიფერის, კროუფორდისა და კემპბელის სახელებს დაუკავშირდა, მანამდე სრულიად გაუგონარი იყო. მათზე უბრალოდ, ლამაზი ქალები, არ ითქმოდა. მათ გარეშე მაღალი წრის არც ერთი შეკრება არ იმართებოდა, არც ერთი გაზეთი არ გამოდიოდა ისე, რომ რაიმე არ დაეწერა სუპერმოდელებზე ჭორების სვეტში მაინც. მათდამი ყურადღება გაცილებით სჭარბობდა იმას, რასაც მათ მიერ ნაჩვენებ ტანსაცმელს აქცევდნენ. მოდელები ერთმანეთს ებრძოდნენ, „მთავარი ხუთეულის“ თუნდაც ერთ-ერთი წევრის მათ ჩვენებაში მონაწილეობისთვის. დიზაინერები მაღალი ჰონორარებით ამ გოგონების გადაბირებას ცდილობდნენ. მას შემდეგ, რაც ჯანი ვერსაჩემ თავისი ჩვენებისთვის ხუთივე „შეიძინა“, გოგონების ჰონორარებმა, ერთი 30 წუთიანი დეფილესთვის, 20.000 დოლარს მიაღწია!

კლაუდია, სინდი, ნაომი, ლინდა და კრისტი სიმლიდრის, ფუფუნებისა და წარმატების სიმბოლოებად იქცნენ. თითოეული მათგანი ღარიბი ოჯახის შვილი იყო, ახლა კი ყველაფერი ჰქონდათ, რასაც ისურვებდნენ და მოითხოვდნენ. ითხ-

ოვდნენ კიდეც. ნაომი სისტემატურად იგვიანებდა გადაღებებზე და ალიაქოს ტეხდა: ყველას ახსოვს, როგორ გააგდეს ერთი ნაკლებად ცნობილი მანეკენი „შავი დედოფლის“ გამო – მხოლოდ იმისთვის, რომ სუპერმოდელს მისი გამოსხედავ არ მოეწონა...

სუპერმოდელების ერთ-ერთ მოდელმანიას წარმოშვა: მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებმა მილიონობით გოგონამ ისურვა, სილამაზით დიდი ფული ეშოვა. საოცნებო ფიზიკური ფორმის მისაღწევად ისინი შიმშილობდნენ, ვარჯიშობდნენ, მაღალ ქუსლებზე შემდგარნი გამომწვევად დადიოდნენ ქუჩაში იმ იმედით, რომ ვინმე შეამჩნევდა და სუპერმოდელად მიიწვევდა... გაჩნდა უამრავი ხელმრუდი სამოდელი სააგენტო, რომელიც ასეთ გოგონებს გამორჩენის მიზნით იყენებდა. სინდი კროუფორდი და უფარავად ამბობდა: „სექსი საჭირო ადამიანებთან, მოდელის პროფესიის ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია, როგორც ქიმიკოსისთვის დაზიანებული ხელები“... დროდადრო პრესაში ჩნდებოდა სკანდალური მასალები იმის შესახებ, რომ სამოდელი სააგენტოები გოგონებით „ამარაგებდნენ“ პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებს. მოდელის პროფესიის გარშემო ჩამოყალიბდა „შარავანდელი“, რომელიც პირველად, XX საუკუნის დასაწყისში, ამ საქმის დაბადების დროს გაჩნდა: პოლიუმის გაჩენისას, 1894 წელს, მოდელების სახლებს დასჭირდათ გოგონები, რომლებიც კლიენტ ქალებს ტანსაცმელს უჩვენებდნენ. მაშინ ამ როლისთვის, ყველაზე ხშირად, თავდებში გამოშვებულ მეძავეებს იყენებდნენ...

90-იანი წლების დამლევისთვის მოდელიერებმა აღმ-



ნაომი კემპბელი



სოფი დალი



ქუჩაში მოსიარულე ნებისმიერ გოგონას აქვს მანსი, გახდეს სუპერმოდელი...

კლაუდია შიფერი



ფოტება გამოხატეს: მათ ნახელავს აღარავინ აქცევდა ყურადღებას – ყველას მხოლოდ ის აინტერესებდა, როგორ გაივლიდნენ პოდიუმზე შიფერი, კროუფორდი, ევანგელისტა. დეფილზე გაკეთებული რეპორტაჟები საჭირო სვეტების ცნობებს დაემსგავსა. მანეკენთა ჰონორარების ზრდასთან ერთად, მათი ამბიციებიც იზრდებოდა. მოდების სამყარო გაერთიანდა და ბოიკოტი გამოუცხადა ხუთეულს. 1996 წელს გამოჩნდა ქეთ მოსი, სტელა ტენანტმა კარლ ლაგერფელდის „მუზის“ ადგილი წაართვა კლაუდია შიფერს, დანარჩენთა ჰონორარები შემცირდა და თითოეული ჩვენებისთვის სულ რამდენიმე ათას დოლარამდე ჩამოვიდა.

გუშინდელმა კერპებმა – კლაუდიამ, სინდი და ნაომიმ საკუთარი ძალების სხვა ასპარეზზე მოსინჯვა გადაწყვიტეს: შიფერმა ტელეწამყვანობა სცადა (წარუმატებლად), კემპბელმა – ჯერ სიმღერა (მის მიერ გამოშვებული ფირფიტა „ჩავარდა“), შემდეგ კი, ტანსაცმლისა და სუნამოს წარმოება, კროუფორდი რამდენიმე ფილმში გადაიღეს, მაგრამ მისი კინოსახეები იმდენად სუსტი აღმოჩნდა, მაყურებლის დიდი ყურადღება არც მიუპყრია. თუმცა, სინდი საკმაოდ წარმატებით ყიდის „სუპერსხეულის“ ვარჯიშების ამსახველ ვიდეოკასეტას, რომელმაც უკვე ნახევარმილიონიან ტირაჟს გადააჭარბა.

წარუმატებელი ექსპერიმენტების შემდეგ, პოდიუმს დაუბრუნდნენ:

კლაუდია შიფერი, რომელიც კვლავ ინარჩუნებს „ათწლეულის მოდელის“ სახელსა და მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელის პოზიციას; ნაომი კემპბელი (რომელიც უწინდებურად უქმნის უამრავ პრობლემას გარშემომყოფებს) და კრისტი ტერლინგტონი, – თუმცა „სრულყოფილ გოგონას“ უკვე სხვა „სრულყოფილები“ ავიწროებენ: ქეთ მოსი, სტეფანი სეიმური და სტელა ტენანტი კვლავ მუშაობენ, თუმცა მათ გარშემონაკლები ხმაურია, ვიდრე წინათ იყო, – უბრალოდ, ისინი სხვებზე მეტად გამოცდილი პროფესიონალები არიან.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ახლა მოდელეებში ცუდ ტონადაც არის მიჩნეული, თუ მანეკენს მილიონობით ადამიანი იცნობს და მისი სახელი ხშირად ჩნდება ტაბლოიდების გვერდებზე. მოდელიერებს აღარ სჭირდებათ სკანდალები და ვარსკვლავების ისტერიკები, მათ უბრალოდ ლამაზი გოგონები ესაჭიროებათ, რომლებიც კარგად შეასრულებენ თავიანთ საქმეს. იმ პერიოდის მანძილზე, რაც გოგონა თავისი კარიერის მწვერვალზე იმყოფება, მისი ჰონორარები ვეღარ აღწევს ოთხნულნიან ციფრებს, ხოლო ვარსკვლავური ავადმყოფობის გაჩენისთანავე, მას სხვა „იდეალით“ ცვლიან...

ბოლო ორი სეზონის მიგნება, მოდელისთვის არასტანდარტული ტანის მქონე სოფი დალია. ქუჩაში ნაპოვნი გოგონა ინგლისელი მწერლის – როაღლ დალის შვილიშვილი აღმოჩნდა. მოდის ოლიმპზე მისი ასვლის შემდეგ ჟურნალები მანეკენის ახალ ტიპზე ალაპარაკდნენ. რამდენად დიდხანს შეინარჩუნებს სოფი დალი პოზიციას, არავინ იცის, მაგრამ „პერიოდული შიკის“ ესთეტიკა აღარ ბრუნდება. არც „სუპერმოდელის ერის“ აღორძინებაა მოსალოდნელი. პოლივუდიც „გამოფხიზლდა“ და მსახიობმა ქალებმაც დაიბრუნეს თავიანთი კუთვნილი – გულთამყრობელების – პედესტალი...

პარეთ ბნელა. მაგიდასთან ვზივარ. წინ რვეული მიღვეს და ვცდილობ, გავაანალიზო და ქალაქზე ჩამოვყავალიბო, ის, რაც მოხდა და რატომ მოხდა...

ასე მგონია, თუ დავწერ, გულზე მომეშვება...

უკვე კარგა ხანია ვზივარ და ერთი სიტყვის დაწერაც ვერ მოვახერხე. სიტყვებს ვერ ვპოულობ... მარტო ახლა კი არა, ამ ბოლო დროს, საერთოდ მიჭირს სიტყვების გამოხატვა, ჩვეულებრივი სიტყვებისაც – და როცა ვპოულობ, შემდეგ ეჭვი მიპყრობს, სწორი მნიშვნელობით ვიხმარე, თუ არა...

ამას წინათ მთელი ორი დღე ვიხსენებდი ნაცნობის სახელს...

ირგვლივ სინჰუმეა, უჩვეულო სიწყინარე. რამდენი ხანია, მარტო აღარ ვყოფილვარ. გადავეჩვიე...

რომელი საათია, ნეტავი?... მამლების ყვივლი ისმის... კორპუსის აივნებზე – მამლები...

თენდება, ნუთუ?!

ბავშვი დედაჩემთანაა. უცნაურად არის ჩემზე მოწებებული – უკვე მეოთხე წელშია და წამითაც არ მცილდება, სულ ხელში აყვანას მთხოვს. არც ღამით იძინებს უჩემოდ...

როგორ არის, ნეტავი, ახლა?... ალბათ, სძინავს... ან, შეიძლება, არც... უჭირს ალბათ უჩემოდ...

მეც მიჭირს!..

რით დაიწყო ეს ყველაფერი?..

ალბათ იმ საღამოთი, რუსუდანთან რომ ვიყავით ხინკალზე...

მამინ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო. საბურთალოს ვცხოვრობდი მამაჩემის ნაყიდ ბინაში. მარტოხელა ვიყავი და ჩემი ბინა თანამშრომელთა შეკრებების და დროს ტარების ადგილი აყო. „ქალაქპროექტი“ ვმუშაობდი. ვმუშაობდით უღარდელად და არავის ეშინოდა, რომ ოდესმე სამსახურს დაკარგავდა. ყველას გვქონდა გარანტირებული მინიმუმი...

რა ძვირი ღირებულა თურმე ეს გარანტირებული მინიმუმი!..

ერთხელ, რუსუდანმა: სულ შენთან ხომ არ უნდა ვიქეიფოთო – და თავისთან დაგვაპატიფა ხინკალზე...

ვინ იუარებდა?!

რუსუდანს გოგო ჰყავდა, მუსიკალური ათწლეულის მეცხრეკლასელი. ნანახი არ მყავდა, მაგრამ დაუსწრებლად ვიცნობდი, დედამისი სულ მის შესახებ ლაპარაკობდა.

მასხოვს, როიალთან იჯდა, რომ შევედი... რა მეცხრეკლასელი!.. გასაგიჟებელი ქალი იჯდა და ჩამოთლილ თითებს კლავიშებზე დაასრიალებდა...



ნებო ბაშელი

დახეული რვეული

მე კი ვიდექი გამოშტერებული, თვალებდაჭყეტილი და მეტყველების უნარწართმეული...

– თიკო, – გაბრწყინებული სახით შემომჩერდა და ხელი გამომიწოდა.

რა საამო იყო მისი ხმა!..

ძლივს მოვახერხე ხელის ჩამორთმევა, ხმა კი, მგონი, ვერც ამოვიღე.

რა ციცქნა და ნაზი იყო მისი ხელი!.. როგორ ახერხებდა დაკვრას?!

მთელი საღამო მოჯადოებულებით ვიჯექი. ვიჯექი და მას შევცქეროდი, ალბათ უზრდელობამდე თვალმოუწყვეტლივ... ის კი უკრავდა, მღეროდა, ცეკვავდა... უღარდელი და თავისუფალი. სიცოცხლე ხარობდა მის სხეულში...

ბევრი არ დამიღვევია, მაგრამ კარგად დავთვერი. ალბათ, რომც არ დამეღია, მაინც დავთვერებოდი!..

თიკო... თიკო...

შინ ფრთაშესხმული დავბრუნდი. იმ დღიდან თიკო აღარ გამოსულა ჩემი გონებიდან. კი, ვუბრაზდებოდი საკუთარ თავს – რა, ქალები დაიღია ამქვეყნად, სკოლის მოსწავლეზე რომ არ მეოცნება?!. მაგრამ არაფერი გამომდიოდა.

თორმეტი წლით ვიყავი მასზე უფროსი...

ხვდებოდა რუსუდანი ამას? შეიძლება... ყოველ შემთხვევაში, სახლში რაღაც პატარა ტიხარი ჰქონდა დასანგრევი და მე მთხოვა დახმარება. სწორედ მე!.. ქმარი კარგა ხნის გარდაცვლილი ჰყავდა

რუსუდანს.

ააა... ან, იქნებ, თვითონ მოეწონდი რუსოს და სწორედ იმიტომ მოხვდა? დაახლოება სურდა... კი, კი... ნამდვილად ასე იქნებოდა: თორემ ის რომ სცოდნოდა, მისი შვილი გულში რომ მყავდა ჩავარდნილი, სათოფეზე არ გამოიკარებდა, ალბათ...

ან, არ ვიცი. ღმერთმა უწყის!.. ქალისას რას გაიგებ?!..

რუსუდანი ჩემზე იყო თორმეტი წლით უფროსი...

იმ დამით სიხარულით არ მეძინა. იმის შეგრძნება, რომ ხვალ თიკოს ვნახავდი, სულს სიამით მივსვებდა.

უთენია ავდექი, უზარმაზარი ურო ჩანთაში ჩავდე, რადგან რუსუდანს, ბუნებრივია, არანაირი იარაღი არ ექნებოდა და ქუჩას გაუყუევი. ფეხით მივდიოდი, ძალიან ადრე იყო და დრო მსურდა გამეწვლა.

რუსოს სახლთან რომ მივედი, სწორედ მაშინ ამოიწვერა მზე.

„ჯერ გაღვიძებულებიც არ იქნებიან“, – გავიფიქრე და ამსიძმძი ჩანთით ხელში სახლის გარშემო დავიწყე სეირნობა. საათზე მეტხანს ვიბორიალე...

როგორც იქნა, შევამჩნიე მოძრაობა მათ ბინაში, ფარდა გადაიწია და რუსუდანი გამოჩნდა.

სულმოუთქმელად ავირბინე კიბე. ერთხანს მათ კართან ვიდექი გაუნძრევლად, რათა დავმშვიდებულყავი, თორემ ამხელა უროს თრევით გული ამოვარდნაზე მქონდა, შემდეგ ზარის ღილაკს მივაჭირე ხელი გაუბედავად.

– ვინ არის? – თიკოს კეკლუცი ხმა მომესმა.

გული უფრო მაგრად ამიძგერდა... – ვახო, – ძლივს გავეცი პასუხი.

კარი გაიღო... წელიწადზე მეტი იყო გასული პირველი ნახვიდან... თიკოს ხალაით ეცვა და ზედმეტი სიშიშველე რომ დაეფარა, მკერდთან და ფეხებთან ხელით ეჭირა სამოსი. ბავშვური აღარაფერი დარჩენოდა სახეზე... ახალგაღვიძებულს ვარდისფრად შელავდა ლოყები და თვითონაც გაფურჩქნილ ვარდს ჰკავდა.

– მობრძანდი!.. უი, ბოდიში, ახლა ავდექი, ჯერ პირიც არ დამიბანია... დედა! ვახო მოვიდა, – გამიღიმა და სააბაზანოში შევარდა.

– ასე ადრე რამ აგაყენა? არ გელოდებოდი, – რუსუდანიც გამოვიდა.

– წავიდე? – ვიხუმრე ვითომ. გაეცინა.

– ყავას ხომ დალევი? – სანაძლეოს გააჩნია!

– არა, მე იმ გაგებით, ყავა გირჩენია, თუ ჩაი? – ისევ გაიცინა.

– ისე, ღვინო მირჩენია, მაგრამ ჩაი იყოს, ოღონდ მაგარი.

– ტიხარს თუ დავგინგრევ, ღვინოც იქნება და არა მარტო ღვინო – სინკალცი!

– ოო, მაშინ ტიხარს კი არა, თუ გინდა მთელ სახლს დავგინგრევ! – არ მიხუმრია, რომ ეთქვა, სახლი დაანგრეე შიშველი ხელებითო, ნამდვილად ფრჩხილებით ვეცემოდი კედლებს!

– სახლი არ გინდა...

– მოკლედ, სინკალს ყოველდღე ჭამთ... დედაჩემს ოღონდ მაგას ნუ გააკეთებინებ და მოკალი... ნახევარ სიცოცხლეს ათავებს თითოეულის მოხვევაზე.

– მე პირიქით, მსიამოვნებს. მე და თიკო თხუთმეტ წუთში ვამზადებთ.

– აბა, საათს დავინიშნავ...

– დიდი ბოდიში, ასეთი დაულაგებელი სახლი რომ გვაქვს, გამოცდები მაქვს, წელს ვამთავრებ და პირდაპირ საგიჟეთია! – თიკოს ხმა მომესმა.

უხერხულად შევიშმუშნე, ხელებს ვერ მოვუნახე ადგილი, ბოლოს ჯიბეში ჩავიყავი.

– მერე საით აპირებ? კონსერვატორიაში, ალბათ, არა?

– ალბათ... თუ გადარჩა... ნახე, რა ხდება რუსთაველზე! დაანგრეის ყველაფერი.

– კი... ჩვენთან ხომ ყველას პრეზიდენტობა უნდა... თბილისი და საქართველო ვის ახსოვს?!.. მიტინგომანია და ქუჩამ დაგვლუპა, ქუჩიდან მოსულმა მთავრობამ, თავისი ქუჩური კანონებით... მეღოღეს რომ ხელმძღვანელად დანიშნავ!.. ვერ ვიტან დიდ თავყრილობებს, ან ერთი მიმართულებით მიმავალ ხალხს, თუნდაც დამკრძალავი პროცესია იყოს! არასდროს წავსულვარ სტადიონზეც კი! იქ პიროვნება ითქვიფება და ბრბოს ნაწილი ხდება, ბრბო კი, ხომ ხედავ, ყველაფერს ანგრევს და საკუთარ თავსაც ჭამს! ისე, ეკლესიის გვერდით ჩავლისას მკლავს იგდებენ პირჯვრის წერით, ქაშუეთი კი რას დაამსგავსეს... რა უაზრო მოდა შემოვიდა – ყველას დასანახავად პირჯვრის წერით თავის მოწონება! თუ ლოცვა გინდა, შედი რა ეკლესიაში, – ეშხში შევედი, შთაბეჭდილების მოხდენა მსურდა ალბათ, მაგრამ მივხვდი, რომ არაფერი გამომივიდა და გავჩუმდი.

– ლედი, ლედი! მოდი, სიცოცხლე, მოდი, რა კარგი ბიძია უნდა გაგაცნო, – ოთახში კრავივით ძალღი შემოცუნცუნულდა. თიკომ აიყვანა, გულში ჩაიკრა და აკოცა, – აი, ამ ძიას ჰქვია ვახო, ამას კი, ვახო ბიძია, – ლედი.

– ძალიან სასიამოვნოა! – ვერ ვიტანდი ძალღებს და კატებს, მაგრამ მაშინ მზად ვიყავი, ყველა ძალღი დამეკოცნა,

რაც კი ქვეყნად იყო.

ლედი გამოვართვი და მეც გულში ჩავიკარი.

... საუზმეს შევუდექით. ჩაის ვსვამდი და ძეხვიან ბუტერბროდს ვაყოლებდი. ლედი კალთაში მეჯდა. ვცდილობდი, უხმაუროდ მეჭამა, მაგრამ ყლაპვის დროს ისეთ უცნაურ ხმას გამოვცემდი, თვითონაც მიკვირდა. ან იქნებ, მეჩვენებოდა...

– რა წყნარი ძალღია! – სიჩუმე დავარღვიე.

– კი, ჯერ მაგის ყეფა არც გაგვიგონია, – მიპასუხა თიკომ.

– რატომ, მუნჯია?

– შშიშარაა. ერთხელ კატამ თათი წაჰკრა და იმის შემდეგ, კატას რომ დაინახავს, სად შეძვრეს, აღარ იცის.

საუზმეს მოვრჩით.

– აბა, რას ვანგრევთ?

– ტუალეტსა და სააბაზანოს შორის ტიხარს, თორემ ნორმალურად ვერც ტუალეტში ეტევა ადამიანი და ვერც სააბაზანოში, თანაც ტუალეტში ნიჟარაც არ დგას, მოკვკვლით აქეთ-იქით სიარულით.

ტიხარი ისეთი იოლი დასანგრევი აღმოჩნდა, რომ ურო თითქმის არც დამჭირვებია.

– ნანგრევები სად წავილოთ?

– რა, უკვე დაანგრეე?! ასე მალე?! – თიკოს თვალები გაუფართოვდა და სააბაზანოში შეიხედა, – რამდენი ნაგავია!..

– მართლა რამდენია... – რუსუდანმაც შეიხედა, – სხვენზე ვფიქრობდი გაშლას...

– მერე, გავშალოთ...

– ამდენი დაეტევა?

– ამდენი კი არა, ათი ამდენიც წავა.

– დედა, მარტო როგორ აიტანს?! მეც დავეხმარები.

– თიკო, რას ამბობ?! – თავი გამოვიდე, – შენ ვერღობით ხელში?! – ისე კი გულის სიღრმეში ძალიან მესიამოვნა, – მერე ვეღარ დაუკრავ... თუ გინდა, შევეჯიბროთ, სანამ თქვენ ხინკალს გააკეთებთ, ეს უკვე ატანილი მექნება!

– მოდი! – ტაში შემოჰკრა თიკომ.

კიდევ კარგი, ბოლო სართულზე ცხოვრობდნენ. სულმოუთქმელად დავრბოდი ზვეთ-ქვევით, ოფლი ღვარად ჩამოდიოდა, დაღლას კი ნამდვილად ვერ ვგრძნობდი.

– მოვრჩი, – განვაცხადე ბოლოს, – თქვენ?

– ჩვენც, მაგრამ რა თავს იკლავდი?! როგორი ოფლიანი ხარ?! – ზურგზე ხელი დამადო თიკომ.

რაღაც, გასაგიჟებლად სასიამოვნო გრძნობამ დამიარა მთელ სხეულში.

– თიკო, ახალი პირსახოცი გამოუ-



ტანი... ცხელი წყალი ფაფუ! ამიტომ აი, ველროში გავითბე, გადაიფლე.

... ხინკალი საოცრად გემრიელი იყო, თუმცა სულ რომ არ ვარგებულყყო, მე მაინც გემრიელად შევჭამდი. ღვინოც ფანტასტიკური ჰქონდათ! თიკოც წრუპავდა ცოტ-ცოტას. ლოყები ვარდისფრად აებრაწა, თვალები ეშმაკურად აუუუყუნდა.

ოხ, რა ჩასაყლაპი ვინმე იყო მაშინ!.. როიალს მიუჯდა. მასსოვს, „მთვარის სონატას“ უკრავდა. მე კი ვიჯექი გონებადბინდული და აშკარად ვგრძნობდი, თუ რა ჰქონდათ მხედველობაში, როდესაც სამოთხეს აღწერდნენ...

ბოლოს გამოვემშვიდობე და ღიდი მადლობა გადავუხადე მასპინძლობისთვის. — რას ამბობ?! პირიქით!

— რუსო, ახლა ჩემი ჯერია! ჩემთან ვიქეიფოთ, ბუხართან, მწვადებზე, — მიშენებულ ლოჯიაში ბუხარი მქონდა გაკეთებული, — თიკოს არ ვასწავლოთ შამფურებზე მწვადის შეწვა? შევიკრიბოთ თანამშრომლები და ვიქეიფოთ...

— რა კარგია! — აღტაცება ვერ დამალა თიკომ, — აუცილებლად წამოვალთ, ჰო, დედა?!..

დიდხანს ვიხეტიალე ქალაქში. არა, კი არ ვიხეტიალე, ვიფარფატე! შინ მისვლას არ ვჩქარობდი. დავდიოდი და მზად ვიყავი, ყველა ხეს ჩავხუტებოდი და

დამეკონცა.

ოხ, რა ბენიერი ვიყავი იმ საღამოს!..

ჩემთან მწვადებზე შეკრება მალევე ვერ მოხერხდა. რაღაც კონკურსი გამოცხადდა ეკლესიის პროექტზე, სასწრაფოდ უნდა გაგვეკეთებინა, თითოეულს ცალცალკე.

ესკიზები გავაკეთეთ და მღვდლები მოვიწვიეთ საპატრიარქოდან კონსულტაციისთვის. მღვდლებმა სასტიკად ავვიკრძალეს თანამედროვე არქიტექტურის გაკეთება, შენობა ათი საუკუნის წინანდელი ტაძრების მსგავსი უნდა ყოფილიყო აუცილებლად... ჩემს კითხვაზე, თუ რატომ?! — ვერაფერი მიპასუხეს...

სასტიკად გაგებრაზდი, მივატოვე სააქტო დარბაზი და ჩვენი ოთახისკენ გავწვიე.

— რა იცის მღვდელმა, როგორი უნდა იყოს დღევანდელი ტაძრის არქიტექტურა?! — თითქმის ყვიროდი, ოთახში რუსუდანი რომ არ დამხვედროდა, ალბათ დედის გინებაზე გადავიდოდი, — მან შეიძლება მხოლოდ ერთი რამ გვიკარნახოს: საკურთხეველი უნდა იყოს აღმოსავლეთით, მის ერთ მხარეს — სამკვეთლო, მეორე მხარეს კი — საღიაკენო... მორჩა!.. მათ მეტი არაფერი უნდა ეკითხებოდეთ!.. აბსურდია, აშენო დღეს ისე, როგორც ათასი წლის წინ!.. სამების

უხარმაზარ ტაძარს რომ აპირებენ... თუ აშენდა, შთამომავლობა ალბათ ვერც მიხვდება, რომელ საუკუნეში აიგო!.. და საერთოდ, რა საჭიროა ამხელა მშენებლობები, როცა ბაგრატი უგუმბათოდაა და მეტრო მათხოვრებით აივსო?! ის თანხა გაჭირვებულებს რომ მოხმარდეს, უკეთესი არ არის?! მაშინ აღარ ექნებოდათ იმის შიში, რომ ვინმე, იელოველი გახდება...

სულს ძლივს ვითქვამდი, ჩემივე სიბრაზე კიდევ უფრო მაღიზიანებდა.

— კარგი, დამშვიდდი, რა მოვივიდა?! — გაოცებულმა შემაწყვეტინა რუსუდანმა.

ხმას ოდნავ დავუწვიე, მაგრამ დამშვიდებით, ვერ დავმშვიდდი.

— არადა, რა საჭიროა ამხელა საკათედრო ტაძარი თბილისში, მაშინ, როცა სულ რაღაც ათ-თხუთმეტ კილომეტრში არსებობს მცხეთა, რომელიც თითქოს სპეციალურადაა გაჩენილი სასულიერო ცენტრად, თავისი ბრწყინვალე სვეტიცხოვლით, ჯვრითა და სამთავროთი?! დღეს რაც არ უნდა ააშენონ, სვეტიცხოველზე უკეთესი მაინც ვერ გამოუვათ... — წამით გაჩერდი, გონებაც მოვიკრიბე, მერე ჩვეულებრივი ხმით განვაგრძე, — ხანდახან მეჩვენება, რომ მართლმადიდებლობა სადღაც შორეულ წარსულში ჩაიკეტა... დღემდე ჯერ ახალ წელს ვზეიმობთ, შემდეგ შობას, ძალიანაც რომ გინდოდეს მარხვის შენახვა, ვერ შეინახავ! რა საჭიროა ამხელა კონსერვატიულობა?! იქნებ, სწორედ ამ ზღვარგადასული კონსერვატიულობის ბრალია, რომ არც ერთი მართლმადიდებელი სახელმწიფო ეკონომიკურად აყვავებული არ არის?! — დავამუხრუჭე როგორც იქნა, — მივხვდი, რომ მოუკრეფავში გადავედი.

ასე იყო თუ ისე, პროექტი მაინც გავაკეთე. ჩვეულებრივი ეკლესია გამოვიდა, აბა, სხვა რა უნდა გამოსულიყო?! მოულოდნელად, მესამე პრემია მომცეს.

გამიხარდა, უკეთესი საბაბი მომეცა, რომ თანამშრომლები დამეპატიჟა. ისე, თანამშრომლები ნაკლებად მალელებდნენ, მთავარი ჩემთვის თიკო იყო...

— არ დაგავიწყდეს: ხვალ ჩემთან მწვადებზე... თიკო აუცილებლად წამოიყვანე! — რამდენჯერმე შევასწენე რუსუდანს.

დიდიდან საამო გრძნობით შეპყრობილი დავქროდი, ხან ბაზარში, ხან მალაზიებში...

ყველაფერი გავამზადე. გონებაში დავალაგე, როგორ დავხვდებოდი სტუმრებს, როგორ გამდიძებდა თიკო, როგორ ჩამომართმევდა ხელს და როგორ ვაკოცებდი ლოყაზე...

აუცილებლად ვაკოცებდი!.. როგორც იქნა, შუადღევ მოახლოვ-

და და კარზეც კაკუნის ხმა გაისმა. წამში კართან გაკნინდი და ძლეღვარები-სგან დანოტიობული ხელით ძლივს გავხსენი საკეტი.

წინ თიკო იდგა და გაბრწყინებული თვალებით შემომცქეროდა...

– გამარჯობა! – და ლოყაზე მაკოცა. უხერხულად შევიშმუშნე. დამავიწყდა, რომ ამის გაკეთება მე თვითონ მინდოდა.

– მობრძანდით, – ძლივს გადავდგი ნაბიჯი, ვცდილობდი, ფეხი არ ამერეოდა. ოთახში შევუძეხი სტუმრებს.

– უხ!.. შენ უკვე ყველაფერი გაგიშხადებია! – ალტაცება ვერ დაფარა ჩემმა უფროსმა, – ცეცხლიც მალე ჩანაკვერჩხლდება.

– მაშუკა, მწვადები შენ შეწვი, – დავავალე მწვადების შეწვის დიდოსტატს, მას საოცარ სიამოვნებას ჰკვირდა მწვადების შეწვა... იჯდა და აუჩქარებლად, ნელ ნაკვერჩხალზე, დიდი რუღუნებით ატრიალებდა ხოლმე შამფურებს... რა ნერვები ჰქონდა!.. იმ პერიოდში, სიგარეტი რომ არ იშოვებოდა და „ბიჩოკებს“ ქილებით ყიდდნენ, ლაგოდენიდან ჩამოტანილ თამბაქოს ფურცლებს მთელი დღეები რეიშინით ჭრიდა, თან ყველა ხოლი ერთნაირი სიგანის გამოჰყავდა!..

– გიტარაც მოგიტანია, დაკვრა ვინ იცის? – არ ჩერდებოდა უფროსი.

– თიკომ, რა თქმა უნდა, – რატომ-ღაც წამოვწითლდი.

თამადად, ბუნებრივია, უფროსი დავნიშნეთ. ეხერხებოდა და უყვარდა კიდევ. ისიც, მართალია, თავიდან ცოტა თავი დაიფასა, მაგრამ შემდეგ მიჰყვა მამაპაპურად.

წამოვიდა სადღეგრძელოების ნაკადი, არ დაგვიტოვებია არანაირი სასმისი...

დავთვერი, უხერხულობა სადღაც გაქრა... თამადად დაუწყე თიკოს გამასპინძლება – ხან რას ვაწვდიდი, ხან რას... ისიც არაფერზე ამბობდა უარს.

– გვიძღვრე რამე, – გიტარა მივაწოდე ბოლოს.

ასაწყობი აღმოჩნდა. დაიტანჯა მისი აწყობით.

– ამ გიტარისგან არაფერი გამოვა! ასე რომ, თუკი რაიმე წუნი შეამჩნიეთ, მე ნუ დამაბრალებთ...

– რა წუნი, თიკო, შემოგველე! შენს მეტს აქ სმენა არავის გვაქვს!

ამდერდა... ამდერდა და მეც ავფრინდი მეცხრე ცაზე!

შემდეგ, როცა დაიღალა, მაგნიტოფონი შევაშველე. მუსიკამ თამადა ცეკვის ხასიათზე მოიყვანა, რუსუდანს ხელი გაუწოდა და თავი დაუკრა.

მეც მაშინვე თიკოსთან გაკნინდი...

არ მახსოვს, რა მუსიკა იყო... მახსოვს თიკოს თმის სურნელი, მისი ნახი

წელი, მისი სხეულის სითბო...

შემდეგ თიკოსთან ცეკვისას მამუკა ჩამეცილა...

ტანში მბურმელავდა, როცა თიკოს წელზე შემოხვეულ მამუკას ხელს ვუცქეროდი...

ბოლოს, წასვლა გადაწყვიტეს.

– უკვე ბნელა გაგაცილებთ, – შევთავაზე რუსუდანს.

– ჩვენ აქ არა ვართ?! – თავი გამოიღო უფროსმა.

– არავითარ შემთხვევაში, ჩემი სტუმრები მე თვითონ უნდა გაგაცილო!..

ნელა მივიღოდი. აქედან დედას ჰქონდა ჩემთვის ხელკავი გამოღებული, იქიდან შევიღს. მე ნამდვილად არსად მეჩქარებოდა, მთელი ცხოვრება რომ ასე მეკლო, წინააღმდეგი არ ვიქნებოდი. ისინიც არ ჩქარობდნენ. არც ისე შორს ცხოვრობდნენ და ფეხით გადაწყვიტეთ გასეირნება...

– კონსერვატორიაში გამოცდები როდის გეწყება?

– უხ, მალე, ერთ თვეში... ნუ მომაგონებ!

– რომ ჩააბარებ, მერე სად მიდიხარ?

– ჯერ ჩავაბარო...

– ჩააბარებ, ჩააბარებ!.. ხომ არ გეშინია?

– რა ვიცი... ჩვენთან ხომ იცი, როგორ არის?! – იმის შვილი, ამის შვილი და ადგილი აღარ რჩება ხოლმე...

– ნუ გეშინია, შენ ისეთი ყოჩაღი ხარ, ჩააბარებ... და მაინც, სად გინდა წასვლა მერე?

– ევჰ, წასვლა კი ვიცი სადაც მინდა!.. ამერიკაში!.. მაგრამ „მანი, მანი“?!

– ცერა და საჩვენებელი თითი გაუსვამოუსვა ერთმანეთზე – ალბათ, უფრო, ბათუმში წავალ, დეიდაშვილებთან ერთად...

გული მტკივნეულად შემეკუმშა – ბათუმს ნამდვილად ვერ გავქანავდი! მე წყნეთის იმედი უფრო მქონდა – მისი დეიდაშვილები წყნეთში ცხოვრობდნენ...

... ზარია... ვიღაც მოვიდა... რომელი საათია, ნეტავი!.. უკვე თორმეტი დაწყებულია!..

კართან ორი კაცი იდგა, ერთი საკმაოდ მსუქანი იყო. მსუქანს ხელში სავსე ცელოფანის პარკი ეჭირა.

კარი გაიღო... პირგაუპარსავი, ოღნავ მელოტი, ოღნავ ჭადარა, ოღნავ შავგვრემანი კაცი გამოჩნდა, შავებში ჩაცმული.

– ვახო, მამაბიე, შემოგველე, აქ არ ვიყავი. წუხელ ჩამოვედი თურქეთიდან. უხ, ამ თურქების... – მსუქანი შემოვიდა.

– მე, ძმაო, გვიან გავიგე, ვიზიარებ... გადაკოცნეს...

– როგორ მოხდა, ერთი გამაგებინე?..

– რა ვიცი, აბა...

– ბელისწერა თქვი, რა!.. აქედან გადავარდა? – ლოჯის ფანჯრიდან გადაიხედა მსუქანმა, – და აქ რა უნდოდა, ფანჯრებს წმენდა?

– ჰო...

– საწყალი... მაგრამ მეწყინა, ვახო... ბავშვი სად არის?

– დედაჩემთან.

– ძალიან განიცდის ალბათ, არა?

– კი...

– რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ...

მსუქანმა პარკიდან რალაც-რალაცები ამოალაგა.

– აი, ეს ბავშვს მოვუტანეთ, – ლამაზად შეხვეული ყუთი გაუწოდა მასპინძელს, – ჩვენ კი მოდი თითო ჭიქით მოვიგონოთ.

დაასხეს.

– არა, მე არაყი მირჩვენია, – ღვინო იუარა ვახომ.

– როგორც გინდა... მაგრამ ხელები გიკანკალებს, სულ გაყვითლებული ხარ... შენც რომ თან გადაჰყვე?!.. ბავშვი გყავს გასაზრდელი, ხომ იცი, მიხედა უნდა... ვახომ ჩუმად გადაკრა არაყი. ოღნავ დაიჭყანა.

– დააყოლე მაინც რამე!..

– არ გადამდის...

– ეჰ, აბა, გაანათლოს ღმერთმა!.. – სტუმრებმაც დალიეს, ოღონდ – ღვინო.

– ვახო, სანამ ფხიზლები ვართ, აი, ეს შენ ჩვენგან, – უბის ჯიბიდან კონვერტი ამოიღო მსუქანმა, – ხარჯი გექნებოდა. ვახომ უხმოდ გამოართვა...

– ბიჭო, გახსოვს ანზორა დარჩიევი? მერვემდე სწავლობდა ჩვენთან. თურქეთში ყოფილა. მოუკლავთ, საწყალი, იქ მითხრეს... არავინ იცის – ვინ, რატომ?..

არადა, რა გულკეთილი იყო, ვის რას დაუშავებდა?! დააყჩაღეს ალბათ... ისე, რა ფული უნდა ჰქონოდა მაგას?! მაგრამ მეწყინა. ეს უკვე მერვეა. ოცდახუთნი ვიყავით სულ და მესამედი აღარ დავრჩით... ვერე არაა? ჯერ ნანა მოკვდა გულით, მერე გელა და ზურა ავარიამი, დოლა, ბაშკა და ჯელა აფხაზეთში, ლევანი „წამალში გაიპარა“... ჰო, ეს მერვეა... არადა, არც ისე ხნიერები ვართ, ამის დედა ვატირე!.. მოდი, ყველას გაუმარჯოს ცოცხლად!

ბევრი დალიეს. ვახო მალევე გაიღეშა, წყალივით სვამდა არაყს და გაყინული მხერით ერთ წერტილს მისჩერებოდა... როცა წასვლა გადაწყვიტეს, ვახო ფეხზე ვეღარ ადგა. მეგობრებმა საწოლამდე მიიყვანეს, დააწვინეს, გვერდით „ბორჯომის“ გაუხსნელი ბოთლი მიუდგეს და წავიდნენ...

გვერდიდან ჰიტერ გრემის ცხოვრება შესაშური ჩანს: იგი ჰოლივუდის ვარსკვლავია, ხშირად ჩნდება ჟურნალების გარეჯანზე და ჟურნალისტებს გულახდილ ინტერვიუზეც არ ეუბნება უარს. ოცდაათი წლის ასაკში მან იმდენი საყვარელი გამოიცვალა, რომ ანგარიში თვითონაც აებნა. ამჟამად ჰიტერს ფულიც აქვს და სახელიც – და მაინც, ადრე არასოდეს უგრძნია თავი ისე ცუდად, როგორც ამჟამად. ახლად ჩაფიქრდა იმაზე, თუ რატომ არის, რომ ადრე თუ გვიან, ყველა მამაკაცი მას სხვა ქალის გამო ტოვებს.



ჰიტერ ბრაუნი

ფსიქონალიტიკოსებს აღარ ენდობა

აღბათ ის მთლად ისეთი არ არის, როგორც საჭიროა, მაგრამ რით? ის ლამაზია, სექსუალური, თავისუფალი, ჭკვიანი და მდიდარი. ჰიტერმა ამერიკელთა უმრავლესობის მსგავსად, ორჯერ მიმართა ფსიქონალიტიკოსს, მისი რეკომენდაციებიც შეასრულა და შეეცადა, ცხოვრება მეცნიერების მოთხოვნების შესაბამისად მოეწყო.

პირველად ფსიქონალიტიკოსს გოგონამ ჩვიდმეტი წლის ასაკში მიმართა. ამბავი, რომელიც მან ექიმს გაუზიარა, დაახლოებით ასეთი იყო: მისი მშობლები გულმხურვალე კათოლიკეები არიან და ზნეობის შესახებ საკუთარი მკაცრი შეხედულებები აქვთ. დედა – ჯოანი სკოლის მასწავლებლობას ზნეობის მქადაგებელი წიგნების წერას უთავსებს, მამა – ჯიმი, ძიებათა ფედერალურ ბიუროში მუშაობს და მანაც ზუსტად იცის, თუ რა არის

სწორი და რა – არა. ოჯახში არ არის მიღებული ტელევიზორის ყურება (რამდენიმე უწყინარი გადაცემის გარდა), კინოში სიარული და მსუბუქი ჟანრის მუსიკის მოსმენა. თავად ჰიტერი, ფარულად, მაიკლ ჯექსონზეა შეყვარებული და ძალიან შურს იმ მეგობარი გოგონების, რომლებსაც უპრობლემოდ უშვებენ სახლიდან ბიჭებთან ერთად სასეირნოდ. კიდევ – გოგონას ძალიან მოსაწყენად მიაჩნია საკვირაო ქადაგებები. ამასთანავე, მშობლებმა გადაწყვიტეს, სრულწლოვნების მიღწევისთანავე, გოგონა მონასტერში მიაბარონ, ჰიტერი კი ამის კატეგორიული წინააღმდეგია. ყველა ამ ცოდვის მშობლებისთვის გამხელა შეუძლებელია, მათი ნების წინააღმდეგ მოქცევა კი – საშიში. იქნებ, მას მართლაც ჯოჯოხეთური ტანჯვა უწერია, თუკი ცდუნებას ვერ და-

ძლევს?..
ფსიქოლოგი ძალიან გაოცდა და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენა, რათა გოგონასთვის დანაშაულის გრძობის კომპლექსი მოეხსნა. ამის შედეგად, ჰიტერი სკოლის თეატრალურ წრეში ჩაეწერა, მეგობარი ბიჭი გაიჩინა, უბიწოებას გამოეთხოვა და სულ მალე მშობლებს განუცხადა: „გადავწყვიტე, პროფესიონალი მსახიობი გავხდე და კიდევ, ლოს-ანჯელესში მივემგზავრები – ამერიკის დამოუკიდებლად ცხოვრებას ვაპირებ! თუ მომინდება, რომელიმე ყმაწვილთან ერთად ვიცხოვრებ, თუ მომეხასიათა, დავთვრები კიდევ!“ მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მათი შვილი ჭკუიდან შეიშალა, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. საუბარი ჯოჯოხეთის შესახებ, სადაც იმ ადამიანების სულები ხვდებიან, რომლებიც თავაშვებულ ცხო-



პიტერ გრემი და მაიკლ მაიერსი ფილმში „ოსტინ პაუერსი 2: ჯაშუში, რომელმაც მომხიბლა“



პიტერი პოლივეულის ერთ-ერთი კორიფის ჯეიმს ვულსის საცოლედ იყო. 1992 წ.

ვრებას ეწვეიან, გოგონაზე აღარ მოქმედებდა...

მეორედ პიტერს ფსიქონალიტიკოსი ლოს-ანჯელესში დასჭირდა. მაშინ გრემი უკვე დამწყები მსახიობი იყო და პოლივეულის ერთ-ერთი კორიფის – ჯეიმს ვულსის საცოლედ ითვლებოდა. პრობლემა კი შემდგომში მდგომარეობდა: პიტერი უკმაყოფილო იყო იმ როლებით, რომელსაც სთავაზობდნენ. ეს არ იყო საინტერესო სახეები, ძირითადად უწყინარი, ანგელოზური გამომეტყველების მქონე გოგონებს ასახიერებდა, რომელთაც არც ინტელექტი ემჩნეოდათ და არც სექსუალურობა. ალბათ ყველაფერი მისი ავადმყოფური სიმორცხვის ბრალი იყო, რომლის დაძლევაც პიტერმა ვერაფრით შეძლო. და აი, პიტერის ცხოვრების შესაცვლელად კვლავ ფსიქოლოგი შეუდგა საქმეს.

უპირველეს ყოვლისა, გრემი თავის საქმროს დაშორდა. მანამდე პიტერი მიიჩნევდა, რომ ჯეიმსი მისთვის შესანიშნავი პარტნიორი იყო და გოგონას ნაკლებად აღელვებდა ასაკობრივი სხვაობა (გრემი მაშინ 22 წლის იყო, ჯეიმსი კი 45-ის). პიტერს მოსწონდა, რომ ვულსს მისი ესმოდა, ყველაფერს უწონებდა და მუდამ აღფრთოვანებული იყო მისით. მათი ურთიერთობა იმით დაიწყო, რომ ჯეიმსი

პიტერით მაშინ დაინტერესდა, როცა გოგონას ხელში დოსტოვესკის ტომი დაინახა. ვულსმა თითქმის იმავე დღეს ცოლობა სთხოვა გრემს... ფსიქოლოგი დიდხანს არწმუნებდა პიტერს, რომ მას ჯეიმსი არ უყვარდა – უბრალოდ, ქალს თავის ბავშვობასთან გამოთხოვება უჭირდა, ძველებურად სჭირდებოდა მფარველობა და გამხნივება უფროსებისგან, ჯეიმსში კი ის მამის გარკვეულ „სუროგატს“ ხედავდა, ხოლო იმისათვის, რომ სერიოზული როლები მიეღო, ჯერ თავად უნდა გაზრდილიყო, გათავისუფლებულიყო, შეეგრძნო საკუთარი სექსუალურობა და არ შეშინებოდა ექსპერიმენტების, მამაკაცებთან ურთიერთობაში.

პიტერმაც ექსპერიმენტები წამოიწყო. მასში მონაწილე მამაკაცების რაოდენობამ რამდენიმე ათეულს მიაღწია. მათგან უმეტესობა პიტერთან ხანმოკლე რომანის დასრულების შემდეგ ჰყვებოდა, რომ ქალმა საოცარი თავაშვებულობით გააოცა... ვიღაცამ გრემს „სიყვარულის უდიდესი ქურუმი

ქალიც“ კი უწოდა და პიტერისთვისაც უკეთესი კომპლიმენტი არ არსებობდა: ჯერ ერთი, ასეთი ამპლუა თავად მოსწონდა, მეორე – ეს ფსიქოლოგის რეკომენდაციებს შეესაბამებოდა და შესამეც – ამ შეფასებამ ქალს დიდი ხნის ნანატრი წარმატება მოუტანა კინოში: როგორც იქნა, მას ნამდვილი, ოდნავ სარისკო, მაგრამ შთამბეჭდავი როლები ეღირსა.

სულ მალე მან ისეთი მსახიობის სახელი მოიპოვა, რომელთანაც ძალიან ადვილი იყო სასიყვარულო სცენების თამაში. თავად პიტერს გადასაღებ მოედანზე გაშიშვლების არ რცხვენოდა და თავის პარტნიორებსაც კი აგულიანებდა. მაგალითად, ერთხელ რობერტ დაუნი-უმცროსმა ვერაფრით დასძლია მღელვარება ფილმის „ორი გოგონა და ჭაბუკი“ სასიყვარულო სცენის გადაღების დროს, სანამ პიტერმა არ გადაურჩრულა: „დაივიწყე კამერა, ამაში მე დაგეხმარები. ყველაფერი კარგად იქნება, ძვირფასო“. ან კიდევ, საინტერესოა გულადი ოსტინ პაუერსის – მსახ-

ქლიბას – ელიგარული ფრანგული კოსმეტიკა „დერმაჯეტიქს“-ის კომპანიის – სახიდან თმისა და გამონაყარის მოსაცილებელი მცენარეული ნიღბები, კანის სტრუქტურის აღმდგენი, ნაოჭების გასასწორებელი კრემები, თმის ცვენის შემამჩრებელი შამპუნები, ცელულიტების დამშლელი კრემები, მამაკაცის და ქალის სუნამოები და ლოსიონები – ისარგებლეთ საშობაო ფასდაკლებით!
ბანშემს – უნიკალური ვიგამინები: სიმაღლეში ზრდის, იოდის, სისხლის მიმოქცევის, უმაღლობის, სისუსტის, ღამით უნებლიე შარდვის პრობლემების მოგვარებისათვის.
მამბასმს – სუპერვიტამინები, რომლის მიღების შემდეგ შეგიძლიათ ითამაშოთ საშობაო სუფრაზე და არ დათვრეთ. დაიჭირეთ თადარიგი წინასწარ – დარეკეთ: 63-09-67 (დილა-საღამოს); 99-72-81 (12-18 სთ-მდე) ცისანა გვერიგოშვილი

იობ მაიკ მაიერსის მაგალითი: ჰიტერმა მასაც გაუწია დიდი დახმარება კამერის დავიწყებაში. ბუნებრივია, ყველა პარტნიორი გადაღებების შემდეგაც სიამოვნებით განაგრძობდა ურთიერთობას მის გრემთან. თუმცა, ეს კონტაქტები საკმაოდ ხანმოკლე იყო, რაც ჰიტერს სულაც არ ანაღვლებდა. ასე ხდებოდა მანამდე, სანამ გრემი მსახიობს, სცენარისტსა და განუმეორებელ მამაკაცს – ედვარდ ბერნსს არ შეხვდა.

წყვილმა ერთმანეთი 1998 წლის ზაფხულში, ერთ-ერთ ბარში გაიცნო. მათ მართლაც მგზნებარე რომანი ჰქონდათ და ჰიტერი ჟურნალისტებს უამბობდა, რომ როცა ის და ედი გადაღებებით არ იყვნენ დაკავებული, შეეძლოთ კვირაობით არ გამოსულიყვნენ სახლიდან და მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობით დამტკბარიყვნენ. ცხოვრებაში პირველად იგრძნო გრემმა, რომ საერთოდ აღარ სურდა ვინმეს მოხიბვლა. ცნება „მამაკაცები“ მისთვის აღარ არსებობდა, უფრო სწორად, ის ორ ნაწილად დაიყო: ედი, რომელიც მას სჭირდებოდა, და დანარჩენები, რომლებიც მას არ სჭირდებოდნენ.

უბედურება კი ის იყო, რომ ბერნსს აზრადაც არ მოსდიოდა გრემზე დაქორწინება და როცა ჰიტერმა ინტერვიუებში იმაზე ლაპარაკს მოუხშირა, რომ ახლო მომავალში გათხოვება სურდა (ყველა ხვდებოდა, რომ სწორედ ედიზე გათხოვებას გულისხმობდა, რომლის სიყვარულმაც ჰიტერს გონება აურიდა), ბერნსმა თავისი ნივთები მოკრიბა და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ქალის სახლიდან გაქრა.

ეს დაახლოებით ერთი წლის წინ მოხდა. მაშინ ჰიტერმა დარტყმა საკმაოდ სწრაფად გადაიტანა – ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ასეც უნდა მომხდარიყო: ედი ცნობილ ფლეიბოიდ ითვლებოდა და მუდამ თავად ტოვებდა ქალებს. ასე იყო მანამ, სანამ იგი ჰიტერს გაიცნობდა და ასე იქნება მომავალშიც...


ედთან განშორებიდან სულ მოკლე ხანში ჰიტერის ცხოვრებაში ჰიტ ლეჯერი შემოიჭრა. ის სრულიად სხვანაირი ადამიანი აღმოჩნდა: ქალზე ზრუნავდა, თავად დადიოდა მაღაზიებში და ჰიტერის სარეცხიცი კი თავად დაჰქონდა სამრეცხაოში (ჰიტერს მოსამსახურე არ ჰყავდა, ის ვერაფრით შეეგუა ვარსკვლავისა და მდიდარი ქალის სტატუსს), მაგრამ მთავარი არც ეს იყო: ჰიტი გრემს ედვარდისგან მიღებული ჭრილობების მოშუშებაში დაეხმარა და იმის რწმენა გაუღვივა, რომ მასაც შეეძლო ჰქონოდა ნორმალური ოჯახური ურთიერთობები. კაცმა დააჯერა ჰიტერი, რომ იგი ყველაზე საიმედო, ერთგული და მოსიყვარულე ყმაწვილი იყო მთელ დედამიწაზე.

და აი, წელს, აგვისტოში, გრემისთვის სრულიად მოულოდნელად, იგი სხვა ქალთან წავიდა. – თავისზე 15 წლით უფროს, ვიღაც ლიზა ზეინ-ქალს ყველაზე მძიმე დარტყმა ჰიტ ლეჯერმა მიაყენა. 2001 წ.

თან. ამ დარტყმის გადატანა გრემს მართლაც გაუჭირდა.

ჰიტერის სახელი ახლაც ჩნდება ხოლმე მაღალი წრის ქრონიკებში. ხან ის რასელ ქროუსთან ერთად უნახავთ, ხან თითქოს ვენეციის ფესტივალზე მის მოხიბვლას ერთდროულად ორი ტყუპი ძმა, ფილმის – „ჯოჯოხეთიდან“ რეჟისორები – ალენ და ალბერტ ჰიუსები ცდილობდნენ (ამ ფილმში თავად გერმიც მონაწილეობს), მაგრამ ისინი, ვინც ვარსკვლავს ახლოს იცნობს, აღნიშნავენ, რომ მისი გუნება-განწყობა „ნულს“ უტოლდება და ხანმოკლე რომანები ჰიტერს აღარ იზიდავს. „ყველა სასიყვარულო ამბავი მხოლოდ სისხლსავსე ცხოვრების ილუზიას ქმნის. ნამდვილი სიყვარული რაღაც სხვაა, ჯერ მეც არ მესმის – რა! – ამბობს მსახიობი. – არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ფსიქონალიტიკოსი ამის წვდომაში დამეხმარება. მარტობის ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა როგორმე დამოუკიდებლად უნდა მოვახერხო“.

ჰიტერის ყველაზე დიდი სიყვარული – ედვარდ ბერნსი. 1999 წ.



მატიკა დაცაბა მუტუ ალბომი მუშათმს

მარიკა ქაცარავა მუსიკალურ ჯგუფ „ჯაზქორალთან“ ერთად, რამდენიმე დღით მოსკოვში გაემგზავრა, სადაც ტრადიციულ საახალწლო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. ცოტა ხნის წინ გამოვიდა მომღერლის მუსიკალური ალბომი, რომელიც ლაზერულ კომპაქტ-დისკზეა ჩაწერილი. მალე მარიკას თაყვანისმცემლებს საშუალება მიეცემათ, ნახონ ახალი მუსიკალური კლიპი, რომელიც აღნიშნულ ალბომშია შესული. მომღერალი უკვე ახალ სიმღერებზეც მუშაობს, რომელიც დაგეგმილ მეორე მუსიკალურ ალბომში მოიყრის თავს.

ახალ წელს მარიკა ოჯახთან ერთად შეხვდება, რის შემდეგაც თაყვანისმცემლებს საშუალება ექნებათ, მას თბილისის ერთ-ერთ რესტორანში შეხვდნენ, სადაც ის მერაბ სეფაშვილთან ერთად გამოვა.

სად იმღერებს ახალ წელს ლიზა მაგტაფიანი?

უახლოეს მომავალში ლიზა ბაგრატიონი მსმენელთა წინაშე ბიძინა კვერნაძის შემოქმედებით საღამოზე, ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში წარდგება, სადაც ევგენი მიქელაძის სახ. სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შესრულებს კომპოზიტორის სიმღერებს. ამ კონცერტისთვის მზადებასთან ერთად, მომღერალი „უცნობის“ ახალ მუსიკალურ კლიპზეც მუშაობს, რომლის რეჟისორადაც ბასა ფოცხიშვილი მოგვევლინება. ახალი წლის ღამეს კი, მომღერალი საკუთარ ოჯახთან ერთად შეხვდება და, როგორც თავადვე გვაცნობა, არც ერთ ღონისძიებაში არ მიიღებს მონაწილეობას.



ვატსკულაუთცუნა „ჯთიში“ მედმის ღამეს

ბარბარობის დღესასწაულზე ღამის კლუბ „ჯვის“ კარი სპეციალური მოსაწვევების გარეშე მისული ჩვეულებრივი კლიენტებისთვის ძნელად გადასალახავი აღმოჩნდა. მიზეზი – დათო ხუჯაძისა და მისი მეგობრების მიერ სპორტის სასახლეში გამართული კონცერტის „მეორე“ – „ეპილოგური“ ნაწილი აღმოჩნდა. შოუპროგრამის დაწყებას საათ-ნახევრის განმავლობაში მოთმინებით ელოდა შეკრებილი საზოგადოება – ძირითადად, ქართული ბომონდის წარმომადგენლები. წვეულებაში კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი დათო ოქიტაშვილიც მონაწილეობდნენ, რომლებიც თავიდანვე საკმაოდ მოკრძალებულ ადგილას მოკალათდნენ.

შოუპროგრამის დაწყებისთანავე „მართვის სადავები“ ხელთ იგდეს ტელეკომპანია „პირველი სტერეოს“ წამყვანებმა, რომლებმაც უმაღლესი „დიდი თუნთუნის“ დაწყების თაობაზე აუწყეს შეკრებილთა და მოცემული შანსიც საკუთარი ტელეგადაცემების რეკლამირებისთვისაც შესანიშნავად გამოიყენეს. ახალგაძმცხვარმა დიჯეებმა არც სკანდალური დადგენილება დაივიწყეს და დროდადრო რეპლიკებს ისროდნენ ცოცხალი სიმღერის ინიციატორების მისამართით. მათმა მახვილსიტყვაობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია დადგენილების მოწინააღმდეგეთა წრეში, თუმცა, გონებაშეშლილი დიჯეების წყალობით, გასართობი შოუ, პოლიტიკური დებატების ასპარეზად არ გადაიქცა და რომ იტყვიან, საბოლოოდ, არც მწვალი დაიწვა და არც შამფური.

სამწუხაროდ, კონცერტი ცოცხალი შესრულებით მხოლოდ ერთ საათს გაგრძელდა, რაც ალბათ დათოსა და მისი მეგობრების მიერ გადატანილი დატვირთული დღით აიხსნება. სამაგიეროდ, თუ მოცეკვავეთა რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, სტუმრები აშკარად ნასიამოვნებნი დარჩნენ, – მით უმეტეს, რომ დარბაზს ნამდვილად არ მოჰკლებია „ტექნო“ და შოუბიზნესის ვარსკვლავები. „დიდი თუნთუნის“ მიწურულს შემორჩენილი საზოგადოება ცნობილი მოდელიერების – მაკა ასათიანისა და ავთო ცქვიტინიძის გარშემო შემოიკრიბა და ნამდვილად დაიკვება ბევრი მუსიკა და მხიარული საღამოები.



აღონ დელონი კინოს ოსტატი

ცნობილი ფრანგი კინომსახიობი აღონ დელონი კინემატოგრაფს ტოვებს. ამის შესახებ მან პარიზში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. დელონის ბოლო ნამუშევარი, რეჟისორ ზოსე პინეიროს ფილმში – „ფაბიო მონტალე“ შესრულებული მთავარი როლი იქნება. სურათი, ცნობილი დეტექტიური რომანის ეკრანიზაციას წარმოადგენს და ფრანგულ ტელეარხზე TF1 მომავალი წლის დასაწყისში იქნება ნაჩვენები.



„აღონ მსურს კინოში გადაღება. ეს გააზრებული ცხოვრებისეული და პროფესიული არჩევანია. მაქვს უფლება განაცხადო: მე მივდივარ“ – აღონშნა პრესკონფერენციაზე აღონ დელონმა და დასძინა: „დროულად წასვლა უნდა შეგეძლოს. თანამედროვე კინო ჩემი საქმე არ არის. მე სასვებით მაკმაყოფილებს ჩემი კინემატოგრაფიული მიღვაწეობა. ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რაც მსურდა, მაგრამ ახლა სხვა საუკუნე და ახალი თაასწლებული დადგა...“ – თქვა აღონ დელონმა, რომელიც ამჟამად 66 წლისაა და 85 ფილმშია გადაღებული.

კემერონ დიასი ჯუღია ბემბრფსს დაქვია

კემერონ დიასი ჰონორარის ოდენობით ჯუღია რობერტსს გაუთანაბრდა და ჰოლივუდის ყველაზე ძვირად ღირებულ მსახიობთა სიაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ ფილმში „ჩარლის ანგელოზები-2“ როლის შესრულებისთვის დიასს 20 მლნ დოლარს შეჰპირდნენ. სწორედ ეს თანხა მიიღო ჯუღიამ 2000 წელს ფილმში „ერინ ბროკოვიჩი“ შექმნილი სახისთვის.

„ჩარლის ანგელოზების“ მეორე სერიის გადაღება 2002 წლის ზაფხულისთვის არის დაგეგმილი და მას პირველი ფილმის რეჟისორი მაკჯი დადგამს. დროუ ბერიმორი პროდიუსერადაც მოგვევლინება და მსახიობადაც, მესამე „ანგელოზთან“ – ლიუსი ლიუსთან კი მოლაპარაკება მიმდინარეობს.

აგრეთვე ყველაზე ძვირად ღირებულ მსახიობთა რიგს მიეკუთვნებიან ჯოდი ფოსტერი და მეგ რაიანი: მათი ჰონორარები 15 მლნ დოლარს უტოლდება. ამ ნიშნულს სანდრა ბალოკი და ჯენიფერ ლოპესიც მიუახლოვდნენ.

უაინონა ტაიდერი ქტბრტმისთვის დააკაუს



ცნობილი მსახიობი უაინონა რაიდერი ლოს-ანჯელესში, ბევერლი ჰილზის ერთ-ერთ დიდ მაღაზიაში დააკაუს: მსახიობს 5.000 დოლარის ღირებულების ტანსაცმლის ქტრდობა ედება ბრალად. ბევერლი ჰილზის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, მსახიობს ჩანთაში ნარკოტიკული მოქმედების წამლები აღმოუჩინეს. პოლიციის განყოფილებაში გატარებული რამდენიმე საათის შემდეგ, ვარსკვლავი 2.000 დოლარის თავდებით გაათავისუფლეს. უაინონა რაიდერის ადვოკატმა მარკ გარაგოსმა განაცხადა, რომ ქტრდობის ბრალდებით მსახიობის დაკავება გაუგებრობა იყო: რაიდერი ტანსაცმლით ხელში უბრალოდ, ერთი სექციიდან მეორეში გადადიოდა და მაღაზიიდან მისი გატანა აზრდაც არ მოსვლია. პოლიცია სულ სხვა აზრის არის: მაღაზიის დაცვამ თურმე დააფიქსირა, როგორ გლეჯდა რაიდერი ტანსაცმლიდან იარაღებს და ჩუმად იტენიდა სამოსს ჩანთაში. ამასთან, მსახიობს არ აღმოაჩნდა იმ ძლიერ მოქმედი პრეპარატების რეცეპტები, რომელიც ჩანთაში ჰქონდა, რაც კანონის დარღვევაა. თუმცა ადვოკატი აცხადებს, რომ წამლები რაიდერს ექიმმა გამოუწერა და ამის დამადასტურებელი დოკუმენტებიც არსებობს.

ვარსკვლავის საქმის პირველი განხილვა სასამართლოში მომავალი წლის 11 იანვრისთვის არის დაგეგმილი.

პლასიდო დომინგომ სმა დაკატგა

ცნობილმა ტენორმა პლასიდო დომინგომ მილანის საოპერო სცენაზე, ვერდის „ოტელლოში“ მთავარი პარტიის შესრულებისას, მოულოდნელად სიმღერა შეწყვიტა. ამის მიზეზი, არტერიული წნევის მკვეთრი დაცემა და ხმის დაკარგვა გახდა. როგორც თვითმხილველები ირწმუნებიან, სახელგანთქმულმა ტენორმა წარმოიძახა: „მაპატიეთ – გაგრძელება არ შემიძლია“, – და სცენა დატოვა.

30 წუთის შემდეგ, დომინგო მოთმინებით მომლოდინე მსმენელს დაუბრუნდა, სიმღერა განაგრძო და ბოლოს, 15-წუთიანი ოვაციებიც დაიმსახურა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, პლასიდო დომინგოს სცენაზე ხე-



ლახლა გასვლას ექიმი კატეგორიულად არ ურჩევდა, მაგრამ მომღერალმა ექიმის რჩევას ყური არ ათხოვა: აღნიშნული გამოსვლა ტენორისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სწორედ ამ თეატრში და სწორედ ოტელლოს პარტიის შემდეგ მიიღო დომინგომ 25 წლის წინ მსოფლიო აღიარება. თავად მომღერალმა შემდგომში აღნიშნა, რომ ხმის დაკარგვა იმ დიდი მღელვარების ბრალი იყო, რომელმაც ის „ლა სკალას“ სცენაზე გასვლისას მოიცვა.

პლასიდო დომინგო 61 წლისაა, თუმცა ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ მსახიობს 7 წლით აქვს ასაკი დაკლებული...

„ლა სკალას“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს შემთხვევა „უშინებელი ინციდენტი“ა, თვით დომინგო კი, კარგ ფიზიკურ ფორმაში იმყოფება.

Dodge-ი პოლიციეტოთვის



გერმანულ-ამერიკულმა კორპორაციამ „დაიმლერ კრაისლერმა“ აშშ-ის ხელისუფლებისგან ხელსაყრელი სახელმწიფო დაკვეთა მიიღო: მის მიერ შექმნილი ავტომობილი DODGE INTREPID-ი უახლოეს წლებში ამერიკული პოლიციის მთავარი საპატრულო მანქანა იქნება.

ფირმა „კრაისლერის“ – კორპორაციის ამერიკული ქვედანაყოფისთვის, ამგვარი ტექნიკის შექმნა სიახლეს არ წარმოადგენს: 60-იან, 70-იან და 80-იან წლებში ამერიკელი პოლიციელები მათი პროდუქციის ნიმუშებით – 7 სხვადასხვა მარკის ავტომობილებით დადიოდნენ. აღნიშნული, ბოლო ვერ-

სია, სპორტული მოდიფიკაციის სედანის საფუძველზე მუშავდებოდა (მისი ფასი – 21.000 დოლარი იყო), მაგრამ პოლიციისთვის განკუთვნილი ვარიანტი – სრულიად განსაკუთრებული მანქანაა: ის არა მარტო სწრაფი, არამედ ძალზედ გამძლე და მარტივად მოსახმარიც უნდა იყოს. თვით მდიდარ ამერიკაშიც კი, მუნიციპალური ბიუჯეტი, რომლითაც პოლიცია ფინანსდება, საკმაოდ შეზღუდულ სახსრებს ფლობს. საპატრულო „დოჯის“ ფასი, 23.800 დოლარს შეადგენს. ამ ფასად სამართალდამცავები მიიღებენ ავტომობილს, რომელიც 242 ცხ.ძ-ის მქონე 3,5 ლიტრიანი V ტიპის ძრავითა და გადაცემათა ავტომა-

ტური კოლოფით იქნება აღჭურვილი.

მწარმოებელი არ ახმაურებს მანქანის მაქსიმალურ სიჩქარეს და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ სპილომეტრზე მითითებული უმაღლესი მაჩვენებელი, 150 მილს (ე.ი. 240 კმ-ს) შეადგენს. გაძლიერებული აკუმულატორისა და გენერატორის წყალობით, საბორტო ქსელს სხვადასხვაგვარი დამატებითი ხელსაწყო უერთდება, მათ შორის – კომპიუტერი, რომელიც მონაცემთა ცენტრალურ ბანკს უკავშირდება. ამრიგად, საპატრულო პოლიციელს მანქანიდან გადაუსვლელად შეუძლია შეამოწმოს ნებისმიერი ადამიანი.

კონსტრუქტორებმა დაკავებულ მოქალაქეებზეც „იზრუნეს“: უკანა კარფანჯარა იმგვარად არის გაკეთებული, რომ მხოლოდ მძღოლს შეუძლია გაალოს. განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი იყო გასაგრილებელი სისტემა – ამრიგად, ძრავის გადახურება ექსტრემალური სიცხის შემთხვევაშიც გამორიცხულია.

პოლიციელთათვის განკუთვნილი „დოჯის“ წარმოება დამდეგი, 2002 წლის იანვრიდან არის დაგეგმილი.

Skoda Fabia ავტოგეხმანოთის

ჩეხური კომპანია „შკოდა“, რომელიც ახლა „ფოლკსვაგენის“ სამრეწველო ჯგუფში შედის, მოდელ „ფაბიას“ დახვეწაზე მუშაობს. ამ ცოტა ხნის წინ ფირმის ინჟინრებმა და დიზაინერებმა ამ მანქანის ლუქსის კლასის მოდიფიკაცია FABIA GT წარმოადგინეს. კომპაქტურმა საქალაქო ავტომობილმა მნიშვნელოვანი გარეგნული ცვლილებები განიცადა – უფრო ელეგანტური ფორმა შეიძინა წინა ფრთებმა, სახურავი კი, მოხდენილმა სპოილერმა დაამშვენა.

ახალი „ფაბიის“ სერიული ვერსია აღჭურვილი იქნება მუხრუჭების ანტიბლოკირების ABS-ის სისტემით, სპორტული მანქანებისთვის ჩვეული მკვრივი საკიდრითა და 15-დუმიანი ნაღობი დისკებით. სერიულ კომპლექტაციაში შედის აგრეთვე სპორტული საჭე, კონდი-



ციონერი, საბორტო კომპიუტერი, ელექტროამძრავით აღჭურვილი გვერდითი სარკეები.

ძრავების მხრივ მანქანაში არანაირი ცვლილება არ მომხდარა: ყველაზე იაფფასიანი GT (16.600 ევრო) 75 ცხ.ძ-იანი ბენზინის ძრავით აღიჭურვება, თუმცა „ფაბიასთვის“

უფრო ძლიერი – 100 და 115 ცხ.ძ-იანი ძრავებიც არის შემუშავებული. ამ აგრეგატებით აღჭურვილი „შკოდა“ შესაბამისად – 17.350 და 17.950 ევრო, ყველაზე ძვირი – 100 ცხ.ძ-იანი დიზელის ძრავით აღჭურვილი მოდელი კი, 18.850 ევრო ეღირება.



Seat Alhambra - ბოხბეზე შედგმული ოფისი

„ფოლკსვაგენის“ ჯგუფში შე-
მავალი კიდევ ერთი – ესპანური
ფირმა SEAT-ი წარმატებით ასორ-
ციელებს ექსპერიმენტებს არა მარ-
ტო დიზაინის, არამედ უახლესი
ტექნოლოგიების სფეროში. მისი
ბოლო ნამუშევარი – კონცეპტ-კარი
ALHAMBRA WOW (WORLD ON
WHEELS – „ბორბლებზე შედგმარი
სამყარო“) ყველაფრით არის აღ-
ჭურვილი, რაც კი გზაში შეიძლება
დაგჭირდეთ. ამ ავტომობილში
ციფრული რადიოსიგნალების (DAB)

და ციფრული ტელევიზიის მიმღე-
ბიცაა განთავსებული (DVB-T). მულ-
ტიმედია სისტემის წყალობით მგ-
ზავრებისთვის სხვადასხვა საინფორ-
მაციო არხი იქნება ხელმისაწვდომი,
სისტემა ინტერნეტთანაც არის
დაკავშირებული, რაც საშუალებას
მოგცემთ, ნახოთ ფილმები, ისარგე-
ბლოთ ელექტრონული ფოსტით და
შეხვიდეთ გასართობ პორტალებში.

კონსტრუქტორებმა დიდი ყურა-
ღღება მიაპყრეს უსაფრთხოებას.
SEAT-ის ინჟინერთა ჯგუფი ამჟა-

მად მეტყველების ამოცნობის
სისტემაზე მუშაობს, რომელიც
მძღოლს საშუალებას მისცემს, შეუჩ-
ერებელი მართოს კომპიუტერი. ფირ-
მის სპეციალისტთა ძალიან მშვეა
აგრეთვე ე.წ. უკუკავშირის არხის
შემუშავებისკენ არის მიმართული.
მისი დანიშნულებაა, მისცეს მგზა-
ვრებს საშუალება, გზიდანვე შეუ-
კვეთონ ნომერი სასტუმროში ან
ვთქვათ, მიიღონ ინფორმაცია მოახ-
ლოებული ქალაქის ღირსშესანიშ-
ნაობათა შესახებ. ■

SAAB-ი იეხიშზე გადადის

შვედურმა კომპანია „სააბმა“,
რომელიც სტრუქტურულად,
ამერიკულ კორპორაცია „ჯენერ-
ალ მოტორსში“ შედის, ფართომას-
შტაბიანი სამოდელო იერიშის
შესახებ გამოაცხადა: ყოველწლი-
ურად ის ერთი ან ორი ახალი
მოდელის წარმოდგენას აპირებს, ეს,
როგორც კონცეპტ-კარები, ასევე სე-
რიული მანქანებიც იქნება. პრო-
გრამა 2006 წლამდე პერიოდს
მოიცავს და უკვე დაწყებულია:
სექტემბერში გამართულ ფრანკ-
ფურტის ავტოშოუზე შევდებმა
კონცეპტ-კარი 9X-ი გამოიტანეს
ავტომოყვარულთა სამსჯავროზე,
რომელიც იმით გამოირჩევა, რომ
როდესტერის, კუპეს, პიკაპისა და
სედანის უჩვეულო სიმბიოზს წარ-
მოადგენს. ავტომობილში ძალზედ
ორგანულად არის შერწყმული
სპორტული და კლასიკური ელე-
მენტები. დიზაინი გამჭვირვალე
სახურავით, გამობერილი საბორბლე
თაღებით, აგრესიულად სტილიზე-
ბული ცხვირით გამოირჩევა. „ეს

ავტომობილი სავსებით შეიძლება
იქცეს სერიულად, საერთოდ კი,
აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ
„სააბმა“ მომავლისკენ გამიზნული
საინტერესო მოგზაურობისკენ აიღო
გეზი“, – ასეთი ხატოვანი კომენ-
ტარი გაუკეთა ახალ მოდელს კო-

მპანიის პრეზიდენტმა პეტერ აუ-
გუსტსონმა, თუმცა, ამ მოგზაურო-
ბისთვის მზადება საკმაოდ ხანგრ-
ძლივი იქნება: ბოლო წლებში
„სააბის“ დიზაინერები არც ისე
ხშირად ანებივრებდნენ პუბლიკას
გამორჩეული სიახლეებით. ■



რჩევები ქალებს

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ბოსტნეული – მკურნალი

ბოსტნეული წამლების ბუნებრივი საკუჭნაოა. სამკურნალოდ მას ექიმის დანიშნულებით ხმარობენ.

კომბოსტო უხსოვარი დროიდან იხმარება სამკურნალო მიზნით. თანამედროვე მედიცინა მას დიდ ყურადღებას უთმობს. დაქუცმაცებული ახალი კომბოსტო აძლიერებს მადას, კუჭის სეკრეციას, არეგულირებს ნაწლავების მუშაობას, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. იგივე შეიძლება ითქვას მჟავე კომბოსტოს შესახებ, რომელიც სურავანდის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. კომბოსტო ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას, რაც მეტად საჭიროა ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისათვის. ექიმები კომბოსტოს ურჩევენ მსუქან ადამიანებს, კომბოსტო დიაბეტის კარგი მკურნალია.

ხალხურ მედიცინაში კომბოსტოს სხვადასხვაგვარად იყენებენ: მის ნედლ ფოთლებს იღებენ ნატკენ ადგილზე და ტკივილი მცირდება. მას ეგზემის დროსაც ხმარობენ. კვერცხის ცილასთან შერეული კომბოსტოს დაქუცმაცებული ფოთლები არჩენს დაჩირქებულ ჭრილობას, ქრონიკულ წყლულებსა და დამწვრობას. განსაკუთრებულ სამკურნალო მოქმედებას ახდენს ორგანიზმზე კომბოსტოს წვენი – ეს კარგი საშუალებაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის მოსარჩენად. კომბოსტოს წვენი ამავე დროს აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ნერვულ სისტემას. ექიმის რჩევით, წვენი უნდა მიიღოთ თითო ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამამდე (წყლულის დროს). მკურნალობის კურსი 30 დღეა.

ჩვეულებრივი ჭარხალი მრავალ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს (შაქარს, ორგანულ მჟავებს, C, P, K ვიტამინებს და სხვა). იგი შარდმდენი საშუალებაა, აქვს აგრეთვე სურავანდის, ანთების საწინააღმდეგო

და ტკივილგამაყუჩებელი თვისებები. ჭარხლის წვენი ამცირებს სისხლის წნევას. ჭარხლის წვენისა და თაფლის (ერთი ერთზე) ნარევი გაცივების საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა. მოხარული ჭარხალი უნდა ჭამონ მათ, ვისაც ყაბზობა აწუხებს.


სტაფილო უყვართ დიდებსაც და პატარებსაც. მასში არის შაქარი, ზეთი, აზოტი, მინერალური მარილები, პიგმენტები, A, C, B1 და B2 ვიტამინები, მჟავები. სტაფილოს სამკურნალოდ იყენებდნენ ძველადაც და აქტიურად გამოიყენება თანამედროვე მედიცინაშიც. იგი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ხელს უწყობს

სისხლნაკლებობისას.

სტაფილოს წვენი ძალიან კარგია პატარა ბავშვებისათვის. იგი აუმჯობესებს ჩვილის განვითარებას. სტაფილოს წვენით პირის გამორეცხვა იცავს პატარას რძიანას განვითარებისაგან. ახალ, დაქუცმაცებულ სტაფილოს ადებენ დამწვარ ან მოყინულ ადგილას, მოუშუშებელ წყლულებს, ჩირქან ჭრილობებს ან ანთებად კანს. ბავშვებს სტაფილოს აძლევენ თითო კოვზს ორჯერ დღეში (დილას და საღამოს) ჭამის წინ.

ხახვი ცნობილია სასარგებლო აზოტოვანი ნივთიერებებით, შაქრით, სხვადასხვა ფერმენტით, კალციუმის მარილით, ფოსფორით, ფიტონციდებით, ლიმონისა და ვაშლის მჟავებით. მასში არის A, B1, B2, PP ვიტამინები, აგრეთვე ეთერზეთები. ხახვი აძლიერებს ჭამის მადას; ხელს უწყობს საჭმლის მომნელებელი წვენების, შარდის გამოყოფას (დაწვრილებით იხილეთ ჟურნალ „გზის“ წინა ნომრები).

სასარგებლოა ბოლოკი, რომელიც შეიცავს ნახშირწყლებს, ექსტრაქტულ ნივთიერებებს, ცხიმს, ფერმენტებს, ფიტონციდებს, B და C ვიტამინებს, კრისტალურ ნივთიერებას რაფანოლს, რომელიც ბოლოკს აძლევს სიცხარეს. ბოლოკი ადაგზნებს მადას, აძლიერებს კუჭის წვენის გამოყოფას, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, შლის თირკმელში ქვებს, ამცირებს ტკივილს. ექიმის რჩევით, ბოლოკს ხმარობენ ფილტვების ტუბერკულოზის, ბრონქიტის, კატარის დროს. თაფლში არეულ ბოლოკის წვენს ღებულობენ ხველების წინააღმდეგ, მეტუბურობის დროს. კარგია ბოლოკი აგრეთვე რევმატიზმის დროს კანის დასაზულად, რადიკულიტისა და ნევრიტის დროს. ბოლოკი წვენისა და დაქუცმაცებული ხახვით არჩენს ჩირქოვან ჭრილობებსა და წყლულს. უნდა გახსოვდეთ: ბოლოკის ჭამა ეკრძალებათ გულითა და ღვიძლით დაავადებულებს.



რძის გამოყოფას მეტუბურობის დროს, ორგანიზმიდან სილისა და მცირე ქვების გამოსვლას, საერთოდ, ამაგრებს ორგანიზმს. მეცნიერებმა ექსპერიმენტებით დაადგინეს, რომ სტაფილო ააქტიურებს უჯრედშიგა პროცესებს, არეგულირებს ნახშირწყლების ცვლას, ხელს უწყობს კანის ეპითელიზაციას. აქვს ანტი-სეპტიკური, ანთებისაწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი თვისებები. აშუშებს ჭრილობას. სტაფილოს ექიმები ურჩევენ ავიტამინოზისა და

ფალსიფიცირებული სარეცხი საშუალებები

რა კრიტერიუმებით სარგებლობთ სარეცხი ფხვნილის შერჩევას? ალიარეთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეს ფასია, რადგან ეკონომია დღეს ყველა ოჯახის ბიუჯეტისთვის აუცილებელია. ალბათ, არც გიფიქრიათ იმაზე, რომ თქვენთვის კარგად ნაცნობი დასახელებით, შესაძლოა, ფალსიფიცირებული ფხვნილი შეიძინოთ, რომელიც არათუ ლაქებს არ ამოიყვანს, არამედ თქვენს ჯანმრთელობასაც ავნებს.

სამწუხაროდ, ფალსიფიცირებული ფხვნილი სულაც არ წარმოადგენს იშვიათობას ჩვენს ბაზარზე. ფალსიფიკატორები პოპულარული ფხვნილების დასახელების მქონე ცარიელ ყუთებში ყრიან იაფფასიანი სოდის, ლილისა და სარეცხი ფხვნილის ნარევის. საზღვარგარეთ – მაგალითად, პოლონეთსა და უკრაინაში, პროდუქტის ფალსიფიცირებაზე მთელი იატაკქვეშა ქარხნები მუშაობს. მათ ურჩევნიათ, ერთბაშად და სწრაფად მოიშორონ თავიდან საეჭვო პროდუქცია და საკმაოდ იაფად ყიდიან მას.

საერთოდ, ფალსიფიცირებული ფხვნილის გარჩევა ქიმიური ანალიზის გარეშე ძალიან ძნელია, მაგრამ მაინც, გთავაზობთ რამდენიმე ნიშანს, რომლითაც ნამდვილისგან მის გამოჩვენებს შედეგები:

1. ფხვნილის ყუთი დამზადებულია ცუდი ხარისხის, შელახული მუყაოსაგან.
2. ყუთზე მკრთალი, უფერული, თითქოს ჭუჭყიანი წარწერაა.
3. ყიდვის ადგილი საბითუმო ბაზარია, ხოლო ფასი – საკმაოდ დაბალი.

ახლა კი, მოკლედ, იმის შესახებ, თუ რით რეცხავთ და რას უნდა ელოდოთ ამა თუ იმ ფხვნილისაგან.

სარეცხი ფხვნილები 3 ჯგუფად იყოფა:

უნივერსალური ფხვნილი განკუთვნილია ე.წ. საერთო ჭუჭყის – ოფლისა და მტვრის მოსაშორებლად,

მაგრამ ლაქებს (მათ შორის ხილისასაც) იგი არ აშორებს. თუ ლაქები არ არის, უნივერსალური ფხვნილი ნებისმიერ ქსოვილს (ბამბას, სინთეტიკას, შალს, შერეულ ბოჭკოებს და სხვა) ასუფთავებს.

ეკონომიური დიასახლისისთვის სასიამოვნო სიურპრიზია ის, რომ უნივერსალური ფხვნილი სხვასთან



შედარებით, ნაკლებად იზარაება და გამოსადეგია, როგორც ხელით, ისე მანქანით რეცხვისთვის (მხოლოდ აქტივატორული ტიპის).

ბიოდანამატებიანი ფხვნილი შეიცავს განსაკუთრებულ ნივთიერებებს – ენზიმებს, რომელსაც კარგად ამოჰყავს ცილოვანი და პიგმენტური ლაქები – კვერცხის, ხორცის, ცხიმის, ყავის, ჩაის, ღვინის, ხილის. ენზიმები ხელოვნური ფერმენტებია, რომელიც შლის ცილებს და პიგმენტებს და მთლიანად აშორებს ლაქებს.

ბიოდანამატები მოქმედებს მხოლოდ 60 გრადუს ტემპერატურაზე, ხოლო უფრო მეტზე – თავადაც იშლება. ამიტომ ასეთი ფხვნილით სარეცხის გამოხარშვა სრულიად გაუმართლებელია.

ბიოდანამატები „უკუნაჩვენებია“ ნატურალური ბოჭკოებისათვის – აბეშუმისა და შალის ქსოვილისათვის, რადგანაც ენზიმები ცილოვან შენაერთთა დაშლისთვის არის განკუთვნილი! აბრეშუმი შეიცავს ნატურალურ ბოჭკო ფიბროინს,

ხოლო შალი კი – ცილა ქერატინს. დაბოლოს, მესამე ჯგუფი – ეს არის ფხვნილები მათეთრებლითა და ნაკლებად აქაფებადი, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებით.

ასეთი ფხვნილიც ერევა საერთო ჭუჭყს, თუმცა, უარესად, ვიდრე უნივერსალური, სამაგიეროდ – უკეთ ათეთრებს. იგი შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი ქსოვილისაგან დამზადებული იმ ნაწარმის გასარეცხად (გარდა შალისა), რომელიც საჭიროებს გაათეთრებას. მისი მოქმედებით ჩითისა და კრეპდეშინის მკვეთრი საღებავები გაუფერულდება. მკვეთრი ფერის ტრიკოტაჟი ასეთ გამოცდას არ საჭიროებს.

ფხვნილის ეს ტიპი „მიდის“ ყველა სახის სარეცხ მანქანაზე, ხოლო ავტომატებში უნდა გამოიყენოთ მხოლოდ და მხოლოდ ასეთი: ყუთზე აუცილებლად ნახავთ წარწერას: „ავტომატი“. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ფხვნილი არ წარმოქმნის ქაფს, რომელიც დაუშვებელია ავტომატური სარეცხი მანქანისათვის.

არსებობს ე.წ. „სპეციალური“ ფხვნილები შალეულის რეცხვისათვის და ცივი წყლით რეცხვის მიზნით.

როგორ გავუფრთხილდეთ თავს?


თუ საოჯახო საქმეს რეზინის ხელთათმანების გარეშე ასრულებთ, უნდა გაათვალისწინოთ, რომ რეცხვის დროს ეს დაუშვებელია. შესაძლოა, თქვენთვის ეს მოუხერხებელია, მაგრამ იცოდეთ, რომ გარკვეული დროის შემდეგ, ხელებზე გამოფიტული, აქერცლილი, დაჭმუჭვნილი კანი გექნებათ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნებისმიერი ფხვნილი – ქიმიანა! კანისათვის განსაკუთრებით მავნებელია ბიოდანამატებიანი ფხვნილი, დედეები კი ყველაზე ხშირად სწორედ ასეთ ფხვნილს ხმარობენ, რადგან ბავშვები გამუდმებით ილაქავენ ტანსაცმელს ხილით, ნაყინით, შოკოლადით და სხვა საკვებით. ჩვენ გვაიწყდება, რომ ბიოდანამატები ცილების დასაშლელად არის შექმნილი და, მამასადამე, მავნეა ჩვენი კანისთვისაც.

კოსმეტიკა

ტუჩები

ტუჩებზე კანის გამოშრობისა და დასკდომის საწინააღმდეგოდ კარგია შემდეგი ნაერთის გამოყენება. ავილოთ ერთი კვერცხის გული, დავამატოთ ორი ს/კ გლიცერინი და ერთი ჩ/კ ბორის მჟავა.

თუ ტუჩებზე კანი გექერცლება და ხშირად გისკდება, ქუჩაში გასვლის წინ, წაისვით შემდეგი ნაერთი: ხუთი გ კაკაოს ზეთი და ათი გ



ნებისმიერი მცენარეული ზეთი. თუ ლამაზი ტუჩები გაქვთ, შეგიძლიათ დეკორატიული კოსმეტიკის გამოყენებით ხაზი გაუსვათ მის მოხაზულობას: კოსმეტიკური

ფანქრით შემოხაზეთ ტუჩის ბუნებრივი კონტური, ყოველგვარი კორექტირების გარეშე. გამოყენებული ფანქარი ტუჩის საცხზე ერთი ტონით მუქი უნდა იყოს.

თუ მოგრძო სახე გაქვთ, უფრო ინტენსიურად შეიღებეთ ქვედა ტუჩი, თუ მრგვალი ან ოვალური ფორმის სახე გაქვთ, პირიქით — ზედა ტუჩი. ეს ხერხი ხელს უწყობს სახის ფორმის ვიზუალურ კორექტირებას.

კითხვა



პასუხი

კითხვა: ჩემს მეუღლეს აქვს ალერგია სხვადასხვა საკვები პროდუქტისადმი. ორ თვეში ველოდებით პატარის დაბადებას. ვშიშობ, ისიც ალერგიული არ დაიბადოს. რა მნიშვნელობა აქვს ალერგიული დაავადების განვითარებაში მემკვიდრეობას?

პასუხი: არსებობს ალერგიისადმი მემკვიდრული მიდრეკილება ე.ი. ალერგია უშუალოდ კი არ გადადის მემკვი-

დრობით, არამედ ოჯახის წევრს აქვს გარკვეული განწყობა დაავადებისადმი. ალერგიული რეაქციის განვითარებაში გადამწვევტა გარემო პირობები და იმუნური სისტემის მდგომარეობა. ცნობილია, რომ ერთი სქესის და ერთმანეთის მსგავს ტყუპს აქვს სრულიად ერთნაირი გენები, რომლის შესწავლამ ცხადყო, რომ თუ ტყუპის ცალს აქვს ალერგია, მეორეს იგი მხოლოდ შემთხვევათა 20-25%-ში შეიძლება გამოაჩნდეს. ამგვარად, ალერგია მემკვიდრეობით არ გადაეცემა, შეიძლება გადაეცეს მიდრეკილება ალერგიის მიმართ, ხოლო მის განვითარება-განუვითარებლობას განსაზღვრავს გარემო პირობები. მაგალითად, მამას შეიძლება ალერგია ჰქონდეს რაიმე საჭმლის მიმართ, შვილი კი ამ საჭმელს სრულიად თავისუფლად იტანდეს, მაგრამ სამაგიეროდ, მას შეიძლება ჰქონდეს სუნის, მტვრის ან სხვა რამის მიმართ: ანდა საერთოდ არ გამოუვლინდეს ასეთი რეაქცია.

კითხვა: შაქრიანი დიაბეტი დღეს ათასობით ადამიანს პრობლემაა. ბოლო დროს მის სამკურნალოდ გაჩნდა ახალი ნაშალი — აქტოვეგინი. გთხოვთ, გვიამბოთ ამ პრეპარატის პრაქტიკაში გამოყენების შედეგების შესახებ.

პასუხი: შაქრიან დიაბეტზე ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ წინა ნომერში ვისაუბრეთ. ახლა კი კონკრეტულ შეკითხვაზე გიპასუხებთ:

ხდება ხოლმე, რომ II ტიპის შაქრიანი დიაბეტის აბებით მკურნალობისას, შაქარი, რომელიც მანამდე კარგად ემორჩილე-

ბოდა წამლების ზემოქმედებას, უეცრად იწყებს მატებას. მის მოსაწესრიგებლად საკმარისი აღარ არის ხოლმე არც წამლის გაზრდილი დოზა და არც პრეპარატის შეცვლა. ვითარდება ე.წ. მეორადი რეზისტენტობა. სწორედ ასეთ შემთხვევებში აქტოვეგინის დამატება სურათს მკვეთრად დადებითი მიმართულებით ცვლის.

პრეპარატის შესანიშნავი თვისებები იძლევა საშუალებას, რომ იგი გამოვიყენოთ არა მხოლოდ დიაბეტის კომპენსაციისათვის, არამედ გართულებათა პროფილაქტიკისთვისაც. მისი ანტიჰიპოქსიური (ჟანგბადის უკმარისობის საწინააღმდეგო) მოქმედება შეუცვლელია დიაბეტის დროს ხანგრძლივად შეუხორცებელი ჭრილობების სამკურნალოდ.

პრაქტიკული დაკვირვებიდან ჩანს, რომ პრეპარატის გამოყენება დადებით შედეგს იძლევა სხვადასხვა მიმართულებით. დიაბეტით დაავადებულებს ტერფებზე ხშირად აქვთ პარესთეზიები (დაბუჟება, ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნება), კანის სიმშრალე, ნეიროპათია, სიცივის შეგრძნება. აქტოვეგინის მიღების შედეგად ფეხები თბება, ქრება ნახეთქები და წყლულები, რაც საშუალებას იძლევა, რომ თავიდან ავიცილოთ ისეთი მძიმე გართულებები, როგორცაა ტერფების განგრენა.

50-ს გადაცილებულ პაციენტებში ხშირად გვაქვს ჰიპერტენზია (წნევის მომატება), ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადება. ამ პრეპარატის მიღება ასეთ შემთხვევებში აწესრიგებს წნევას, აუმჯობესებს მეხსიერებას და საერთო თვითშეგრძნებას.

ამგვარად პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აქტოვეგინის გამოყენება შაქრის დამწვევ წამლებთან და დიეტასთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს დიაბეტის კომპენსაციაში და მისი გართულებების თავიდან აცილებაში.

კითხვა: როგორც ცნობილია, წამლებს აქვს მთელი რიგი გვერდითი მოქმედებები. მათგან მიღებული სამკურნალო შედეგი ხშირად წამლისმიერი გართულებით იცვლება. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ თავიდან ავიცილოთ მსგავსი გართულებები?

პასუხი: მედიცინის მიზანი სწორედ ის გახლავთ, რომ სამკურნალო საშუალებები დაავადების გამომწვევზე მოქმედებდეს ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ჯანმრთელ უჯრედებს. მაგრამ, ჯერჯერობით ამის მიღწევა იშვიათად ხერხდება. უფრო ხშირად წამლები თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ ამავე დროს ორგანიზ-

მის სხვადასხვა სისტემაზეც ახდენს გავლენას. ამიტომ აღინიშნება გვერდითი მოქმედებები. ხშირად ეს მოვლენები უარყოფითია, მაგრამ სამწუხაროდ იძულებული ვხდებით, რომ შევეგუოთ მას.

უნდა ითქვას, რომ ყველა წამალი ჰგავს ორივე მხრიდან ბასრი პირის მქონე იარაღს და საჭიროა მისი ფრთხილად გამოყენება. ყურადღებით უნდა შევისწავლოთ ინსტრუქცია და მკაცრად დავიცვათ ექიმის დანიშნულება. დაუშვებელია ნაცნობებისა და ნათესავების რჩევებზე დაყრდნობა. არ შეიძლება წამლის მიღება დოზისა და მიღების წესის გაუთვალისწინებლად. წამლის დალევაზე აუცილებლად უნდა შევამოწმოთ, ხომ არ არის გასული მისი გამოყენების ვადა, რადგან ვადაგასულ წამლებში შეიძლება წარმოიქმნას მავნე პროდუქტები. ამდენად, როგორც ხედავთ, წესები არცთუ ისე რთულია, მაგრამ მას პაციენტები ყოველთვის როდი იცავენ.

პითხვა: როგორი კავშირი აქვს ნამლებს და კვების პროდუქტებს ერთმანეთთან? დაშვდება თუ არა რაიმე, რომ ჭამის შემდეგ დასალევი წამალი ჭამამდე დავლიოთ?

პასუხი: ყველა წამლის დალევა მშვიდ კუჭზე დაუშვებელია. მაგალითად, ასპირინი, როგორც მჟავა, იწვევს კუჭის გაღიზიანებას. ზოგიერთი პრეპარატი საკვებთან ერთად უკეთესად შეიწოვება. ამიტომ მითითებები: „ჭამამდე“, „ჭამის დროს“, „ჭამის შემდეგ“ გამოგონილი არ გახლავთ და მათი დაცვა საჭირო.

კალციუმის შემცველი პრეპარატების მიღება დაუშვებელია რძესთან ერთად.

პითხვა: შეიძლება თუ არა პაციენტმა თავისი ჯანმრთელობა მიანდოს ექიმს, რომელიც წამლის დასახელებას ცნობარში ეძებს? მსგავსი რამ მე თავად შემემთხვა ერთ-ერთ პოლიკლინიკაში.

პასუხი: დღეს ახალი პრეპარატების ისეთი დიდი სიმრავლეა, რომ თითქმის შეუძლებელია, ექიმმა ყველა მათგანის დასახელება ზეპირად იცოდეს და სულაც არ ითვლება სასირცხვილოდ, რომ მან ამა თუ იმ ახალი დასახელების წამლის

მოქმედების მექანიზმი და შემადგენლობა ცნობარში ამოიკითხოს. თანამედროვე ექიმი საჭიროებს არა მხოლოდ ფუნდამენტურ სახელმძღვანელოს, არამედ ოპერატიულ ექსპრეს-ინფორმაციას სამკურნალო საშუალებების შესახებ.

პითხვა: მყავს 16 წლის გოგონა. იგი უზომოდ იკვებება და ძალიან მსუქანია. ჩემს შენიშვნებზე მპასუხობს, რომ სულაც არ რცხვენია თავისი გარეგნობის. ვერაფრით დავარწმუნე, რომ სიმსუქნე მისი ჯანმრთელობისთვისაც საშიშია. გთხოვთ, როგორც ექიმი, დამეხმაროთ მის დარწმუნებაში და აუხსნათ, რა ზიანი მოაქვს სიმსუქნეს ადამიანისათვის.

პასუხი: სიმსუქნე დღეს მრავალთა პრობლემადაა ქცეული. ამ თემაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ „გზის“ ერთ-ერთ ნომერში. ახლა კი უფრო დავწვრილებით გაიბობოთ მის მიერ მოტანილ ზიანზე.

სხეულის მასის გადიდება მავნე მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. გულს გაძლიერებული მუშაობა უხდება, რათა აბრუნოს ორგანიზმში წარმოქმნილი სისხლის ჭარბი რაოდენობა. სიმსუქნის დროს აჩქარებულად ვითარდება და უფრო მძიმედ მიმდინარეობს ათეროსკლეროზი, გახშირებულია ჰიპერტონიული დაავადება (წნევა), ხოლო თვით გულის კუნთში შეიძლება მომრავლდეს ცხიმოვანი ქსოვილი. ამიტომაც, რომ მსუქნებში გახშირებულია და მძიმედაც მიმდინარეობს გულის კუნთის ინფარქტი და გულის ქრონიკული უკმარისობა.

მსუქან ადამიანს შეზღუდული აქვს სუნთქვითი მოძრაობა, რაც ჟანგბადის ნაკლებობას იწვევს, აქვეითებს შრომის უნარს. ასეთ ადამიანს ადვილად ემართება ფილტვის ანთება და იგი ამ დაავადებისგან ძნელად იკურნება. ზოგიერთ მსუქან ადამიანს დაუძლეველი ძილიანობა აქვს.

მსუქანი ადამიანები ხშირად ავადდებიან შაქრიანი დიაბეტით. მისი მკურნალობაც გაძნელებულია, რადგან ასეთი ადამიანი ვერ ეგუება დიეტას. სიმსუქნე უარყოფითად მოქმედებს კანზე, ოფლი ადვილად აღიზიანებს კანს და კანის ჩირქოვანი დაავადებები ვითარდება.

სიმსუქნის დროს გაძნელებულია სხვა ყველა დაავადების მკურნალობა. განსაკუთრებით დიდი დაბრკოლებები წამოიჭრება მაშინ, როდესაც საჭიროა ქირურგიული ოპერაციის გაკეთება. მსუქან ორგანიზმზე ოპერაციის გაკეთება ტექნიკურად ძნელია და ხშირია გართულებები: ჭრილობის დაჩირქება, შეუხორცებლობა, ფილტვების ანთება. აქვე უნდა ითქვას, რომ მსუქანი ქალი მძიმედ იტანს ფეხმძიმობას. მას უჭირს შობიარობა, ხშირად ემართება შობიარობასთან დაკავშირებული გართულებები.

ეს არის არასრული სია იმ ზიანისა, რომელიც სიმსუქნეს მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. გარდა ამისა, სიმსუქნე ცუდად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. ვერც ბავშვი და ვერც მოზრდილი ვერ მოძრაობს თავისუფლად, ვერ დადის იმდენს, როგორც სხვები. ვერ შრომობს სრულყოფილად და ამიტომ იძულებულია, განერიდოს საზოგადოებას, რაც მძიმე დაღს ასვამს მის სულიერ მდგომარეობას.

„შრომანის“ თმის მოვლის ინსტიტუტი
თმის გენის შეჩერება და გახშირება

10 ლლიანი ბამბაჯანსაღი მასაჟის კურსი, თმის კანის მკვებაში კრემში, ლოსიონი და მენარეული მამუნი; ჯანსაღი თმის ძირში; იპურნება კანის ქაბილი, ლაჟიმულობა, ქმრტილი.

აბრეშოვი ბთაჟაგობი:

1. გამწმენდ რძეს და კრემს სახისა და სხეულისათვის: აქრობს ჩირქოვან და ალერგიულ გამონაყარს, ასწორებს და იცავს კანს დანაოჭებისაგან და გათმინებისაგან, აუფერულებს ჭორფლს და ლაქებს.
2. ჭარბთმინიანობის მკურნალობას მრავალკომპონენტიანი მცენარეული ექსტრაქტის თმის ბულებში შემეღვის ორიგინალური საფირმო მეთოდით.
3. გახდომას და ორგანიზმის გაწმენდას წიღებისგან, უდიეტოდ, მხოლოდ მცენარეული ნაკრების საშუალებით.
4. ხელების დამამშვიდებელ მცენარეულ წვეთებს (აჯანსაღებს ფილტვებს, ასუფთავებს ბრონქებს, აძლიერებს ორგანიზმის იმუნიტეტს გრიპისა და გაცივებისადმი).
5. ღრძილების სამკურნალო მცენარეულ საელებს (ანთება, დაწევა, მტკივანი და სისხლმდენი ღრძილები).
6. გილისა და წილის მოსაცილებელ მცენარეულ ლოსიონს.

ემუშაობთ ყოველდღე, 10-18 სთ-მდე, კვირის გარდა
 მის: ჭავჭავაძის 5, ვაკის ლეჩოუმინატი, „მშენიერების ცენტრი“ –
 „შრომანის“ კაბინეტი. ☎ 25 00 74



ლომების მომთვინიერებელი, კრიმინალური ფოტოგრაფი, მოჩვენებებზე მონადირე, ცირკის ტაპიორი... ყმანვილი ანტონ შანდორ ტავისთვის ვინმეს რომ ეთქვა, რომ მისი პროფესიების ნუსხაში მომღვეწო სტრიქონს „სატანის ეკლესიის ფუძემდებელი“ დაემატებოდა, ის ალბათ სკეპტიკურად ჩაიცინებდა. თავდაპირველად მას ხომ მხოლოდ მასხარაობა სწადდა და მეტი არაფერი, ყველაფერი კი სულ სხვაგვარად შეგრიანდა...

eSmakis advokati

გადაეხადა ახალბედა მსახიობი ქალების თავშესაფარში – HOLLYWOOD STUDIO CLUB-ში დაქირავებული ნოდრისთვის, ველო კასტინგებზე (მსახიობთა შერჩევაზე) და როგორღაც გაეტანა თავი – ამიტომაც დათანხმდა ამ სამუშაოს – გამოსულიყო სცენაზე, გამიშვლებულიყო, ნულა და გნებიანად, ძველი ორგანის მუსიკის თანხლებით, რომელსაც უცნაური სახელის მქონე ემაწვილი – შანდორი უკრავდა. ან იქნებ, სჯობს, უბრალოდ ანტონი დაუძახოს? წარმოდგენის დაწყებამდე, მერილინი რაღაცას გადაულაპარაკებს სხვა მოცეკვავეებს, ამრეზით გახედავს გაპრანჭულ პრიმადონებს, რომლებიც შოუს ფინალში გამოდიან მთვრალ თავყვანისმცემელთა სტვენისა და უხამსი რეპლიკების თანხლებით... შემდეგ იწყება დატვირთული საღამო, მერე, შესაძლოა, ვიღაც მამაკაცებიც დახვდნენ სამსახურებრივ გასასვლელში, თითო ჭიქა – მეზობელ ბარში... ქალი ბევრს მოსწონდა, მაგრამ არჩევანი ანტონზე შეაჩერა, თანაც – ჯერ კიდევ მანამ, სანამ კარგად გაიცნობდა ვაჟს. შესაძლოა, მხოლოდ იმის გამო, რომ ის ერთადერთი იყო, ვინც ხვდებოდა, თუ რა მუსიკა მოსწონდა ქალს და მისი აკომპანიმენტით, თავს მოხდენილად და თავისუფლად გრძნობდა. ბუნებრივია, მას სიამოვნებდა დარბაზის აგზნება, მაგრამ ერთხელ მერილინი უეცრად მიხვდა, რომ ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ადამიანისთვის – ანტონ შანდორ ლავისთვის ცმკვადა.

როცა ისინი ერთმანეთს გააცნეს, მერილინიმა უთხრა, რომ 22 წლის იყო. ალბათ, სტრიპტიზ-შოუს ყველა მოცმეკვავე გოგონა ასახელებს ამ ასაკს: 16 წლისანები იმიტომ, რომ ფიქრობენ – თუ მათ არ დაუჯერეს, იტყვიან, რომ 21-ისანი არიან, 30 წლისანები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ჯერ იმდენად ახალგაზრდულად გამოიყურებიან, რომ შეიძლება დააჯერონ ადამიანები ამ უტოპიურ ტყუილში. ამდენად, ანტონმა, ცხადია, არ ირწმუნა მერილინის: ის თავადაც ამბობდა, რომ 25 წლის იყო, თუმცა ცოტა ხნის წინ მიაღწია სრულწლოვანებას. ეს გოგონა თავიდან მას სულაც არ მოსწონებია, უფრო სწორად – მან ის ვერაფრით გამოარჩია სხვა მოცმეკვავეებისგან, თანაც ვაჟს არასდროს მოსწონდა ქერა ქალები, მაგრამ იქ, დაბინდულ დარბაზში, მისი კანი რაღაც არაამქვეყნიურ შუქს გამოსცემდა: ის მართლაც არაჩვეულებრივი, წარმოუდგენლად თეთრი იყო და ანტონ-

ლოს-ანჯელესი, 1948 წელი. ქალაქის გარეუბანში მდებარე ძველი სახლი, კარის გაჯახუნება, ბინდი. სიბნელეს შერჩეული თვალი სალაროს ფანჯარას, ვიდეოების ზურგებსა და გაცრეცილ აფიშას არჩევს, რომელიც მნახველს აუწყებს: „სტრიპტიზი პარიზულ სტილში! მხოლოდ ჩვენთან! საუკეთესო მუსიკა და საუკეთესო გოგონები!“ ახლა მხოლოდ ბილეთის ყიდვა და დარბაზი და შეხვედრა დარბაზში, ჩამოვადები, ქედს მოიხდი და მოქმედების დაწყებას დაელოდები...

ამ თეატრს უკეთესი ხანაც ახსოვს. მეიენის თეატრმა, რომელშიც ფერადოვანი წარმოდგენები ეწყობოდა, ახლა იაფფასიანი შოუ შეიკვდლა და სულ სხვა პუბლიკაც მიიზიდა. ჰაერიც რაღაც უცნაური არომატით არის გაჟღერებული: „პოპკორნის“, „კოლას“, იაფფასიანი სიგარეტისა და მტვრის სუნს აერთიანებს. ბოლო რიგში აუცილებლად დალანდავთ მამაკაცების წყვილს, რომელიც წარმოდგენის დაწყებისთანავე, ერთიანად ცლის თითო ბოთლ ღვინოს და უმაღლ იძინებს. იატაკზე დავარდნილი ბოთლი მიგორავს და ერთ-ერთი მოცეკვავის ფეხებთან ჩერდება – ის კი ამ დროს, უკანალის რხევით მაგიდებს შორის მოძრაობს და მაყურებელთა მეტად აგზნებას ცდილობს. ქალი ბოთლს ფეხს წამოკრავს, უმისამართოდ შეიკურთხება და ამით პუბლიკის გამოცოცხლებას იწყებს. მამ ასე, ქალბატონებო და ბატონებო, შოუ იწყება!..

ფარდის ახდისას სცენას ერთობ ეგზოტიკური გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცი კეთს: შავი კოსტოუმი, ქათქათა თეთრი პერანგი, გრძელი თმა, გამჭოლი მხერა და გულმოდგინედ გაკრეჭილი წვერი, ზუსტი, გამოზომილი მოძრაობები – ყველაზე მეტად ის ფოკუსების ოსტატს ან ლომების მომთვინიერებელს მოგაგონებთ, მაგრამ ემაწვილი პატარა ორგანს მიუჯდება, ნოტების რვეულს გაშლის, სიგარეტს დადებს... წამიც – და დარბაზს რაღაც ძველი, სვედიანი ფრანგული მელოდია ავსებს, სცენაზე შუქი ქრება, ძველი პროექტორის სხივი კი, ტანმორჩილ მოცეკვავე გოგონას გამოყოფს. გოგონა ნელ-ნელა ტანთ იხდის – გაცდილებით ნულა, ვიდრე სხვა მოცეკვავეები, რისთვისაც სულსწრაფ მაყურებლებს ის ნაკლებად უყვართ. თუმცა, მათ შორის ისეთებიც არიან, ვინც საგანგებოდ ამ გოგონას სანახავდ მოდის... ისმის აკორდები, ციმციმებს პროექტორი, ემაწვილი თვალს არ აშორებს მოცეკვავე გოგონას...

გოგონას მერილინი მონრო ჰქვია, ვაჟს – ანტონ შანდორ ლავი. გაუა დრო და მათ ქვეყანა გაიცნობს, მაგრამ ახლა, 1948 წელს, მერილინი – იგივე მერილინი მარლოუ, ნორინ მორტგსენი და მონა მონრო – ჯერ არავისთვის არის ცნობილი. „ტყუილია! – აღმოფთვებით წამოიძახებდა ის ნათქვამის საპასუხოდ – მე უკვე გადაღებული ვიყავი რამდენიმე ეპიზოდში და ყურადღებაც მომაქცევს!“ თუმცა, ცხოვრება უღმობელია: მას ფული უნდა

მა დაუოკებელი სურვილი იგრძნო. „ჯერ ვნება მოდის, მას კი სიყვარული მოჰყვება, – ამბობდა ათწლეულების შემდეგ უკვე მოხუცი ლავეი. – თუ ის გეწვევა, უთუოდ, მხოლოდ ამგვარად. მისი თეძოები დავინახე და მივხვდი, რომ შეყვარებული ვიყავი.“

მერილინთან ერთად ის ქალის ეპიზოდური როლის სანახავად გაეშურა. ფილმს „გოგონები გუნდში“ ერქვა. შთაბეჭდილება იქნებოდა, თითქოს მერილინს არც სჯეროდა, რომ იქ ეკრანზე, ნამდვილად მისი გამოსახულება იყო. თავისი როლის შესრულების ხარისხიც მას სრულიადაც არ აღელვებდა – ის გამუდმებით ატრიალებდა თავს და მაყურებელთა რეაქციას აკვირდებოდა და მამაკაცების კომენტარებს აყურადებდა. ანტონსაც, ქალის ქცევა უფრო აინტერესებდა, ვიდრე სიუჟეტი, თუმცა ფილმს ბოლომდე უყურა და მასში აჟღერებული რამდენიმე მელოდიაც უმაღლესად ათვისა. ნომრამდე მერილინის გაცელებისას, ის უკვე გუმანით ხვდებოდა, რომ ამაღამ შინ დაბრუნება არ მოუწევდა, – და ასეც მოხდა.

თითქოსდა, რა იყო ამ ამბავში საოცარი? თუმცა, ლავეი უკვე რამდენიმე წელიწადი უკრავდა თეატრებში, ღამის კლუბებსა და ვარიეტეტებში, ზაფხულობით კი მოხეტიალე ცირკშიც გამოსულა და მშვენივრად იცოდა, რომ საკუთარი დასის მოცეკვავესთან წოლა დაუმეგობრებდა იყო მიჩნეული. თანაც, რაში სჭირდებოდა ეს, როცა ნებისმიერ პატარა ქალაქში მოიძებნება რამდენიმე ალტაცე-

ბული გოგონა, რომელიც მოცეკვავის კარიერაზე ოცნებობს? მათი მოჯადოება საკმაოდ მარტივი საქმეა, რომელსაც ანტონი ძალიან ადვილად ახერხებს.

მაგრამ მერილინი სრულიად გამორჩეული აღმოჩნდა. მასში ჩაბუდებული იყო თავგადასავლის უცნაური წყურვილი, მიაბიტური, დაუდგრომელი და ამავე დროს, მტკიცე რწმენა იმისა, რომ აუცილებლად მიაღწევდა საწაფელს და სხვაგვარად არც ღირდა ცხოვრება. მასში სულებური, ზოგჯერ სახიფათო ავანტიურებისკენ ლტოლვაც იჩინდა ხოლმე თავს. მაგალითად, ლავეი იხსენებდა, როგორ მიეცნენ ისინი სიყვარულს სასაფლაოზე... ერთხელ კი, ძველისძველი „კადილაკით“ დაქროდნენ ოკეანის სანაპიროზე, დამტვრულ ასფალტზე, რომლის ნატეხებიც ბორბლებიდან ცვიოდა, მანქანას აქეთ-იქით ატრიალებდა და საჭეს ძლივს იმორჩილებდა მერილინი, რომელსაც სულ ახალი ნასწავლი ჰქონდა მართვა...

ვამინგტონის ბულვარზე მდებარე იაფფასიანი ოტელის პატარა ნომერში, სადაც ისინი გაცნობიდან ცოტა ხნის შემდეგ გადავიდნენ, მერილინი იჯდა საწოლზე და უსმენდა ანტონს, რომელიც თავისი ხანმოკლე ბობოქარი წარსულის შესახებ უყვებოდა. ის უამბობდა უცნაური სახელის მქონე თავის ბებიაზე – ლუბა კოლტონზე (მას შერეული – ბოშურ-ებრაული სისხლი ჰქონდა და ქალიშვილობაში ლუპესკუ-პრიმაკოვას გვარს ატარებდა), რომელიც გარკვეულ ხანს ტრანსილვანიაში ცხოვრობდა და შვილიშ-



მერილინ მონრო

ვილს უყვებოდა უცნაურ კარპატულ ლეგენდებს – ვამპირებზე, საშინელ ფრთოსან მგლებზე, რომლებიც ნახტომში ჰგლეჯდნენ ადამიანებს თავებს. სწორედ ამ ბებიისგან შეიტყო ანტონმა, თუ რას უნდა მოასწავებდეს სახლში შავი ჩიტის შემოფრენა და რისი უნდა ემიზონდეს ადამიანს, როცა ვინმე მის პორტრეტს ხატავს (ამ დროს, ბოროტ მხატვარს შენი სულის მოტაცება ძალუძს). ბიჭი ათიოდე წლისა იქნებოდა, როცა ბრედ სტოკერის „დრაკულა“ და მერი შელის „ფრანკენშტეინი“ წაიკითხა, თორმეტი წლის ასაკში კი, ბევრჯერ მიუბრუნდა ლაკერაფტსა და „ჰიპნოზის პრაქტიკულ მეცადინეობებს“. ნორჩი ანტონი ფიქრობდა, რომ მაგია შესაძლოა, გამოგონილი, მაგრამ არცთუ ისე უსარგებლო რამ არის: თუ რაღაცის გწამს, ის შეიძლება ახდეს კიდევ. მაგრამ მაგიური შინაარსის მთავარ წიგნად მას მაინც, არა შავყდიანი ბულვარული გამოცემები, არამედ ფოტოგრაფიის ხელოვნების შესახებ უილიამ მორტენსენის მიერ დაწერილი და ბესტსელერად ქცეული წიგნი მიაჩნდა. მორტენსენი კომპოზიციაზე მსჯელობდა, სამყაროს თავისებურად აღქმას გასწავლიდა და ადვილად ხელმისაწვდომ რჩევებში გაცილებით მეტი ჯადო იყო ჩაბუდებული, ვიდრე შელოცვების კრებულებსა და საზიზღრად ნათარგმნ შუა საუკუნეების ტრაქტატებში.

რაში სჭირდება მოზარდს მაგია? რატომ იმეორებს იგი – CREDO, CREDO, DOMINI? – თუმცა არც ერთი ლათინური სიტყვა არ იცის. რატომ გამოჰყავს არითმეტიკის რვეულში უსწორმასწორო ჰენტაგრამები? მიზანი ნათელია: იმისათვის, რომ მასზე ტანად და



ძლიერ თანატოლს მიაყენოს ზიანი; ან საძულველ მასწავლებელს გაუსწორდეს; სანატრელი ველოსიპედი, ფოტოაპარატი ან ბეისბოლის ბიტა „გაიჩინოს“... ყველაზე მეტად, ანტონ შანდორ ლავეის თავის გარშემო ისეთი მაგიური წრის შემოხაზვა სწაღდა, როგორსაც საშინელებათა ფილმებში ნანახი ჯადოქრები ხაზავენ: ეს იყო თეთრი, აღმოდებული წრე, რომელიც განაცალკევებდა მას იმ უტვინო ბავშვებისგან შემდგარი ბრბოსაგან, რომელიც სკოლაში ერთგვა გარს... რა ჰქონდა მათთან საერთო? რა ესმოდათ მათ ან სასროლი იარაღის, ან საბრძოლო ხელოვნების, ან კიდევ, სამხედრო ზომადლების? ისინი ოღონდ არბენინე ეზოში, უაზროდ აღრიაღე, ბრიყვული თამაშებით გაართე ან კიდევ, სისულელეები აბუუტურე გოგონებზე... ანტონი დარწმუნებული იყო, რომ ერთი თავით მალა იდგა მათზე, გაცილებით ჭკვიანი და ძლიერი იყო და კარგად ესმოდა, რომ მისი ცხოვრება სრულიად განსხვავებული და გამორჩეული იქნებოდა, თანაც გოგონებზეც ბევრად მეტი იცოდა, ვიდრე დამთხვეულმა კრეტილებმა...

წიგნებისა და ფოტომასალისთვის საჭირო ფული მან საკმაოდ ევზოტიკური ხერხით იშოვა: ადგილობრივ პარკში იყო ერთი ადგილი, სადაც მიწაში გაჩენილი ნახვრეტიდან ჰაერის ძლიერი ნაკადი გამოდიოდა და მოულოდნელი იყო გოგონებისთვის, რომლებიც ტაატით მის-


ეირნობდნენ ხეივანში. შორიასლოს, პატარა გორაკზე, ყოველთვის იკრიბებოდა მამაკაცთა შეკრული ჯგუფი, რომელსაც ძალიან აინტერესებდა, რა ფერის საცვლებს ატარებდა ესა თუ ის ქალი. ზოგს კი, საერთოდ არაფერი ეცვია! თვალთვალისთვის ყველაზე ხელსაყრელი ადგილის მოსაპოვებლად მუდამ დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა და იბღიბიანი მამაკაცები, რომლებიც საუკეთესო პოზიციებს დაიკავედნენ, ძალზედ სერიოზული საჭიროებისთვისაც არ ტოვებდნენ მას. სწორედ ამ გარემოების გათვლით, ანტონმა მოიფიქრა, როგორ დახმარებოდა ამ უბედურებსაც და ფულიც ეშოვა. „თუ გნებავთ, თქვენს პლაცდარმს შეგინახავთ, სურ, — ეტყოდა ის კაცს, რომელიც აშკარად ცქმუტავდა... — ეს სიამოვნება ძვირი არ დაგიჯდებათ...“

მერილინი მთელი ხმით იცინოდა, როცა ანტონი ამ ამბავს უყვებოდა. „რა სულელი ქალები გყოლიათ, — ამბობდა ის შემდეგ. — ისინი რა, ვერ ამჩნევდნენ მამაკაცების ჯვარს? ო-ო, ნეტავი იქ ვყოფილიყავი — მოვუწყობდი ნამდვილ შოუს... გამოვიდოდი ქათქათა თეთრი კაბით და რომ დაუბერავდა — ... და მე ხელებით დავიჭერდი“. მერილინი ოცნებას მიეცემოდა: მას თვალწინ დაუდგებოდა საკუთარი თავი ამ საუცხოო კაბაში, ლიმუზინიდან გადმოსვლისას...

ანტონი კი თხრობას განაგრძობდა — როგორ იჯდა მთელი დღეები სკოლის

ბიბლიოთეკაში და ყველაზე მეტად ზაფხული ეჯავრებოდა: ყველა ბიჭი ზღვაზე ან კიდევ, სადმე სხვაგან მიემგზავრებოდა, მას კი არსად არ უნდოდა წასვლა, ერივნა მჯდარიყო და რიგრიგობით ეფურცლა თაროებზე დაწყობილი წიგნები, — მაგრამ ზაფხულობით ბიბლიოთეკა იკეტებოდა. ცოტა ხანში მან გაიცნობიერა, რომ სკოლა სულ არ სჭირდებოდა, თანაც, მასწავლებლები აცოფებდნენ, თანაკლასელები — მით უმეტეს, და გადაწყვიტა, ბიძას ამოსდგომოდა მხარში და თავადაც ეშოვა ფული.

სხვათა შორის, ბიძამისი ბუტლეგერი იყო და ამის გამო, ანტონს რამდენჯერმე უსიამოვნებაც შეხვდა. ბიძასთან ერთად უცნაური ხალხი — რევოლვერიანი ტიპები მუშაობდნენ. ანტონი თაღლითებთან და „გადამგლებებთან“ ერთად სვამდა, საეჭვო პერსონაჟებთან ატარებდა საღამოებს, მდიდრულად ჩაცმა და ბილიარდის თამაში ისწავლა. ახალი მეგობრები არწმუნებდნენ: ლუზში ბურთის ჩაგდების უნარი იმის აშკარა დადასტურებაა, რომ შენს სიყმაწვილეს უქმად არ ჩაუვლია: ცხოვრების ეს პერიოდი მხიარულებითა და უდარდელობით უნდა გამოირჩეოდეს და ველურ სამიკიტნობში უნდა გაატარო... ანტონი არ ეკამათებოდა მათ — გასაოცარი შეფერილობის კოსტიუმებსა და ჰალსტუხებში გამოწყობილი დაიარებოდა, პირში მუდამ პაპიროსი ჰქონდა გაჩრილი, ლოყას კი ნაიარევი უმშვენებდა, რომელიც ჩხუბის დროს მოხვედრილმა დანამ დაუტოვა... ოჯახის წევრები გაცეხულები იყვნენ — რა ძლიერ შეიცვალა მათი ბიჭუნა! არადა, ისეთ იმედებს ამყარებდნენ მასზე: შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე, ჰობოისაც დაეუფლა და გარკვეულ ხანს, იმ ორკესტრის შემადგენლობაშიც გამოდიოდა, რომელიც „სანფრანცისკოს“ ბალეტს უწევდა აკომპანიმენტს, თანაც, მთელი მისი ისტორიის მანძილზე ყველაზე ნორჩი ორკესტრანტიც იყო. მას მართლაც ძალიან უყვარდა მუსიკა, ერთ თვეში შეეძლო, დაუფლებოდა ახალ საკრავს, ხშირად ართობდა მეგობრებს, სხვადასხვა მელიოდის ასრულებდა ამა თუ იმ დუქანში შემორჩენილ ძველ პიანინოზე, ერთხელ კი, მის საყვარელ ბარში ცირკის მთვრალი მსახიობების კომპანია შემოუხეტა და ანტონი იმდენად დაუძმაკაცდა, გეგონებოდათ, მთელი საუკუნე იცნობდა...



ცოლთან, დიანასთან ერთად. 1970 წ.

დასასრული შემდეგ ნომერში



მომხარაღი

	ცხენი ჩრდ. ამერიკის პრერიებში	რვეული ფოტოსურათების ჩასაკრავად	ერთ-ერთი ღარვის მეცნიერი	აზარტული თამაში ბანკოთი
	პინოქოს ფენსაცემლო საქალაქო ტრანსპ.	ინფექციური ბაქტერია	სოფოკლეს ტრაგედია	ფელოზე მწერ ლაზერულ ტექნიკაში (ეზობე)
	პროტესტანტული ეკლესიის მღვდელი	ხალხთა ისტორიულად მყარი ერთობა	შემოსავალი კაპიტალიდან	იტალიელი ფერმწერი ანმატოვას სატრფო
	საეც. სიტყვა მეცნიერებაში	მონოს საწინააღმდეგო	სამნქაო ტექნიკით აღჭურვილი მოქსელობა	ნასვერად მაიმუნი
	ზოთი მღვლელომსახურებისთვის	„მაუგლი“ (დათვი) სპირტიანი სასმელი	ბირთვის თანამშრომელი	ჩაიკოვსკის ოპერა
	მეფობენ და არა მეფენი	ამერიკული სიგარეტი „მარტონსე-ლათათვის“	მდინარე ლონდონში	სელის ხელოვნება
	საუკეთესო ჩეხური ბროლი	ფილი საერთო საქმეში	შეადგინა რამაზ ალანიამ	

მე-19 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ა; 4-გ.

კვირის (24 - 30 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

თხის რქა - 22/XII-20/I



ახალი ცხოვრება დაიწყო, ყოველ შემთხვევაში, შეეცადეთ მაინც. ძალა მოიკრიბეთ და უარი თქვით მანე ჩვევებზე, რომ გამოუცხადეთ თქვენს ნაკლოვანებებს და გვერდშეხეთ - წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

მკერდული - 21/I-19/II



კვირის დასაწყისისთვის ენერჯის მოზღვავენებას იგრძნობთ. იმდენად მოწადინებულნი იქნებით, ყველაფერი საუკეთესოდ და სწრაფად გააკეთოთ, რომ ცოტა აგრესიულადაც კი მოიქცევით. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს საქმიანი საუბარი გელით ნდობით აღჭურვილ პირთან. უმჯობესია, უქმეები შინ გაატაროთ - საინტერესო წიგნი წაიკითხოთ ან კარგი ფილმები ნახოთ.

თევზები - 20/II-20/III



ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ კვირაში მოხდება, ის არის, რომ თქვენს ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს უფრო ღრმად ჩასწვდებით და სიშშიდითა და საკუთარი ძალების რწმენით განიმსჭვალებით. კონკრეტულად როგორ გამოიყენებთ ამას, ეს უკვე თქვენი საქმეა, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევის შანსი მოგეცემა.

მშვიდი - 21/III-20/IV



წლის ბოლოსთვის ძალზედ გადაიღალეთ. ამ კვირაში თქვენი მოთმინება და შრომისმოყვარეობა დაფასდება. უნაკლო იქნებით ურთიერთობებში, დინამიკური და შედეგიანი - საქმეებში. ამასთან, გაგიმართლებთ კიდევ.

კბრე - 21/IV-21/V



ორშაბათსა და სამშაბათს ოფიციალური ინსტანციების წარმომადგენლებთან მოგიწევთ შეხვედრა, რაც გუნებას ნამდვილად ვერ გამოგიკეთებთ. ნეგატიურ ემოციებს შეუძლებს და საყვარელ ადამიანებზე ნუ გადაიტანთ, თორემ სიტუაცია ძალიან დაგიძიმდებათ. ოთხშაბათიდან კი ყველაფერი გამოსწორდება, მეტიც - საუკეთესო პერსპექტივაც კი დაგეგმება.

მარცხი - 22/V-21/VI




ამ კვირაში თქვენი სამსახურებრივი საქმიანობა მცირედი შეფერხებებით წარმართება, სამაგიეროდ, ოჯახში საუცხოო ატმოსფერო შეგექმნებათ და სამეცნიერო-ფილოსოფიური ლიტერატურის კითხვაც დიდ სიამოვნებას მოგგვრით. დიდ სიხარულს მოგანიჭებთ აგრეთვე მეგობრებთან და ნათესავებთან ურთიერთობა.

მირიანობა - 22/VI-22/VII



წვრილმანებზე დროს ნუ დაკარგავთ. ახლა თქვენ არაჩვეულებრივ ინტელექტუალურ ფორმაში ხართ და ყველაზე რთული ამოცანების გადაჭრის უნარი შეგწევთ. ამიტომ ფუჭ საუბრებს მოერიდეთ და მთელი ძალები სერიოზულ, კონკრეტულ საქმეს მოახმარეთ.

ლომი - 23/VII-23/VIII



უამრავი სასიამოვნო ცვლილება გელით. ჯერ ერთი, კარიერის აღმასვლის ძალზედ მიმზიდველი პერსპექტივა დაგეგმებათ. წარმატების მიღწევაში განსაკუთრებით წაგადგებათ თანდაყოლილი დიპლომატიური ნიჭი. მეორეც, საკმაოდ მნიშვნელოვანი და სასიხარულო ძვრებია მოსალოდნელი თქვენს პირად ცხოვრებაში.

ქალწული - 24/VIII-23/IX



მთელი კვირის მანძილზე სამსახურში ზედმეტად გააღიზიანებთ ნებისმიერი შეცდომა, მცირედი უზუსტობა და შრომის დისციპლინის უმნიშვნელო დარღვევაც კი. შინ კი ყველაზე მიმზიდველ, ნახ და მხიარულ არსებად გადაიქცევით. ფრთხილად იყავით, სიტუაციები ერთმანეთში არ აგერიოთ!..

სასწორი - 24/IX-23/X



კვირის პირველსავე დღეებში ისეთ ინფორმაციას მიიღებთ, რომელიც გაიძულბთ, თქვენს საქმეს სხვა თვალთ შეხედოთ და ფულის შოვნის დამატებითი საშუალებები გამოიხატოთ. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს თქვენს ახლობელს პრობლემები შეექმნება და ეს თქვენს ცხოვრებაზეც იქონიებს გავლენას. უქმე დღეებში შეეცადეთ, მოზღვავებული ენერჯია სასიკეთოდ გამოიყენოთ.

ღრიანბალი - 24/X-22/XI



ოთხშაბათამდე მნიშვნელოვანი საქმეების დასრულებასა და საჭირო ადამიანთათვის ახალი იდეების გაცნობას მოასწრებთ. კვირის მეორე ნახევარში ნულარაფერზე იდარდებთ და ცხოვრების დინებას მიჰყვებით.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



რეკლამისთვის გეგმები და გენიალური აღმოჩენები თქვენთვის შეინახეთ. მისი გამხელა, მით უმეტეს, განხორციელებაზე ფიქრი, კარგს არაფერს მოგიტანთ. უმჯობესია, რაც გაქვთ, იმით დაკმაყოფილდეთ, მით უფრო, რომ საწუწუნო ნამდვილად არაფერი გაქვთ.

თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ოჯახს, სამსახურსა და მეგობრებს, ანუ ახლობელ ადამიანებს.

თუ გიფიქრიათ იმაზე, როგორ ექცევით მათ? სათანადოდ აფასებთ თუ არა ახლობლების სიყვარულსა და ყურადღებას?

ქვემოთ მოყვანილი ტესტის მეშვეობით შეძლებთ დაადგინოთ, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ახლობლებთან სინამდვილეში.



როგორ მქცევით ახლობელ ადამიანებს?

1) შეგიძლიათ თუ არა, ახლობელი ადამიანისთვის ერთი შეხედვით წარმოუდგენელი საქციელის ჩადენა?

ღიას - 4; არა - 1.

2) როგორ მოიქცევით, თუ დასანძრავს თქვენგან მცირე თანხა აქვს ნახსენები?

ა) დაჟინებით მოსთხოვთ ვალის დროულად დაბრუნებას - 1;

ბ) არასოდეს შეახსენებთ ამას თავად - 4.

3) ხშირად იწვევს თუ არა თქვენში გაღიზიანებას რომელიმე ახლობელი ადამიანის ქცევა?

ღიას - 1; არა - 4.

4) როგორ მოიქცევით, თუ იგრძნობთ, რომ ახლობელს თქვენი დახმარება სჭირდება?

ა) თავად შესთავაზებთ დახმარებას - 4;

ბ) დაელოდებით, რომ ამის შესახებ თვითონ გთხოვთ - 1.

5) იწვევთ თუ არა დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე თქვენს ყველა ახლო ნათესავს?

ღიას - 4; არა - 1.

6) როგორ მოიქცევით, თუ შინ მოულოდნელად, დიდი ხნის უნახ-

ავი ნათესავები გენვლიან?

ა) გულწრფელად გაგიხარდებათ მათი დანახვა - 4;

ბ) მოულოდნელობისგან შეკრთებით და დაიბნევით - 1.

7) დაიტოვებთ ახლობლის მცირე ნაწილს შეილს, თუ მისი მშობელი წვეულებაზეა წასასვლელი?

ღიას - 4; არა - 1.

8) როგორ მოიქცევით, თუ შეიტყობთ, რომ რომელიმე თქვენი ნათესავი მოულოდნელად მოხვდა საავადმყოფოში?

ა) ყოველდღე მიხვალთ მის სანახავად და მასზე იზრუნებთ - 4;

ბ) ზრდილობის გამო, ერთხელ მოინახულებთ - 1.

9) შეგიძლიათ თუ არა გაუწიოთ დახმარება ახლობელს მაშინაც კი, როცა ამ ქმედებას თქვენთვის ზიანის მოტანა შეუძლია?

ღიას - 4; არა - 1.

10) თუ იცით, რომ თქვენს მეუღლეს სამსახურიდან მოსვლა დააგვიანდება, ივანშებთ თუ არა მის გარეშე?

ღიას - 1; არა - 4.

11) თუ თქვენი ახლობელი დილის 5 საათზე ქალაქიდან მცირე ხნით

მიემგზავრება, წახვალთ თუ არა მის გასაცილებლად?

ღიას - 4; არა - 1.

12) როცა ახლობელს სწავლასა თუ სამსახურებრივ საქმეში მიღწეული წარმატების შესახებ ეკითხებით:

ა) ეს მართლა გაინტერესებთ - 4;

ბ) ზრდილობა გალაპარაკებთ - 1.

13) როგორ მოიქცევით, თუ ახლობლისთვის რაიმე მნიშვნელოვანი საქმეში დახმარება გაქვთ გაწეული?

ა) ხშირად შეახსენებთ და სამაგიეროდ, ყურადღებას მოსთხოვთ - 1;

ბ) არასოდეს შეახსენებთ - 4.

14) გრწვევით თუ არა რთული სამუშაო დღის შემდეგ ოჯახის წევრებზე ჯავრის ამოყრა?

ღიას - 1; არა - 4.

15) გიყვართ თუ არა ოჯახთან ერთად დასვენების დღეების გატარება?

ღიას - 4; არა - 1.

16) მუდამ გახსოვთ თუ არა ახლობელი ადამიანების დაბადების დღეები?

ღიას - 4; არა - 1.

დააჯამეთ მიღებული ქულები და შეამოწმეთ შედეგები:


16-30 ქულა: შეიძლება, თქვენი ახლობლები გიყვართ კიდევ, მაგრამ ეს თავისებური, იდუმალი სიყვარულია. სინამდვილეში, მათ უხეშად და მკაცრად ექცევით. დაფიქრდით — იქნებ აღარ ღირს მათი გრძნობების სიმტკიცის გამოცდა და სჯობს, უფრო დამთმობი და თბილი გახდეთ მათ მიმართ.

31-50 ქულა: ყურადღებითა და სიყვარულით მხოლოდ მათ აჯილდოებთ, ვინც თავად გიყვართ. ახლობლებს ფაქიზად ეპყრობით, მათზე

ზრუნავთ, მაგრამ ეს მზრუნველობა თვალში საცემი არ არის, დახმარებას მაშინ უწევთ, როცა ამის შესახებ დაჟინებით, რამდენჯერმე გთხოვენ, თავად კი დახმარების შეთავაზება არ გრწვევიათ.

51-64 ქულა: დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ახლობელ ადამიანებს მთელ თქვენს სიყვარულს ახმართ. მუდამ მზად ხართ, დაეხმაროთ მათ და ახლობლებიც, თავის მხრივ, სიყვარულითა და პატივისცემით გპასუხობენ.

სიახლე უონტაჯის სფეხში



ამერიკელმა მეცნიერებმა სრულიად ახლებური ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება გამოიგონეს: „ოპტოვერა“ ჩვეულებრივი პლასტიკია, ოღონდ გაჟღერებულია ესტროგენისა და პროგესტინის ჰორმონებით, რომელიც თანდათან აღწევს ქალის სისხლში და, სხეულის მოსახერხებელ ადგილზე დაკრული, ერთი კვირის მანძილზე ინარჩუნებს კონტრაცეპტულ ეფექტს. ამ სიახლემ იმდენად დიდი ყურადღება მიიპყრო, რომ ალბათ წლეულსვე იქნება მოწონებული აშშ-ის კვების პროდუქტებისა და სამკურნალო ნივთიერებათა ადმინისტრაციის (FDA) მიერ.

11 სექტემბრის ტეხასის დავინყება შეუძლებელია

11 სექტემბერს ამერიკაში მომხდარი საშინელი ტერაქტის მსხვერპლთა უკვდავსაყოფად ამერიკელი პოლიციელები და მეხანძრეები ზურგსა და ხელებზე ტატუირებას იკეთებენ. THE NEW YORK DAILY-ის ცნობით, ყველაზე ხშირად გვხვდება ტყუპი ცათამბჯენების გამოსახულებები, იმ სახანძრო და საპოლიციო ქვედანაყოფების ემბლემები, რომლის მოსამსახურეებაც ტერაქტის დროს დაიღუპნენ.

როგორც ერთ-ერთი ტატუსალონის მფლობელმა აღნიშნა, 11 დეკემბრამდე, როცა მთელ ამერიკას ტრაგედიიდან სამი თვის თარიღი უნდა აღენიშნა, მისი სალონის წინ პოლიციელთა და მეხანძრეთა დიდი რიგი გაიჭიმა.

სალონის მფლობელმა ისიც აღნიშნა, რომ მსგავსი სვირინგებისთვის მიღებული თანხის ნახევარს ტერაქტისგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხავს.

„11 სექტემბრის შემდეგ იყო დღეები, როცა ჩვენ მიერ გაკეთებული ყველა ტატუირება მანკეტუნზე მომხდარ ტერაქტს ეძღვნებოდა“, – დასძინა სალონის პატრონმა.



მძახველი ჰოციას ციხეში დაემადა

ინდიანას შტატში მოვრალი მძარცველი პოლიციისგან თავის დასაღწევად, პირდაპირ ციხის შენობაში შეიჭრა. 26 წლის კრისტოფერ ნიუსამმა ადგილობრივი სასამართლო გადარცვა – მან მისაღებში მაგიდაზე დადებული ფული მოიპარა და გაიქცა. მას შემდეგ, რაც ბანდიტს პოლიცია დაეღვენა, მან თავი ახლომდებარე შენობას შეაფარა, რომელიც თურმე ციხე ყოფილა. ადგილობრივი შერიფის თანამემწემ კენ ჰენდრიქსონმა განაცხადა, რომ „მას ძალიან მოსწონს, როცა დამნაშავეები თავად გარბიან ციხეში“.

ნიუსამი მარცვაში, ალკოჰოლის საზოგადოებრივ ადგილას მიღებასა და სახელმწიფო ქონებისთვის ზარალის მიყენებაში დაადანაშაულეს.

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვეთრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა კობა ბუჩუკურმა და შალვა ნათელაშვილმა.

ვულოცავთ ბატონ კობას და ბატონ შალვას და ვუსურვებთ წარმატებებს!

ვის უნდა ჩაფორმა?!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მთარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (25 დეკემბრის) 13 საათამდე.



„ფანტაზია“

ვის უნდა რაფორგაა?!



**„ფანტაზიორებს
გეიტსველი“**

**ერთგანეთთან დასაგალი
არაფარი გვაქვს**

შპპატის გაგონვა!

645/45

გასართობი ყოველწლი



22 დეკემბერი 2001 წელი. გაგონვის

ბათონით. ფანი 50 თანური



ტანსაცმელი
სკანსორები

ანაკლოები
კროსორები
თავტრული ანონსი



ვარდისფერ
უჯრებში
ამოიკითხავთ
მსახიობის
პარტნიორის
გვარს
კინოფილში
..91/2 კვირა..

კვირის ტელეპროგრამა
ნოველა

ყველაზე გასართობი ჟურნალი